644/
1975/4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

8

1975



ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობა მსოფლიოს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სამკვალი

13002

219

გამოცემის მეცხრამეტე წელი

8

აგვისტო

1975

თბილისი

სსრ. კა ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი


## ხუთწლედი ჩემს სოფელში

3 ჯეელალ მეხრიშვილი. ყველა გზა შირაკში მიდის

## პროზა, პოეზია

9 ნელი გაბიასშვილი. ხვალ აღარ იქნება თოვლი. მოთხრობა.

57 ნანა მჟედლიძე. მოთხრობები

65 ნანა ჯაფარიძე. დალი, სოზარი და ლევი. მოთხრობა

73 ემზარ კვიტაიშვილი. ხე ცხოვრებისა. პოემა

106 ავთანდილ ადეიშვილი. ზილიხანი მოვიდა. მოთხრობა

110 სერგი ბილაია. მე და ჩემი პროფესორი. (წიგნი II) დასაწყისი

## პოეზიის მერიდიანები

124 ვოლფგანგ გოეთე. ფილოსოფიური ლირიკიდან. თარგმანი და კომენტარი ოთარ ჭინორიანისა

## ნარკვევი

137 არმაზ სანეგლიძე. მარტი: ლიონი-აარზუ

## წერილები

149 ირმა ჩაჩავა. ახალი გეთოკოვები

153 ნანა გელაშვილი. საარსული წყარო საქართველოს შესახებ



მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ნარკვეანი

სარედაქციო კოლეგია:
ბაბუა ამირეჯიბი,
ვალერიან ბაკრაძე,
ბუბა გვერდწითელი,
გივი გეგეჭკორი,
რისვან გოგოლეიანი,
გიორგი გუგლია,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
ედუარდ მენაგდე,
ოტია კაჭკორია,
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ წერეთელი,
ტარიელ ფანტუერია,
რევაზ ჭეიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲛᲔᲮᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

# ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲘᲠᲐᲥᲨᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ

მას შემდეგ, რაც კობა ჩოხელმა და ლეგენდად კეკულმა ზემო ქედის კომუნამ საქვეყნოდ გაუთქვა სახელი შირაქის ბრაქიან ველებს, ბევრმა მთიელმა მიატოვა მშობლიური კიუხები და ალაზნისა და ივრის შუა მოქცეულ თვალუწვდენელ სამყაროს მიაშურა, რათა ყველასთვის დიამტკიცებინა საქონლის ყადრი და სიკვარული.

შრომამოწყურებული მთიელების ნაკადი დღისაც არ წყდება: უგზოობისაგან, სახნავ-სათესი სავარგულებისა და საძოვრების სიმცირისაგან გაწამებული დუშელები, ყაზბეგელები, ახმეტელები კვლავ შეუპოვრად მოისწრაფიან შირაქისაკენ, ხდებიან კოლმეურნეობის მუდმივი წევრები და სულ მოყლე ხანში სახელგანთქმული მეცხოველის სახელს იხვეჭენ.

ერთი მათგანი საღმე გოგოჭურია, რომელიც ახმეტის რაიონის სოფელ იფნისგორში დაიბადა და აღიზარდა. როგორც მთიელი ქალიშვილების უმრავლესობას, საღამესაც ძროხების საწველად ერჩოდა გულიცა და მარჯვენაც, მაგრამ ხვაშიადს ვერ იკლავდა: საღამო ხანზე უზალისოდ მიუყდებოდა ზოლქ კლდეკარზე ხტიალისაგან ფეხებდასისხლიანებულ კუდალა ფურს, ერთიოორკერ ჩამოუსვამდა ცურებზე და გათავდა — რძე აღარ ედგა.

— საღამოს მამა, სუმბათა დამცინავად ჩაიხედავდა ვედროში, რომელსაც ძლივს ჰქონდა ძირი მომალული და დაიჩივლებდა.

— ეგეც შენი მთელი დღის ნაწველი! მაგდენს ხომ თხაც მოგვცემს. ეს სატიალო, მთები ლამაზი გვაქვს, მაგრამ საძოვრები არ გვივარგა! რაცა გვაქვს, ან ეს რა საძოვრებია — ხრამებისა და ქარაფების თავზე. ფური ბღუჯა ბალახისთვის ჭურკეიკივით რომ იხტუნებს კლდეღრეზე, აბი იმან რა რძე უნდა მოგცეს?!

— რძეს ვიღა ჩიეის, მამილო. — მხარს აუბამდა სალომე, — ამ დღეს არ იყო შოილს ძროხა რომ დაგორდა ფერდაზე და ხევში ჩაიჩეხა?

სუმბათა ბრძნულად მოუუტავდა ცალ თვალს და ლიინისფერ ნისლში ჩაკარგულ შორეულ შირაკს ოცნებით გახედდადა.

— საძოვრები თუ გინდა, შვილოსა, შირაქში მოიკითხე — ძროხები იკრე ძღებანან, თითო ძუძედან თითო ვედრის წველანან.

— რას ამბობ, მამავ!

— მაშა!.. ხოლო ზაფხულ-შემოდგომობით თუ დღეში სამკერ არ მოწველი, რძე ბალახებში ედგრებათ.

— კარგი რა, მამა!

— ტყვილს არ გეუბნები, ისემც ტყვია არ მოხვედროდეთ გოგოჭურებს!..

იმ დღიდან მოკიდებული მთიელ ქალიშვილს ხშირად ესაზმრებოდა ჭრელ-ჭრელი ყვავილებით მოჩითული შირაკის სამყაროები. ბოლოს ვეღარ გაუძლო ცთუნებას და მოხუც მამას ეკანკალით განდო სიდუმლო.

— მამავ, აი, იცი რა... ჩემი დობილები... ყველანი: სანათაც, მზეინარიც, ქალთამზეც, ელეკოც წავიდნენ... გაზეთებშიაც ხომ ეხატნენ!.. აქ რა ვაკეთო?.. მეც წავალ შირაკში და... შენ რას მეტყვი?

თქვა ეს თუ არა, გული ამოუჯდა, ცრემლები გადმოსცვივდა და მამის მკერდს სლუკუნით ჩაეხეტა.

სუმბათა არც განრისხებულა, არც შეუცსადებია, როგორც ეს მოხუცმა მშობლებმა იციან ხოლმე ასეთ, ან ამის მსგავს შემთხვევაში. პირიქით: ქალშვილს მიუალერსა, დაამშვიდა და გამოსწვეა.

— მე რა გითხრა, შვილო? მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩემმა მშობლებმა ჩემი სიყვილე უჯიში ადათ-წესების მორჩილებაში გამატარებინეს... ახლა დრო შეიცვალა, ბეჩავ ხალხს ეზა გიგხსნა, ეს ცხოვრება შენია, შვილო და, რასაც კული გეუბნება, შენც იმ ყაიდაზე მოი-

ქეცი: დარჩენა გინდა? დარჩი! წასვლა გინდა? წადი!

**გასარგებელი სალომე** გაემზადა, დაემშვიდობა დედ-მამას, ნათესავ-მეგობრებს და შორაკისაკენ აიღო გეზი.

ჩამოვიდა წითელწყაროში. მიაკითხა-მოაკითხა, კოლმეურნეობების და საქონლის ასაკლდასავალი იკითხა, ეწრწ-დაწონა ყველფერი და გამარჯვების ედანოვის სახელობის კოლმეურნეობაში მწველადად დაიწყო მუშაობა.

დღეები და თვეები ერთმანეთს მისდევდა და ყველა ატყობდა, რომ მთიელი ახალგაზდა ბევრ მწველავს მოიტოვებდა უკან...

## ნიახურელი დამკვრელი

ძნელია, ძნელი კი არა, ალბათ შეუძლებელია საქართველოში შორაკისა და იერის მიდამოების გარდა მოძებნო სხვა ადგილი, სადაც ყოველ ბორცეს, ეელსა თუ ხევს თავისი საკუთარი სახელი აქვს: ჩითფილო, ქოჩები, ტარიბანა, მლაშე, ჩრდილი, წისქვილიყელი, თელა, ჩახრიალა, დიდნაური, ქოჩაქვები, ჭაჭუნა, ჩათმა, ალესილება, ეშმაკიხევი, მწარეწყალი, ალფადარა, ელდარი, ნაზარლები, ზილიჩა, ნატატარი, პანტაშარა, წარაფი, ჩერქეზის ხევი, თაეწყარო, კუნკული, თოროლა და ათასი სხვა.

ქალაქ წითელწყაროს სამხრეთით, ოცდახუთიოდე კილომეტრის დაშორებით, შორაკისა და იერის მიდამოების საზღვარზე გაჭიმული ბორცვებით გარშემორტყმული ხალვათი ეელი, რომელსაც ნიახურას ეძახიან.

მაღლანი და თვალწარმტაცია ეს ადგილი. მზერას ატაბობს უთვალავი, ერთმანეთზე მაჯრილი ჯუჯა, ულოიანი ბორცვები, რომლებიც შორიდან ჰგავს ხვავებს ჩამოკვანან. ზაფხულობით გვერდს ვერ აუქცევთ სათიბებში გაფანტულ გნოლსა და კაკაბს, რომლებიც ზამთრობით ნამჯის ზვინებს ადგარებენ თავს და ყიამეთისაკან ისეთი უმშეენი ხდებიან, თუ გინდა ხელითაც დაიკერთ. ზოგჯერ ვაშლოკანის სახელშეფოო ნაკრძალიდან ეშმაესარი ტახებიც ამოსეირნენენ ხოლმე ნიახურაზე და სახამორისა და ჭარალის ნათესებში თავიანთ განუმეორებელ ხელწერას ტოვებენ. ადრე გაზაფხულზე, პირველი წვიმებისთანავე, აქ ერთბაშად იფეთქებს სოკო და სატაკური, რომლებიც ბატკნის ხორცს არ ჩამოუვარდებიან, თუკი გამოცდილ დისახლისს შეაწვევინებთ.

**მაგრამ ნიახურის** მთავარი ღირსება სხვა რამეში მდგომარეობს: ზამთარი ძალზე თბილი იცის, ზაფხული გრილი და პირუტყვისთვის ადგილად გასაძოვნი. სწორედ ამიტომ დაედვა აქ ბინა გამარჯვების ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის № 2 ბრიგადას.

ფერმის ყველა სათავსო-საძროხე, ღამბორატორია, საჩეიდე, სარძეე, სახმარი, საწყობი, ხელოვნური დათესლვის ოთახი, მწყემსთა ეკიპაჟი, ცხოვრებელი ბინები — ახალთახალი ვეთთკირეხ კაპიტალური შენობაა და გამოუცდელმა კაცმა შორიდან რომ გაჰხედოს ბრიგადას, უკაცრიელ სათიბებსა და საძოვრებში ჩაკარგული ერთი პატარა სოფელი ეგონება.

სალომე გოგოჭურიც სწორედ ამ ბრიგადაში მუშაობს. ოცი მეწველი ძროხა ჰყავს გამირიგებული. მწველავები ხშირად იტყვიან ხოლმე: ერთი პირი ძილი წყალსაც კი ერევა ჩვენ ჩერდება, სალომეს ვაჩერება კი არ იქნებაო. არცა ტაეიან მწველავები: სალომე გოგოჭური ნიადაგ თავის ოცეულს უტარიანებს: ტკიბეს აცლის, თბილი წყლით ცურებს უბანს, გამუდმებული ხმარებისგან კბილებმოცვეთილ საფურველებს მოკრიფის ხელთათმანებივით წამოაცვამს ხოლმე ორივე ხელზე და ბუჩოსა და ტალახს სათუთად აცლის ძროხებს.

სალომეს ფურები მთელ ნახირში გამოირჩეიან: სისუფთავისაგან და სიმსუბუქისაგან სულ ბეწვი უბრწყინავთ.

ჭარხალი რომ ჭარხალია, იმასაც კი სათითაოდ რეცხავს და ისე უყრის ძროხებს.

— ნეტა, მეტი საქმე არა მაქვს! — ებუზღუნება ზოგიერთი გალზანიებელი მწველავი, რომლის დაბმული ფურები შემხმარი ტალახის ჯაეშანში მოქცეულ ჭარხლს ქუშად უცქერიან და სალომეს ძროხების ბაგაში ცდილობენ დრეწნის ჩაყოფას.

— როგორ თუ „მეტი საქმე არა მაქვს“?! — წიწმატდება სალომე, — მა რის მაქნისი ეარ, თუკი ჭარხალსაც ვერ გავრეცხავ — ძროხებს ლაფი რო უნდოდეთ, გარეთ ცოტაა?!

— ყოველ შემთხვევაში ბრიგადირს არ უთქვამს საქონლის გარეცხილი ჭარხალი მიეციოთ! — არ ცხრება მოპაექრე.

— ბრიგადირის თქმა რაში მეჭირდება! — უკვირს გოგოჭური და ნიღმატეხილი წაღდით ჭარხალს ლუკმა-ლუკმა კეწავს, — მე არ ვიცი ფურებს რა რგებთ და რა არა... არა და ვინა გაეგს თავში — თუ ვეზარება, ნურც გარეცხავ, ნურც დაუჭრი...

ზამთარში, ბაგური კვებისას ძროხებს კომბინირებული საკვბის, სენაჟის და სილოსის გარდა დღეში ერთხელ დაწნეხილი ნამჯაც ეძლევათ.

ჯერ თვითონ საწნეხი მანქანისაგან, მერე კი უზარმაზარ პირამიდებად წყობისას მავთულში შეკრული ნამჯა ისე მკვრივდება და ნივთდება, რომ მწველავები როცა ხსნიან და ცემენტის ბაგაში უძახებენ, მხლოდ რამოდენიმე ნაწილად ტდება და საქონელს დიდი ჯაფა ადგება. ნამჯის გამაგრებული კოშტები რომ დაშალოს და თავის ნებაზე მოიგდოს ყბებში. ამიტომ სალომე მოსდგება ხოლმე და ნამჯის გაქვავებულ ფილებს მატყლიანი ბღუჯა-ბღუჯა წეწავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყველაფერი შენ როგორ უნდა მოიგონო! — დასცინის ზოგიერთი.

— ეს შე არ მომიგონია, ეაქბატონო! — სიტყვას უჭრის სალომე, — ამას წინათ თბილისიდან ჩამოსული პროფესორმა ლექციი რომ წაკვიკითხა, სწორედ ამანა თქვა: დაწერეხილი ნამკა უნდა აკწეწ-დაკწეწოთ და ისე მიეცეთ ძროხებს, თორემ ძალა ეაჩეჩაზე ფური წვალობს, ღიზიანდება და ვეღარა ჭამს. ნერწყვი უსარგებლოდ გამოეყოფა, ორგანიზმი ეფიტება და წველადობაც კლებულობსო.

— რა ზუსტად დაგიმახსოვრებია, შე დალოცვილო! — იძახის ერთი.

— აბი როგორ! — კისკისებს სალომე.

— რაც პროფესორმა დაგატყუოს, შენ კი არ უნდა დაიჯერო, — ლაზღანდარობს მესამე, — ამას ჯამაგირს ლაპარაკში აძლევენ და ან ის უნდა თქვას ან ეს.

— არა, პროფესორიც თავისთვის იყოს, მაგრამ მეც რომ ვატყობ, — არ უთმობს სალომე, — როცა ანჭინელ ნამკას ვაძლევ, წველადობა მატულობს.

— ისევე რა გითხრა! — ჯიუტობს მოწინააღმდეგე, — თუკი მართლა ეგრეა, მაშინ წლის ბოლოს ყველაზე მეტი მონაწველი შენ უნდა გქონდეს, არა?

— მექნება კიდეც! — ამაყად პასუხობს გოგუური...

დამთავრდა 1974 წელი. შეჯამდა მეძროხეობის № 2 ბრიგადის შედეგები და პირველ ადგილზე სალომე გოგოჭური გამოვიდა.

ამ წარმატებისთვის მას იოლი გზით არ მიუღწევია.

1973 წლის ბოლო დღეებში, როცა 1974 წლის გეგმა-ვალდებულებები ისახებოდა, კოლმეურნეობის გამგეობამ და ვეტსპეციალისტებმა გულდასმით შეამოწმეს სალომე გოგოჭურის ძროხები და ერთხმად დასაკვნეს, რომ ასეთი მოცალიდი და ნაპატიები ჯგუფი მთელი წლის განძილზე 55 ტონა რძეს თავისუფლად აწარმოებსო.

სალომემ კი დინჯად აწონ-დაწონა ყველაფერი და კოლმეურნეობის საერთო კრებაზე ვალდებულება აიღო გეგმით გათვალისწინებული 55 ტონის ნაცვლად მეკრეკე ხუთწლიდის მეოთხე განმსაზღვრელ წელს დედასამშობლოს 60 ტონა რძეს ჩავაბარებო.

სალომემ ეს რომ განაცხადა, ბრიგადირი კინაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამიათასიანელთა მედროშე

ათვალიერებთ წითელწყაროს რაიონულ გაზეთ „ახალი შორაპანს“ ათიოდე წლის წინანდელ გაყვითლებულ, დაბეჭდილ ფურცლებს და ღიმილს ვერ იკავებთ: **რა ხოტბა-დიდებით** იხსენიებდნენ ამ მეწველებს, რომლებმაც ითხუთ საფფრაკვე ძროხიდან მთელი წლის განმავლობაში ათას ორას **ლიტრამდე** რძე ჩამოწველეს.

მაგრამ დრო გავიდა, სიახლეს ფართო შარაგზა ჰპოვა და უკოშკოლოდ დაინგრა ძველი მიჯნები. ზოოვეტერინარიამ, ბაგურმა სისტემამ, კვების ოპიოონმა, კაპიტალურმა ფერმებმა, ჯიშობრივმა გაუმჯობესებამ, ხელოვნურმა დაფისულთამ, მაღალკალიფიციურმა კადრებმა, მწველავთა დისციპლინამ, სოციალისტური შეჯიბრების ყოველსმქლეობამ თავისი გაიტანა: ათასობრასი კი არა, წითელწყაროელმა მწველავებმა უკვე რამოდენიმე წელია, რაც თვითეულ ფურზე სამიათასს მიაღწიეს და კვლავ განაგრძობენ შეუპოვარ წინსვლას.

ასე გაჩნდა ჩვენი რაიონის მეცხოველეთა ლექსიკონში ახალი ტერმინი — „სამიათასიანელი“.

მწველავი, რომელიც სამი ათას ლიტრას მოწველიდა წლის განმავლობაში თითო ფურიდან, ხუთიოდე წლის წინათ სანლილთ სძენარი იყო რაიონში: ზაირა ალხანიშვილი, გიორგი ნასრაშვილი, მიშო ჯორკოშვილი, ცარო ალხანიშვილი. ეგ იყო და ეგ!

მაგრამ ბოლო წლებში ფართოდ, ახლებურად გაშლილმა სოციალისტური შეჯიბრების ყოველსმიმცველმა საყვრობამ ერთბაშად წამოატივტივა ახალი სამიათასიანელები.

1974 წელს ჰარტო გამარჯვების ედანოვის სახელობის კოლმეურნეობაში 19 სამიათასიანელი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. წლის შედეგები დაუსუმდა და კოლმეურნეობის სამიათასიანელთა მედროშე სალომე გოგოჭური აღმოჩნდა. თუმცა სიმართლის თქმა საქმეს არ ანებებს: სალომე ასე ადვილად ვერ მოიპოვებდა პირველობას, მის ყველაზე ღირსეულ მტერქეს, ნინო ირაბაღეს თავს უბედურება რომ არ დასტეხოდა: ფურმა რქა მოარტყა თვალში და გამრჯე დამკვრესი სწორედ ყველაზე დაბალზე მომენტში კარგა ხნით ჩამოშორდა საქმეს...

ბრიგადირის შაში ამაო გამოდგა: სალომემ ვეგმაცა და ვალდებულებაც გადაჭარბებით შეასრულა და ბრიგადაც გამარჯვებული გამოვდა. ეასუმა გონაშვილის ბრიგადამ, ვასილა ღურაშვილის ბრიგადასთან შედარებით, თვითეულ ძროხაზე 387 კილოგრამით ნაკლები რძე მოწველა და დამარცხებულის ხვედრი გაიზიარა.

— **განზრახ პატარა** ვალდებულებები ავიღეთ და სწორედ ამან შეგვაცდინა — ვეგმონა **ადვილად შევასრულებდით** და თვითდამშვიდებას მივეცით თავი, მაგრამ ანგარიშში მოვტუუეთ ... — აღიარეს თავიანთი შეცდომა № 3 ბრიგადის მწველავებმა, მაგრამ ვეგანცა იყო თითზე კბენანი — გარდამავალი წითელი ალამი № 2 ბრიგადის ფერმაში ჰკიდია!

სალომე გოგოჭურმა 1974 წელს თავისზე ვაპრიოვნებული თვითეული ფურიდან სულ ალალ 3.568 კილოგრამი რძე მიიღო. ამიტომაა, რომ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა, სპეციალისტები და ამხანაგებს ხშირად ჩამოუდგებენ ხოლმე სიტყვის ოთხი ათას კილოზე.

კოლმეურნეობის სამიათასიანელთა მედროშე ამის შესახებ დინჯად და იმედანად მსჯელობს:

— მალე ოთხიათასიანელებიც რომ გამოჩნდებიან, ეს ცხადია და ალარაფერი სალაპარაკო. მთავარი ის არის, ვინ იქნება პირველი მერცხალი, რომელი კოლმეურნეობიდან... ამის კანდიდატები კი ბევრნი არიან: სოციალისტური შრომის ვმირი ზაირა ალხანიშვილი, თინა გიგაური, მართა დავითური, გიორგი ნასრაშვილი, მაგდანა ნათაძე...

სალომე თავის თავს არ მიათვლის ხოლმე, მაგრამ ყველანი ატყობენ, რომ შეუპოვრად ემზადება „პირველი ოთხიათასიანელის“ წოდების მოპოვებისათვის.

## დედის სიხარული

სალომეს სამი შვილი ჰყავს — ნანა, მზია და რომანი. **გამრჯე** ქალი წელებზე ფეხს იდგამს, რათა უდროოდ დაობლებულმა შვილებმა უმამობა არ იგრძნონ. აკ არცა გრძნობენ. სალომე ისეთი ფხიანი ქალია, რომ არავის დაარგებინებს თავის ბალღებს. ესეც არის, არც ნებიერა-და ზრდის.

— ნებივრად გაზრდილი შვილი ვის გამოსდგომია, მე გამომდგებესო. — ხშირად უთქვამს სალომეს.

დედის მთავარი საზრუნავია შვილებმა ისწავლონ და ქვეყანას გამოადგნენ.

უფროსმა, ნანამ, შარშან დაამთავრა საშუალო სკოლა. სალომე საუმაღლესოდ უპირებდა გამწესებას, მაგრამ სიყვარულმა იმძლავრა და ნანამ თავისი ბედი თანასოფელ ჭაბუკს, მოწინავე ზოფერს, ბორიკა პოპიაშვილს დაუკავშირა. ასე რომ, საკრიწლიო სიხარულმა და სამზადისმა ამ წელიწადს უმადლესში გამოცდების ჩაბარების საშუალება აღარ მისცეთ.

მართალია, სალომეს დაწუობილი ეგეგმები დროებით ჩავშალა, მაგრამ როდი ვანრისხდა: როგორც ერთ დროს მამა მამა მოეკეცა ლმობიერად და შორაქში წასვლა არ დაუშალა, ახლა სალომე მოეკიდა ტაბილადა და შაქრად ქალსიძეს.

— რიცა ერთმანეთი ჰყვარებიათ, მე რაღა ვქნა, სიყვარულს ხომ ვერ ჩავაშხამებ ან ერთს და **ან მეორეს**, — გაუგულისპასუხდა მეზობ-

ლებს, — მთავარია, ჯანმრთელად და სიმტკბილოსანი იყვნენ, თორემ სწავლას ყოველთვის მოესწრება: ზოგი ორმოცი წლის კაცი აბარებს შემაღლებში და ეგ ხომ ჯერ ჩვიმეტი წლის გოგოა... თან კოლმეურნეობაში იმუშავებს, თან დაუსწავლელად ისწავლის, ამას რა ჯობია: ცოდნასაც მიიღებს და ახლადშექმნილ ოჯახსაც შეეპატიჟება რასაც...

— სალომეს მაღე შვილიშვილის მოლოდინი აქვს და სიხარულისაგან აღარ იცის, რა ჰქნას.

— მეორე გოგოს, ეზიას, 7 კლასი დაამთავრა და ტექნიკუმს მიაშურა.

— დედა ენაცვალოს ჩემს მზიკოს, — სიამაყით ტკბება ხოლმე სალომე, როცა თბილისიდან ქალიშვილის წერილს მიიღებს, — იმან უნდა მასახელოს და საქონელმცოდნე გამოვიდეს. გესმით, ხალხო, საქონელმცოდნე — ვიუ ქა, რაღა ვქნა!

— დედასთან კოჟანდარა შვილი — რომანილა დარჩა. იგი მეცხრე კლასის მოსწავლეა. ჯერ არ აბსოლუტიანი სოფლებთან პროფესიასა, ეს კია, ბატაკებით ცეკვავს. ვისაც კი ეს ცნაკი ბიჭი ფეხბურთერებზე შემდგარი და დაბზრიალებული დაენახოს, უნებურად აღმოხდომია — ამ ბალღიდან კაი მოცეკვავე დადგებაო. არცა სცდებიან: რომანმა ბევრჯერ გაიმარჯვა რაიონულ, ზონალურ და რესპუბლიკურ შეჯიბრებებსა და ოლიმპიადებზე — რესპუბლიკურმა გაზეთმაც გამოაქვეყნა რომანის სურათი. ეს გაზეთი სალომეს ფერმაში აქვს გაკრული.

— ჯერ კიდევ მეექვსე კლასში იყო, როცა თბილისში გამართულ შეჯიბრში პირველი ადგილი აიღო და იქაურმა ცეკვის მასწავლებელმა წინადადება მომცა: ბალღი დატოვე, სკოლაში აქ იარის და ჩემს გუნდში ჩაერიცხავო, — შიშნარევი სიამაყით გაიხსენებს ხოლმე სალომე, — მაგრამ უარი ეუთხარი. ჯერ პაპაზე იყო, ეგ რომ თვალქვეშ არა მყავდეს, რა გამაძღებინებს... ცეკვის ფრე ჩვენს სოფელშიაც არის. ჯერ აქ იარის, დაამთაროს ათი კლასი და მერე თითონ იცის...

## ციფრები ალაპარაკდნენ

ფითილწყაროს სოფუზრუნველყოფის განყოფილების გამგე ამირან ბიღაშვილი ფრიად განათლებული, პოეზიის და ბუნების მოტრფიალე კაცია. უყვარს მშრომელი ხალხი და მათ შორის ტრაქტორი. ხშირად დადის მინდვრებში, ფერმებსა და ბრიგადებში. გაესაუბრება ბლეხებს და მერე მოთმინებით და დაწერილებით უქარტაკეს პენსიებთან დაკავშირებულ ათას წერილთან, როცა ოფიციალურად მიწერილი წერილის მშრალი ენით ვერასდიდებით ვერ იგებენ პასუხის შინაარსს.

ერთხელ ამირანმა გამარჯვების კოლმეურნეობის მეძროხეობის № 2 ბრიგადამიც შეიარა.

— საინტერესოა, თვეში რამდენ მანეთზე გამოდიან მწველავები? — შეეკითხა ბრიგადირს.

— გაარნია ვინ, მაგალითად სალომე გოგოჭური სამას მანეთს ასწორებს.

— სამსა მანეთს?! — გაიკვირვა ბიღაშვილმა, — მაგდენი არ იქნება!

— როგორ თუ „არ იქნება!“ — მოუჭრა ბრიგადირმა და უწესისება გადმოალაგა, — აი ციფრები თვითონ ვეუბყვიან... არაბული... გიგარი... რაბაზნოვა... გოგოჭური, სალომე გოგოჭური!

ბრიგადირმა საანგარიშო მოიმარჯვა და კენტები დინჯად აუწყაუნა.

— იანვარში 180 მანეთი, თებერვალში 170 მანეთი, მარტში — 230, აპრილში — 120, მაშინ ავად იყო და... დეკემბერში 231 მანეთი. ესე იგი წელიწადში 2.320 მანეთი. ამას დავუმატოთ სამასი მანეთი პრემია და გახდება თუ არა 2.620 მანეთი? გახდება! კოლმეურნეობამ ყოველ გამომუშავებულ მანეთზე დაამატა 50 კაპიკი. სალომემ გამომუშავა 2.320 მანეთი, მოდა, რამდენი მოუწევს ამას ორმოცდაათ კაპიკობაზე? 1.160 მანეთი, არა? ესეც დავამატოთ და გახდება 3.780 მანეთი. ეხლა გავყოთ თორმეტზე და გავიგოთ რა უწევს საშუალო თვიური სუფთა ხელფასი.

ბრიგადირმა მოთათვა საანგარიშოს წკაპუნი და გამარჯვებული ეერთი შეაჩერდა სოციუზრუნველყოფის განყოფილების გამგეს.

— 315 მანეთი! არც მეტი და არც ნაკლები! თან არ დაივიწყო, რომ ფუფუს გარდა ნატურით იღებენ ხორბალს, მზესუმზირას, სიმინდს, ცხვარს, ლობიოს და რა ვიცი, რაღას არა. ეგრეა, ძმაო, თუკი შრომა არ ვეზარება, ცხოვრება ადვილია!

## ბანავ, შვილივით ნაზარდო

მიმდინარე წლის იანვრის პირველი დღეები იყო. ნიახურას თბილი, ალერსიანი მზე ანათებდა.

სოცშეჯიბრების რაიონული შტაბის წევრები, გამარჯვების კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა, სპეციალისტები, რაიკომისა და რაიონული გაზეთის მუშაკები მთელი დღე ვასლა ღორაშვილის ბრიგადაში მუშაობდნენ — სოციალისტური შეჯიბრების შეჯამებისათვის საჭირო მასალებსა და ციფრებს ჭკეტენდნენ.

ყველანი — სტუმრებიც და მასპინძლებიც — კარგ კუნებაზე იყვნენ. ციფრების კრიტიკით რომ დაიღლებოდნენ, მიატოვებდნენ უწესისებს დასტებსა და თავს ოზეწყობით იქცევნენ.

ის იყო რაიონის მთავარი ზოოტექნიკოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გიორგი** ყოჩიაშვილი რაღაც საინტერესო ამბის მოყოლას აპირებდა, რომ უცებ ბრიგადირის კაბინეტში მეხბორე ბიჭი შემოვიდა და სალომე **გოგოჭურს** აუწყა.

— მზია გარეთაა და არ შემოდის — წამი **ერთად** მიახედე!

— აბა, ერთი ენახოთ, როგორი საქონელ-**მცოდნე** მზია ყაჯაა! — დაიძახა პარტიის **რაინ-კომის** ინსტრუქტორმა როლანდ ნატროშვილმა **და** ყველანი წამოიშალნენ, — რატომ არ შემო-**დის,** მორცხვი გოგოა?

**ითქვა** თუ არა ეს სიტყვები, მწველავებში **ერთბაშად** ხარხარმა იფეთქა და სტუმრები **უცებ** მიხედნენ, რომ აქ რაღაც სასიამოვნო გა-**უგებრობას** ჰქონდა ადგილი.

**აწითლებულმა** სალომემ მორცხვად აიფარა **სახეზე** ხელები და გარეთ გავარდა, ბრიგადირი **კი** წრეში ჩადგა და ყველაფერი განმარტა.

— **გოგო** კი არ ჩამოუვიდა, ხბორების თავი-**სი** შვილის სახელებს ეძახის — ნანა, მზია, რო-**მეო**. ჰოდა, ამ მეხბორემ განგებავრებულ ტა-ნაზე უთხრა — ბინაში ვერ შემოგდია და მიშვე-ლეო...

ბრიგადირი გაჩუმდა, „პრიმმა" მოუკიდა და განაგრძო.

— **ახლა** იქნება იფიქროთ, თავისი მწველა-ვია და იმიტომ აქებსო. მაგრამ არა, ჩემმა მზეგ... სალომეს რომ ბუჩინები უყვარს, ტუკი-**ლია,** ნურავინ ნუ დაიკვეხებს, გუშინდელი ხომ **არა** ვარ — კაცი საქონელში ვგეოდები და ჯერ ეგეთ მწველაც არ შეეხვედრივარ. სახბორ-რესთან რომ დიმაღოთ და ყური მიუგდოთ, **ხბორები** ისე ეალერსება და ეელაპარაკება, თი-თქოს მართლა ღვიძილი შვილები არიანო. უკა-ნასკნელი კაცი ვიყო თუ ზოგიერთი შვილს უვლიდეს იმ ფაქტი ღაღადებდა: ჩკოხველი ისეც **მიხედება, რა** მზრუნველობით უნდა უვლიდეს **ხბორებს** მომვლელი ქალი, მათ თავისი ღვიძ-ლი შვილებს სახელებს რომ შეარქმევს...

## პარტიის მოწოდების საპასუხოდ

მიმდინარე წლის 5 იანვარს, დილაადრიან, კვირადღის მიუხედავად, გამარჯვების კოლეგ-ურნეობაში უჩვეულო ხალხმრავლობაა და და-მოცოცხლება სუფევდა. საამისო მიზეზიც იყო: წინა დღით გაზეთში „კომენისტმა" გამოაქვეყ-ნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი და ახლა კოლმეურნეობის ავტატორები, პოლტინნოფრ-მატორები და პროპაგანდისტები, რომლებსაც გაზეთები ეკრიან, მოუთმენლად ელოდებოდ-ნენ გარაჟიდან მანქანების **გამოსვლას,** ტრაქ-ფერმებსა და მინდერებში წასულიყვნენ და ხალხისთვის გაეცნოთ ეს ისტორიული მნიშვნე-ლობის დოკუმენტი.

მეძროხეობის № 2 ბრიგადაში ზედმეწევ-ნით განხილულს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა. ყოველმა მწველავმა გადაწყვიტა, სა-სახელო, დამკვრელური შრომით გამოეხატა თავისი მოწონება და ერთგულება პარტიის მო-წოდებისადმი, მთავრობისადმი, სამშობლოსად-მი.

11 იანვარს, შაბათს, უცებ გაფუჭდა ამინ-დი. მზე სადღაც მოეფარა და ტყეინისფერი ღრუბელი დაეშვა დაბლა. მერე კი ნესტიანმა ქარმა სველი თოვლი წამოეშინა დედამიწას.

მაგრამ უამინდობა ვერ არღვევდა სოფელ გამარჯვების მეხბორეებლების საზეიმო განწყობილებას, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფად, ხმამაღალი ბაასით მიეშურებოდნენ კოლმეურნეობის კანტორისაკენ.

ყველა სუფთად და ლაზათიანად გამოწყობილიყო. სხვანაირად არც შეიძლებოდა: კრებაზე უნდა გამოეცხადებინათ 1974 წლის სამეურნეო წლის შედეგები და აეღოთ ახალი ვალმა-ჟალდებულებები.

პრეზიდიუმში ისხდნენ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა, საქართველოს კპ წითელ-წყაროს რაიკომის მდივანი გურამ მჭედლიშვილი, გაზეთ „ახალი შრომაქის" სოფლის მეურ-ნეობის განყოფილების გამგე შოთა ბიკაშვილი, შრომის მოწინავენი.

კრებაზე საზეიმოდ დაიდო პირობა, რომ გამარჯვების ოდანოვის სახელობის კოლმეურ-ნეობა ხუთწლედის ბოლო წელს სახელმწი-ფოს მიჰყიდის 2.000 ტონა მარცვალს, 400 ტონა მზესუმზირის, 2.200 ტონა ყურძენს, 350 ტონა ხორცს, 1.100 ტონა რძეს, 30 ტონა მატყლს, 1.100 თას ცალ კვერცხს.

ბოლოს რიგითი კოლმეურნეების ჯერი დად-და. სიტყვა სალომე გოგოჭურმა ითხოვა.

— წელს ჩვენს ბრიგადას ყველა შესაძლე-ლობა აქვს, რომ კალთაც პირველები ვიყვნეთ... ამინდს კარგი პირი უჩანს, თუმცა იმდენი სა-კვები მოვიმარაგეთ, უამინდობაც ვეღარ შე-გვაშინებს. ახლა ყველაფერი ჩვენს უნარსა და მოწადინებაზეა ჰკიდია... მე პირადად ვალდებულ-ებას ვიღებ, მეცხრე ხუთწლედის დამამთავ-რებელ წელს მოვწველო 65 ტონა რძე და თვი-თოეულ საფურაძე ძროხიდან მივიღო 4.000 ლიტრი. მოვუწოდებ ჩვენს ყველა მწველავს...

ბრიგადირი ვასილი ღორაშვილი წინა რიგში იჯდა და ულაყაშვილი კმაყოფილი იღიმებო-და. მას ოღარ მორეკია ბრაზი და რისხვა, რო-გორც ერთ დროს, როცა სალომემ 60 ტონის ვალდებულება იკისრა.

ბრიგადირმა ძალიან კარგად იცის, რომ სა-ლომე სიტყვის ქალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი ბაგიაშვილი

# ხვალ ალარ იქნება თოვლი

1

ალბათ მრავალი წლის შემდეგაც გაუჭირდება ახსნა, რატომ იზიდავდა ასეთი ძალით დაუფარავად თავშეუკავებელი, ხაზგასმულად უდარდელი, გამომწვევად ენამახვილი დღეები.

იქნებ გეოგრაფიული მეცნიერება იმდენად არ აღელვებდა, მისთვის სიცოცხლე რომ მიეძღვნა, ან სიზარმაცეს, ტკბილ თვლემად რომ ექცია მისი ნება, მიჰყავდა იქით. იქნებ შეუცნობელი ვნება უბრუებდა ჯერ ხელშეუხებელ სხეულს და უმიზნო ხეტიალი ყველაზე კარგად ეგუებოდა უცნაურად აღელვებულ გულს?

ვაი, თუ ამდაგვარი არაფერი ხდებოდა და ერთხელ რომ შეიგრძნო ასეთი დღეების აზრსმოკლებული მდინარება, დაუფიქრებლად წარმავალი დროის სიიოლე და სიმსუბუქე, აღარ სურდა შელეოდა მას?

იქნებ მოსწონდა ვინმე, ვინმე იმათგანი...

გურამი?

წამდაუწუმ ტუჩის კუთხეების წმენდა უყვარდა. გრძელი ცხვირი და ახლომახლო ჩამსხდარი ჭრელი, უაზრო ციმციმით ალესილი თვალები ჰქონდა. გიტარას დაათრევდა ყველგან, თუმცა არც კარგი დამკვრელი იყო, არც კარგი მომღერალი. მისი გრძელი, ლაქიანი თითები დაბნეულნი დაეხეტებოდნენ სიმებზე და წვალებით აგნებდნენ აკორდს.

— სიყვარულოვნა, ერთი ეს დამილიე, — ისე წაიჩურჩულებდა, თითქოს მთელი შენი საიდუმლო ხელის გულზე ეწერა.

მოტოციკლი კი კარგი ჰქონდა. უყვარდა ქალაქის პარკების კიბეებზე აქროლება-ჩამოქროლება. მანანა ცალი ხელით გურამს ჩააფრინდებოდა, მეორეთი თავსაფარს ააფრიალებდა და მთელი ხმით გაჰკიოდა.

— ტორررოო...

ბედი სწყალობდათ, ახლო მილიციელი არსად იყო.

შვიდნი თუ რვანი შესკუპდებოდნენ მოტოციკლზე, როგორ ეტეოდნენ ნეტა?

ნუგზარი?

არ უყვარდა ეს ტანმაღალი, შავგვრემანი და მწვანეთვალება ბიჭი. თავხედური დამოუკიდებლობით სუნთქავდა ყოველი მისი ნაბიჯი, ძალდაუტანებელი მეტიჩრობით ეჭირა ყველგან თავი. უნდა გენახათ რა ნერვებისმომშლელი სიზუსტით იცოდა დანა-ჩანგლის ხმარება. ისე ღეჭდა, ტუჩებს ოდნავადაც არ აცილებდა ერთმანეთს. არ დაიჩრჩოსო — გულში დასცინოდა რუსუდანი. ყოველი ლუკმის გადაყლაპვისას ისეთი გულმოდგინებით იწმენდდა თავის მსხვილ ტუჩებს, რუსუდანს ეგონა რაღაც უწესოს სჩადიოდა მათი თანამესუფრე და უხერხულობისაგან იშმუშნებოდა.

დალევდა და აუწევდა ცეკვის ჟინი, შეატოკებდა თავის მკკრივ ტანს, დაუკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეთავდა მუსიკას, გადაწვდიდა მწვანე ფულს.

კარგად ცეკვავდა ნუგზარი.

გამომშვიდობებისას აუცილებლად გამოგიწვდიდათ ლოყას. უყვარდა ამბორი. სახე ყოველთვის ოფლიანი ჰქონდა და ძნელი იყო სიამოვნებით დაგეკმაყოფილებინათ მისი ჭირვეულობა.

— ბევრს უყვარს ნუგზარი, — სლოკინით იტყოდა გურამი.

სულგრძელობასა და გულუხვობასაც სწამებდნენ ნუგზარს. რუსუდანი როგორ დაიჯერებდა ამას, როცა უცხადესად ხედავდა საკუთარ ღირსებათა დემონსტრირების ქინინი ამდვრეულ ვაჟის სულს.

ფარნა?

ისეთი დიდი და მძიმე შუბლი ჰქონდა, თითქოს ამ სიმძიმეს დაეწია თვალებისაკენ მისი ორი გახუნებული წარბი.

ყველასაგან განსხვავდებოდა. განსხვავდებოდა თუნდაც იმით, რომ ყველაზე მეტს სვამდა, თუმცა ცუდად იტანდა სასმელს, არასოდეს აწონებდა ვინმეს თავს და მხოლოდ მაშინ ალაპარაკდებოდა, როცა სასმელი მოერეოდა. სხვა დროს იჯდა ჩუმად, თავის საფიქრალს ფიქრობდა და არავის უგდებდა ყურს. ყოველთვის სიგარეტის კვამლში იყო გახვეული და ხელები უკანკალებდა.

ჩოფურა სახე და ყდალი თმა ჰქონდა.

რაღაცით ხიბლავდა რუსუდანს. იქნებ ეს მისი ხმა იყო, ბოხი ხმა, ძლივს რომ იმორჩილებდა, ძლივს რომ ამტვრევდა ბგერებად, ძლივს რომ ამწყვდევდა სიტყვაში. შეიძლება ვაჟის ლაპარაკი მოსწონდა, ენებაატანილი, გაუგებარი და ყოველთვის აზრდაუსრულებელი.

რევოლუციებზე უყვარდა ლაპარაკი. ერთხელ ნუგზარი ატყდა:

— პარიკი დაიდე მაგ ალისფერ თავზე და რობესპიერი იქნები, — ალბათ სადღაც მოჰკრა ყური რობესპიერი პარიკს ხმარობდაო და ცოდნის ფასმა ყდავნება მოისურვა.

— ვაი, — დაიბუტბუტა ფარნამ, მთვრალი იყო და მისი მსხვილი, კვამლიანი თვალები ცნობისმოყვარეობამ დაწმინდა.

— იმასაც ჩოფურა სახე ჰქონდაო, გავიგეთ.

— ჰოო? — გაეღიმა. ღიმილმა უპეები ღრმა ნაოჭებით დაუფარა, — ჩოფურა სახე ჰქონდა მირაბოსაც, დანტონსაც, დემულენსაც. სენტიმენტალური და მეოცნებე ლუსილის ქმარს. სენტიმენტალობამ თუ აიყვანა ეს თოჯინასავით ქალი გილიოტინაზე. სხვათა შორის, ლუსილი აღელვებდა რობესპიერის სისხლიან გულს. რატომ მოაჭრა თავი...

— ქალი მომწონდეს და... — დაეწანა გურამს.

— ჩოფურა სახე მოდაში იყო? — იკითხა დოდომ.

— შენ მხატვარი კი არა ისტორიკოსი ხარ, — გაიცინა ნუგზარს.

გურამიცა და ნუგზარიც აგერ უკვე ექვსი წელი იყო რაც ისტორიულ ფაკულტეტზე სწავლობდნენ.

ეს ის დღე იყო, კიკეთში რომ შემოალამდათ. ნუგზარის მანქანით იყვნენ. ისე გადაირივნენ, კაპოტზე აცვიდნენ საცეკვაოდ.

ფარნას ფანარი ეჭირა და რიგრიგობით ანათებდა მოცეკვავეთა სხეულებს. სინათლის ყვითელი ლაქა ნელა ცურავდა ტყის რუხად შედედებულ ფონზე და სიბნელეს გლეჯდა მოუქნელად ათამაშებულ ტანებს, უაზრო სიცილით დამახინჯებულ სახეებს.

რუსუდანს ფეხი უსხლტებოდა, ძლივს იკავებდა თავს. მაინც ლამაზი ხარო, — ხარხარებდა სიცილისაგან მუხლმოკვეთილი, სველ მიწაზე ჩაჩოქილი ფარნა და ფანრის შუქს უფრო და უფრო სწრაფად ამოძრავებდა.

რუსუდანი და გურამი ცეკვავდნენ. ნუგზარი მოშორებით იდგა და ტაშს უკრავდა. დოდო და მანანა რაღაცაზე ლაპარაკობდნენ და მოცეკვავეებს ყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადღებას არ აქცევდნენ. ფანრის შუქზე იელვებდა ხოლმე დოდოს ლამაზი ხელების ანასხლეტი.

— მოგვშვით, — წუხდა გოგო, როცა სახესაც გაუნათებდა ფარნა.

ზოგჯერ საკუთარ სახეს მიუგდებდა შუქს ბიჭი. ამაზრზენი იყო მისი ველური აღფრთოვანებით გაფართოებული ფერდაკარგული თვალები და სახე ძლიერ შუქ-ჩრდილში მოქცეული გვალვისაგან დახეთქილ მიწას რომ წაგავდა.

ქალაქში შევიდნენ და მშვიდობით დაბრუნება აღვნიშნოთო, — წინადადება შემოიტანა ნუგზარმა, — ერთიორი წითელი ფული კიდევა მაქვს და სიბნელისა ნუ გეშინიათ, ჯერ ათი საათიც არ შესრულებულა, შემოდგომაა ამხანაგებო.

მეგობრობის სადღეგრძელოს მეტი არაფერი დალეულა.

გურამმა ერთი სამჯერ წამოაყენა მანანა.

— ამას დააკვირდით კარგად. ამისი მეზობელი რომ არა ვყოფილიყავი, ჩვენი ძმაკაცობა არც კი დაგვესიზმრებოდა.

ფარნას მაგიდაზე ჩამოედო თავი და როცა სადღეგრძელოს შინაარსი განუმარტეს, გაეცინა.

— ქალი მაინც ქალია და დღეს დოდო შემიყვარდა, — თქვა მან.

— დათვრა, — შეეცოდა დოდოს.

გურამმა გიტარა მოისურვა. მანქანაში დარჩენოდა.

იმდენი სითბო ჟონავდა თითოეულის სახიდან, რუსუდანი დაფიქრდა, — მგონი ხუთივე მიყვარს და ნუგზარი არც ისე ცუდი ბიჭი აღმოჩნდა, როგორიც მეგონა, ფეხსაცმლის ბლაგვი ქუსლებით გამათელინა შავი ეოლგის ცხვირიო.

— აი რა მახარებს, — თქვა ბოლოს, — აი ამისთვის ღირს ცხოვრება. ჩვენს უანგარო ურთიერთობას დიდება.

დრო დაუნდობელია და შესძლებს რუსუდანი მრავალი წლის შემდეგ მოიგონოს მათი სახეები, ხმა, სიტყვები?

მოაგონდება მანანა? მისი მსუბუქი ღინღლით დაფარული ზედა ტუჩი და მეჩხერი კბილები? ლაპარაკის დროს ხელების შლა უყვარდა, თვალის მოცილება უჭირდა ვერცხლის ბეჭდებით დამძიმებული კოტიტა თითებისაგან, ზზიარულების შეწყვეტა იცოდა ჭირვეულის ხმით, — გვეყოფა, ახლა პოეზიაზე ვილაპარაკითო.

დოდო?

დამახსოვრებს მისი მსხვილი, თაფლისფერი თვალების ბიბინს? თხელ, ოდნავ კეხიან ცხვირსა და ზომაზე მეტად ამობურცულ ქვედა ტუჩს? გრძელი, ყვითლად შეღებილი დატალღული თმა ყოველთვის უბრალოდ ჰქონდა გადავარცხნილი. რამდენჯერ უფიქრია რუსუდანს, ეს გოგო ძალიან ლამაზი იქნებოდა სახის ოვალი რომ არ უშლიდესო ხელს.

სახლში წასვლის დროც მოვიდოდა და რაღაც უცნაური, გაურკვეველი გრძნობა დაეუფლებოდა რუსუდანს. მამასთან ყოველ მოსალოდნელ შეხვედრას რატომღაც არასასიამოვნოდ აღიქვამდა.

მათი ურთიერთობა სიახლოვით არასოდეს გამორჩეულა. დედის გარდაცვალების შემდეგ რუსუდანი შიშითაც კი ფიქრობდა, როგორ უნდა ვიცხოვროო ამ უცნო კაცთან ერთად.

დრო გადიოდა. მამა სრულიად არ ცდილობდა ქალიშვილთან ურთიერთობის გაღრმავებას და ეს უადვილებდა ცხოვრებას გოგოს.

უსიტყვოდ შევიდოდა თავის ოთახში და მაშინვე დაწვებოდა. ზოგჯერ ისე იყო დაღლილი, პირის დაბანაც კი ეზარებოდა. რა ღლიდა ასე...

დაწვებოდა და კარგა ხანს არ მიეკარებოდა რული. გონება რაღაცით ხომ უნდა დაეკავებინა და განგლილ დღეს იგონებდა, იგონებდა ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, იგონებდა წვიმას, მანქანის მინებზე ზანტად რომ ცურავდა. ზოგი გზისპირა სახლის აივანზე სინათლე ენთო და წვიმით გაჟღენთილ ღამის ფარდას ალაგ-ალაგ ყვითლად ლაქავდა იგი.

სად იყვნენ?

ჰო, მოაგონდა.

რამდენი ფოთოლი ეყარა ძირს, ყველა სიყვითლისაგან დაკრუნჩხული. მანქანა ნელა კეცავდა აღმართს, მოსახვევი მოსახვევს ელოდა. ნუგზარი ატრიალებდა და ატრიალებდა საჭეს. მიწის ნესტიანი სურნელი თვლემას ჰპვრიდა ყველას.

ტყე ყვითელ სევდას მოეცცა. როგორ ჰგავდა ეს სევდა ზეიმს თავისი დაწმენდილი შუქით, სიმშვიდითა და მოთმინებით რომ ავსებდა სივრცეს, განშორების სიმწარეს ალერსით რომ ტბორავდა.

და ტყეც იდგა, იდგა უძრავად, მორჩილად, სრულიად არ ნაღვლობდა სიცოცხლეს, ტოტებს შუა რომ ელეოდა, თვითონვე ტკბებოდა საკუთარი ჭკნობის საოცრებით და იღიმებოდა კიდეც.

მთას მოექცნენ თავზე.

რელიეფი ტალღებად ისწრაფვოდა ჰორიზონტისაკენ, გამჭვირვალე ბურუსი ელაციცებოდა მის ყვითელ ქოფს, მზისაგან გახუნებული ცა ნისლივით იქონებოდა ჰაერში.

დაუოკებელი ლტოლვით იყო შეპყრობილი ყველაფერი. ერთი შეხედვით უძრავი ხაზები ცისა და მიწისა, შემოდგომის წყნარი შუქით გამოძერწილნი, ირხეოდნენ, მოძრაობდნენ, ისეთის ძალით მიიწევდნენ ერთმანეთისაკენ, თითქოს ერთი სულის ნაწილნი ყოფილიყვნენ, ერთი ფესვით გამოკვებილნი, ერთი ვნებით ატანილნი, ერთი ლოცვის იდუმალებით აღვსილნი.

— ზოგიერთს ჰგონია რომ ეს დიდებული სანახაობა სხვა არაფერია, თუ არა გიტარის აკომპანემენტი, მის უნჯო ღიღინს ფონს რომ უქმნის, — გადაიხარხარა ფარნამ.

მთვრალიაო, ძლივს დააშოშმინეს გურამი.

— დამიწყო აქ „სვეტობა“. ეს ... დღეები რომ „დატასაობს“ აღმა-დაღმა, ის არაფერი. რატომ უნდა მიტეხავდეს მაგისი „ვალაკუშობა“ ყოველთვის...

— ადამიანმა რომ იცოდეს როგორ ჰყიდის მის სულს მისივე ენა, ხმას არ ამოიღებდა, — აგრძელებდა ფარნაც.

— ჰო, ეხლა, — ხმას აუწია ნუგზარმა, — მანქანაში ერთი ბოილი არაყია, ვინც მოიტანს, მისია.

„იქ აღარ უნდა დამელიაო“ — ფიქრობდა რუსუდანი.

საკუთარ სხეულს ვეღარ იმორჩილებდა. თვალებს მილულავდა და ტრიალს დაუწყებდა წონადაკარგული ტანი. სანამ თვალებს არ გაახელდა, ტრიალებდა და ტრიალებდა. როგორ უნდა ვიწვეო თვალებდაჭყეტილი, — ბრაზობდა საკუთარ თავზე.

დედა აგონდებოდა.

აგონდებოდა მისი ზიზღით მოკუმული ტუჩები და გარდვეული ქუთუთოებიდან გამომზრარალი გაქვავებული შუქი. სულს, განთავისუფლებულს სხეულის სიბნელისაგან თუ სიმძიმისაგან, თითქოს უკანასკნელად გადმოეხედა თვალების ამ უმეცრესი ჭრილიდან, ზედ შეეტოვებინა მიწიერ სურვილთა უაზრობა და სიწვრილმანე, გადმოეყოფნა და გამქრალიყო, გამქრალიყო თავისუფალი, ცარიელი, გულგრილი...

რაღაც დიდ საიდუმლოს ფარავდა მისი ლამაზი, მაგრამ ნიღბად ქცეული სახე. ამ საიდუმლოს წინაშე ფასს ჰკარგავდა რუსუდანის მთვრალი სხეულის უსუსურობაც, ამღვრეული განწყობილებაცა და მძიმე სუნთქვაც. ფასს ჰკარგავდა ის დაუმაყოფილებლობა თუ განგაში, დრო და დრო ჭურვივით რომ იფეთქებდა მასში, შეუნჯღრევდა სულს და ჩაჭრებოდა უმალ.

გარეთ კი წვიმით იღარებოდა დამის გაფითრებული ღაწვები. ელექტრონის სუსტი შუქი ზოლად ეცემოდა ასფალტს და თეთრად აელვარებდა წვიმის ნაცრისფერ ხაზებს.

გვიან, გვიან ინათებდა.

მძიმე ცა, შემოდგომის ვნებას და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორჩილებული, უფერული და დაბალი, იხუვ ირღვეოდა. ქალაქი წკმის უწვრილეს ბადეში იყო გახვეული.

— ალო, არ შეგიძლია ხმის ამოღება? — ყურმილიდან მანანას ყვირილი ისმოდა.

რუსუდანს ხმის ამოღება ეზარებოდა, ხვნეშით ეძებდა საწოლის ქვეშ შეურილ ქოშებს და მანანას სწორედ ეს ხვნეშა აბრაზებდა.

— ერთი ვოგო ამოვიდა ამ დილას ჩემთან. მოსკოვიდან „ტავარი“ ჩამომქონდა და აქ, აეროდრომზე დამიჭირესო. ორასი მანეთი რომ ვუშოვნოთ, მისცეს იქ ვიღაცას, ნაცნობი ჰყოლია, ისეა შეშინებული, მგონი სულ ნახევარ ფასში დაგვითმოს ყველაფერი. თამრიკო ჰქვია, ჩემი ბიძაშვილის მეზობლად ცხოვრობს, — სხაპასხეპით ლაპარაკობდა მანანა.

— ბაკურიანისათვის თუ აქვს სეიტრი, — ძლივს დაიმორჩილა გამომშრალი პირი რუსუდანმა.

— ექნება, ალბათ, რა ვიცი.

2

იგი სწრაფად ამოძრავებდა გრძელ, უხორცო ტუჩებს. ყოველგვარ გამომეტყველებას მოკლებული, თითქმის უწამწამო თვალები რუსუდანის ხელჩანთისათვის მიეპყრო და ისე ლაპარაკობდა, თითქოს მას არც კი ეხებოდა თქმული.

გაძვალტყაევებულ მხრებზე ჩამოჰკიდებოდა გახუნებული ლაბადა. სხეული არ იგრძნობოდა ლაბადის ქვეშ. მხოლოდ წვრილი, უღონოდ დაკიდებული მკლავები ერხეოდნენ ზოგჯერ.

— პალტო გაქვს? — ჰკითხა რუსუდანმა.

— არის. გრძელი, წითელი შარფით.

— დოდოს უნდოდა პალტო. ფული მინდა გავატანოო ვინმეს მოსკოვში.

— გაატანა? — გამოცოცხლდა ქალი.

— ფეხსაცმელი მინდა, მაგრამ დედაჩემი ფულს მანამდე არ მომცემს, სანამ არ ვანახებ, რას ვყიდულობ, — თქვა მანანამ.

— როგორც კი მივიტან ფულს მაგ-შინვე მომცემენ ჩემოდნებს, — მოუსვენრობა დაეტყო ქალს.

აღარ წვიმდა. ცა მაინც მძიმე იყო და ამღვრეული. ჰაერის ყოველ შეტოკებას ხმელი შრიალით ეპასუხებოდნენ გამომშრალი ტოტები და ზანტად იბერტყავდნენ ნაწვიმარ ტანს.

დოდოსთან რუსუდანი აგზავნეს.

მეოთხე სართულამდე ძლივს აიტანა დამძიმებული სხეული, ბნელი დერეფანი ხელის ცეცებით გალია და ფრთხილად დაეკაკუნა კარზე, სიბნელეში თეთრად რომ მოჩანდა.

დოდო ჯერ ისევ იწვა.

ვიწრო ოთახი ისე იყო ჩახერგილი სკამებით, საწოლთან მისვლა გაუჭირდა რუსუდანს.

— წუხელ შავი დღე დამაყარეს ჩემმა ძვირფასმა მშობლებმა. მეზობლთან რომ არ შემეფარებინა თავი, ალბათ მოკლავდნენ. დღეის იქით მშობლების სადღეგრძელოს აღარა ვსვამ, — დოდო გაიზმორა და ბალიშზე გაფანტული ყვითელი თმა ხელში მოიგროვა, — სიგარეტისა და სასმელის ისეთი სუნი ამდიოდა, გადამერია ნინო. ვარლამი კი სულ იმას გაიძახოდა, თუ ვინმე ჯიყვარს, თქვიო, ხომ იცი რა ეპვიანი კაცია.

ოთახი პატარა სარკმლით ბოლოვდებოდა. სარკმლიდან მაღალ სახლს ამოფარებული, ერთმანეთთან მიყუჟული ჯუჯა სახლების დაკონკილი სახურავები მოჩანდნენ. რუხი ცა სუსტად ელავდა მათ სისველეზე.

სარკმელი გამოიღო რუსუდანმა. ქუჩის ყრუ ხმაური შემოჰყვა ნაწვიმარ ჰაერს.

— ერთი საცოდავი ქალია... პალტოც ჰქონია, წითელი, დიდი წითელი შარფით. ეტყობა გამოუცდელია და...

დოდო თვალდახუჭული უსმენდა, მერე ძლივს დაათრია ჩითის გრძელი პერანგი და წამოდგა.

---

ნელი გაჩიაშვილი

ხვალ აღარ იქნება თოვლი

**დავეხმარებით** და იაფად მოგვცემს, — თქვა, — ჩაუტანე ფული და დაბლა დამიცადეთ. დიდი ამბები ხდება და თქვენი ნათელი თავებია საჭირო.

მანანა და თამრიკო სადარბაზოში შესულიყვნენ და ერთადერთი ნათურის მბჟუტავ შუქზე რუსუდანს გაუჭირდა მათი ცნობა.

— ჩემოდენებს პირდაპირ შენთან მოვიტან, — თქვა თამრიკომ, როცა ფული დათვალა.

**რუსუდანმა** მისამართი ჩაუწერა.

თორმეტი საათისათვის დოდოს სახლთან მოგროვდა ყველა.

— ჩემთან ვერ აგიყვანთ, — განაცხადა დოდომ, — თქვენ მოწევას არ დაიშლით და ოთახი კი ცუდად ნიავდება. ამ საღამოსაც რომ სიგარეტის სუნი ეცეს დედაჩემს, ხვალ ჩემს პანაშვიდზე მოგიხდებათ ყვავილების მოტანა.

მერე ტანდაბალი გოგონა წარუდგინა მეგობრებს.

— ვიცნობთ, — იხუვლეს ერთბაშად, — ეს დალია, დოდოს მეზობელი.

— ეხლა რუსიკოსთან წავიდეთ, იქ მოგახსენებთ ყველაფერს.

**სამზარეულოში** დალი დატრიალდა. **რუსუდანი** გაოცებული შეჰყურებდა მის სწრაფად და ზუსტად მოძრავ ხელებს. სულ რამდენიმე წამში დაიჭრა ყველი და ძეხვი, შეიწვა კვერცხი და დაიფცქვნა კარტოფილი, ნიორი დაინყა და ტომატისაგან საწებელი მომზადდა.

როცა სუფრა გაიწყო, რუსუდანმა რატომღაც ზიზღი იგრძნო დალისადმი, მას ისეთი დანოუებული ხელები ჰქონდა, ამ ხელებით დამზადებული საჭმლის ერთ ლუკმასაც ვერ გადაყლაპავდა გოგო.

— მაშ ასე, — თქვა დოდომ, — დალის აწყენინეს. დალის წყენა კი ჩემს წყენას ნიშნავს. ხოლო ჩემი წყენა თქვენი წყენაც უნდა იყოს.

— მაშ, მაშ.

დალისათვის დაურეკია ვიღაც ყმაწვილს და განაწყენებულა, რატომ ვერ მიცანი, მე ხომ ისა ვარ, ვისაც საკუთარი ხელით ჩაუწერეო უბის წიგნაკში შენი ტელეფონის ნომერი. ყმაწვილს ბოხი ხმა ჰქონია და რუსულად ულაპარაკია. დალის სცნობია ხმა და მერე მიმეხვდარა კიდევ ვინ უნდა ყოფილიყო იგი. იგორი ხარო? შეუკივლია. იგორი კი, ლამაზი და ღონიერი მეზღვაური, ოდესაში გაიცნო დალიმ ამ ერთი თვის წინ.

— ბაზრობის დასათვალიერებლად წავედი. მარილა საკუთარი ხელით ჩავუწერე ჩემი კოორდინატები, — ცრემლი მოადგა დალის მსხვილ, ამოტრაცულ თვალებს, — თბილისში მინდა ჩამოსვლაო, მითხრა.

ხვალ დაგირეკავ და შეგხვდებიო, შეჰპირებია ყმაწვილი.

მეორე დღემდე ვეღარ მოუცდია. იმავე დღეს დაურეკია ხელმეორედ. შენთან შეხვედრა არ შემიძლია, ავარიაში მოვხვედი და მარცხენა ფეხი დავკარგე. იმიტომ გირეკავ შენი ხმის გაგონება მომწყურდა. ნახევარ საათში მივფრინავ, ან რაღად გჭირდებო ხეიბარი.

გადარეულა დალი. ტირილი დაუწყია. აღარც მშობლებისა მორიდებია და აღარც ძმის. ისევ ყმაწვილს დაუმშვიდებია. ხვალ, სამ საათზე ერთ ჩემს ნაცნობს შეხვდი ვერაზე, ღვინის ქარხანასთან. ის გადმოგცემს წერილს, რომელშიც, სხვათა შორის, ჩემი მისამართიც წერია და თუ წერილს მომწერ, მეტად გამიხარებო დაჩაგრულ გულს.

— მუხლები მეკეცებოდა, — თქვა დალიმ, — ერთი გაწლიკული ბიჭი დამხვდა.

— აი წერილი, რომელიც გადასცეს, — დოდომ ხელჩანთიდან ოთხად გადაკეცილი ქაღალდი ამოიღო და ნელა გაშალა, — ვინ წაიკითხავს?

— მე, — წამოხტა ფარნა, — შიგ ალბათ გრძნობათა საშინელ ჭიდილზეა მოთხრობილი.

— მე. თვითონ წავიკითხავ, — დოდომ გამანადგურებლად გადახედა ვაჟს, — რა დროს ხუმრობაა, დაგვცინიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ავტორი პატიებას შესთხოვდა დალის მოწყალე გულს ასეთი მკაცრი ხუმრობისათვის. ის სრულიადაც არ ყოფილა იგორი. მას შემთხვევით აუკრეფია ტელეფონზე დალის ნომერი და რადგან თვითონ დალიმ გასცა საკუთარი საიდუმლო (ამის შესახებ წერილში ასე ეწერა, — თქვენი წმინდა და მიმნდობი გული ისეთ ქებას იმსახურებს, ჩემი მჭერმეტყველება მას ვერ შესწვდება, თუნდაც თითის წვერებზე შედგესო). ცოტას გავერთობიო, გაიფიქრა. გვიან მიმხვდარა ხუმრობა-ხუმრობაში შორს რომ შეეტოპა და ახლა მხურვალედ ითხოვდა ქვევით მიწერილ ტელეფონის ნომერზე დამირეკეთ და შემატყობინეთ მაპატიებთ თუ არაო.

— ნუ ღელავ, — დალის დამშვიდებას შეეცადა ფარნა, — იგორიც ჩამოვა როდისმე.

— ლაპარაკი აუკრძალეთ ფარნას, — იკივლა დოდომ, — ნეტა როდის მოასწრო გამოთრობა.

— იქნებ სხვისი ნომერი მიაწერა, — არ ცხრებოდა ფარნა.

— შევამოწმე. ის ხმაა. ყრუ ხომ არა ვარ, — ეწყინნა დალის.

ჩვენგან შურისძიებას ითხოვ? — იკითხა ისევ ფარნამ.

— მაშ რისთვისა ვცოცხლობ, — განაცხადა დოდომ.

— რისი გაკეთება შეიძლება? — იკითხა ნუგზარმა.

— წუხელის, დალისთან რომ შევაფარე თავი, სწორედ მაშინ მომიყვა თავის სადარდებელს და მეც ერთი აზრი დამებადა. დავურეკავ იმ ვიღაცას და შეხვედრას ვთხოვ. შემხვდება, ისიც კაცია. მერე ბნელი ქუჩისაკენ გადავუხვევ და გიეხარდება.

— თუ ისიც კაცია, კი, — გააწყვეტინა ფარნამ.

— იქ კი თქვენ დამიხვდებით, — არავინ არ მიაქცია ფარნას ქილიკს ყურადღება, — მოვა ნუგზარი და იტყვის ეს გოგონა ჩემი საცოლეაო...

— ნამდვილი სპექტაკლი იქნება, — აღფრთოვანებამ სკამიდან წამოახტუნა გურამი.

— ვნახავთ რა კაციცაა, — ხარხარებდა ნუგზარი.

— რას მოქუსლავს, — აკაკანდა მანანა.

— ერთიც ვნახოთ და არ გაიქცა, — იკითხა ფარნამ.

— ორ ისეთ ბიჭს წავიყვან, სულ მუხლის ჩოქვით მთხოვდეს პატიებას, — დაიკვეხა ნუგზარმა.

— დავრეკო? — იკითხა დოდომ.

— ის იტყვის გოგომ მთხოვაო შეხვედრა. ნუგზარი უპასუხებს, როგორ გაბედეო ამ უწმინდესი არსების გასვრა. მაშ, გაუმარჯოს სიყვარულს, ყრუსა და ბრმას, — ფარნა წამოდგა.

— გადმოდგით ტელეფონი, — ბრძანა დოდომ.

ორშაბათი იყო ის დღე. პაემანი ხუთშაბათისთვის დაინიშნა.

— რვა საათზე შედამებული იქნება, — თქვა ქმაყოფილებით დალიმ.

— იქნებ ვინმეს გქონდეთ შემორჩენილი შუა საუკუნეების სკოლის სახელმძღვანელო, — იკითხა გურამმა, — საგანი მაქვს ჩასაბარებელი.

— იმით აპირებ საგნის მომზადებას? — გაეცინნა დალის.

— ეგეთები მომზდარა? — თქვა ნუგზარმა.

— შენც ხომ არა გგირდება ეგ წიგნი, — იკითხა დოდომ.

— არც კი იცი, მე წელს ვამთავრებ უნივერსიტეტს, გურამი კი დაუსწრებელზე გადავიდა და მუშაობა დაიწყო. ძეგლთა დაცვას უნდა შეალიოს სიცოცხლე.

— სულ ქუჩაშია და..., — ახარხარდა ფარნა.

— მამა გიცხონდება, შენ თავს იკლავ შრომით.

— მე არ ვშრომობ, მე ვლოთობ.

---

ნელი გაბიაშვილი
ხვალ აღარ იქნება თოვლი

— მამაშენს აზიხარ კისერზე. ერთხელაც იქნება გადმოგისვრის იქიდან. აი, მაშინ, ვერც მარატი — ხალხის მეგობარი გიშველის, ვერც სენ ჟუსტი — სოკვდილის ანგელოსი, ვერც რობესპიერი — მოუსყიდველი და ვერც დანტონი — საზიზღარი მოღალატე.

— რამდენი რაღაც მისწავლებია შენთვის, — გაოცდა ფარნა.

ძლივს იდგა ფეხზე. თავი ჩაქინდრა და ცალი ხელი მაგიდისათვის დაეყრდნო.

მერე თავი წამოსწია, თითქოს გაიღიმა კიდეც, კვამლიანი თვალები მილულა, ორივე ხელი მიწისფერ სახეზე ჩამოისვა და გამომშრალი ტუჩები მოილოკა.

უცებ იქუხა ფარნამ. თავი აიქნია და ხელები გაშალა.

— რამ გამოგათაყვანათ ასე? მე, ჯანდაბას, დამცინეთ რამდენიც გინდათ. ნუთუ ვერა გრძნობთ რომ ღმერთკაცებს დასცინით? დანტონი თქვენთვის მომიძღვნია, დანარჩენები კი იცით ვინ იყვნენ? იცით რა მიზანი სწვავდა მათ მაღალ სულს? იცით რა წმინდაა სისხლი, რომელიც მათ გაიღეს? თუ თქვენც ბარნავები ხართ და არისტოკრატული თავშეკავებით კითხულობთ „Так ли чиста эта пролитая кровь“-ი? იცოდეთ! ისეთი წმინდაა მათ მიერ დაღვრილი სისხლი, თითოეული მისი წვეთი ვარსკვლავივით ციმციმებს საუკუნეთა წყვდიადში. ერთად ერთი, რაც გაგაჩნიათ, წინაპართა წმინდა სისხლია, შეწირული ჭეშმარიტების მაღალ სამსხვერპლოზე. იმასაც თუ აამღვრევთ, რაღა დაგრჩებათ, ღატაკებო, ლაჩრებო... ხალხის ათასი ავი ზნით დამძიმებული სხეულის ატანა თავისუფლების მწვერვალზე არც ისე იოლია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხეირიანად არც კი იცი მწვერვალისაკენ მიმავალი გზა, როცა ისტორიაც შენი წინაააღმდეგია და ადამიანის ბუნებაც. ისინი ბოლომდე ცდილობდნენ თავისას... თქვენ რევოლუციონერობა კეფის წითელი ქუდით შემკობა გგონიათ და სხვა არაფერი. ბრიყვებო, წითელი ქუდი ერთხელ ლუდოვიკომაც დაიფარა...

— ჭეშმარიტი რევოლუციონერი ხარ, — თქვა ნუგზარმა, — უნდა მოგცეთ ერთი დიდი დროშა და იარ!

ფარნას საკუთარ თავზე გაეცინა. რას ვლაღადებო, — გაიფიქრა ალბათ.

— მომეცით დროშა, მაგრამ მხოლოდ მაშინ მომეცით, როცა მისით რაღაც-რაღაცეების შენიღბვას არ ვეცდები.

— გულახდილად გეტყვით, — თქვა დოდომ, — არავითარ შემთხვევაში არ გავყვები ღარიბს. ისიც მეყოფა ოცი წელი კუბოსავით ოთახში რომ გავატარე.

— გათხოვება რა შუაშია, — გაიკვირვეს გოგოებმა.

— სიღარიბე სიყვარულსაც ჰკლავს და პატივისცემასაც, — გამოქმოგა გურამი.

— შეგიძლია მშვიდად გეძინოს, — ფარნა დოდოს ფარფოდ გახელილი, ცრემლიანი თვალებით შეჰყურებდა, — შენ ისეთი ლამაზი ხარ, გითხოვს ვინმე მდიდარი.

— გიტარა, სიყვარულოვნა, — მოითხოვა გურამმა.

იმ ღამეს გვიანობამდე ელოდა რუსუდანი თამრიკოს.

მეორე დილით დასაზვერად გაშვებულმა მანანამ ცუდი ამბავი მოიტანა.

— იქ აღარ უცხოვრია. კარგა ხანია გადასულა სხვაგან. ქირით მდგარა თურმე.

— მე არაფერი ვიცი, — მშვიდად თქვა დოდომ, — ფული რუსიკოს მივეცი რუსიკომვე უნდა დამიბრუნოს უკან.

— იქნებ მოვიდეს, — იმედს არ ჰკარგავდა დალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეც ავდგე და მანანას გადავაბარალო? — ეწყინა რუსუდანს, — ის ქალი ხომ მანანამ მოიყვანა.

— გეგონოს. შენ ჩაუთვალე ფული, შენ შეუთანხმდი ჩემთან მოიტანეო ჩემოდნები. ალბათ გაიფიქრა, თუ კარგი რაიმე აღმოაჩნდა ჩემთვის დავიტოვებო — იფეთქა მანანამ.

— დაჭამეთ ერთმანეთი, — ხარხარებდა ნუგზარი,—თუ ეს ის თამოიკოა, ამ ერთი წლის წინ ნაცნობ გოგონას ვეხსაცმელი რომ შეჰპირდა და სამოცი მანეთი წასცინცლა, გაპოვნინებთ. მაშინ მგონი ჯაბამ მიაგნო მის ბუნაგს.

ჯაბასთან დარეკა.

— რამდენიმე თვეა რუსეთში იმყოფება. იქ გაანაწილეს სამუშაოდ, — უპასუხეს.

მაშინ უბის წიგნაკი და პასპორტი წავართვითო, — მოიგონა ნუგზარმა. პასპორტი ყალბი აღმოჩნდა და გადავაგდეთ, უბის წიგნაკი კი სადმე მექნებაო შენახული. წიგნაკის მოსაძებნად არ დაეზარა სახლში წასვლა.

წიგნაკის დაფლეთილი და გაყვითლებული ფურცლები ტელეფონის ნომრებით იყო სავსე. ერთ-ერთი აკრიფა და დიდი მუდარის შემდეგ მელაძის ნათესავებისა თუ მეგობრების მისამართი დასტყუა ქალს.

— გარწმუნებთ, არაფერი მაერთებდა მასთან. ზოგჯერ ბავშვს ვიტოვებდი მისას. ვიღაც კაცს ედავებოდა, შვილი შენგანა მყავს და ბინა მომეცო, — წუხდა ქალი, — ამას წინათაც ასე მეხვეწებოდნენ, მპირდებოდნენ მელაძეს არაფერს ვეტყვითო. მეორე დღეს კი მომივარდა...

— თურმე სხვაც ბევრი დაეძებს, — გაეცინა ნუგზარს. ყურმილი დაუშვა და დალის მიუბრუნდა, — იქნებ ასპირანტურაში ჩავაბარო და შენ მგონი „ინგლისური“ დაამთავრე. იცი იმდენი, დამეხმარო?

ფარნა თვლემდა.

— ხედავ რაებს აპირებს? — გამოეფხიზლა გურამმა.

— როცა ნუგზარი ასპირანტურაზე ლაპარაკობს, მე უნდა მეძინოს, — თქვა და თვალები მილულა ისევ.

მოსაღამოდა და მელაძის ნათესავებსა თუ მეგობრებს მიადგნენ. მისამართი არც მათ იცოდნენ და ახალგაზრდებს ისე მისწყვიტეს სახლი, — ავტობუსის ბოლო გაჩერებაზე მაღალი მწვანე ჭიშკარი.

— მხოლოდ ჩვენზე ნურაფერს ეტყვით, — ითხოვეს მათ, — გავიჭირა საქმე მაგისმა მაიმუნობამ. დღე ერთია და ათი კაცი უნდა მოგვადგეს.

— დილის შვიდ საათზე გავიდეთ, — თქვა გურამმა, — სახლიდან არ უნდა გაგვასწროს.

— მე ვერ წამოვალ, — განაცხადა დოდომ, ნინოს რა ვუპასუხო, სად მიდიხარ ამ დილაბნელზეო, რომ მკითხოს?

— ერთი მე ვყოფილვარ „ბესპრიზორნიცა“, — იწყინა რუსუდანმა.

ჯერ გათენებულიც არ იყო გარეუბნის წყნარი ქუჩა ხმაურით რომ აავსეს. მწვანე ჭიშკარი რამდენიმე აღმოჩნდა და ხუთმა კაცმა ერთდროულად აამტვრიეს ათი ხელი.

აღგზნებულნი იყვნენ. ჩანდა, მეტად მოსწონდათ მილიციის მუშაკის როლი.

— თან საქმე...

მელაძე ორსართულიანი სახლის უკან, ბარაკში ცხოვრობდა, სახლის პატრონმა, ფაშფაშა, ტანდაბალმა ქალმა, მოურიდებლად დაეკაკუნა კარზე.

— მოიცა, — მოისმა შიგნიდან ქალის ნამძინარევი ხმა, —

— ისაა, — თქვა მანანამ.

— ეხლა დადექ, — აღფრთოვანებისაგან უაზროდ იცინოდა გურამი, — ეხლა დადექ...

ოთახი ბნელი და ცარიელი იყო. კედელთან მხოლოდ გასაშლელი საწოლი იდგა. იქვე, უზურგო სკამზე ჩემოდანი შეედგათ.

მერეღა დაინახა რუსუდანმა თამრი-

---

ნელი გაგიაშვილი
ხვალ ალარ იქნება თოვლი

კო, შეშინებული და გაბოროტებული. ბავშვს აცმევდა ფეხსაცმელს.

ბავშვი ორი წლისა იქნებოდა. იგი უაზროდ აეცეცებდა შავ თვალებს და ხმას არ იღებდა.

— ეხლავე, გესმის? — ყვიროდა ნუგზარი, — სანამ ციხეში არ ჩავასმევინე შენი თავი.

— როგორ არა, ციხეში, — გმინავდა თამრიკო, — ვალი მქონდა და მიეეცი. ერთ კვირაში ვიშოვნი და ჩაგბარებთ.

— ჩვენც დაგიჯერეთ რა, — ეს მანანა იყო.

— არა გჯერათ და გამჩხრიკეთ, — თამრიკო საწოლიდან წამოდგა.

გვიან შეამჩნია რუსუდანმა, ქალი პერანგისამარა იდგა. მისმა ხმელმა, თოთქმის უმკერდო სხეულმა ზიზღი მოჰგვარა.

— ჩაიცვი, — გურამმა ლაბადა ესროლა, კარსუკან რომ ეკიდა ლურსმანზე.

ქალმა ლაბადა წამოისხა და ისევ საწოლზე ჩამოჯდა.

— ამასთან მივიტან, — თავი რუსუდანისაკენ გაიქნია, — ერთ კვირაში.

რუსუდანს შეეცოდა ქალი.

— წავიდეთ.

— ერთ კვირაში თუ არ მოგიტანია, გიტირიან ყოფას. სად დამემალები — ახლა გურამი აყვირდა.

— წასაღები არაფერია თორემ, — დაიმუქრა მანანა, — ნეტა რას უშვრები ფულს? შენ ნამდვილად მორფს იკეთებ.

— კი, ნამდვილად, — დაემოწმა გურამი.

— რა უბედური ვიღაცა ხარ, — გაეცინა ნუგზარს, — ვერც ვერავის ბინა წაართვი, ვერც ვერავის ფული...

ის დღე ქალაქგარეთ დაამთავრეს. ხომ უნდა აღენიშნათ დილანდელი გამარჯვება.

— ეს ჩვენს მშობლებს გაუმარჯოს, — თქვა ფარნამ, — დედაჩემს გაუმარჯოს. ჩავალ ხოლმე სოფელში და მამაჩემი ხმასაც კი არ გამცემს... საწყალი დედაჩემი... იმან გამაჩინა ... გორც წმინდა მარიამმა ქრისტე, ცხოვრებას მიუგდო ჩემი თავი ჯვარზე გასაკვრელად. რა კარგი ბიჭი ვიყავი მაშინ, ნაზი, მიამიტი, გულახდილი, კეთილი. ახლა რომ ჩაუვალ ხოლმე, დიდხანს და მდუმარედ მიყურებს, მათვალიერებს, ცრემლს იწმენდს დაკოცრილი თითებით. ვრძნობს რა ჯოჯოხეთიც ტრიალებს ჩემს გულში. გინახავთ ელ გრეკოს „Прощание Христа с Марией“?

— ამის შემდეგ ჩვენს სუფრაზე ფარნა იქნება უცვლელი თამადა, — თქვა დოდომ.

— მალე თვრება, — გაიპროტესტა გურამმა.

— დღის წესრიგშია ერთი საკითხი, — განაცხადა გურამმა, — ხვალ ხუთშაბათია, პაემანის დღე.

— პაემანი ფოსტასთან არის დანიშნული, — თქვა გურამმა, — ფოსტიდან სახინკლისაკენ უნდა წავიდნენ. სახინკლიდან იწყება ვიწრო ქუჩა და ბაზრის მოედნამდე გრძელდება. იმ ქუჩაზე არის ერთი ადგილი, რომელიც თქვენ უთუოდ დაგაინტერესებთ. მარცხნივ სახლის ნანგრევებია. სახლი კი დაანგრიეს, მაგრამ ნანგრევები ჯერ არ გაუტანიათ. მარჯვნივ, სანაპიროსაკენ ეშვებიან ცემენტის კიბეები. კიბეებიდან სანაპირომდე ბაღია. ბაღში ყველა ნაუბარა ჩამტვრეულია. შეშინება იქა ნახეთ.

— ფარნა, ახლა მამების სადღეგრძელო დალიე.

— ხომ ვთქვი სათამადო კაცი არ არის-მეთქი.

— მამაჩემი იქნებ არც მწერალია და არც მეცნიერი, მაგრამ ჩემთვის ყველაფერია, — დაიწყო ნუგზარმა, — ის რომ არ მყავდეს დღე და ღამე უნდა გამეწყორებინა, ორი კაპიკი ძლივს მეშოვნა და ამ ცხოვრებისათვის შორიდან მეცქირა, შორიდან მეცქირა და ნერწყვი მეყლაპა. სამუშაო კი იცოცხლე, ბევრი მექნებოდა. ეს გეგმაო, ეს გეგმის გადაჭარბებაო, ეს ჩამორჩენილის დახმარებაო, ეს სანტარული დღეო, ვითომ დამლაგებლებს არ ეევლებოდეთ სისუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფთავის დაცვა. სულ რომ რაღაცის ვახტზე ვდგავართ, ეს კიდევ არაფერი. მამაჩემი მიცოცხლოს ღმერთმა და მე თუნდ დღესვე მომკლას.

— არაფერია, — გაეცინა ფარნას, — კაზიმო მედიჩიც ვაჭარი გახლდათ.

— ვერავინ გაიგო რატომ ისროლა ეს ფრაზა ფარნამ.

— გენაცვალე სულში. თუ „მზეცი“ წინაპარი არა გყავს, თვითონ უნდა ეცადო, ხომ ასეა?

— ახლა ჩვენი სამშობლოს სადღეგრძელო უნდა შევსვა, ჩვენი პატარა საქართველოს სადღეგრძელო. გაიხედ-გამოიხედეთ? რამხელა მწვერვალები გარშემო, როგორი კლდეები...

— Горы — фантазия идиотов, — თქვა ფარნამ.

თამადამ დიდსულოვნად აპატია.

სინათლე ილეოდა, როცა წამოიშალნენ.

გადასახედიდან გზა მოჩანდა. გზის იქით რამდენიმე ფიქვი გაჩაჩხულიყო და ნათელი ცა შავი წიწვებით დაეჩხვლიტა. რამდენიმე პატარა სახლი ჩაკარგულიყო მინდვრის მკვდარ სიმწვანეში. მკაფიოდ ჩანდა ყოველი ხაზი, ყოველი ხვეული. მაინც არარეალური იყო ყველაფერი, ნატიფი, მაგრამ წონადაკარგული, გამქვირვალე.

— დიდებულია, — ამოიოხრა ფარნამ.

— დახატვა ხომ არ გინდა? — ჰკითხა დოდომ.

— მე ახლა საყვარელი ქალი მინდა და სხვა არაფერი, — გაეღიმა ფარნას.

— სულ უწმაწური სურვილები რომ უნდა გაწუხებდეს, — გაბრაზდა დოდო.

— საცოდავები ხართ... სულ ყველა... უკლებლივ...

ზევით, რესტორნის ჭუჭყიან შენობასთან სინათლე ჯერ კიდევ ფეთქავდა. ქვევით კი, მინდორში, ბინდის უწვრილეს ქვიშას უკვე მოესწრო სივრცის დამორჩილება.

— დიდმართი ფეხით ჩავიაროთ, — ითხოვა ფარუდანმა.

— მე ხიდთან დაგიცდით, — ნუგზარმა მანქანის კარი ხმაურით მიიკეტა.

დიდმართზე სიარული ესიამოვნა. სხეულის წონას ვერა გრძნობდა, ჰაერი უგრილებდა წამონთებულ სახეს.

ყველაზე უკან ფარნა მიფარფატებდა.

— დახატვაო? — თავისთვის ლაპარაკობდა ფარნა, — ბუნების ხატვა ჩინელების გარდა არავინ იცოდა. ისინი ფუნჯის ერთი მოსმით ბუნების ისეთ სისრულესა და ჰარმონიას ჰქმნიდნენ, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე იმის მეათასედსაც ვერ შევქმნი. ან რა უნდა შეექმნა, ფუნჯის ხეირიანად დაჭერაც კი არ ვიცი.

მერე რუსუდანი შეამჩნია, გვერდით რომ მიუყვებოდა და შეხედა მას.

— უბედური კაცი ვარ, — გაიღიმა. ცრემლიანი გაღიმება იცოდა ფარნამ, — ხელოვნება იმიტომაა გაჩენილი ქვეყნად, შექმნას და შეაფასოს სახე, ჩაუგდეს ჭეშმარიტებას და ამ ჭეშმარიტებით ალაპარაკოს თითოეული ხაზი. ამისათვის კი უნდა იცოდე რა არის ზევით და რა არის ქვევით, რა არის უკან და რა არის წინ, რა იმალება სახის შიგნით და რა მოჩანს რა არის სტუმრად მოსული და რა არის მასპინძელი. რა დარჩება და რა წავა. მე ელაპარაკობ სხვის სიტყვებს და აღფრთოვანებული ვარ სხვისი შემოქმედებით. ვინა ვარ მე? მე მტვერი ვარ, რომელმაც იმდენი იცის, შედევრზე არ ჩამოჯდეს, არ გააჭუჭყიანოს იგი. დახატვაო?

ფარნამ ისე შეხედა რუსუდანს, თითქოს საშველს მისგან ელოდა.

რუსუდანმა ვერაფერი გაიგო და სიჩუმე რომ დაერღვია, ჰკითხა.

— დანტონი მართლა მოღალატე იყო?

— დანტონი? — ვერ გაიგო რას ეკითხებოდნენ. მერე მიხვდა და გაეცინა, — ის ნამდვილი ბურჟუა იყო მსხვილი კისრით, მსხვილი ტანით, მსხვილი ხელებით. სახეც ქონმორეული და ყო-

---

ნელი გაგიაშვილი
ხვალ აღარ იქნება თოვლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნიანი** ჰქონდა. ღვინო **უყვარდა, ღვინო და ქალები. დიდებაც** უყვარდა, ოქროც. არა ჰყოფნიდა არაფერი, არც ღვინო, არც ქალები, არც დიდება, არც ოქრო, არც ძალაუფლება. ალუსებელი იყო სურვილი მისი. მაგრამ მართალი იყო **დანტონი...**

— **მოღალატე** იყო? — ხელმეორედ ჰკითხა, რადგან ვერაფერი გაიგო.

— **რა** თქვი?

— **არ მისმენ?**

— **შენ** იცი, რას ნიშნავს, როცა ადამიანი ერთბაშად იძრობს ქურდობით, ტკვლილობით, სიმრუშით, სიცრუით, დაუნდობლობით დადაღულ კანს, იწმენდს ათასი ავი სენით ამღვრეულ სისხლს, სულს აცლის ათასი სიბილწით შემოლესილ **გარსს** და მაღლდება? **როცა** რეგოლუტიებზე ვფიქრობ, ისეთი ბინძური ალარ მეჩვენება ცხოვრება.

ისინი **ნანგრევებთან** იცდიდნენ. ოთხნი იყვნენ. გოგონებს ფარნა ახლდათ. ნუგზარი და გურამი, ორი სხვა ახალგაზრდის თანხლებით კიბის ქვევით, ბნელ ხეივანში ჩასაფრებულიყვნენ.

ქუჩის სიბნელეს ნათურების ბეუტვა უხუნებდა ფარდას. დაბალ სახლებს დარაბები **უკვე** ჩაერაზათ.

— არაფერი აგვერიოს, — თქვა რუსუდანმა.

— დიდოს თეთრი ლაბადა აცვია, — აჩურჩულდა მანანა.

— მგონი მოდიან, — თქვა დალიმ.

ვაესაც თეთრი ლაბადა ეცვა. ხელები ლაბადის ჯიბეებში დაეშალა და დიდოს მოსდევდა ფეხათრევით.

— გოგო, — ხელი ჰკრა დალიმ მანანას, — დაუსტვინე.

— მთლად გამოვდებილდი, — მანანამ ერთბაშად ყველა თითი შეიყარა პირში და წვრილ ნაკადად ამოუშვა **სტვენა.** ნაკადს რამდენიმე ხვეული გააკეთებინა და დადუმდა.

დიდო კიბესთან შეჩერდა და ხმამაღლა თქვა.

— აქ, ქვევით, ერთი ნაცნობი გოგონა ცხოვრობს. პირდაპირ ბაღში გადის მისი შუშაბანდი. **დამიცადეთ** წიგნს შევურბენინებ და **ამოვალ,** — თან ხელჩანთა გადაიკიდა მხარზე.

— **ტუტუცი,** ზევით ტოვებს? — სუნთქვა შეეკრა დალის.

— იცით რა, — ეს უკვე ვაჟის ხმა იყო, დამცინავი ხმა, — შუშაბანდამდე მიგაცილებთ, იქ ისეთი ბნელი ხეივანია გასავლელი...

— გეტირება ყოფა, — რატომღაც გაბრაზდა მანანა.

დიდომ მხრები აიჩეჩა.

ნელა ჩაუყვნენ საფეხურებს.

ფალი ნანგრევებიდან ქუჩაში გადავიდა და კიბეებისაკენ გაემართა. კიბის თავთან შენობის კედელს აეკრა და ხეივანს ჩახედა. მერე უკან მოტრიალდა, ნანგრევებში თავშეფარებულ ამხანაგებს ხელი დაუქნია **და ისევ** ხეივანს ჩააცქერდა.

თითო-თითოდ გამოძვრნენ ნანგრევებიდან და ფეხაკრეფით წავიდნენ კიბისაკენ.

ქვევით, კიბესთან **შეჯგუფულიყო** ყველა. მოშორებით მხოლოდ გურამი იდგა. გურამი **იცინოდა.**

ნუგზარი ლაპარაკობდა. ალბათ ძალიან ჩუმად ლაპარაკობდა, რადგან ზევით მისი ხმის **ნაწყვეტებიც** კი ვერ აღწევდა. მერე **ეჟვირა. ყველ**ასათვის მოულოდნელად იყვირა.

— გადმოადგი გოგო **ფეხი,** — ეხლაღა დაინახა **რუსუდანმა დიდო** ისევ იმ ვაჟის ვგვრდით რომ იდგა.

აირია ყველაფერი.

ქვევიდან ყრუ გმინვა ისმოდა. **სიბნელეს** მხოლოდ შავ ლაქებად **ქცეულ** ადამიანთა კიდურების ქნევა ეყოფოდა.

დიდომ კიბე ამოირბინა.

— მგონი სცემენ, — შეშინებული მალიმალ ისვამდა სახეზე აკანკალებულ ხელს.

— ღმერთო, რა შეიძლება გაკეთდეს? — იკითხა ფარნამ.

— სცემენ, სცემენ, — წაიჩურჩულა დალიმ.

— მილიცია, — დაიყვირა ფარნამ.

ქვევით ყველა გაირინდა. მერე ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაშად იხუვლეს და კიბეს ეცნენ. არც ერთი არ შეჩერებულა გოგონებთან. სწრაფად გადასერეს ქუჩა და გაჰქრნენ.

— წავიდეთ, — თქვა დალიმ და გაიქცა. მას მანანა და დოდო გაჰყვნენ.

რუსუდანი ფარნას შესცქეროდა.

კიბის ბოლოს კიდევ ერთი ლანდი შეირხა. ის მიწაზე ეგდო და წამოდგომას ლამობდა. წამოდგა კიდეც, ვიავაგლახით ამოათავა კიბე და ფარნას შეეჩეხა. ნიკაპი სისხლიანი ჰქონდა, მსხვილი თვალები ყვითლად შეშუპებულ ქუთუთოებში ვერ ეტეოდნენ. სახელომორღვეული ლაბადა მიწით ჰქონდა მოსვრილი.

ფარნა შესცქეროდა ვაჟს და სდუმდა.

ვაჟმა გადაიფურთხა და წავიდა.

მერეღა გამოერკვა ფარნა, წამოეწია, მხარში ამოუდგა.

რუსუდანი აედევნა მათ.

ქუჩის ბოლომდე ძლივს მიათრია ვაჟმა ნაცემი სხეული. აქ ფარნამ მანქანა გაიჩერა და კარი გაუღო მას.

ვაჟი მანქანის კარს ჩამოაწვა, ღრმად ჩაისუნთქა, მოტრიალდა და მთელი ძალით მოქნეული ხელი ფარნას სახეში სთხლიშა.

ფარნა წაბარბაცდა.

ვაჟმა გასიებული ენა ძლივს მოატარა სისხლშემხმარ ქვედა ტუჩზე და მანქანაში შებობღდა.

— სად წავიდეთ? — იკითხა რუსუდანმა.

ფარნას ტუჩი გახეთქოდა.

— ჩემთან, — თქვა, ტუჩი მოიწმინდა და სისხლიან ცხვირსახოცს დახედა. — ისინი ჩემთან იქნებიან. ოთახის კარი იოლად იღება. ღონივრად მიაწვები და მორჩა. სახლში არ წავიდოდნენ. არც ხეტიალის ხასიათზე იქნებიან.

ყველანი ფარნასთან მოგროვილიყვნენ მართლაც.

რუსუდანმა უაზროდ მოათვალიერა პატარა, სიგარეტის ნამწვავებით სავსე ოთახი და იკითხა.

— გოგოები?

— გასტრონომში გავუშვით.

— მაგრად გიცემიათ, — ფარნამ სიგარეტს მოუკიდა.

— ცემა არ გვინდოდა, — ნუგზარმა იმ ბიჭებს გადახედა, წელან რომ ახლდნენ თან.

— არ გვინდოდა, — დაუდასტურეს მათაც.

— არ შეეშინდა. გინების მეტი არაფერი ამოსვლია პირიდან.

— ვერა ხედავდა რამდენი ვიყავით?

— ისეთი რა მოხდა, ჯერ არავინ გიცემიათ თუ რა...

— გვიცემია კიდეც და ვუცემივართ კიდეც...

— ხომ არ მოგვიკლავს...

— მილიციაო, ვინ იყვირა...

რუსუდანმაც მოუკიდა სიგარეტს.

— დოდოა შეშინებული.

—გვეყოფა ბაასი. ცოტა გავერთეთ და მორჩა...

— უცებ ისე გავბრაზდი, — თქვა ნუგზარმა.

ერთს თამაზი ერქვა, მეორეს გოგი. გურამის უბნელები ყოფილიყვნენ. ორივენი ერთმანეთსა ჰგავდნენ. ორივეს შეთხელებული, მოკლედ შეპრილი თმა ჰქონდა, პატარა და რბილი ტუჩები ულვაშებით დაეფარათ. თითქოს ხმაც ერთნაირი ჰქონდათ, ზერელე, გულგრილი.

გოგონები დაბრუნდნენ და სუფრა გაიშალა.

დალი დიასახლისობდა. მისი დაჭმეულნელი ხელები ჩვეული ოსტატობით მოძრაობდნენ და რუსუდანმა ისევ ზიზღი იგრძნო, — ამ ხელებით მომზადებულ საჭმელს როგორ შევჭამო...

ოთახში ვიღაც შემოვიდა, კარს მიეყრდნო და განაცხადა.

— მე ვარ ირაკლი, ყველაზე ლამაზი, ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე კეთილი კაცი მთელს დედამიწის ზურგზე. სად არის ფარნაოზი, რატომ არ მეგებება?

მერე ფანჯარასთან მდგარი სკამი აიღო და ხმაურით მიდგა მაგიდასთან.

---

ნელი ბაბიაშვილი
ხვალ ალარ იქნება თოვლი

— ნათესავია, — თქვა ფარნამ, — ჟურნალისტი.

და როცა რამდენიმე სასმისი შეისვა, რუსუდანმა მაშინდა მიაქცია ყურადღება მოსულს.

გრძელი, ფერმკრთალი სახე ჰქონდა. ნაკრისფერი თვალები წმინდანისა თუ შეშლილის თვალებს მიუგავდა თავისი განყენებული თუ უაზრო მზერით. მსხვილი ტუჩები ჰქონდა, მკვრივი და ზიზღიანი.

თხელი, ნატიფი თითები, სახესავით ფერმკრთალი და მოყვითალო, ნერვიულ უმოძრაობაში გარინდებოდა.

მხიარული არ უნდა ყოფილიყო, ძალად იმხიარულებდა თავს.

— რას მისჩერებიხარ, — გურამი რუსუდანის გვერდით იჯდა.

— მომეწონა.

— ორჯერ შენზე უფროსია და ქალებს ჰალსტუხებივით იცვლის.

— შენს მჭერმეტყველებას რა ვუთხარი, ჰალსტუხი საერთოდ არ უკეთია.

— სულელო, ეხლა თავისუფალია და იმიტომ.

— მთლად თავისუფალი არ იქნება, — გაეცინა რუსუდანს, — ცოლი ეყოლება.

— ცოლმა სრული თავისუფლება აჩუქა.

— თავისუფლების ჩუქება არ შეიძლება, — გურამის გვერდით ფარნა იჯდა, — ისევე, როგორც არ შეიძლება აჩუქო ადამიანს ვარსკვლავი.

წუგზარამა ჭიქა წამოსწია.

— ეს ჩვენს საქმეს გაუმარჯოს...

— წინად შემოვაღებდი თუ არა კარს, ზეთის საღებავების სუნი მეცემოდა მაშინვე, — თქვა ირაკლიმ, — ზეთის საღებავებს თევზის ქონის სუნი უდიან. თევზის ქონის სუნი კი, ალბათ დამეთანხმებითო, ბავშვობიდანვე გვეზიზღება ყველას. ფარნა, გაკვირებია ჩემი თავი. რა ხანია ის საძაგელი სუნი აღარ ტრიალებს აქ. სამაგიეროდ სასმელი არ ილევა და არა...

— ეს ამბავი ჩემზე მეტად არავის აწუხებს, — გააწყვეტინა ფარნამ და მაგიდის მეორე ბოლოსაკენ წავიდა. სიგარეტის კოლოფი აიღო და შიგ ჩაიხედა. ცარიელი იყო. — ნუთუ ვერა ხედავთ რომ დავიფანტენით? ძაფი, რომელიც გვაერთებდა, გაწყდა. ყველას თავისი საზრუნავი გაუჩნდა, თავისი საფიქრალი. ერთის სიკეთე მეორისათვის ბორტებაა, მესამის სადარდებელი მეოთხეს სიცილადაც არ ჰყოფნის. ადამიანებს საერთო მიზანი აერთიანებთ. სად არის ეს მიზანი? ჩემი სიმართლე აღარავის ჭირდება, არ ეხმარება არავის, არაფერს არ სცვლის, ვერც შეცვლის ვერაფერს. ხოლო სიმართლეს, რომელიც არავის ჭირდება, რატომ უნდა შეესხას ხორცი? — ხმადაბლა ლაპარაკობდა და მერე იყვირა, — მივაფურთხებ ჩემს სიმართლეს, თუ კი ის არავის ჭირდება, მაგრამ რადა დამრჩება მე? იცით თუ არა რომ მხატვარს მხოლოდ სიმართლის დაუძლეველი მოთხოვნილება აღებინებს ხელში ფუნჯს? — მან სიგარეტის ცარიელი კოლოფი მოჭმეჭნა და ღონივრად ესროდა სიბნელეს, — რადაც ინგრევა და ვერ გამიგია რა არის სწორი, ბოძად შევუდგე იმას, რაც ინგრევა, შევაჩერო ნგრევა თუ პირიქით, ნგრევას შევუწყო ხელი?

ფარნას ხმა აუკანკალდა.

— ტირის ეგ ტუტუცი, — წაიჩურჩულა გურამმა.

— ნუ შეხედავთ, — ითხოვა ირაკლიმ და ფარნას აეფარა.

— ამეფარე, ამეფარე, — არ ცხრებოდა ფარნა, — შენ მხოლოდ ფარდის ჩამოფარება იცი. ოღონდ არავინ გაიცინოს... მაგრამ რა დგას ამ ფარდის უკან? უიღბლობა, უიღბლობა და ისევ უიღბლობა.

— დათვრა, — დაენანა დოდოს.

— უზრუნველი ცხოვრებისაგან, გულგრილობისაგან კედელი აღვმართეთ. გვგონია ამ კედელს ამოფარებულებს კედლის იქით დარჩენილი არაფერი შეგვეხება. ბავშვებს ემართებათ ასე. სახეს დამალავენ და ჰგონიათ. რადგან თვითონ ვერავის ხედავენ, ვერც სხვები დაინახავენ მას. ჩვენ ბავშვები აღარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვართ და იმას, რასაც ვაკეთებთ უძღუ-
ნება და სულმოკლეობა ჰქვია.

— ყოველგვარი კედელი იმიტომ
გამოუგონია ადამიანს, თავი დაიცვას —
გაეღიმა ირაკლის.

— იმას ვეღარა ხედავთ ღვარძლით
რომ გიბინძურდებათ სული? ამაზე
უარესი რა უნდა მოგვიდეთ?

— გაჩუმდი, თუ ძმა ხარ, — უკმა-
ყოფილოდ თქვა გურამმა, — ძალიან
ბევრს წრიალებ და იცოდე, ცუდად და-
ამთავრებ მაგ წრიალს.

— ნუთუ გგონია ვინც არ წრიალებს,
ის კარგად დაამთავრებს?

— ბოლოს და ბოლოს რა გააჭირე
საქმე, — ხელი დაარტყა მაგიდას ნუგ-
ზარმა, — მარტო შენა ხარ მხატვარი
თუ რაშია საქმე. სხვები ხომ ახერხებენ
რაღაცას, მაგალითად, შენი თანაკურსე-
ლები. რომ იცოდე, ბევრმა მიაღწია
რაღაცას.

— როგორ ჩამოვრჩი, როგორ ჩა-
მოვრჩი, — გადაიზარხარა ფარნამ, —
სანამ მე ჩინელების პეიზაჟით ვტკბე-
ბოდი, იმათ თურმე რაღაცას მიაღწიეს,
სამსახური იშოვნეს, ერთი-ორ ტილოს
ფერების ნაცვლად ტალახი შეესხეს და
ჭიდურობაში გაიწაფეს ხელი. რას იზამ,
ფული კეთდება.

— იმათაც თუ ასე ელაპარაკები,
კარგი დაგმართნია.

— რატომ უნდა დავუმალო?

— იმიტომ არ გეკარება არავინ.

ფარნა ეზოში გავიდა და ცრემლიან
სახეზე წყალი შეისხა.

ოთახში ღიმილით შემობრუნდა.

— ჩემს წინ ქვა იდო. იმ ქვაზე ეწე-
რა, — წახვალ ინანებ, არ წახვალ, მა-
ინც ინანებო, — თქვა და შეშუპებულ
ქუთუთოებზე მოისვა ხელი.

ამ საღამოს ირაკლიმ გააცილა რუ-
სუდანი.

ერთხანს ფეხით მიდიოდნენ.

ქუჩა ცარიელი იყო. წყნარი, ცივი
სიბნელე იდგა. ფოთლები თითქოს ცი-
დან ცვიოდნენ. ვიღაც ქალი გრძელი
ცოცხით ხვეტდა ფოთლებს ლ ერთ
აღგილას აგროვებდა.

— ყველანი მაინც იქ უნდა წავი-
დეთ, — თქვა ირაკლიმ.

3

თამრიკო მელაძემ არც ერთი კვირის
შემდეგ მოიტანა ფული და არც ათი
დღის შემდეგ. ამან მხოლოდ მაშინ შეა-
წუხა რუსუდანი, როცა ახალ პალტოში
გამოწყობილმა დოდომ ერთ წვიმიან
დღეს უხეშად შეახსენა.

— ფულის მოცემას არ აპირებ?
პალტოს ფული უნდა მოვუტანო სპე-
კულიანტს, არ იცდის.

რუსუდანმა იცოდა სად ინახავდა
მამა ფულს. სანამ პალტოს ჩაცმის დრო
მოვიდოდა, ფული პალტოს ჯიბეში იდო,
ზამთარში ფული ლაბადის ჯიბეში გა-
დანაცვლებდა ადგილს.

ორასი მანეთი აიღო. მომცემს მე-
ლაძე და უკანვე დავადებო, დაიმშვიდა
თავი.

მეორე დღესვე მიადგნენ მელაძის
ბარაკს.

— ან ფული უნდა მომცე, ან მილი-
ციაში წაგიყვანთ.

— მილიციაში ნამდვილად მოგ-
ცემ, — გაეცინა თამრიკოს, — თუ გინ-
დათ ხელწერილს დაგიწერთ.

— არა მჭირდება შენი ხელწერილი,
ფული მჭირდება, — რუსუდანი გაამ-
ტყუნა მელაძის ირონიამ და სიმშვი-
დემ, — არა და მილიციაში...

— თქვენთვის ისევ ხელწერილი
სჯობს. რომ დამიჭირონ სულ ვერაფერს
მიიღებთ. რა მაქვს, რა უნდა წამართვან.

— რომ დაიჭირონ მართლა ვერ მი-
იღებ ფულს, — თქვა ნუგზარმა.

— ეჭნება.

— როდის მოიტან, — ჰკითხა გუ-
რამმა.

— არ იცი რომ მოგატყუებს? —
იფეთქა რუსუდანმა, — არ მინდა მა-
გისი ფული. მილიციაში... მაგან უნდა
ამიგდოს მე?

გურამს თავისი მოტოციკლი წამოეყ-

---

ნელი გაბიაშვილი
ხვალ ალარ იქნება თოვლი

ვანა. სავარძელში მანანა მოკალათდა, უკან კი ფარნა მიუჯდა. დანარჩენები ნუგზარის მანქანაში ჩასხდნენ.

— ძალიან კარგი, — მშვიდად ლაპარაკობდა თამრიკო. მას არა სჯეროდა რუსუდანის მუქარისა, — ერთი სამ წელს მომცემენ და დავისვენებ.

— თუ წყნარი ცხოვრება გინდა წადი და იმუშავე, — მხიარულად ეპასუხებოდა ნუგზარი, — აფერისტობა არ შეიძლება.

— მამები გყავთ და იოლად ლაპარაკობთ, — ნუგზარის უდარდელობამ კიდევ უფრო გათამამამა მელაძე, — მარტო მე მყავს დამპალი მშობლები. სახლიდანაც კი გამომაგდეს.

— რავა ყველა სახლიდან გაგდებს, — გაეცინა დოდოს.

— ნაბიჭვარს თუ მიუყვან, კი, — ნუგზარი საჭეს ჩამოაწვა.

— თქვენ ერთობით და ერთი მეც მკითხეთ, — იყვირა რუსუდანმა, — მილიციაში! რას მემიმუნებით.

ახლა კი შეეშინდა მელაძეს. ლაბადის ღილებს დაუწყო წვალება.

— ჭკვიანი ადამიანები მგონიხართ, — აუცარემდა ხმა.

— ეს როგორი გამხდარხარ, — ნუგზარმა დასძრა მანქანა, — ნერვებს უნდა მიხედო, რუსუდან!

— ბავშვი სადა გყავს? — იკითხა დოდომ გულგრილად.

— სახლის პატრონთან ეძინა წუხელის. ძალიან შეეუყვარდათ.

დოდოს უადგილო კითხვამ სულ დაუკარგა წონასწორობა რუსუდანს. გაბრაზებულმა დოდოს კი ვერაფერი უთხრა და ნუგზარს უბიძგა ღონივრად.

საღამომდე მილიციაში იყვნენ.

რუსუდანი ისე დაიბნა, ანგარიშს ვერ უწევდა საკუთარ თავს, ხან ძალდატანებული სიმშვიდით ყვებოდა, ხან ტირილი აუვარდებოდა და მანანას მოტანილ წყალს აკანკალებული ხელებით იცილებდა.

ხან დაიღლებოდა, დაცარიელდებოდა, უღონოდ მიესვენებოდა ხმელი ტახტის საზურგეს და ხმის ამოღებისათვისაც არა ჰყოფნიდა ძალა. ხან წამოიმართებოდა, მილიციის ბნელ დერეფანში მოჰყვებოდა სიარულს და ყველაფერს ახლიდან ჰყვებოდა.

— ბავშვი მეზობელთან დავტოვე, — რაღაცას შესთხოვდა მელაძე მილიციის თანამშრომელს.

კაცი გულგრილად უსმენდა მას და ეს დამამშვიდებლად როდი მოქმედებდა რუსუდანზე.

ეგონა, როგორც კი მილიციაში მივიყვან, მელაძეს მაშინვე ციხეში უკრავენ თავს, მე კი ჩემს ფულს დამიბრუნებენო. სინამდვილეში მასაც ისეთივე სიმკაცრით მოექცნენ, როგორც თამრიკოს და ბოლოს ორივენი ერთნაირად გააფრთხილეს, — ქალაქიდან არ გახვიდეთ, გამოგიძახებთო.

ნირწამხდარი დაბრუნდა სახლში.

სახლშიც უსიამოვნება ელოდა.

— ეს როგორ იკადრე, ეს რამ ჩაგადენინა. შენ არც უნივერსიტეტში გექნება კარგად სჯქმე. იქურდე? — მამას ფული ენახა და განრისხებული ოთახში ბოლთასა სცემდა, — გაზარდე შვილი...

რუსუდანს ხმა არ ამოუღია. მთელი დღის ნერვიულობის შემდეგ აღარაფრის თავი აღარა ჰქონდა. გამოთაყვანებული სახით მისჩერებოდა მამას და არც ეშინოდა, არც რცხვენოდა.

— როდის აიღე.

— გუშინ.

— არ აპირებ დაბრუნებას?

— ახლა არა მაქვს.

— ორ დღეში შეგიძლია?

— ვალი მქონდა.

— რატომ იკალე.

— ნელ-ნელა შემომეხარჯა.

— ვის გამოართვი?

— არ იცნობ.

— რატომ არ მითხარი?

— შემრცხვა.

— ქურდობისა არ შეგრცხვა?

— ...

— ყოველი თვის სტიპენდიას ჩამაბარებ უკლებლივ. ვალს გასტუმრება უნდა.

— ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ ეთქვა სტიპენდია დიდი ხანია მომიხსნესო?

საახალწლოდ მესამე უსიამოვნება ჩასაფრებოდა რუსუდანს.

დეკანატის კარზე უნივერსიტეტიდან ეარიცხულთა უშველებელი სია გამოეკრათ. სიაში რუსუდანის გვარიც ჩაეგებჭდათ.

— რატომ? — იკითხა მანანამ.

— ალბათ გაცდენებისათვის.

— ცნობა ვერ მიიტანე? ჩემთვის გეთქვა. ერთი ისეთი ექიმი მყავს...

— დამავიწყდა.

— არაფერია, მომავალ წელს აღგადგენენ.

— ალბათ, — თქვა და შენიშნა, სამი პიკარტით იყო მომაგრებული სია. სადღაც მეოთხეც იშოვნა და სიის მეოთხე ვეერდი იმით მიამაგრა.

პროსპექტს დაუყვნენ.

— გეოგრაფია არც მე მეხატება გულზე, — ლაპარაკობდა რუსუდანი, — გამარჯობათ, — თავს უკრავდა ნაცნობს, — გახსოვს ეს ბიჭი? — ბეთანიაში ხეზე არ მივბაბით? როგორი ტალახი იყო, არა? — ნაწვიმარზე ავედით და მაშ რა იქნებოდა. ჯერ დოდოს დაუწყო რაღაცეები და მერე მე. უტვინო. შეხედე, ვინ მოდის, თვალი ავარიდოთ, შენი ჭირიმე. იმანაც აგვარიდა თავი. აბა, რა სასიამოვნოა, წითელ ხიდზე აქეიფო ორი გოგო, რაღაც-რაღაცეების იმედი გქონდეს და მერე „კუკურუღა“.. მე და დოდო ვიყავით. კიროვოკაზში წაგიყვანთ და რასაც თითს დაადებთ, ყველაფერს გიყიდითო. მაშინ რა უნდა გვთქვა, სახლებში მისაყვანი ვიყავით. მეორე დღეს კი, იცოცხლე, გამოლანძღა დოდომ.

— მაშინ მეც თქვენთან ვიყავი. ტელეფონზე დარეკა და...

— იმას ვამბობდი, რა ვქნა, თავს ხომ არ მოვიკლავ, გამრიცხეს და გამრიცხონ... ოო, დიყონ, როგორა ხარ?

— ფარნა როგორა მყავს? — კითხულობს დიჟონა, ტანდაბალი და წვეროსანი.

— ცოცხლობს შენი ლოცვითა და კურთხევით.

— საქმეები, ძვირფასო. კარგად მენახეთ.

— დიჟონა ფარნას მტერია, — კაეცინა რუსუდანს, — ეგ რა სახელი დაურქმევიათ შენთვისაო, — დაუცინია ფარნას. დიჟონი საფრანგეთში მესამე ქალაქიაო, — სიტყვა მოუჭრია „ჯიგარს“. საფრანგეთის პირველ ქალაქს პარიზი ეწოდება და ბარემ პირველი ქალაქის სახელი დაერქმიათო შენთვის, — ფარნა „მხეცია“. ამას ვის ვხედავ!

— გოგოებო, სადა ხართ დაკარგულები!

— ეგ ვიღაა? — იკითხა მანანამ.

— წყნეთი აღარ გახსოვს? გვერდით მეჯდა. დათვრა და ჩემს თეფშში ჩაასრისა სიგარეტი. კინაღამ არ შემომელახა. მერე თავი დავანებე.

— მახსოვს, მახსოვს, — გაეხარდა მანანას, — მაშინ არ იყო საყვავილედან რომ დალიეს ღვინო? მარცხენა ხელში ჭიქა ეჭირათ ტუჩებიდან გადმონაქცევ ღვინოს ტანსაცმელი რომ არ დაელაქა. უხერხული საყვავილე იყო.

— წელს არა უშავს, დავისვენებ, მომავალ წელს თუ აღმდგენენ...

— მა რას იზამენ.

— ვისი დანახვა უნდა გამხარებოდა ასე? თვალი მითამაშებდა დილიდან. გავიგეთ, ვიღაც მელაძეს გაუბითურებიხართ.

— ჭიჭიკო, ჭიჭიკო, აჭიკჭიკდი შენებურად?

— ჭიჭიკო კი არა, ბიჭიკო.

— როგორა ხარ.

— „პეპელა“ ხომ იცით, „პეპელა“, კახეთის გზატკეცილზე. იქ შევფრინდი ჩემი „პობედით“. გადაბრუნდა ჩემი ცოგა, კოტრიალა. კოტრიალა... ექვსი თვე გავტკეცე საავადმყოფოში. გაიხედეთ მარცხნივ! როდის იქნება პროს-

ნელი გაგიაშვილი
ხვალ აღარ იქნება თოვლი

პექტზე გამოვიდე და ფარნა არ შემხვდეს?

— Только через мой труп, — თქვა ფარნამ.

— კნეინა როგორა გაკავს? — ჰკითხა რუსუდანმა ბიჭიკოს.

— ვიცი, რო,.. გინდა თუ არა, მხოლოდ საწოლისათვის გჭირდებიი. აბა, ზღაპრებს ვერ მოგიყვები ოჯახური იდილიის შესახებ-მეთქი.

— უყვარდი, ხომ იცი.

— შენ ხომ მისი მესაიდუ-ლე იკ-ეი.

— რაღაცით ხომ უნდა გაერთოს ადამიანი.

— ეს რა დრო დადგა კაცო, — თქვა აფრნამ, — ქალწულები კახპების მესაიდუმლეები ხდებიან.

— სხვათა შორის, მე ახლა დამშვიდება მჭირდება. უნივერსიტეტიდან გამრიცხეს.

— გეშველა და ეგაა. ნეტა მეც თავის დროზე გავერიცხეთ.

— ისიც გავიგეთ, მტერი რომ დაგისჯით, — თქვა ბიჭიკომ, — ის საცოდავი, მტერი იყო, მაგრამ თქვენი კი არა, სხვისი. დალი მალავს. მეორე დღესვე დაურეკია იმას, ვინც ასე მწარედ დასცინა და მადლობა მოუხდია.

— დალი მალავს? — ახარხარდნენ გოგოები, — ისევ აერია იმ ტუტუცს ხმა? ბიჭებმა იციან?

— მოვახსენებ.

— ბრიყვები, — ფარნა წავიდა.

ბაზარში ივაჭრეს და იმხიარულეს, სიძვირეს არ შეუშინდნენ და დატვირთულნი მიადგნენ რუსუდანის სახლს. აქ უნდა მოხარშულიყო მოსახარში, შემწვარიყო შესაწვავი. გამომცხვარიყო გამოსაცხობი და სანამ ოჯახის უფროსი სამსახურიდან დაბრუნდებოდა, ყველაფერი გურამის სახლში გადატანილიყო.

რუსუდანს იმედი ჰქონდა, მამის დაბრუნებამდე ყველაფერს მოასწრებდნენ. ის ხომ ყოველთვის იგვიანებდა.

გურამის მშობლები საახალწლოდ სოფელში აპირებდნენ გამგზავრებას და იქნება რამდენიმე დღე კიდეც დარჩენილიყვნენ იქ. ბებია ვერა ჰყოლოდა კარგად გურამს.

სამზარეულოში დალი ტრიალებდა. რუსუდანი მწვანილის დარჩევასა და გარეცხვას გადაჰყვა, მანანა ნიგვზისა და ნივრის დანაყვას.

დოდო ბიჭებს გაჰყვა, ღვინის საყიდლად წასულებს და მაშინდა გამოჩნდა, როცა ყველა საქმე მოთავებული იყო.

— ოჯახისათვის არაფერს ამზადებ? — იკითხა.

— მამაჩემიც სხვაგან მიდის და ვისთვის მოვამზადო.

—ქალი ეყოლება ვინმე, — თქვა დალმამ, — ერთ მშვენიერ დღეს ცოლს შეირთავს. რამდენი წლისაა?

— სამოცისა არაა ჯერ. ახალგაზრდაა.

საახალწლო სუფრასთან განსაკუთრებულად უნდა ვიმხიარულო, ყველა უსიამოვნება, რაც ძველმა წელმა მომიტანა, უნდა შევატოვოო მასვე, — ფიქრობდა რუსუდანი, მაგრამ როდესაც ახალი წლის პირველმა წუთებმა გაიარა, დაღლილობა ივრძნო და ძილი მოერია.

საკარძელში მოიკალთა და თვალები მილულა.

ერთი-ორჯერ გოგომ გამოაფხიზლა, ვიცეკვოთო, — სთხოვა.

თვალები არ გაუხელია, ისე იუარა. ვოგი და თამაზი საიდანღა გამოგვეჩხირნენო, — გაიფიქრა უკმაყოფილოდ.

ისევ ბურანმა წაიღო და როცა მეორედ გამოფხიზლდა, დაინახა, ფარნა დოდოსთან ცეკვავდა და თან რაღაცას უყვებოდა.

„დოდო მგონი მართლა უყვარს ფარნას, — გაიფიქრა, — დოდო ძალიან ლამაზი გოგო იქნებოდა, სახის ოვალი რომ არ უშლიდეს ხელს...“

მერე ფარნას დოდო წაართვეს. თამაზმა ორივე ხელი მოჰხვია გოგოს და ცეკვით მეორე ოთახში გაიყვანა.

დალის ნახმარი ჭურჭელი სამზარეულოში გაჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა გურამთან ცეკვავდა. გურამს ორივე თვალი მეორე ოთახისაკენ ეჭირა, სადაც დოდო და თამაზი გაუჩინარებულიყვნენ და მანანასათვის ერთხელაც არ დაუხედია.

ფარნა სიგარეტს ეწეოდა და პიანინოს თავზე დაკიდებულ სურათს ათვალიერებდა დიდი ყურადღებით. სურათზე ნახევრად შიშველი ქალი ებრძოდა არწივს.

რუსუდანმა ერთხანს ფარნას ვერ მოაცილა თვალი. მერე დაინახა, როგორ კოცნდდა გურამი მანანას.

უცნაური სიჩუმე იდგა ბინაში.

— ესეც შენი ძმაკაცები, — გაიფიქრა. გაუკვირდა, მაგრამ არა სწყენია,— ერთი მაგათი...

ისევ წასთვლიმა და მესამედ ნუგზარის ყვირილმა წამოაგდო სავარძლიდან.

ნუგზარის დოდოსათვის ჩაევლო ხელი და ტახტისაკენ ეწეოდა.

— ტუტუცო, — სახე წამონთებოდა, მწვანე თვალები შხამით ავსებოდა. მერე დოდოს სიმსუქნეშეპარული ტანი მიეკრა მკერდზე და კოცნა დაუწყო.

— ეს განდოდა?

— ველურო, — იკივლა დოდომ.

თამაზიც იქვე იდგა, პიანინოსთან.

— თამაზმა ან ნუგზარი უნდა სცემოს, ან აქედან წავიდეს, — უცებ გაერკვა რუსუდანი მომხდარ ამბავში. — ესე იგი, ნუგზარის დოდო მოსწონს...

თამაზმა წასვლა არჩია. წყნარად გაიდა ოთახიდან და აღარ დაბრუნებულა.

რუსუდანმა დაუმუქნულ ჯაბაზე ხელი ჩამოიავა და სავარცელი მოიოხოვა.

— გოგი სადღაა? — იკითხა.

— სძინავს.

— ბოლოს ყველაფერს ეხდება ფარდა, — გაეცინა ფარნას.

— გეყოფა, გააწყვეტინა გურამმა, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეეშვა მანანასთვის ხელი.

— ბოლოს ყველაფერს ეხდება ფარდა, — გაიმეორა ფარნამ და ახლა ნუგზარმა გააწყვეტინა.

— გცემ.

— ბოლოს ყველაფერს ეხდება ფარდა, — მესამედ აღარავის შეუწყვეტინებია, — ნაციონალურმა კომიტეტმა დაადგინა ამოეღოთ საფლავიდან ონორე — გაბრიელ რიკეტი მირაბოს ნეშტი. იგი, მოგეხსენებათ, როგორც ნაციონალური გმირი, დასაფლავებული იყო პანთეონში. მის ადგილზე დასაფლავეს მარატი. დიახ, ბოლოს ყველაფერს ეხდება ფარდა.

მერე რუსუდანს მოუტანა პალტო და ჩაცმაშიც მოეხმარა.

მანანა...

უაზრო და კმაყოფილი იყო მისი სახე. რუსუდანს გაეცინა და დერეფანში გავიდა.

— ამ საღამოს ხომ მოხვალთ? — იკითხა გურამმა, — ამდენ საუბელს გასაღება უნდა.

— მე ვერ მოვალ, — თქვა დალიმ. — ბიძაჩემთან უნდა წავიდე ახალი ჯული რომ არ მივულოკო. ეწყინება. საშსახურში მაწყობს და...

გარეთ ყინავდა.

ნისლიანი ცა სინათლეს აემღვრია. ქალაქი ჯერ კიდევ ნაცრისფერ ბურუსში თვლემდა.

— დოდო უნდა გაგეცილებინა, — უთხრა რუსუდანმა ფარნას, — მე რას მომდევ.

— დოდოს ნუგზარი ურჩევნია, მანქანით მიიყვანს სახლში. გაეხარდა კიდეც ასე რომ მოექცა ბიჭი, — ხმამაღლა ლაპარაკობდა და მისი ხმა ყინვაში განსაკუთრებულ ექერადობას იძენდა.

სინათლე ნელა ჩამოდიოდა მიწაზე, მრავალსართულიანი სახლების მკვეთრი ხაზებით ხერგავდა ქალაქს.

— ფული მჭირდება, — თქვა ფარნამ, — ბევრი ფული.

— ესეც ჩემი სახლი, თუ გინდა ამოდი.

— ფარნამ იუარა. ცოტა კიდევ გავიაროთო, სთხოვა.

---

ნელი ბაგრატიონი
ხვალ აღარ იქნება თოვლი

— არასოდეს გიფიქრია რა მძიმეა დღე? აი, ამოდის, ნათდება, გაწვება მხრებზე თავისი ავითა და კარგით, გვსებს ათასი საზრუნავითა და საფიქრალით, მოქმედებას მოითხოვს, მოქმედებას! და სრულიადაც არ აფიქრებს ის, შეგვიძლია თუ არა ამხელა ტვირთის ტარება ჩვენი სუსტი მხრებითა და ეუვნანი გონებით.

ხშირად ვერა ხვდებოდა რუსუდანი ფარნას ბუხბუხით წარმოთქმული სიტყვების არსს. მაინც ყოველთვის სიამოვნებით უგდებდა ყურს. რა ლამაზად იცისო ლაპარაკი, — შურდა მისი.

მამა ჯერ არ დაბრუნებულიყო.

დაძინება სცადა და ვერ დაიძინა. საბაზანაში შევიდა. შხაპს მივიღებ, იქნებ ცოტა დავმშვიდდეო. ცხელი წყალი არ მოდიოდა.

აივნის კარი გამოაღო და სიგარეტს მოუკიდა.

კარზე დაკაკუნეს და მამაჩემი როდის იყო აკაკუნებდა, გასაღები ხომ არ დაკარგაო...

მანანა იყო. ოთახში შეშლილივით შემოვარდა და ჩურჩულით იკითხა.

— მარტო ხარ?

თვალები შიშით გაფართოებოდა, ფერდაკარგულ, შეშუპებულ ტუჩებს იკვნეტდა.

— დოდო და ნუგზარი ერთად წავიდნენ, — სწრაფად უნდოდა ეთქვა სათქმელი და ენა ებმოდა, — მრგვალ ბაღთან ხეს შეასკდნენ. დოდო უკან მჯდარა, თავი ვერ შეუკავებია და სავარძლებს შორის ჩაჩეხილა.

— ნუგზარი?

— ხელები ისე მაგრად მიუბჯენია საჭისათვის, არც კი შერხეულა. დოდოს ადგომა დაუპირებია, მარჯვენა ხელი სავარძლისათვის დაუყრდნია და წამოწეულა. დაუნახავს როგორ ეკიდა მისი მარცხენა მკლავი ტყავზე და გული წასვლია. ნუგზარს სასწრაფო გამოუძახებია და სასწრაფოსთან ერთად მილიციაც რომ მოსულა, შეშინებია და გაქცეულა.

— გურამთან მოვიდა?

— აბა სად წავიდოდა. ასე ფიქრობ, ტყვი ვითომ რომელიღაც „ვოლგაში" ჯახებოდა და იძულებული ვიყავით.

— ნინომ გაიგო?

— ალბათ.

— რომელ სასწრაფოშია?

— მეორე სასწრაფო ყოფილა მორიგე. დავრეკეთ...

— ეხლავე წადი.

— ერთად წავიდეთ.

— მამაჩემს დავხვდები სახლში და მერე მოვალ.

— მაშინ გურამთან დავბრუნდები და ერთად წავალთ. არ გინდა ნინოსა და ვარლამის ატანა?

რუსუდანს გაეცინა.

— შენი ბრალია, — შენ რომ წაჰყოლოდი, ეს ამბავი არ მოხდებოდა. მაგრამ გურამისთან ვიღა დარჩებოდა? — მრავალმნიშვნელოვნად იკითხა რუსუდანმა, — სხვათა შორის, გურამსაც დოდო მოსწონს.

მანანა გაშრა.

— დოდო? თვითონ უნდოდა ნუგზართან მარტო დარჩენა. — კარი გაიჯახუნა.

ერთი კვირა სახლიდან გარეთ არ გამოსულა. სიამოვნებდა თავისი თბილი, მყუდრო ბინა. მოქანცული სხეული წოლასა სთხოვდა და ისიც იწვა. გაფანტულ გონებას ფიქრი არ შეეძლო და ისიც არ აიძულებდა ფიქრს. დაჭიმული ნერვები სიმშვიდეს მოითხოვდნენ და სიმშვიდესაც არავინ ურეკავდა. სულ რამდენჯერმე ახმაურდა ტელეფონი. ერთხელ — დოდო როგორ არისო იკითხეს და არაფერი ვიცი, — უპასუხა. მეორედ სახლმმართველი უნდოდათ და სხვაგან მოხვედით ბატონო, — გაეცინა.

— გამოცდების საქმე როგორ არის, — იკითხა ერთხელ მამამ.

— ისე, რა, — იცრუა.

თითქოს არაფერი სჯობდა ასეთ ყოფას.

გარეთ ყინავდა.

ღამ-ღამობით ქარი ამოვარდებოდა და დილამდე არ წყდებოდა მისი უფორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მო სხეულის დინება. მტვრიან, უხილავ ფურცლებში იხვეოდა ყველაფერი. ბორგავდა ქალაქის სუნთქვაშეკრული და დაბრმავებული სხეული.

სახლში კი ისეთი სიწყნარე სუფევდა, თითქოს მას სრულიადაც არ ეხებოდა გარეთ გამეფებული ქაოსი.

ერთი კვირა ინებივრა რუსუდანმა, მერე ტანძა ძველებური დროსტარება მოსთხოვა და სიმარტოვეში გატარებული დრო ქვასავით დაჰკიდა მის გაწწყობას ყელზე.

ერთი კვირის წინ მიტოვებულმა საფეძრალმა ისევ აუღელვა გონება. რატომ არავინ მომაკითხაო, — იწყინა, — იქნებ მიწყრებიან, დოდოს სანახავად რომ ვერ წავედიო.

რამდენჯერ გადაწყვიტა წასვლა, აუცილებელია და დღესვე უნდა გავაკეთოო ეს საქმე, მაგრამ სხეული ვერ დაიმორჩილა. ყოველი კუნთი, ყოველი ძარღვი ეწინააღმდეგებოდა ამ გადაწყვეტილებას. რა ექნა? საკუთარ თავს ვერ გამოაბამდა თოკს და ვერ წაათრევდა.

თვითონაც არ იცოდა, რატომ ემართებოდა ასე.

იქნებ დაავიწყდა?

არა. ავარია ახსოვდა და აწუხებდა.

იქნებ აღარ უყვარდა დოდო?

დოდოსადმი სიყვარულს არასოდეს აუღელვებია მისი გული, ყოველთვის ერთად იყვნენ მაინც.

რაიმე დანაშაულს ხომ არა გრძნობდა, დანაშაულს, რომელსაც შესატყვის გამოთქმას ვერ მოუძებნი, წინადადებაში ვერ ჩატევ?

ყველანი ერთნაირად ატარებდნენ დროს, იქნებ ცუდადაც ცხოვრობდნენ, მაგრამ საზღაური რატომ უნდა გაიღო მაინცა და მაინც დოდოს? აკი რუსუდანმაც გაიღო საზღაური, უნივერსიტეტიდან გარიცხეს, მაგრამ ის სულ სხვაა.

ისევ გურამმა მოაკითხა.

შემოვიდა თუ არა, მაშინვე ტელეფონს ეცა და დიდხანს უწყრებოდა ვიღაცას ყურმილში. მერე რუსუდანს შეაცქერდა.

— რა იყო, — რაიმე ისეთი არ მითხრას თავმოყვარეობას რომ შემილახავსო, შეეშინდა რუსუდანს.

— რაზე მეკითხება.

— ისე.

— არაფერი, საგნები მაქვს ჩასაბარებელი. მანანა ხომ არ გინახავს?

— თქვენ არ ხედებით ერთმანეთს? — გაოცდა გოგო.

— ნუგზარის საქმე ჩავფარცხეთ და აღარავინ მინახავს. ხომ იცი, გამოცდები...

— დოდო? — ახლა-ღა გაბედა დოდოს სახელის ხსენება.

— რა, დოდო, — გულგრილად უპასუხა, — ვარლამმა გაატყავა ნუგზარი.

— რა თქვი?

— მოკლედ. ყველაფერი კარგადაა. დოდომ ისეთი ჩვენება მისცა, როგორიც საჭირო იყო. თვითონაც არ უნდა იყოს ცუდად. როგორც ქირურგები იტყვიან, მხრის ძვლის დიაფიზის მოტეხილობა ჰქონდა. ოპერაცია გაუკეთეს, მოხდა მხრის ძვლის დიაფაზის ისტეოსინთეზი. მოკლედ, ცოტა-ღა მაკლია ქირურგობას. შენ სადა ხარ დაკარგული.

— ავად ვიყავი, დოდოსთან ჯერ არცა ვყოფილვარ.

— მიდი მიდი, — გაეცინა გურამს, — ისე იბღვირება, თითქოს ჩვენ ვიყოთ დამნაშავენი... კაცო, ეს რა ხდება, არც ერთი ტელეფონი-ავტომატი არ მუშაობს. აქეთ ვიყავი და ვიფიქრე ბარემ რუსიკოსაც ვნახავ-მეთქი... თან საქმე, ხომ იცი. ფარნას არ შემოურბენია?

— არა.

— ირაკლი ეძებდა, გახსოვს ირაკლი? უნივერსიტეტს ვერაფერი უშველე?

— რა უნდა მეშველა.

— არაფერია, მომავალ წელს აღგადგენენ.

იმავე საღამოს ესტუმრა მანანაც.

— ნუგზარის დედას ჩვენზე სისაძაგლეები ულაპარაკია. ქუჩის ქალებს გვე-

---

ნელი ბაგიაშვილი
ხვალ აღარ იქნება თოვლი

ძახის თურმე. აიყოლიეს ჩემი ბიჭი და კინაღამ არ დაღუპესო. დედაჩემსაც გადასწედა. რა მოხდა მერე თუ სკოლის ბუფეტი აბარია, მაგას გასჭირვებია ისე, ჩვენ რომ გაგვიჭირდა როცა მამაჩემი დაიჭირეს და მაშინ ნახავდა... ჩემი ძმაც გაულანძღავს, ვითომ ეგეც ბიჭიაო. ეს რომ თენგიზმა გაიგოს, თავს მოიკლავს. ხომ იცი რა მგრძნობიარეა, ყველაფერზე ტირის... ამხელა ქალია და ჭკუა არა აქვს. შენზე უთქვამს, ერთი მამამისთან უნდა მივიდე და მაგისი ლოთობის ამბავი მოვუყვეო.

— საიდან იცის.

— რა ვიცი, ნუგზარს თუ წამოსცდა. მაგას ის უჯობს თავის გაუთხოვარ ქალიშვილს მიხედოს, ოცდაცამეტი წლისა რომ ჰყავს და ხელში აბერდება. ან ვის რად უნდა ისეთი ცოლი, ფეხსაცმლის ნომერი ორმოცდაერთი რომ ექნება, გინდა მილიონიც გაატანოს...

მანანა შეუჩერებლად ლაპარაკობდა და როცა დაიღალა, წასასვლელად გაემზადა.

— დიდო თუ ნახე? — ჰკითხა რუსუდანმა.

— ხომ იცი, გამოცდები...

4

მთელი დღე ფანჯრის რაფას დაყრდნობილი ქუჩას გასცქეროდა. ქუჩა უკაცრიელი იყო. ხალხი დილით და საღამოობის დამთავრების შემდეგ თუ გამოჩნდებოდა. რუსუდანი ტანშემოძარცვულ ხეებს გასცქეროდა, ქუჩას რომ მიუყვებოდნენ რიგად. მათ აქა-იქა შერჩენოდათ ძველი სამოსის გახუნებული ნაფლეთები.

შუადღით შეიძლება მზეს გამოეყოფა ღრუბელთა კვამლისფერი ფენიდან. გაყინულ ჰაერში მზის ცივი სხივი უნაზეს სიმებად ეშვებოდა ძირს. სულ ოდნავ რომ შერხეულიყო ჰაერი, ჟღერას დაიწყებდნენ ალბათ. მაგრამ ჰაერი არ იძვროდა.

გამოცოცხლდებოდა ქუჩა, სხივი ლაჟად ათამაშდებოდა მის გაცრეცილ ტანზე. ხეთა გაშავებული სხეულებიც ინათებდნენ, აქა-იქ შერჩენილი ფოთოლი სიყვითლით ევსებოდათ და მრავალსართულიან სახლთა პირქუში კონტურები რბილდებოდა.

საზეიმო იერს იძენდა მზეში. გარინდული ქუჩა.

მაგრამ მზე მალევე ჩადიოდა და კვამლისფერი ცა თითქოს უკანვე ისრუტავდა მის ნათელს.

ახლა მიწიდან ამოიმართებოდა სიბნელე და ზეცისაკენ წავიდოდა. ქუჩაცის ნათელ ფონზე შესრულებულ გრაფიკულ ნახატს ემსგავსებოდა.

გარეთ გავიდოდა და უაზროდ იხეტიალებდა ერთხანს. თავი სევდიან ადამიანად მიაჩნდა და დააბიჯებდა პირქუში სახით.

რა ხშირად ერევათ ადამიანებს მოწყენილობა სევდაში.

სახლში დაქანცული ბრუნდებოდა. ჩვეულებრივ, მაშინვე წვებოდა, მაგრამ რული არ ეკარებოდა მის რატომღაც აღელვებულ სხეულს.

ქალაქის ყრუ გუგუნს უგდებდა ყურს და არაფერზე არ ფიქრობდა.

ერთხელ დაურეკა მანანამ. გამოცდები მივიღრჩე და ბაკურიანში მივდივარ. იქნებ შენც წამოსულიყავი, — უთხრა.

წამოვნთო გოგო, თვალწინ აუბრწყვიალდა ბაკურიანის ვარდისფერი თოვლი. მაინც იუარა. ცოტა შემეხვეწოს, ხომ უნდა დაისაჯოსო ამდენი ხნით დაკარგვის გამო.

მანანას აღარ უხსენებია ბაკურიანი.

— სხვები გაუჩენია, — გაიფიქრა რუსუდანმა, — უნივერსიტეტში რა გამოლევს ნაცნობებს...

— თუ გგონიათ უთქვენოდ მოვიწყენ, — გაბარაზდა მერე.

სახლის დალაგებას შეუდგა.

იატაკი მორეცხა და ფანჯრები ჩამოწმინდა, ჭერი შეათვალიერა და ამდენი აბლაბუდა რამ გააჩინაო, — გაუკვირდა. ჭურჭლის კარადა გამოასუფთავა და ყველა ჭიქა თუ თეფში სათითაოდ გარეცხა. მტვრისაგან განაცრისფერებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ტახტი აივანზე გაათრია და მთელი დღე ბერტყავდა-მას.

— სველი ტილო დააფარე, სველი ტილო, — არიგებდა ვიღაც.

რუსუდანი ბრძანებასავით ასრულებდა მეზობლის რჩევას.

მერე ტანსაცმლის კარადას მიუტრიალდა. ერთმანეთში არეული ეყარა ჭუჭყიანი და სუფთა. ხელის ერთი მოსმით გადმოყარა ყველაფერი გარეთ და რეცხვას შეუდგა.

ბაზარშიც წავიდა.

სადილსაც აბვიდრებდა მამას, მაგრამ კაცი სამსახურიდან ყოველთვის ნასადილევი ბრუნდებოდა და საკუთარი შრომის ნაყოფით მხოლოდ თვითონ უხდებოდა სარგებლობა.

ოჯახურ გაწამაწიაში ისეთი თავგანწირვით გადაეშვა, თითქოს მხოლოდ ამას შეეძლო რუსუდანისათვის შვების მოტანა. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ასე. ისევ მოიწყინა. სიცარიელე, რომელსაც ადრე ამხანაგებთან ხეტიალი ფარავდა, ახლა გაშიშვლებულიყო და შიგ რამდენიც არ უნდა ეყარა საოჯახო საქმიანობის ბელტები, ვერ ივსებოდა. პირიქით, უფრო ღრმავდებოდა, უფსკრულივით თვალშეუდგამი ხდებოდა და ზოგჯერ ისიც ეჩვენებოდა რუსუდანს, ამ მოწყენილობას მარტო ჩემი კი არა, მთელი ქვეყნის შთანთქმა შეუძლიაო.

იანვრის ბოლოს ვიღაცამ ფრთხილად დაუკაკუნა კარზე და გააღა რუსუდანი. ვის მოვავონდიო, — აუფართხალდა გული.

ზღურბლზე ირაკლი იდგა.

— აქეთ ვიყავი და ვიფიქრე შევუვლი-მეთქი. თქვენ ალბათ იცით ფარნას შესახებ.

— რა დავმართა, — იკითხა უგულოდ, — დიდი ხანია არავინ მინახავს.

— ფარნა გაჭქრა, — წყნარად და მოწყენით ალაპარაკდა ირაკლი, — სახლის პატრონისათვის გადაუხდია ქირა, ლოგინისა და წიგნების შენახვა უთხოვია, ლოგინი ახალი მდგმურისათვის დაუთმია ქალს, წიგნები კი სარდაფში ჩაუყრია. წერილიც გაუგზავნია სოფელში, ნუ შეგეშინდებათ, არავითარ უბედურებას არა აქვსო ადგილი.

— დაიკარგა?

— ასე გამოდის, — გაეღიმა ირაკლის. ღიმილი ოდნავ შეეხო მის მკვრივ, ფერწასულ ტუჩებს და ორი ღრმა ნაოჭით გადასერა მოყვითალო სახე. მსგავლი ნაცრისფერი თვალების უმოძრაობამ შეაკრთო რუსუდანი, — ახალ წელს, დილით, თქვენ გამოუცილებიხართ, გურამმა მითხრა. თუმცა საეჭვოა, თქვენთვის გაენდო რამე, მაგრამ, მაინც, იქნებ წამოსცდა.

— ამბობდა, ფული მეჭირდებაო, ბევრი ფული. ვალი ხომ არა ჰქონდა?

— არა მგონია. ვინმეს ეცოდინებოდა, ან მევალეს წავაწყდებოდი სადმე. დედამისი მეცოდება, ლუკმას ვერ გადაყლაპავ, ფარნას ეშიებაო, ღუმელსაც კი არ ანთებინებს ქმარს... კაცმა იტირა ჩემთან. ცოლი ელუპება იმ უბედურს, თორემ შვილი კარგა ხანია გამოტირებული ჰყავს.

— მამასთან ვერ იყო კარგად.

— მშრომელი კაცია, უსაქმური სხვაც ეჯავრება. ფარნა კი სმის მეტს არაფერს აკეთებდა.

— ერთი ჩვენი ამხანაგი მოსწონდა.

— ვიცი, საავადმყოფოში ვიყავი მასთან. არაფერი... არც კი მისულა სანახავად. შეიძლება არც იცის.

— ალბათ არ იცის.

— თქვენ რაღა დაგემართათ, წინად სულ ერთად იყავითო და...

იმდენი სითბო იდგა მისი წყნარი სევდით სავსე გამოხედვაში, რუსუდანს ცრემლი მოერია. ერთი სურვილი დაეუფლა, ყველაფერი ეთქვა ამ კაცისათვის, ყველაფერი უკანასკნელ ამოოხვრამდე, იქნებ მაშინ მაინც განთავისუფლებულიყო იმ უჩინარი მაჯლაჯუნასაგან, გულზე რომ დასწოლოდა გასაქანს არ აძლევდა.

---

ნანი გაგიშვილი
ხვალ ალარ იქნება თოვლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ რა ეთქვა?

რა ჰქონდა სათქმელი?

უნივერსიტეტიდან გარიცხეს?

მერე რა, მომავალ წელს აღადგენენ. არც მეგობრების დაკარგვა უხუთავს სულს. რაღაც სხვაა იგი, შეუცნობი, გამოუთქმელი.

— არ ვიცი, — მხრები აიჩჩა უსუსურად.

ატირდა.

წყნარად, უხმოდ ატირდა. ტირილისაგან არც მხრები უთრთოდა და არც ხმას იღებდა რასმეს. თითქოს იღიმებოდა კიდეც. ცრემლი კი ჩამოსდიოდა და ჩამოსდიოდა. მთლად დაუსველდა სახე, თითებზეც ჩამოეღვარა მერე.

ირაკლი მივიდა მასთან.

— ეს უკვე არაფრად არ ვარგა, — ხელი სულ ოდნავ შეახო მის რბილ თმას.

გოგო დამშვიდდა.

— ისე გაგიბრწყინდა სახე, თითქოს წვიმის შემდეგ მზეს გადმოეხედოს შენი თვალებიდან, — გამხიარულდა კაცი.

რუსუდანი ხმას არ იღებდა. მხოლოდ იღიმებოდა და სველი ხელებით ღაწვების შემშრალებას ცდილობდა. მას მართლაც უბრწყინავდა სახე.

— შენი ასე დატოვება არ შეიძლება. ამ საღამოს გეპატიჟები, — ირაკლი დაფიქრდა, — სად დაგპატიჟო? — გაეცინა.

გოგომ მხრები აიჩჩა.

გვიან დაბრუნდა სახლში.

არაფერი ახსოვდა იმ უცნაური სინაზის გარდა, სხეულის სიღრმეში რომ დაებადა და მერე ტკბილ ბურუსად მოედო მის ყოველ კუნთს. ბოლოს სხეულში ვეღარ დაეტია და გარეთ გამოჟონა, გამოჟონა თვალებიდან, ტუჩებიდან, თითებიდან...

ჰყვებოდა ყოველად უმნიშვნელო ამბებს, ჰყვებოდა განსაკუთრებული გატაცებით, ახვევდა მას სხივსავსე და დარცხვენილ ღიმილში. თბილსა და იუმორით შეფერილ ხმაში.

ზოგჯერ შეარხევდა მხრებს, მაგიდისაკენ დასწევდა ტანს, ხელისგულებზე ჩამოსდებდა პატარა, ჩაჩხვლეტილი ნაკაპს, ლაპარაკს შეწყვეტდა და გაინთბებოდა.

სიჩუმეს ირაკლის სიცილი დაარღვევდა უთუოდ. ახსოვდა მისი ნაკრისფერი თვალების ირიბი ჭრილი, მისი თხელი, ნატიფი თითები, მალიმალ რომ ავსებდნენ მაღალ ჭიქებს შამპანურის ქაფით, მისი დაბალი ხმა და ღიმილი, ღიმილი, რომელიც დაუფარავი ცნობისმოყვარეობითა და მამაკაცური მხურვალებით იყო სავსე.

გარეთ გამოვიდნენ.

ესიამოვნა ჰაერის იანვრისეული ყინული სიგარეტის ბოლით სავსე კაფეს შემდეგ.

ნათურების ბჟუტება ამღვრევდა ზამთრის ნისლიან ღამეს. დაცარიელებულ ქუჩაში მკვეთრად ისმოდა მათი ნაბიჯების ხმა.

სასმელი მორეოდა გოგოს, მისი მსუბუქი სხეული ცურვით მიჰყვებოდა ირაკლის.

— ბავშვობისას, — არ აჩერებდა ენას, — დედაჩემის გრძელ ხალათს ჩაკიცკმედი, სარკის წინ დავდგებოდი, ხელებს ზე აღვმართავდი და მკაცრად მოვითხოვდი ვიღაც-ვიღაცეების დასჯას.

— რატომ? — იცინოდა ირაკლი.

— მსახიობი მინდოდა გამოსულიყაკი. წიგნები სულ რევოლუციაზე მიუვებოდნენ და მეც, ცხადია, ხალხის მტრების დასჯაზე ვოცნებობდი.

გაყინულ ჰაერში ხელებს შლიდა რუსუდანი, სახეს ბნელი ცისაკენ სწევდა და კვნესოდა.

— ადამიანებო, ადამიანებო...

სიტყვები აღარ ახსოვდა.

— მერე დამავიწყდა, სულ დამავიწყდა ყველაფერი. ეხლა რამ გამახსენა ნეტა? ბავშვობისას ყველა რაღაცაზე ოცნებობს, მაგრამ იზრდებიან და ავიწყდებათ.

ბევრს, ძალიან ბევრს იცინოდნენ და ნელა, ძალიან ნელა უახლოვდებოდნენ რუსუდანის სახლს.

გვიანობამდე ვერ დაიძინა რუსუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანმა. მოჰქანცა საწოლმა. ადგა, სინათლე ანთო და სარკესთან მივიდა.

გრძელი ყვავილებიანი პერანგი ეცვა, მოკლედ შეეჭიროო წარი თმა ყალყზე შედგომოდა. თვალებში სხვი უციმციმებდა.

ხელები შემართა, წარბი შეიჭმუხნა და მრისხანედ წარმოთქვა.

— ადამიანებო, ადამიანებო...

ეჩვენებოდა, ირაკლი უმზერდა თითქოს. ვერ მოიცილა მისი ცნობისმოყვარეობითა და მამაკაცური სიმხურვალით აღსავსე ღიმილი. მერე ის გაიფიქრა, კიდევ თუ გამოჩნდებაო ნეტა...

ირაკლი ორი დღის შემდეგ გამოჩნდა.

— მეგობრებში დავიკვეხე ერთი ქალიან ლამაზი გოგო გავიცანი-მეთქი და არ დამიჯერეს, — მხიარულად ლაპარაკობდა, — გეპატიჟებიან და არ გააწბილო.

მაგრამ მეგობრებთან არ წაუყვანია რუსუდანი. ისინი ბევრნი არიან და დამეღლებიო, — განაცხადა.

ისევ ნაცნობ კაფეს შეეფარეს თავი.

ახლა კი დაიბნა გოგო. ხან წითლდებოდა და ხან ფერსა ჰკარგავდა. ირაკლის შეკითხვებზე დაბნეულად პასუხობდა და მეტწილად დუმდა.

გამომშვიდობებისას ირაკლისაც წაუხდა განწყობა.

მოწყენილი დღეების მოდუნებული მაჯისცემა ირაკლიზე ფიქრმა გააცხოველა.

რუსუდანი განუწყვეტლივ იგონებდა მის ხმასა და ღიმილს, მის უზრუნველ, მხიარულ ლაპარაკსა და თავისუფალ სიარულს, თხელ, ფერწასულ თითებსა და უაზრო, გაქვავებულ მზერას.

თავისდაუნებურად ელოდა ირაკლის გამოჩენას. მოლოდინმა აუვსო უძირო და ბნელი უფსკრული მოწყენილობისა თუ სიცარიელისა, მოუკრიბა გაფანტული გონება.

თვითონაც არ იცოდა რა იყო ეს, მოლოდინი თუ ოცნება, ისე ჩახლართულიყო ერთის გულშემაღონებელი უმოქმედობა მეორის ამაღელვებელ სურათებთან.

გარეთ კი თავგანწირვით დაჰქროდა ქარზე ამხედრებული ზამთრის უკანასკნელი თვე. ხეებს სამოსის ნაფლეთებსაც ახევდა და გულმოდგინედ ძენძავდა მათ სადღაც, ქუჩის კუთხეში. წყალ-წყალა ცა ნალექის არც ერთ წვეთს არა ჰპირდებოდა ქალაქს და გამომშრალი ჰაერი მტვრით იყო სავსე.

ირაკლი მესამედაც მოვიდა.

ხელში მიხაკების მოზრდილი თაიგული ეჭირა და ნასვამი იყო.

— უნდა მაპატიო, — თქვა, ჰალსტუხი მოიშვა და პერანგის საყელო შეისნსა, — წყალი დამალევინე.

— „ბორჯომი“ მაქვს, — რუსუდანი აივნისაკენ გაქანდა, პირველსავე ბოთლს დასტაცა ხელი და სამზარეულოში გაიტანა.

— ეს ლიმონათია, — თქვა ირაკლიმ და ჭიქა მაგიდაზე დაუშვა.

გოგო ისევ აივანს ეცა.

— ყვავილებს მიხედე, — დაეწია ირაკლის ხმა.

უკანვე შემობრუნდა. აკანკალებული ხელებით მოაგროვა მაგიდაზე გაფანტული მიხაკები.

კაცმა ყვავილები ჩამოართვა და ისევ მაგიდაზე დაყარა.

— რა ცივი ხელები გქონია, — წაიჩურჩულა და ნაზად აკოცა თითებზე.

მას ცხელი ტუჩები ჰქონდა და ამან თუ აგრძნობინა საკუთარი სხეულის ყინული. თითები თითქოს ლოლუებად გადაქცეოდა.

მერე იგრძნო როგორ შეტოკდა სადღაც, სხეულის სიღრმეში უცნაური თრობა, როგორ შეიწოვა იგი ძარღვებმა, როგორ გაეწბა თითოეული კუნთი უცნაური სითბოს მოლოდინს.

წონადაკარგულს სხეულს მისას აღარ შეეძლო თავის შეკავება და რწევა დაიწყო.

— ფარნამ გამოაცა... როგორ შეეძ-

ნელი გაბიაშვილი
ხვალ აღარ იქნება თოვლი

ლო იმ გოგოს შეყვარება როცა იქვე იყავი შენ? რა სულელი ვარ, ფარნას რომ შეეყვარებინე, ხომ შეეიშლებოდი...

რუსუდანი გრძნობდა როგორ უთბებოდა თითები და ეს განუზომელ ფიზიკურ ტკივილს ანიშვებდა მას.

— თქვენ, თქვენ ნასვამი ხართ...

— ნუ გაიფიქრე მაგას, ნუ გაიფიქრებ...

იგი თვალდახუჭული ლაპარაკობდა და რუსუდანმა შეამჩნია როგორ უთრთოდა ქუთუთოები.

რატომ უნდა დაეჯერებინა მისთვის?

იქნებ მაშინ მოაგონდა რუსუდანი, თანამესუფრეთ რომ დასცილდა და ხახლში წასვლა დაეზარა?

იქნებ სადმე ახლოს ქეიფობდა და რუსუდანის სახლს რომ ჩაუარა, შევიტლიო, გაიფიქრა?

იქნებ ქალი, რომლის ხილვაც სურდა, სახლში არ დაუხვდა და ყოველი შემთხვევისათვის მოუკაკუნა რუსუდანის კარს?

ან, უბრალოდ, ლამაზი სიტყვების თქმა მოესურვა და ვერ დასძლია სურვილს? ხომ ხდება ასეც?

რატომ იჩქარა?

სულმოკლეობა სიყვარულის მტერია და სულმოკლე ხომ არ არის იგი?

იქნებ გთამამებულია ქალების ყურადღებით და იოლი გამარჯვებისა სწამს?

არ იყო წუთი რუსუდანს ირაკლიზე რომ არ ეფიქრა. მიუხედავად ამისა კაცი მისთვის სულ უფრო და უფრო შორეული ხდებოდა, მასთან შეხვედრები კი არარეალური.

ირაკლი აღარ მოდიოდა.

— მოვა და გავაგდებ, — მრისხანებით ევსებოდა გული, მაგრამ სიყვარულზე, ასე უცად რომ დაატყდა თავს, ურს მაინც ვერ ამბობდა. — ვეტყვი რომ არ ვეკუთვნი იმ ქალთა რიცხვს, მამაკაცის უყურადღებობა გრძნობას რომ ულლიერებს. ოხ! არ ვეკუთვნი...

აგონდებოდა როგორ გამოეშვიდობა ირაკლი, რა დიდხანს ეფერებოდა ხელზე. ბოლოს ფრთხილად შეახო ტუჩები მისი მშრალი, ცხელი ტუჩები შუბლზე.

— ქალწულებს ხელზე არ კოცნიან, — თქვა.

დამცინაო, — ფიქრობდა რუსუდანი, არა სჯერაო ჩემი სიწმინდის.

და ხელახლა იწყებდა ისეთი სიტყვების დაგროვებას, ყველაზე დიდ ტკივილს რომ მიაყენებდნენ კაცს.

თან ირაკლის მოტანილ მიხაკებს შესცქეროდა გაბოროტებით. საოცარია, რა დიდხანს სძლებენ მიხაკები. თითქოს სანთლისაგან იყვნენ ჩამოსხმულნი. არც სიწითლე უხუნდებათ, არც ღეროებში ელევათ ძალა.

ილეოდა ზამთრის უკანასკნელი თვე. ქარები სადღაც გადაკარგულიყვნენ. მოწმენდილი ცა გულუხვად უგზავნიდა ქალაქს მზეს. ნაშიმშილარი ჰაერი სანათლითა და სითბოთი იყლინთებოდა. მოთენთილი თვე ძლივსღა მიათრევდა ხერხემალგადამტვრეულ სხეულს.

მშვიდი, მზის ბურუსით დატბორილი დღეები, ჰაერის უცნაური სიმსუბუქე და სიგრილე, ალვის ხეთა დაკვირტული ტოტები, ალაგ-ალაგ ამოწვერილი ბალახის სიმწვანე, თვალისმომჭრელ სინათლეს რომ ეთამაშებოდა, გამთბარი მიწა და პალტოშეხსნილი ადამიანების მხიარული ხმაური, ყოჩივარდებით ხელდამშვენებული გოგონების უდარდელი კისკისი, აივნებზე გამოტანილი ოთახის მცენარეები, ქოთნებში რომ ვეღარ ეტეოდნენ და ფართოდ გაღებული ფანჯრები, ყველაფერი, რასაც თვალს შეავლებდა, გაზაფხულის მოახლოებაზე ღაღადებდა. გაზაფხულის მოსვლა კი მაინცა და მაინც არ უხარებდა გულს. ირაკლი რომ არ გამოჩენილიყო, მარტოდ დარჩენილს როგორ უნდა ეზიდა მისი მზე, მისი ჰაერი, მისი სიმწვანე...

●

გაზაფხული წვიმებით დაიწყო.

შენაცრისფრდა დღე. საღამოს ბინდი დაეცა მის ნათელ შუბლს.

ბოღმამორეული, გულჩახვეული ცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვეთობით სცრიდა დაგროვილ ნაღველს. მერე მეჩხერ წვიმაში თეთრმა ნამცეცებმა იელვეს და თოვლის სუნი დატრიალდა ჰაერში.

ღამით ეთოვა და დილით, როცა რუსუდანმა ქუჩას გახედა, გაუკვირდა.

თოვლი სათამაშოსა ჰგავდა, ქუჩას რომ მიუგდეს გასართობად. ქუჩაც ერთობოდა, ამტვრევდა მის ნაზ, სიფრიფანა და მყიფე სხეულს, სვრიდა თავისი ჭუჭიანი თათებით.

მთელი დილა ხმაურობდა ქუჩა, მხოლოდ მაშინ დაწყნარდა, როცა ტალახად აქცია თოვლი.

მარტიაო, — გაიფიქრა რუსუდანმა, — ხვალ ალბათ ისე დაცხება, თოვლის ნატამალი არ შერჩებაო ქალაქს.

ამ თოვლიან თუ ტალახიან დღეს გამოჩნდა ირაკლი მეოთხედ.

მან საგულდაგულოდ გაიწმინდა ფეხსაცმელი, რამდენჯერმე ღონივრად დარტყა სველ პალტოზე შავი ტყავის ხელთათმანი, მერე მოურიდებლად შეკიდა ოთახში, პალტოს ჯიბიდან კონიაკის ბოთლი ამოიღო და ხმაურით დადგა მაგიდაზე.

— ჩამომართვი, — თქვა და პალტო გაიხადა, — თოვლის სადღეგრძელო უნდა შევსვათ მე და შენ. ნება მიბოძე ჭიქები თავად შევარჩიო.

ჭურჭლის კარადასთან მივიდა.

ისე თავისუფლად იქცეოდა, თითქოს მასსა და მის წინ მდგარ გოგოს შორის არც მოულოდნელად აფეთქებული სიწაზე ყოფილიყოს ჩამდგარი, არც ამ სიწაზითი აღსავსე თავშეუკავებელი სიტყვები, არც ნახევარი თვე განშორებისა. მირაკის ბურუსში რომ გაეხვია ადი ურთიერთობა.

რუსუდანი ხმას არ იღებდა, მდუმარედ შესცქეროდა კაცს ამოძრავებულ ტუჩებს, საიდანღაც, შორიდან ესმოდა მისი მწიარული ხმის ნაწყვეტები და ნაპირიდან გადმოსული სისხლის დამორჩილებას ლამობდა. ცდილობდა ის რისხვა, მთელი ნახევარი თვის განმავლობაში ენერგიით რომ ევსებდა სხეულს, ხელახლა გაეღვივებინა, რამდენიმე საწყენი სიტყვით მოეთოკა კაცის თვით-რჯულობა.

არაფერი გამოსდიოდა.

უსიტყვოდ ასრულებდა ირაკლის ყოველ თხოვნას, დგებოდა, მოჰქონდა „ბორჯომი“ და ხილი, ასუფთავებდა სიგარეტის ნამწვავებით სავსე საფერფლეს, ხელში უაზროდ ატრიალებდა კონიაკის ყავისფერი სითხით სავსე ჭიქას და ისე იყო დაბნეული, სასმელის გადაყლაპვისას მის სიმწარესაც ვერა ვრძნობდა.

— მეტს ნუღარ დამალევინებთ, — ითხოვა მერე, როცა ირაკლი რატომღაც დადუმდა და სიჩუმის სიმძიმე მთელი ძალით დაეწვა მას.

— დღეს უნდა დავთვრეთ, — თქვა ირაკლიმ, — დღეს ათიათასჯერ უნდა დავლიოთ თოვლის სადღეგრძელო, რადგან ხვალ აღარ იქნება იგი, — მერე წამოდგა, — წავედით.

— სად.

— ჯერ სადმე, მერე კი...

რუსუდანს წინააღმდეგობა არ გაუწევია, სწრაფად გავიდა თავის ოთახში და როცა უკანვე დაბრუნდა, ვედრებით სავსე ღიმილი უფარავდა სახეს. თითქოს ეშინოდა, ვაითუ არ მოსწონებოდა კაცს მისი კაბა.

ირაკლის გაეღიმა.

— პალტოს მე ჩაგაცმევ, — ბრძანა.

რომელიღაც რესტორანს შეაფარეს თავი. ირაკლი ბევრს ლაპარაკობდა და ცოტას ჭამდა. რუსუდანმა კი ლუკმის გადაყლაპვაც ვერ მოახერხა.

მერე ნაცნობ კაფეში გადაინაცვლეს ყავის დასალევად.

იქაურობა ხალხით იყო სავსე. ყველა თოვლის სადღეგრძელოს სვამდა, მოულოდნელად, მოამბოხესავით რომ მოსდგომოდა ქალაქს და ხვალ ალბათ ისევ გადაიკრავებოდა სადმე.

— აქედან ქალაქგარეთ წავალთ, — ბრძანა ირაკლიმ.

— ქალაქგარეთ ხვალ, — უპასუხა

---

ნელი ბაგრიაშვილი
ხვალ აღარ იქნება თოვლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგომ. მას ხვალინდელი დღისა ეშინოდა. ვი ი ი ი ი ვ ვ ვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასმელმა თავისი გაიტანა, გაამხიარულა გოგო, საცეკვაოდ გაუწია ტანმა. მისი ტანი მსუბუქი და დამყოლი აღმოჩნდა. კაცი გრძნობდა მის სისავსესა და სითბოს, მისი მაღალი მკერდის მოქცევასა და მოქცევას, მის გრილ, აჩქარებულ სუნთქვას და უცნაური შიშით ევსებოდა მთვრალი გონება, — ხელიდან არ დასხლტომოდა ეს თევზივით მოფართხალე გოგო.

— ახლა ჩვენ კიდევ ერთ რესტორანს ვესტუმრებით, — თქვა ცეკვის დროს, — იქ ისეთი დამკვრელები მყავანს... მედოლეს აპოლონა ჰქვია. ერთხელ იმ აპოლონაზე ლექსიც კი დავწერე.

— აპოლონასთან ხვალ.

— ხვალ აღარ იქნება თოვლი და რაც გასაკეთებელია დღეს უნდა გაკეთდეს.

რესტორნის წინ, განათებულ მოედანზე რამდენიმე მსუბუქი ავტომანქანა იდგა. ერთ-ერთთან მივიდა ირაკლი და მერე რუსიკოც იხმო.

— აყვანით აგვიყვანს. იქიდან კი რაიმე შევგვხვდება.

მანქანაში ჩასხდნენ.

— ერთ ჩემს მეგობარს დიდი ჰყავს. იმასაც აპოლონა ჰქვია. პატრონი სულ ტუჩებში ჰკოცნის.

— როცა დათვრება?

— სულ მთვრალი არაა?

თოვა დაიწყო.

სიბნელიდან პირდაპირ მანქანისაკენ მოექანებოდა ფიფქი და თავგანწირულად აწყდებოდა მინებს. ავტომანქანათა დინება შეწყვეტილიყო და გზის გასწვრივ ჩარიგებულ დათოვლილ ფიქვებს აქა-იქ ჩაკარგული ნათურა აფეხზლებდა ძხოლოდ.

მანქანიდან გადმოვიდნენ და თოვლის სიმძიმისაგან გადახრილ ღობეს გადაახტნენ. მუხლებამდე ჩაეფლნენ თოვლში. გაცივდებიო, — ირაკლიმ ხელში აიყვანა რუსუდანი და პატარა შენობისაკენ წავიდა...

რუსუდანი იცინოდა და თავშალს აფრიალებდა.

რესტორანი უკვე დაეკეტათ.

იწყინეს. უსიტყვოდ გავიდნენ გზაზე.

— ის მანქანა არ უნდა გაგვეშვა, — თქვა რუსუდანმა, — რომელი საათია?

— საათს არ ვატარებ. იქნება ალბათ ათი.

— ან თორმეტი.

— ჩვენ აქ ვერაფერს ვიშოვით. გზატკეცილზე გავიდეთ.

ახლად დადებულ თოვლზე მიაბიჯებდნენ. თოვლი წყლიანი იყო და მისი მოლურჯო ზედაპირი ნაფეხურების შავი ლაქებით ივსებოდა.

ხეთა შიშველი სხეულების აკურზე თოვლის თხელი ფენა გადაწოლილიყო. ცის ლურჯი შუქი და თოვლის სიმქრქალე ხეთა საოცარ სინატიფეს არარეალურს ხდიდა.

რუსუდანს ბავშვობა მოაგონდა.

დათოვლილი ხეების ხატვა უყვარდა ძლიერ. ტოტებს ჩახლართავდა ერთმანეთში, თოვლის თხელ ფენას გადააწვენდა მის უმცირეს წამონაზარდზეც კი. ცას ჩააბნელებდა, ჩახუფავდა შავი ათრთოლებული ბადით. ალბათ ხეთა ეს სინატიფე იზიდავდა, ახლა რომ შესცქეროდა გაოგნებული, ქალაღლზე გადატანა და ამით შესისხლხორცება, მისაკუთრება უნდოდა მისი.

ახლა, როდესაც ამ სილამაზის მთელ ტყეს შესცქეროდა, გრძნობდა რა ძნელი იყო ბავშვობისდროინდელი სურვილის დაკმაყოფილება, ძნელი კი არა, შეუძლებელი, რადგან ბუნება არასოდეს მივიდოდა რუსუდანთან, რადგან რუსუდანი თვით უნდა ხლებოდა მას. სოლო გზა, გზა, რომელსაც უნდა დადგომოდა, არ არსებობდა.

გზა... და თუ ის გზა მაინც არსებობდა, მას ჯოჯოხეთის ყველა წამება უნდა გაევლო ალბათ.

ნელი და უხვად თოვდა. სადაფივით ელავდა ფიფქი, შეუმჩნეველად წვებოდა აბრიალებულ მიწაზე.

---

ნელი ბაგიაშვილი
ხვალ აღარ იქნება თოვლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდიოდა და ისევ ხეებს შესცქეროდა. ცის საფირნსა და თოვლის სადაფში გარინდული მათი სული თავისკენ უხმობდა გოგოს.

წუთით უცნაური აღმაფრენა იგრძნო. თითქოს დაირღვა ის უხილავი ჯებირი, რომელიც მას გარეშო სამყაროსგან ჰყოფდა, სხეულის ცხრაკლიტულიდან გამოსხლტა და უსასრულობაში გადაეშვა თავაწყვეტით.

მაგრამ ეს იყო წუთით.

ისევ ძირს დაეცა. სხეულის სიმძიმე და სიტლანქე იგრძნო.

შეჩერდა.

— თავბრუ დაგეხვა? — წამოეწია ირაკლი, — ზეკით იყურებოდი დიდხანს.

„როცა ირაკლისთან ვარ, სწორედ მაშინ რატომ მაგონდება ბავშვობა?“.

ადამიანის სული ხეთა მაღალ სულზე მძიმე იყო. მას ათასი წვრილმანი სურვილების ქვეშა ეწეოდა დაბლა.

და ისევ ბავშვობა მოაგონდა.

ქვიშით სავსე პატარა ტოპრაკს ათამაშებდა ხოლმე ფეხის წვერით. უხაროდა დიდხანს თუ გააჩერებდა ჰაერში. ასე ხომ არ ათამაშებს ჩემს სულს ეს ხეივანნი, თოვლი, ცა. ჩემი სულიც ქვეშით გატეხილი ტოპრაკი ხომ არ არისო, — გაიფიქრა.

ეწყინა.

გზატკეცილზე ორმა მანქანამ ჩაქროლა. არც ერთმა არ გააჩერა.

— შეიძლება დილამდე ასე ვიდგეთ, — თქვა რუსუდანმა.

— აქვე, ახლოს, ჩემი მეგობრის აგარაკია. იქ გავათიოთ ღამე. მამა რას გეტყვის?

— მაკოცებს.

— აქ დგომა სისულელეა.

— ადრე უნდა გვცოდნოდა ეს.

სიამოვნებდა თოვლში სიარული. ხელებს შლიდა და ხელისგულებზე იგროვებდა ფანტელს. გრძნობდა, ირაკლი თვალს არ აცილებდა და მამაკაცის ყურადღება უცნაური სინაზით უვსებდა თრობამორეულ სხეულს.

— მოვედით, — წამოეწია ირაკლის ხმა და შედგა.

რკინის მაღალი ბადის იქით ელექტრონის ნათურა სუსტად ანათებდა გრძელ, ულაზათო შენობას.

— რა შრიალებს? — იკითხა რუსუდანმა, როცა ჭიშკარი უხმაუროდ გაიღო და ისინი ეზოში აღმოჩნდნენ.

— მდინარე. ბაღის ბოლოს მიედინება.

რამდენიმე საფეხური აიარეს და ირაკლიმ ადვილად იპოვნა რიკულებს შორის დამალული გასაღები.

— მოტორიანი ნავის ყიდვა უნდა ავთანდილს. ბაღის ბოლოს ფაკების ჩადგმაც არ იქნება ურიგო. მდინარის იქით კაკებებზე ნადირობა შეიძლება. მოკლედ... პალტოს გაიხდი?

— ცივა.

ირაკლიმ შეშა შემოიტანა. ოთახში სითბო დატრიალდა და თრობა უფრო მოერიოთ მათ.

— ნეტა მდინარე ადიდდეს და ყველაფერი წალეკოს... გადაგარჩენ. გაგიყვან სამშვიდობოს და ავად გავხდები. დიდხანს და მძიმედ ვიავადმყოფებ. იქნებ ხანძარი გაჩნდეს? რა მოხდება მთელმა სახლმა რომ დენთივით იფეთქოს? ხელში აგიტაცებდი და ისე გაგიყვანდი ცეცხლმოდებული სახლიდან. მთელ ტანზე მომედებოდა ალი, თმა ამიბრიალდებოდა...

ირაკლის უკვე ედებოდა ალი და სიამოვნებით უყურებდნენ მის მწველ ლოკვას.

— მოდი, წავუკიდოთ ცეცხლი სახლს. მინდა გადაგარჩინო...

რუსუდანს გულუბრყვილოდ ეცინებოდა და კაცის ენების ბურუსში ჩაძირული სხეული ყრუ გმინვით ივსებოდა გოგოს გულმართლობის გამო.

— მერე ალბათ მოვკვდებოდი.

გვიან იგრძნო რუსუდანმა, მისკენ რაღაც დაუოკებელი და ყრუ ძალა მიიწევდა. გახეططულმა ვერაფერი მოახერხა, სახიდან ღიმილის ჩამოცილებაც კი დაავიწყდა. აბა, აქ რისთვის წამოვყევეო, — ერთი კი გაიფიქრა მწარედ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწარედ კი არა, სასოწარკვეთით და მერე ის ღიმილი შიშისა და წამების გამომხატველი გახდა.

... აღარ ახსოვდა ეძინა თუ არა.

მის გაქვავებულ თვალებს არც თოვლის დამაბრმავებელი სითეთრე აღიზიანებდა, არც ცის მჭრელი შუქი.

ირაკლი პერანგისამარა დაბიჯებდა. ხან შეშა შემოჰქონდა, ხან ჩაიდანს აკვირდებოდა ზედმეტი ყურადღებით. მაღალი, მკვრივი ტანი და შეშუპებული სახე ჰქონდა.

— ჩაი მზადაა, — ღიმილმა დაუდაღა სახე, — შაქარი აღმოვაჩინე.

რუსუდანს შეტოკებაც არ შეეძლო. თითქოს ტყვია ჩაესხათ მის გამოცარიელებულ სხეულში.

როცა ქალაქში შევიდნენ, რუსუდანმა შეამჩნია, თოვლის თხელ ფენას დაეფარა წინა დღის ტალახი. რატომღაც ეუცხოვა.

მოგვიანებით დაურეკა ირაკლიმ. ერთხანს დუმდა. მერე ძლივს მოახერხა.

— მამა?

— წუხელის არც მამაჩემი ყოფილა სახლში. ახლახან დამირეკა. საღამოს მოვალო, მითხრა, — არ ესიამოვნა ამის თქმა რუსუდანს.

— ფარნას წერილი დამხვდა აქ, — დაიბნა ირაკლი, — ლენინგრადში ყოფილა ის ტუტუცი.

რუსუდანს არაფერი არ აინტერესებდა.

## 5

### რატომ ხდებოდა ასე?

ოცნება გაცილებით უფრო მღელვარე იყო, ტკბილი, გულწრფელი, ლამაზი. ოცნებაში უფრო ცხადად გრძნობდა მამაკაცის სხეულის აბობოქრებას, საკუთარი სისხლის ჯანყს და იმ მშფოთვარე სივრცეებს, მილეული თვალების იქით რომ იწყებოდა.

სად იკარგებოდა ყოველივე, როცა ირაკლისთან ერთად იყო?

უნდობლობა და ეჭვი რად ავსებდა მის სულს, მამაკაცის ალერსი ტკბილივით მძიმე და მომქანცველი რად ხდებოდა?

ცდილობდნენ ელაპარაკათ, ემხიარულათ. სიჩუმისა ორივეს ეშინოდა, რადგან სიჩუმე აუჩარაგებდა მათი ურთიერთობის არასრულყოფილებას.

რაღაც უნდა თქმულიყო, უნდა გაქარწყლებულიყო ის უცნაური, შეურაცხმყოფელი გრძნობა ჩასაფრებისა, ერთმანეთის მიმართ რომ განიცდიდნენ. მაგრამ ძნელი იყო საჭირო სიტყვის მოძებნა.

იქნებ სული უნდა გადაეხსნათ, ყველაფერი ეთქვათ, არაფერი ამოედოთ უნდობლობისა და ეჭვის ლოდებქვეშ? მაგრამ, ვაი თუ პირიქით, გულწრფელობას ის უწვრილესი ძაფიც გაეწყვიტა, მათ სხეულებს რომ აერთებდა.

სად იყო საშველი?

მეტნაწილად რუსუდანი ლაპარაკობდა.

ჰყვებოდა ყველაფერს, რაც ენაზე მოადგებოდა, თან თავშეუკავებლად იცინოდა. მისი სიცილი მხიარული კი არა ისტერიული იყო და სულ ცოტა აკლდა ტირილში რომ გადასულიყო. გრძნობდა თავისი ქცევის მთელ სიყალბეს, მაგრამ რა ექნა?

ირაკლი პასუხად წყნარ ღიმილს აფრქვევდა და ათასში ერთაზელ თუ ჩაურთავდა სიტყვას. რისი მოყოლაც შეეძლო, მან უკვე რამდენჯერმე მოჰყვა და ახლა ცდილობდა მხარი აება რუსუდანისათვის, რაც შეიძლება დიდხანს რომ გაგრძელებულიყო მისი მხიარულება. იმას ფიქრობდა რა ეთქვა, რითი შეეგესო სიჩუმე, უცებ რომ შეეწყვიტა ხარხარი გოგოს.

— ბორჯომი, — გასცემდა ბრძანებას.

— ჩაიცვი, — ესეც ბრძანება იყო.

რუსუდანი მშვენივრად გრძნობდა ამ ბრძანებათა უკან დაბნეული გონება რომ იდგა.

ირაკლიმ იცოდა, საჭირო იყო გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვეტილების მიღება, გადაწყვეტილებისა, რომელიც გუშინდელ დღესთან დამაკავშირებელ ყველა ძაფს გადაჭრიდა, მაგრამ შიშს ახლისას, ხვალ რომ მოსთხოვდა პასუხს, ერთი წუთითაც ვერ სძლევდა.

ვაი, თუ ვერ გასძღოლოდა ხვალინდელ დღეს, ვაი, თუ ქვეყნის დასაცინი გამხდარიყო ეს ნაადრევად გადადგმული ნაბიჯი.

ოღონდ სხვას არავის დაენახა მისი გასაჭირი, ოღონდ სხვა არავინ გამხდარიყო მისი უსუსურობის მოწმე. უსუსური მამაკაცი ხომ ყველაზე საზიზღარი სანახავია ყველა სხვა საზიზღარ სანახავთა შორის.

რატომ იყო ასეთი მარცხიანი ირაკლი?

მარტო თავისი თავი კი არა, სხვაც ბევრი იცოდა, დიდი იმედებით რომ შეაღეს ცხოვრების კარი, მერე ადგილი ვერ მოუძებნეს საკუთარ ნიშს და მომართულ თოჯინებად იქცნენ. სხვები ისეთი ენამახვილობით დასცინოდნენ უიღბლობას, თითქოს მოხარულნიც კი იყვნენ, ასე რომ აეწყო მათი ცხოვრება. ირაკლი კი მალავდა, მალავდა ყველაფერს, რასაც თალხით შეეძლო შეემოსა მისი სახე.

უდარდელი კაცის ნიღაბი იოლი სატარებელი ეჩვენა.

ცხოვრება კი ყველას თავისას სთხოვს და გადასახადი იმდენად დიდი აღმოჩნდა, ირაკლის არ შეეძლო მისი ტვირთვა. ცოლს მათემატიკური თუ პრაქტიკული ნიჭი რომ არა, კაცის უდარდელობა ქვეყნის გასართობად გადაიქცეოდა. ქვეყნის გართობას კი სხვები უკეთესად ახერხებდნენ.

და რადგან გადასახადს სხვა იხდიდა, ის სხვა წყვეტდა კიდეც ყოველ დიდსა თუ მცირე საკითხს. ამან გაახარა ირაკლი. დამოუკიდებლობა მძიმე იყო და სიხარულით დასთმო იგი.

ან რა ბედენაა დამოუკიდებლობის დაკარგვა, თუ კი ამით იძენ ყველაფერ დანარჩენს?

განა ერთსა და ორ ქალს შეჰხვედრია თავისი ცხოვრების ჭრელ-ბაბალეთში არც ერთს არასოდეს არ მოუთხოვია ის, რასაც ინიციატივა ჰქვია. ისინი თვითონ ირჩევდნენ ირაკლის, თვითონ საზღვრავდნენ მათი ურთიერთობის ხანგრძლივობას, თვითონვე უსვამდნენ წერტილს სიყვარულს.

ან რა საჭირო იყო ეტვირთა ინიციატივა? ინიციატივას პასუხისმგებლობის მარაყუჟი მოჰყვებოდა და პასუხისმგებლობისა ეშინოდა მას.

არასოდეს დარჩენილა გულდაწყვეტილი.

რუსუდანთან კი შემთხვევით დაუცდა ფეხი დამოუკიდებლობის ყინულზე, სიმთვრალით თუ მოუვიდა და მერე თავდავიწყებამ გამოუმტვრია ცხრაკლიტული.

რაღა დროს მისი თავდავიწყებაა, ორმოცს გადააბიჯა უკვე.

ხომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს რუსუდანმა გადაჭრას გადასაჭრელი?

ეს შეუძლებლად ეჩვენებოდა ირაკლის.

მას ვერც კი წარმოედგინა რუსუდანს სხვა მამაკაცისათვის რომ შეეხედა თავისი უმწეო, ძაღლური ერთგულებით სავსე თვალებით.

ასეთი თვალების პატრონს არ შეეძლო რაიმე გადაწყვეტილების მიღება.

ადრე, სანამ ის საბედისწერო ღამე დადგებოდა, ირაკლის აღიზიანებდა კიდეც მისი მსგავლი, ჭირვეული ტუჩები და თავხედური სიჯიუტით აღსავსე სხეული. თვალები? იმდენად გრძელი წამწამები ჰქონდა, მათ ჩრდილში ძნელი იყო რაიმე გამომეტყველების დანახვა.

ნეტავი სულ არ ჩაეხედა რუსუდანისათვის თვალებში. იქ იმდენი უმწეობა და ნდობა დაინახა, საკუთარი თავისა შერცხვა კაცს.

ეს თვალები რომ არა, ირაკლის შეიძლება ვერასოდეს ეგრძნო მამაკაცური მეუფების უძლეველობა.

ყველაფერში უმტყუნა ბედმა. ვერც საქმეში დაიმკვიდრა თავისი ადგილი და ვერც პირად ცხოვრებაში, იგრძნო სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთარი სიძლიერე. **აქ კი,** რუსუდანთან, მეფე იყო და ღმერთი. როგორ შელეოდა ამას?

— წავიდეთ, — არც ამ სიტყვას აკლდა ბრძანების გულგრილობა და სუსხი.

მის გაუბედავობას ყველაზე კარგად ბრძანებათა გაცემა ღებავდა თავდაჯერების ოპტიმისტური ფერით.

მაგრამ ბრძანებებს არაფრის შეცვლა არ შეეძლო.

ისინი დიდხანს ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ სადმე, ქალაქგარეთ, სვამდნენ ღვინოს, გრძნობდნენ უნდობლობას ერთმანეთის მიმართ, ცდილობდნენ ერთმანეთის საფიქრალის ამოცნობას და ითვრებოდნენ.

გარეთ კი ილეოდა სინათლე.

სიბნელე და სიმთვრალე ხელის ერთი მოსმით ანთავისუფლებდა მათ სინათლისა და სიფხიზლის ტვირთისაგან.

— საჭიროა დრო, — ფიქრობდა ირაკლი, — საჭიროა დრო, დრო და ადამიანები, ადამიანები, ვისაც შევაფარებთ თავს...

რუსუდანს დედა აგონდებოდა.

აგონდებოდა როგორ ბრუნდებოდა სახლში სკოლიდან. მშვიდი, თბილი, ნათელი იყო დედის სახე. უცებ გაანყობდა სუფრას. ცხელ საჭმელს გემრიელი სუნი ასდიოდა. სულ რუსუდანის კვებაზე ფიქრობდა საწყალი ქალი.

უცნაური სიმყუდროვე სუფევდა ირგვლივ. დღის მილეულ შუქს თუ შემოჰქონდა იგი ოთახში. ასეთი განათება უყვარდა რუსუდანს ყველაზე უფრო. რამდენჯერ უფიქრია, სამოთხეში სწორედ ასეთი განათება იქნებაო უთუოდ.

თუ კი ახლა სადმე არსებობდა დედა, ის აუცილებლად ხედავდა რუსუდანს, ხედავდა და იცოდა ყველაფერი. დედა კი აუცილებლად არსებობდა და სადმე კი არა, აქვე, ახლოს, ჰაერში, ფოთოლში, ბალახში, სიჩუმეში, სიბნელეში, ყველგან, ყველაფერში არსებობდა დედა, ხედავდა რუსუდანს და იცოდა, იცოდა მისი შერცხვენა.

გარდაცვლილი დედისა რცხვენოდა ყველაზე უფრო.

ავთანდილი მაღალი **და ზორცსავსე** კაცი იყო. რომელიღაც ქარხანაში მუშაობდა და კმაყოფილი იყო თავისი ხვედრით.

ღაყღაყა სახე გულგრილობით ჰქონდა სავსე. მალმალ იცოდა მსხვილი, ბეწვიანი თითების გრძელ, მეჩხერ თმაში გაჩრა. **სიცილიც უყვარდა,** მაგრამ სიცილი მის უნდილ სახეს მხიარულების ნატამალსაც არ მატებდა, მხოლოდ ჩაყვიოლებულ კბილებს გამოუჩენდა და ბორხოცისაგან უნთავისუფლებდა უფორმო სხეულს.

უცვლელი თამადა გახლდათ და ხშირად იცოდა პატიების სადღეგრძელოდ სიტყვის წარმოთქმა. იგი ყველასაგან მოითხოვდა პატიებას, მეგობრისაგან, საყვარელი ქალისაგან, ცოლისაგან, მშობლისა თუ უცხო ადამიანისაგან. თითქოს პატიების მეტი არაფერი სჭირდებოდა. ისე უხალისოდ ლაპარაკობდა, ეტყობოდა, პატიება ზომაზე მეტიც უნდა ჰქონოდა.

— ასეთს რას აშავებსო, — ეცინებოდა რუსუდანს.

გვერდით მაღალი და ხმელი ქალი ეჯდა. ქალს სახე ისეთივე **უნდილი** ჰქონდა, როგორც მის კავალერს. მხოლოდ ღიმილი იცოდა სხვაგვარი. თხელ, რბილ ტუჩებს შეარხევდა თუ არა, მაშინვე სარკაზმით ევსებოდა შავი, მსუბუქი ღინღლით დაფარული სახე.

იშვიათად იტყოდა რამეს და თუ იტყოდა, აუცილებლად ვინმეს **უნდა** ჩხვლეტოდა მისი თითქოს და უყურადღებოდ წამოსროლილი სიტყვა.

მის სარკაზმს რატომღაც **იუმორს** ეძახდნენ და გონებამახვილ ქალად მიიჩნევდნენ თანამესუფრენი.

აქ იყო უშანგიც, ტანმორჩილი და მსხვილცხვირა ჟურნალისტი, რომელსაც სულ ახლახან მიეტოვებინა გაზეთი

---

**ნელი გაგიაშვილი**
**ხვალ ალარ იქნება თოვლი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჯერ კარგად ვერ ემჩნეოდა უზრუნველი ცხოვრების ყველა დამახასიათებელი ნიშანი.

სიმღერა უყვარდა და ამით თუ აგონებდა გურამს.

— ოვაციები, ოვაციები, — მოითხოვდა მერე.

მასაც ჰყავდა თავისი კნეინა, წელქვეით მსხვილი და ულაზათო ქალი, სახე უაზრო კმაყოფილებით რომ ჰქონდა სავსე. მოუსვენარი იყო. წამდაუწუმ წამოხტებოდა და მაგიდის გარშემო მოჰყვებოდა სქელი ტანის რხევას. მერე უშანგის წიოწოლა თავს ჩაიკრავდა მომჩვარულ მკერდში და ლოყაზე ეამბორებოდა.

— ასეთი ტანი რომ მქონდეს, ალბათ არასოდეს ავდგებოდი სკამიდან, — უკვირდა რუსუდანს მისი სითამამე.

თვითონ მორიდებით იჯდა და არავის ელაპარაკებოდა. მხოლოდ ირაკლის გაუთავებელ ლაპარაკს უგდებდა ყურს და იღიმებოდა.

ირაკლი მთელი არსებით ეძლეოდა მხიარულებას, სუფრის თითოეულ წევრს იმორჩილებდა თავისი მომხიბვლელობითა და სითამამით, იუმორით, ყოველგვარ უწმაწურობას რომ იყო მოკლებული და სიხალისით, რომლის უკან საკუთარი ღირსებებით გამოწვეული აღფრთოვანება იდგა.

ეს იყო თამაში და ირაკლი არ მალავდა ამას. ბავშვივით უხაროდა მაყურებელი რომ მისდევდა მას.

ღვინოს არ გაეკარებოდა რუსუდანი. გაზაფხულს გამაბრუებელი წვენი უღვინოდაც ათრობდა მას. ერთი სული ჰქონდა როდის მიატოვებდა სუფრას და გარეთ გავიდოდა. გარეთ კი, აბოლებული გზის იქით ან მწვანე მინდორი ელოდა, ან ერთმანეთზე მეთა ფრილი ბორცვები, ალაგ-ალაგ ხეთა ნათელ სიმწვანეს რომ ჩაელაქა.

მოშორებით იქნებ ტყეც ყოფილიყო.

უყვარდა ტყეში სიარული. ფეხქვეშ რბილად ეფინებოდა წინა გაზაფხულს ნაზიმარი ფოთოლი და ნაზი სევდით ავსებდა მას. სინესტის სუნი ტრიალებდა ირგვლივ.

ავთანდილი თავისაკენ ეწეოდა ინესას, გულნარა თვითონ ეკიდებოდა უშანგის ხელს.

ირაკლი შორი ახლოს მისდევდა რუსუდანს და ხმის კი იღებდა.

ან რა უნდა ეთქვა?

მეგობრების საამებლად წარმოთქმული სიტყვა რუსუდანს აუმღვრევდა ისედაც წონასწორობადაკარგულ სულს, რუსუდანის გასამხიარულებლად ნათქვამი კი მეგობრებს აწყენდა უთუოდ.

— გამიშვით, მოვდივარ ჟურნალისტი და ისეთი...

ტყე გულგრილად აძლევდა გზას მათ ხრინწიან ხმასა და ნაბიჯების ლაწალუწს.

გაუძღვნელებოდა იმ ღამის გათევა რუსუდანს.

იწვა თავის ვიწრო საწოლზე, შესცქეროდა გაზაფხულის ნათელ ღამეს და თვალების დახუჭვინა ეშინოდა.

შეურცხყოფილი იყო.

უნდოდა სხვა რაიმეზე ეფიქრა, გონება კი ისევ და ისევ ავთანდილსა და უშანგის იგონებდა, ინესასა და გულნარას სახეებს ნატავდა. აშინებდა მათთან ერთად საკუთარი თავის დანახვა, მაგრამ აზრი, საზღვრის დადგენას რომ მოითხოვდა, დაუნდობელი იყო.

დიახ! ავთანდილი და კამპანია ის ხალხი რიდი ყოფილა, ვისაც საშველის მოტანა შეეძლო რუსუდანისათვის. მაგრამ შეიძლებოდა კი სხვაგან მოხვედრილიყო, თუ არა მათთან?

თურმე სიყვარულიც შეიძლება იყოს კანონგარეშე. კანონგარეშე გრძნობა კი, კანონგარეშე ადამიანებისა არ იყოს, ერთ კანონს ემორჩილება. კანონიერი გრძნობის უღელში ჩაბმულთ არაფერი ესაქმებათ შერცხვენილთან.

შერცხვენილი ისევ შერცხვენილს უნდა შეეფაროს თურმე.

— არ უყვარს ცოლი, — იფეთქებდა პასუხად და მერე დაუსრულებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმეორებდა ამ ერთ, მაგრამ ყოვლისმომცველ ფრაზას.

ეხლა თვალწინ ირაკლის მკვრივი სხეული ეხატებოდა ვიღაც სხვა ქალის გვერდით უგრძნობლად მწოლარე. მერე ხედავდა, თვალნათლივ ხედავდა როგორ შეირწყოდა იგი, როგორ გადაეჭდობოდა ქალს, როგორ დაუწყებდა კოცნას...

თვითდამცირების ამაზრზენი გრძნობით შეპყრობილი უწვრილმანეს დეტალსაც არ გამოუტოვებდა იმ სძაგელ სურათს, როცა ირაკლი ცოლის აღელვებულ სხეულს დაუწყებდა დამშვიდებას.

როგორ შეეძლო კაცს ასეთი თვალთმაქცი?

მას ხომ მხოლოდ რუსუდანი უყვარდა?

— სისულელეა, — სასოწარკვეთილი ხმით სურდა საკუთარი თავის ამოთრევა განწირულების იმ უფსკრულიდან, რამდენიმე წუთის წინ თვითონვე რომ ისროლა.

განა აუცილებელია ქაღალდი? როდის გაზომილა სიყვარულის სიძლიერე ქაღალდით? სისულელეა...

მერე კი აგუგუნდებოდა ღამე.

— გაგდე, გაგდე, გაგდე...

თუ ვუყვარვარ, რატომ არ ცდილობს ამაცილოს ეს საშინელი წამება, რატომ არ მიფრთხილდება?

მის დატანჯულ სულს გვიან ეუფლებოდა მძიმე და ბნელი ძილი.

მეორე დღეს კი მოვიდოდა ირაკლი, კოსტუმს მაშინვე გაიხდიდა, ჩვეული თავისუფლებით გამოხსნიდა ჟურჭლის კარადას, ამოარჩევდა ჭიქებს, გახსნიდა კონიაკის ბოთლს.

კაცის დანახვისთანავე დაეწმინდებოდა ამღვრეული სული, უცნაური სიმშვიდე ჩაუდგებოდა ძარღვებში, ღიმილი გადაურბენდა ნაწმებ სახეს. მაგიდაზე დააყრდნობდა ნიდაყვებს, ლამაზ ნიკაპს ხელისგულებში ჩამალავდა და გაირინდებოდა.

— სახეს ნუ მალავ, — ბრძანებდა ირაკლი.

ნეტავი უსასრულოდ გაგრძელებულიყო ეს წუთი, ნეტავი არასოდეს შეწყვეტილიყო ის დაწმენდილი ნათება, ირაკლის მზერას რომ მოჰყვებოდა თან.

და თითქოს მინდორი იყო რუსუდანი, ჩამავალი მზით განათებული, უკიდეგანო და მწვანე, მშვიდი დიდებულებითა და სიცოცხლის წყნარი ზეიმით აღსავსე.

ირაკლის დაწმენდილი მზერა როდისმე აირეოდა.

— მოდი ჩემთან, — ბრძანებდა.

სინაზე, რუსუდანს სახეს სხივად რომ ადგა, ქრებოდა. სიჯიუტითა და უკმაყოფილებით ევსებოდა სხეული. მშვიდი დიდებულებითა და სიცოცხლის წყნარი ზეიმით აღსავსე მინდორი ცხენების რემას უნდა გადაეთელა თურმე.

ირაკლის ახლებდა ეს სიჯიუტე. გრძნობდა როგორ უსხლტებოდა ხელიდან ქალი, ქალი, რომელიც გუშინ მის გვერდით იწვა. იმდენად ძლიერი იყო წინააღმდეგობა, ზოგჯერ ეჭვითაც ივსებოდა. მართლა ეკუთვნოდა ეს ქალი მას თუ ყველაფერი სიზმარი იყო?

მშვენივრად იცოდა კაცმა, ადვილი იყო რუსუდანის სიჯიუტის გატეხა ვნების ბრმა ძალით. სხეულს შეიძლება ყველაფერი გაკეთებინო, მაგრამ სულს?

— გინახავს ასკილის ბუჩქის მაისობა? იცი როგორია მისი გამშვირვალე ყვავილის სურნელი? მიხვალ, ძალიან ახლოს მიხვალ, თავს ჩარგავ მის ტოტებში და იგრძნობ, ის შორეულია, რაც არ უნდა ახლოს მიხვიდე, დაუცხრომელია, დაუშვიდებელი, მაგრამ მოუხელთებელი, უჩინარი. წყნარად, თავისთვის ზეიმობს დღესასწაულს და არასოდეს არ გაგხდის თავისი დღესასწაულის მონაწილედ. რატომ ჰგავხარ ასე ასკილის ბუჩქის მაისობას?

სხვა რა ეთქვა?

როგორ გამოეხატა ის უცნაური სიშორე, ზოგჯერ რომ ჩამოვარდებოდა მათ შორის და აშინებდა, აბნევდა კაცს?

---

ნელი ბაგისაშვილი
ხვალ აღარ იქნება თოვლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ეთქვა?

ეთქვა რომ ეშინოდა? ეშინოდა რუსუდანის დაკარგვისაცა და პოვნისაც?

ეთქვა, რომ რუსუდანის წინააღმდეგობა მის მამაკაცურ თავმოყვარეობას ამცირებდა? ეთქვა, რომ იგი ამაყი იყო და ამასთანავე მხდალი, რომ ყოველთვის, რაც თავი ახსოვს, სიმხდალე და სიამაყე მასში მოლაპარაკებას აწარმოებდნენ და ამიტომ სიამაყე ვერასოდეს ადიოდა იმ სიმაღლეზე, სადაც მას დაცვა დასჭირდებოდა?

რუსუდანს აღიზიანებდა ირაკლის სიტყვები.

სულ სხვა უნდა თქმულიყო და სხვას ამბობდა კაცი. არც ასკილის ბუჩქის მაისობა აინტერესებდა რუსუდანს და არც მისი სურნელის მოუხელთებლობა. მას ირაკლისთან ურთიერთობის ამორფული სახე აწუხებდა და უნდოდა რაიმე კონკრეტული თქმულიყო. დაე, არაპოეტური ყოფილიყო იგი, არაზეციური, და მიწიერი ყოფილიყო და ერთი შეხედვით, იქნებ ვაჭრულიც. მაგრამ კონკრეტული. ის, რაც წერტილად აქცევდა მრავალწერტილთა ჯაჭვს, დამრეტდა ეჭვის წყაროს, წუთიერ სიმშვიდეს უსასრულობას მიანიჭებდა და სიამოვნებას შეურაცხყოფის ჭუჭყიან ბადეს ჩამოაგლეჯდა.

— მოდი ჩემთან.

— ვერ გაუგია, ვერაფერი ვერ გაუგია, — ცრემლი ახრჩობდა რუსუდანს და უარის ნაცვლად სასოწარკვეთით იქნევდა თავს, — და თუ კი ორ ადამიანს, რომელთაც ერთმანეთი უყვართ, ვერა გაუგიათ ერთმანეთისა, დანარჩენები როგორღა ცხოვრობენ? — არ წყდებოდა ფიქრის უხილავი ძაფი და რუსუდანს მთელი ქვეყანა მარტოსულთა სასაფლაოდ ეხატებოდა.

— რუსუდან!

როგორ ელოდა. რა მძიმე იყო მოლოდინი. ხან სიყვარულით ავსებდა იგი, ხან შურისძიებით უფლეთდა გულს. მერე კი, როცა დადგა მათი შეხვედრის წამი, ისეთი თავგანწირვით ჩაეჭიდა კაცს, თითქოს მხოლოდ მას შეეძლო რუსუდანის გადარჩენა, ამოთრევა სიცარიელის მორევიდან. ნუთუ ასე უნდა დამთავრებულიყო ყოველივე. ნუთუ ამის ღირსი იყო იგი...

რამდენი დღე გავიდა მას შემდეგ? ორმოცდაათი? სამოცი? რა არის სამოცი დღე? არაფერი... რუსუდანს კი ჰგონია მარტის იმ თოვლიან დღეს მთელი საუკუნე აცილებს, საუკუნე კოშმარული სიზმრებისა...

სიცარიელის მორევი კი ისევ ტრიალებს.

. . .

— აღარ წამიყვანო მათთან.

— ფარნას წერილი მივიღე, ისევ ლენინგრადშია.

— ფული ხომ არ შემოაკლდა, გაუგზავნე.

— ფული ჩემთვისაც არა მაქვს მე. მდიდარი ჟურნალისტი თუ გინახავს სადმე.

— შენს მეგობრებს მიხედე. ვერა ხედავ, როგორ ცხოვრობენ.

— ხვალვე შემიძლია რაიმე ისეთი სამსახური ვიშოვნო... მაგრამ ჩემი თავის ამბავი ვიცი, გავაფუჭებ ადგილს. ფულის შოვნას ერთი ისეთი ძარღვი უნდა... სხვათა შორის, ჩემი მეგობრები შენი მეგობრებიც არიან, — იტყოდა შეპარვით და რუსუდანი გრძნობდა ყოყმანის აშლილ ბგერას ირაკლის ხმაში.

მან უკვე იცოდა კიდევ რომ მოუხდებოდა მისთვის არასასურველ ხალხში ყოფნა.

●

ავთანდილი ჯერ დაწვრილებით ჰკვლებოდა აგარაკის მშენებლობის ყოველ წვრილმანს, მერე დათვრა და ხორხოცი დაიწყო.

— მაინც როგორები არიან ქალები. არ მახსოვს ქალი, რომელთანაც ვყოფილვარ, რასაკვირველია, თავისი ქმარი არ ეძაგებინოს. აბა, თუ ერთხელ მაინც მიძაგებია ჩემი ცოლი. საწყალი კაცები.

თუმცა ინესას ავთანდილის სიტყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი არ ეხებოდა, იგი გათხოვილი არასოდეს ყოფილა, მაინც იწყინა, წყენა ირონიული ღიმილით გამოხატა და მშვიდად ისროლა ეკალი.

— ეს იმის ბრალია, ჩემო მტრედო, რომ შენ იმდენად გაიხარწენი, თავის გამართლებაც აღარა გჭირდება.

ავთანდილმა არაფერი უპასუხა, სასწრაფოდ შეავსო ჭიქები და მორიგი სადღეგრძელო წამოიწყო.

— ჩვენი შვილებისა იყოს, ჩვენი მომავლისა, — მერე რუსუდანს მიუტრიალდა და სიამაყით თქვა, — ჩვენ, სამნი, ისეთი მეგობრები ვართ, ვერც ცეცხლი გაგვყრის, ვერც წყალი. სხვათა შორის, ირაკლის ბიჭის ნათლია გახლავარ. ოო, რა ბიჭი ჰყავს, თამამი, უშიშარი. ამას წინ მეზობლის გოგოს უთხრა, თვალები დახუჭე და პირი გააღეო. პირში არ ჩააფურთხა იმ მამაძაღლმა?

— რატომ მარცხვენ, — ეწყინა ირაკლის.

— ჩვენ აივანზე ნარდს ვთამაშობდით...

სუფრას ხითხითმა გადაუარა. მხოლოდ რუსუდანი იჯდა მოქუფრული. მან წესიერად ვერც კი გაიგო ავთანდილის ნათქვამი. როგორც კი ირაკლის შვილი ახსენეს, საშინელმა შეურაცხყოფამ აურია სახე.

მერე კაცებმა მწვადის შეწვა მოისურვეს და ოთახიდან გავიდნენ.

განაწყენებული ინესა გულნარას მიუჯდა და ლაპარაკი გააბა.

— ცოლო, თორემ, მაგასაც რომ ცოლი ჰყავს... ტანი იმას არა აქვს და ფეხი. როგორ უწვება გვერდით...

— ცოლი ცოლია, მოგცლია ერთი...

— რა ვიცი, სამი შვილი კი გაუჩინა და... მიყვარხარო, მეფიცება და კვარტალში ერთხელ თუ გამოიმეტებს რამეს, იმ მახინჯს კი ისე აქვს დამძიმებული თითები ბრილიანტებით, ხელის წამოწევა ეძნელება. სხვათა შორის, ირაკლის ცოლიც მინახავს. არც იმას აკლია სამკაული.

— ამდენი აქვს ირაკლის?

— ქალი შოულობს. მათემატიკოსია. კერძო მოსწავლეები, გამოცდები, რომელიღაც ტექნიკუმში ასწავლის.

— ლამაზია?

— სპილოსა ჰგავს. დედოფალივით კი დადის და...

— ირაკლი დიდებული კაცია. თუ მიატოვა...

— არ მიატოვებს. სად წავა? ბინა მაგას არა აქვს და ფული. თავისი ხელფასი თვითონაც არა ჰყოფნის. ვერა ხედავ რესტორანსაც კი არ ამოირჩევს ხოლმე თვითონ. სახლში ცოლს შესაცქერის თვალებში, გარეთ ავთანდილს.

— კაცნი ვართ...

— მოიცა ერთი, ისეთ ოჯახს სად ეშოვნის, ყელამდეა სავსე... ასეა. ფულს დიდი ძალა აქვს.

— ამ სიბნელეში რასა ზიხართ? — შემოგვრთვდნენ კაცები, — თუ სიბნელეში უფრო იოლია ჭორაობა?

მერე მწვადი მიირთვეს და ღვინით ჩაირეცხეს ყელი.

რუსუდანმა ირაკლი აივანზე გაიყვანა.

— რომელი საათია, — ჰკითხა.

— საათი არა მაქვს, — რატომღაც გაბრაზდა ირაკლი.

— მივდივარ.

— აქ ძნელია მანქანის შოვნა.

— ავთანდილი?

— ავთანდილს ახლა ბულდოზერიც ვერ გაათრევს გარეთ.

— ფეხით წავალ. შენ შეგიძლია დარჩე.

— შეიშალე?

— რად მოგყავდი აქ?

— ჩემი მეგობრები შენ დიდ პატივს გცემენ.

— მაშინ ოჯახში დამპატიჟონ, ცოლის გვერდით დამსვან. ქალს თუ პატივს სცემენ, კახპებთან არ დაჰყავთ. თუმცა არის კი რაიმე განსხვავება ჩემსა და მათ შორის?

აქამდე ჩუმად ლაპარაკობდა, განრისხება მხოლოდ ხელების კანკალზე

---

ნელი გაჩიაშვილი
ჭვალ აღარ იძინებს თოვლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეტყობოდა. მერე ხმას აუწია და ყელზე ძარღვები დაებურცა.

— რატომ უნდა მიაყენონ შეურაცხყოფა ოჯახს? განა შენ მიგყავს სახლში ინესა ან გულნარა?

— მე ჩემიც მეყოფა, — ამოიგმინა ირაკლიმ.

— წადი და შენს ცოლს მიხედე, — პირველად ახსენა რუსუდანმა ირაკლის ცოლი.

— ეჭვიანობ?

— ცოლზე ეჭვიანობა ვის გაუგია. ან რა უფლება მაქვს?

— მშვენივრად იცი, რომ ცოლი არ მიყვარს.

— გაცილდი.

— შვილი?

— რომელი შვილი? მეზობლის გოგოს რომ აფურთხებს პირში?

— კმარა, — ირაკლიმაც აუწია ხმას.

— ამის შემდეგ შენი ცოლი ატარე ამათთან. მადლობელიც დაგრჩება, მერწმუნე.

— ნუ წახვალ. გეფიცები, ამ ღამეს აივანზე გავატარებ.

—ვის იფიცებ? ოჯახი დაიფიცე, ცოლ-შვილი...

რუსუდანმა დაინახა, როგორ გადასერა ირაკლის შუბლი მსუბუქი ნაოჭის მკრთალმა ხაზმა და მისი სახე, სავსე ბავშვური გულახდილობითა და ტკივილით, პატივმოყვარე კაცის გულგრილი ირონიით როგორ შეიცვალა.

ყელში სიმწარე იგრძნო.

სანამ გზატკეცილზე გავიდოდა, რამდენჯერმე წამოჰკრა ფეხი ქვას, წაბორძიკდა და თავი ძლივს შეიკავა, რომ არ დაცემულიყო. ფეხი ეტკინა და ტირილი დაიწყო.

პირველივე ავტომანქანას აუწია ხელი.

— წამიყვანეთ თუ შეიძლება, — ტირილს უმატა.

— კი გენაცვალე, უბედურება ხომ არაფერი შეგემთხვა?

რატომ უყვარდა ეს კაცი?

მას არ შეეძლო არც ერთი დამოუკიდებელი სიტყვის თქმა, არც ერთი დამოუკიდებელი ნაბიჯის გადადგმა, არ შეეძლო თავისი სიყვარულის დაცვა შეურაცხყოფისაგან. მას არაფერი არ შეეძლო მაღალფარდოვანი ფრაზების წარმოთქმის გარდა, რომელნიც არაფერს ავალებდნენ მის კაცობას, არაფრით ტვირთავდნენ მის ხვალინდელ დღეს, არაფრით ეხმაურებოდნენ რუსუდანის სადარდელს.

რატომ უყვარდა რუსუდანს კაცი რომელსაც არ გააჩნდა საკუთარი სახე?

დიდხანს ვერ შესძლო რისხვის ტარება. ნელ-ნელა მოლბა, მოეშვა, მოიმჩვარა. ღონემიხდილ სხეულში ძველი აღშფოთების შერჩენილ ტალღებს მხოლოდ იმის მოგონება-ღა ატოკებდა, მარტო რომ გამოუშვა კაცმა, პატიება რომ არ შესთხოვა.

ხომ შეიძლებოდა უბედურებას გადავყოფილ რასმესო, — აუჟღერდებოდა თავმოყვარეობის შეურაცხყოფილი სიმი, მაგრამ მაშინვე უკან იხევდა, —

რა საჭირო იყოო ცოლის ხსენება.

იქნებ ირაკლის დიდი ხანია უნდოდა რუსუდანის თავიდან მოცილება და მიზეზს ეძებდა?

სხვა ქალისაკენ ხომ არ გაუწია გულმა?

იქნებ ახლა, ამ წუთში, სხვას ეფერება, სხვის მკერდში იგრილებს მხურვალე სახეს?

არა, შეუძლებელია, უყვარდეს ცოლი. არც თავის დროზე ეყვარებოდა. როგორ შეიძლება მახინჯი ქალის სიყვარული? თავი კი ალბათ დიდი ვინმე ჰგონია იმ ქალს. კაცმა არ იცის, ქმარმა რომ მიატოვოს, გადავიდეს ხელიდან ხელში. ცოლები პატიოსნები ჰგონიათ კაცებს. ან ვის რად უნდა? კაცი არ შეხედავს ზედ. ტყეში ხეზე რომ მიაბა, მგელიც არ შეჭამს. ნეტავი მიატოვოს ცოლი... ავთანდილმაც მიატოვოს, უშანგიმაც... ვნახავდით მერე..

არა, არ უყვარს ცოლი. როგორ შეიძლება გიყვარდეს ქალი, რომელსაც ღალატობ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წუთებში რუსუდანს ეზიზღებოდა ყველა ქალი, ყველა, ვისაც ცოლი ერქვა და ბრაზი ახრჩობდა იმის გამო, რომ ეს ზიზღი უნაყოფო იყო, ბერწი, რომ არც მის სიყვარულს, არც მის სიძულვილს არაფრის შეცვლა არ შეეძლო, რომ სიყვარული სიძულვილივით ბოროტი ზრახვებით უვსებდა გულს და ვერ გაეგო, ბოლოს და ბოლოს, უყვარდა თუ სძულდა ირაკლი.

არც იმ ქალს ეყვარება ქმარი. ადამიანი ძაღლი ხომ არ არის, სისტემატური შეურაცხყოფის მიუხედავად პატრონის ერთგული დარჩეს? ადამიანი ძაღლი არ არის და ღალატი, ეჭვი ბოლოს და ბოლოს შურისძიებად აქცევს სიყვარულს.

რატომ არ დაცილდებიან?

შვილი?

განა შეიძლება მისი აღზრდა სიცრუით, ღალატით, შურისძიებით? ბავშვი ხომ მშვენივრად გრძნობს ყველაფერს.

როდის, როდის მოვა ირაკლი...

ეს ირაკლის ნაცრისფერი თვალების შეშლილი და უაზრო მზერით იყო სავსე, გაზაფხული ირაკლის თავდავიწყებით ზეიმობდა სიმწვანეს, ჰაერი ირაკლის გრილი და აღელვებული სუნთქვა იყო და სხვა არაფერი.

და როცა ირაკლი მოვიდა, რუსუდანს არც ძალა ჰქონდა, არც სურვილი გაეგრძელებინა ერთი კვირის წინ დაწყებული უსიამოვნება.

— გამოგეკიდე, მაგრამ ვეღარ დაგეწიე. დაგინახე, როგორ ჩაჯექი მანქანაში, ისე მეგონა, წამართვეს-მეთქი შენი თავი. მომდევნო მანქანას გამოვეყევი, დაგეწიე. დაგინახე, როგორ ახვედი სახლში, მერე შუქიც აინთო შენს ოთახში. იმის მეასედდაც რომ გიყვარდე, როგორც მე მიყვარხარ... მაგრამ შენ ჯერ არ შეგიძლია ეს, შენ ჯერ პატარა ხარ... რომ იცოდე, რამდენჯერ დამიწყევლია ის ღამე, რამდენჯერ დამიწყევლია...

მას სურდა ბოლომდე გაეხსნა სული, ეთქვა რომ ბევრ ქალთან გაუთევია ღამე. ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ. ერთნაირად ჰქონდათ დახატული თვალები, ერთნაირი საღებავით ჰქონდათ შეღებილი ტუჩები, ყველას ერთნაირი სუნი ასდიოდა, სიმსუყისა თუ უხამსობის, ოფლის მოტკბო და მძაფრი სუნი.

რუსუდანი სულ სხვაა, იგი ჰაერია, გაზაფხულის ყვავილების სურნელით სავსე.

სამსახური?

როცა პროფესიად ჟურნალისტიკას ირჩევდა, ეგონა, ცხოვრების შუაგულში იტრიალებდა, ენერგიული და უშიშარი, ყოველ სიტყვას ყუმბარის ძალას მიანიჭებდა, მკითხველს აუწრიალებდა გონებას.

არც ენერგია ეყო, არც სიმამაცე. ან ვინ რას ეკითხებოდა ირაკლის?

როგორ ეთქვა ყოველივე ეს?

როგორ ეთქვა, რომ რუსუდანს იქით მისთვის აღარაფერი არსებობდა, რუსუდანს იქით უფსკრული იყო, უფსკრული ყოველდღიური უწმაწურობისა?

რატომ დაწაწწალებდა ამდენს?

რაღაც უხილავი ბადიი იყო შებორკილი თავის განთავისუფლებას ლამობდა. ეგონა, ხვედა ამ ბადეს.

რუსუდანია მისი თავისუფლება.

ძნელი ყოფილა თავისუფლების ტარება, მძიმე ყოფილა თავისუფლების ტვირთი...

არა...

არა...

სანამ ირაკლი მოვა, ერთი ათჯერ მაინც გააღებს რუსუდანი კარს, ეჩვენება, თითქოს აკაკუნებენ. კაკუნი რაა, ირაკლის მსუბუქი ნაბიჯების ხმაც შემოესმება ხოლმე. ირაკლიმ წყნარად იცის დაკაკუნება, ზარს არასოდეს რეკავს. სულ იმის შიში აქვს რუსუდანს, ვაი თუ ვერ გაიგონოს. ზოგჯერ ისე შებორკავს შიში, კარს ღიადაც კი სტოვებს ხოლმე.

ირაკლის წასვლა კი ირაკლის დაკარგვას ნიშნავს. და უკვირს, უკვირს

---

ნელი გაგიაშვილი
ხვალ აღარ იქნება თოვლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რუსუდანს, როგორ** ცოცხლობს იგი ირაკლის ხელმეორედ გამოჩენამდე.

ირაკლის რუსუდანის გარდა უამრავი საქმე აქვს, უამრავი სადარდებელი, უამრავი მეგობარი და კეთილისმსურველი, რუსუდანი კი მხოლოდ ირაკლის მესაქეერის, მხოლოდ ირაკლითი ცოცხლობს, მხოლოდ ირაკლის ევლება თავს მთელი მისი სინაზე. რუსუდანისათვის ირაკლის შეშლილსა თუ წმინდანის თვალებში გამოკეტილა მთელი ქვეყნიერება და ამ თვალების იქით არ არსებობს აღარაფერი. ყველაფერი ირაკლისა ჰგავს, ცაცა და მიწაც, ხეცა და ქვაც, ქუჩაცა და ქალაქიც, მზეცა და წვიმაც, სინათლეცა და სიბნელეც, სიცოცხლეცა და სიკვდილიც...

**რა** არის რუსუდანი უირაკლოდ? უდაბნოს ქვიშაა, ქარისაგან ბორცვებად მიგროვილი.

ირაკლი კი რუსუდანისათვის თავისი ცხოვრების მხოლოდ ნამეცეცებს იმეტებს... ეს განა საყვედურია, განა მეტს ითხოვს რაიმეს გოგო, არა... ისე...

— შვებულებას ყოველთვის სექტემბერში ვიღებდი. ახლა აგვისტოში ავიღებ. ერთად დავისვენოთ საღმე. გიყვარს ზღვა?

— ძალიან.

— დავწვეთ ზღვის ნაპირზე და ვუყუროთ ცას. არაფერი ისე არ მიყვარს, როგორც ცა, ღრმა, უსასრულო... მერე დავბრუნდებით ქალაქში და ლექციებზე დაიწყებ სიარულს. აღდგენის საქმე ნუ გაფიქრებს, მე დაგეხმარები.

იმ ღამეს სიზმარი ნახა.

გზა უსასრულოდ გრძელდებოდა. ბინდს ძაძით შეემოსა ტყე, გზას ორივე მხარეს რომ მიუყვებოდა. ლოდები ეყარა ყველგან. ლოდებით კი არა, ცხოველთა გაქვავებული გვამებით იყო მოფენილი მიწა. მათი ღიად დარჩენილი თვალებიდან სიკვდილი იყურებოდა. მისი ბასრი, ირონიული მზერა სადღაც, რუსუდანის მიღმა მიემართებოდა. რუსუდანმა თვალი გააყოლა ამ მზერას და ვერაფერი დაინახა. უკან, ტყეცა და განვლილი გზაც შედედებულ ნისლს შთაენთქა.

შორს, ძალიან შორს, რაღაც შეინიშნა. რუსუდანმა იგრძნო, ირაკლი უნდა ყოფილიყო იგი. გაიქცა. ეშინოდა, ლოდებად ქცეული გვამებისათვის არ წამოეკრა ფეხი, არ გაეწყვიტა სიკვდილის ერთმხრივ მიმართული მზერა.

წერტილი სწრაფად იზრდებოდა და რუსუდანი უკვე ხედავდა ირაკლის. საცაა ერთმანეთს გადაეხვევიან, სულ რამდენიმე ლოდი აშორებთ მათ, რამდენიმე გაქვავებული გვამი ცხოველისა. აღარც სიბნელისა ეშინია რუსუდანს, აღარც ლოდებად ქცეული გვამებისა, აღარც სიკვდილის ბასრი, ირონიული მზერისა. ოღონდ ირაკლი ჰყავდეს გვერდით, ოღონდ ირაკლი ნუ მოსცილდება.

უცებ, მასსა და ირაკლის შორის მანძილი იზრდება. თითქოს გზა რეზინისა ყოფილიყოს და ვინმეს გადაეჭიმოს იგი. რუსუდანი ახლა იმ წერტილსაც ვეღარა ხედავს, ადრე რომ ხედავდა, მაგრამ იცის, წინ ირაკლია...

ისევ უახლოვდებიან ერთმანეთს, მაგრამ გზა ისევ იჭიმება და ყველაფერი შორეულ სიბნელეში ინთქმება. მის წინ მხოლოდ ლოდებია, ლოდები კი არა, ცხოველთა გაქვავებული გვამები, რომელთა ღიად დარჩენილი თვალებიდან სიკვდილის ირონიული მზერა იმართება სვეტად.

ისევ წინ მიდის რუსუდანი. ძლიან მიათრევს ძალაგამოლეულ სხეულს, მუხლები უკანკალებს, დამძიმებული თავი მკერდზე ჩამოვარდნია. უახლოვდება ირაკლის. ისეა მოქანცული, სიხარულსაც კი ვერა გრძნობს. კაცის სახესა და სხეულს გულგრილად ათვალიერებს.

ცოტა დაასვენეთ რუსუდანი, დასვენეთ...

მაგრამ იჭიმება ქუჩა და ირაკლი აღარსადაა. მუხლები ეკვეთება და ლოდებზე იჩოქებს: ეს ლოდები კი არა ცხოველთა გვამებია...

დგება და მიდის, მიდის, მიდის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 6

ავთანდილის მოსვლამ გააოცა რუსუდანი.

პირველი წუთების უხერხულობა ადვილად დასძლია კაცმა, მერე მაგიდაზე გადაწვინა თავისი ქონმორეული ტორსი და ღიმილით თქვა:

— რა მოხდება ერთი ორი კვირით სადმე რომ გადავიკარგოთ? მაგალითად ბალტიისპირეთში. ყოფილხარ ტალინში?

— არა, — რუსუდანმა ვერ გაიგო რას მოითხოვდნენ მისგან.

— ნურავის ნუ ეეტყვით. უცებ გავქრეთ. ზოგჯერ ისიც კარგია შენი ასავალ-დასავალი რომ არავინ იცის. იქ ისეთ ხალხს ვიცნობ, საზღვარგარეთიდან მიღებულ ამანათებს ჩემს თვალწინ რომ ხსნიან. თან საქმესაც გააკეთებ, შეივსებ გარდერობს.

— ირაკლი?

— რა შეუძლია ირაკლის, — გადაიხარხარა კაცმა, — სულ იმას ვფიქრობდი რატომ არ მოჰყავს-მეთქი იმ ბაქიას რუსუდანი ჩვენთან. ხომ არ შემატყობ-მეთქი რაიმე.

— ირაკლის ვეტყვი, — თქვა რუსუდანმა.

გაოცდა ავთანდილი, ბოროტი ხითხითით აევსო ქონი.

— ვითომ?

მისმა თავდაჯერებულმა, მშვიდმა სიბილწემ გააოცა რუსუდანი. პირველივე წუთებში ვერ იგრძნო შეურაცხყოფის მთელი უწმინდურება. რატომღაც მოიქანცა, მოდუნდა.

მერე, როცა გონს მოვიდა, ატირდა.

როგორ მოიქცეს? უთხრას ირაკლის?

უნდა უთხრას.

იცოდეს რა მეგობარიცა ჰყავს.

სხვას ვის შეუძლია რუსუდანის სახელის დაცვა? არავის!

ეტყვის, მაგრამ ამის თქმას რომ უბედურება მოჰყვეს? ირაკლიმ რომ მოჰკლას ავთანდილი? ტალახში ამოისვრება რუსუდანის სახელი, ვიღაც კახპამ სასიკვდილოდ გადაჰკიდა ერთმანეთს ორი მეგობარი, იტყვიან. ირაკლიც დაიღუპება...

არ უთხრას და როგორ გადაიტანოს გაუმხელელი დარდი, როგორ შეეგუოს საკუთარ უძლურებას?

უნდა უთხრას!

არა!

სანამ ირაკლი გამოჩნდებოდა, ერთი ათჯერ გადაიფიქრა, ეთქვა თუ არა, მაგრამ როცა კაცის მომღიმარ, ბედნიერ სახეს შეხვდა, გამწარდა.

— ეს ბედნიერია და თავისი ბედნიერებით რატომ უნდა მაუბედურებდეს მეო, — გაიფიქრა.

უთხრა.

უნდოდა წყნარად მოეთხრო ყველაფერი, მაგრამ ცრემლი მოაწვა, ტირილს რომ არ დაეფარა სიტყვები, ყვირილი დაიწყო.

ვერ შეამჩნია როგორ გაფითრდა ირაკლი, როგორ დაეშვა სკამზე, როგორ აიფარა ორივე ხელი სახეზე.

მერე, როცა დამშვიდდა, კი არ დამშვიდდა, თავი დაიმორჩილა და აკანკალებული ხელებით სახეზე ღვარად ჩამოსული ცრემლი მოიწმინდა, შეეშინდა.

ირაკლი სახეზე ხელაფარებული იჯდა და მხოლოდ ერთ სიტყვას იმეორებდა.

— მოვკლავ.

ამ სიტყვას არ ახლდა არც რისხვის, არც შურისძიების კვალი. იგი შეურაცხყოფისაგან გაოგნებული, ძალგამოცლილი კაცის ნაღველი უფრო იყო, მწარე, მომაკვდინებელი.

მთვრალი ხომ არ იყო? — ამოილუღლუღა ირაკლიმ კარგა ხნის მერე, მაგრამ ხელები არც ახლა მოუცილებია სახისათვის.

— არა, — მკვახედ წამოიძახა რუსუდანმა.

— არა?

— არა.

---

ნელი გაგიაშვილი
ხვალ აღარ იქნება თოვლი

— ნასვამი იქნებოდა.

— შეავმჩნევდი.

— შენ მეც ვერ მამჩნევ ნასვამი ვარ თუ არა.

რუსუდანი მიხვდა, უკან დასახევ გზას ეძებდა კაცი. მკერდში ისეთი ტკივილი იგრძნო, თითქოს გული საღაც უფსკრულში ჩაეჩეხა.

ამოსუნთქვა გაუჭირდა.

— ქალი ისეთი რამაა... რა ვქნა, მოვკლა?

რუსუდანი მიხვდა რას მოითხოვდა მისგან ირაკლი.

კაცი ტიროდა, უხმოდ ტიროდა, უცრემლოდ ტიროდა.

რუსუდანმა იგრძნო, როგორ ტიროდა იგი.

მთელი ღამე გულღიმა იწვა. ჭერისათვის მიეყურსმა შეშუპებული სახე.

ზურგი დაუბუჟდა და არ განძრეულა, ყელი გამოუშრა და წყალი არ გადაუყლაპავს, ცრემლი არ მოსდგომია მის გაქვავებულ სახეს.

არაფერი აღარ სჭირდებოდა, საკუთარი სიცოცხლეც კი.

სადამდე მივიდა რუსუდანი.

მამაკაცები ერთკვირიან სიყვარულსა სთხოვენ და არავინაა, არავინ, მისი სახელის დაცვისათვის თავი რომ გამოიდოს, საკადრისი პასუხი რომ გასცეს კაცს, ვინც რუსუდანი შეურაცხყო.

ირაკლი, ირაკლი...

რა დავაშავე ამის ფასი, მე ხომ მიყვარდი?..

ნუთუ საკმარისი არ იყო ყოველი ღამე ჯოჯოხეთად რომ მქონდა გადაქცეული. ყოველი დილა მოლოდინის შხამით და ყოველი საღამო მიტოვებული ქალის ცრემლით რომ მქონდა სავსე?

ამიტომ ხომ არ გავბოროტდი, ამიტომ ხომ არ დავუწყე სხვის ცოლებს გინება, ამიტომ ხომ არ ამევსო გული ღვარძლით?

ვუყვარვარ?

რა ფასი აქვს სიყვარულს, რომელიც შეგიხვნა თუ არა, მაშინვე სიბინძურედ გაქცევს?

ნუთუ ვერა გრძნობს ირაკლი, რომ ქალისათვის, რომელიც უყვარს, უბედურების მეტი არაფერი მოაქვს?

მხდალია ირაკლი.

ყველაზე ლამაზს, ყველაზე ჭკვიანს, ყველაზე კეთილ კაცს მთელს დედამიწის ზურგზე, ცხოვრებისა ეშინია. მაშინ რა ფასი აქვს სილამაზეს, ჭკუას, სიკეთეს მისას?

რუსუდანს კი ეგონა მეფობისთვის იბადებოდა მამაკაცი.

რამდენჯერ უფიქრია, რატომაა რომანებს აუცილებლად სიყვარულზე რომ სწერენო. თურმე მხოლოდ სიყვარულში, მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულში ავლენს ადამიანი მთელ თავის სამყაროს.

დაუნდობელი ყოფილა სიყვარული, საშინელი... სამკვდრო-სასიცოცხლო გამოცდა ყოფილა, სამკვდრო-სასიცოცხლო...

როგორ უნდა გავიდეს ქუჩაში, როგორ უნდა შეხედოს ხალხს, მამას როგორ უნდა აჩვენოს შერცხვენილი სახე?

ძნელი ყოფილა ცხოვრება.

●

რა ბედნიერი იყო რუსუდანი მაშინ, დახეულ სანდლებს რომ დაუკერებდა მამა. ამაყად დაბიჯებდა ეზოში, უნდოდა ყველასათვის ეჩვენებინა დაკერებული ფეხსაცმელი.

რა უდარდელი იყო მეზობლის გოგო ეკატერა რომ ასწავლიდა.

ერთხელ სბავშვო ბაღიდან გამოიპარა. მოედანზე გავიდა. ხალხისა და ავტომანქანების სიმრავლემ დააფრთხო. უკანვე დაბრუნდა და კუთხეში იდგა მთელი დღე. დასაჯეს. იტირა კიდეც. დედას არ უთხრათო, იხვეწებოდა.

როგორ გაბედა კრიალოსნის მოპარვა? ბაბუის ნაქონი კრიალოსანი მოჰპარა დედას და სბავშვო ბაღში წაიღო. თითო-თითოდ ჩამოურიგა ბავშვებს. ძალიან კარგად ახსოვს, იმ დღეს მეზობლის ფინიამ უკბინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ქალაქის ცენტრში ცხოვრობდნენ, მაღალი შენობის მეოთხე სართულზე. ავეჯით გაჭედილ პატარა ოთახში სათამაშო ადგილი არ იყო. საწოლის ქვეშ შეძვრებოდა და იქ თამაშობდა.

ფიდი ეზო ჰქონდა სახლს, მოასფალტებული.

შენობის სახურავს უამრავი მერცხლის ბუდე აჭკერია. წვიმა ისე არ გადაივლიდა, ერთი ბუდე მაინც რომ არ ჩამოენგრია. ძირს ჩამოცვივდებოდნენ ბარტყები. ბარიერზე გაამწკრივებდა სიცოცხლეებს. იდგა და შესცქეროდა მდუმარედ.

— მერცხალს არ მოჰკიდო ხელი, ჭორფლს დაგაყრის, — ჩამოსძახოდა ზევიდან დედა.

ეზოს მოხატვა უყვარდა.

სახლებს ხატავდა.

სახლს რამდენიმე ოთახად დაპყოფდა. დიდხანს ფიქრობდა სად დაედგა საწოლი, გარდერობი, მაგიდა. გარდერობში ჩამოჰკიდებდა ტანსაცმელს, ჭურჭლის კარადაში შეალაგებდა მოხატულ ჭიქებს. სამზარეულოში ხომ თავისუფალ წერტილსაც არ დატოვებდა. სათითაოდ ჩაიწერეებდა სხვადასხვა ზომის კოვზებსა და დანებს, თარიზე ჩამოარიგებდა ქვაბებს.

სახლის გარშემო კი დათოვლილი ტყე თვლემდა.

აქ ყველაფერს თავისი მკაცრად განკუთვნილი ადგილი ეჭირა, ყოველი უბრალო საგანი დიდსა და აუხსნელ ძალას ატარებდა.

ცარცით მოთხუპნული აუვიდოდა დედას. დღეში რამდენჯერ უნდა დაგანაოო, — წყრებოდა ქალი.

ერთხელ იმდენი ითავხედა, საწოლის ფეხზე მიაბა დედამ. რა ჩაიდინა ასეთი?

ისიც მშვენივრად ახსოვს, დედას ჰკიდა რომ მოჰპარა და ტუჩები შეიღება წითლად. მერე სამზარეულოს ფანჯარა გამოაღო და ეზოში გადაიხედა. სურდა ყველას დაენახა როგორ უხდებოდა საღებავი.

იმ დღეს ესტუმრა მეზობლის ბიჭი.

— ლამარა უყვარს კახას, — აჩურჩულდა, — ლამარა კიბეზე ადიოდა, კახამ თქვა ჩემი გოგოაო.

მერე სკოლაში დაიწყო სიარული.

ზოგჯერ ათ კაპიკს აძლევდა მამა.

ბაზად კიოსკი ეგულებოდა. კიოსკში ერთი მოსული, ღაღადაჯა კაცი ვაჭრობდა. ათ კაპიკად თხუთმეტ მომპასეს აძლევდა. სანამ სკოლამდე მივიდოდა, წუწნიდა კანფეტს.

სკოლიდან დაბრუნდებოდა და დედა პურზე გაგზავნიდა. ხურდა ფულს ჩაბღუჯავდა. ეშინოდა არ დაჰფანტვოდა.

ერთხელ, პური რომ ამოჰქონდა კიბეზე მეზობლის ბიჭი შეხვედა. რატომღაც დაიბნა და დაბნეულობის დასაფარად შეათამაშა პური ხელში. პური ხელიდან გაუვარდა და კიბეზე დაგორდა. აღარ აიღო. შერცხვა. იმ საღამოს ცემა დეღამ.

ხომ არ მოსწონდა ის ბიჭი?

აღარც სახელი ახსოვს მისი და აღარც სახე.

მალე ქალაქის ახალ რაიონში გადასახლდნენ საცხოვრებლად.

ზოგჯერ ირდადგებზე სოფელში მიჰყავდა დედას.

სოფლის ბავშვები ღობესთან მოგროვდებოდნენ და ჩუმად დაუწყებდნენ თვალთვალს. ერთხელ ქვა ესროლეს. შუბლზე წვა იგრძნო. არა სტკენია. წყალთან მივიდა და შუბლი მოიბანა. სისხლის ბლანტი სითხე იგრძნო თითებზე, შეეშინდა, ატირდა.

სოფელში ერთ გოგონასთან მეგობრობდა. გოგოს მშობლები სახლს იშენებდნენ და თითოეული კაპიკი იმ სახლის მშენებლობას თუ ხმარდებოდა, რადგან გოგოს ერთი კაბის მეტი არა ჰქონდა რა. გაურკვეველნენ იმ კაბახ და სანამ არ გაშრებოდა, გარეთ ცხვირსაც არ გამოჰყოფდა. თავისი კაბა აჩუქა. გოგო ისე დაიბნა, არ იცოდა რა ეთქვა. მადლობა არ მოუხდია, ატირდა.

---

**ნელი ბაბიაშვილი**
ხვალ აღარ იქნება თოვლი

მშიშარა იყო. რუსუდანს მელიის ნიღაბი ჰქონდა წაღებული. როცა იმ ნიღაბს აიფარებდა, დაფრთხებოდა გოგო, ახლოს არ გაეკარებოდა თავის ქალაქელ მეგობარს.

მერე მოსაღამოვდებოდა. საწოლში შეიკეტებოდა რუსუდანი, სინათლეს აანთებდა, დედის ხალათს სახელოებით წელზე შემოიხვევდა, სარკის წინ დადგებოდა და იწყებოდა უბედნიერესი წუთი...

— გარეთ გამოდი, ოთახში რას აკეთებ, გოგო, — ეძახდა დედა.

გადიოდა დრო და რუსუდანი გრძნობდა, მისი სხეულიც და გონებაც რაღაცას ელოდა. ეს მოლოდინი არა ჰგავდა სწავლის დაწყების მოლოდინს, არც სოფელში გამგზავრების მოლოდინი იყო ეს. იგი ზეიმს უფრო ჰგავდა და რუსუდანს ვერ გაეგო რითი ჰგავდა ზეიმს.

არავინ იცის რამდენჯერ იწვევს ადამიანი ბავშვობის ერთი შეხედვით უმნიშვნელო სურათებს თავის გადასარჩენად.

რა გადაურჩა დროის მსახვრალ ხელს იმ მშვენიერი დღეებიდან? არაფერი, გარდა რამდენიმე წიგნისა, დედის ლამაზი ხელით რომ ეწერა რუსუდანის სახელი და ის მღელვარება, სარკის წინ გათამაშებული სცენებიდან რომ მერჩა.

**რატომ ივიწყებენ** ადამიანები ბავშვობისდროინდელ ოცნებებსა და სურვილებს? **რატომ** ჰკარგავენ მათ ყოველდღიურ **უსიამოვნებებთან** და ყოველდღიურ **სიამოვნებებთან ჰიდილში?**

რა იცოდა, თურმე სულ მცირედიც რომ დაუთმო საკუთარ თავს, დანარჩენს ისე დაითრევს, არავისი მოერიდება. თურმე **სწორედ** საკუთარ თავს უნდა ჩაუსაფრდე, გასაქანი არ მისცე, არაფერი პატიო.

აპატიებ და ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ დასთმობ საკუთარ სახეს, მიეჩვევი სულის ყრუ გმინვას და მერე აღარაფრისა შეგრცხვება.

ოდესღაც სულ სხვა ჰქონდა რუსუდანს საოცნებო. დაუოკებელი იყო. ეზაზინ მისი სიყვარულიც, სიძულვილიც, მრისხანებაც. უძლეველი ეგონა თავი. მერე დაავიწყდა ყველაფერი. რა მოხდა ისეთი, რა ჩადგა მასსა და მის ბავშვობას შორის, რამ დააკარგვინა ის, რაც ყოველთვის მასთან უნდა ყოფილიყო, დატოვა მარტო, გამოფიტა, დააცარიელა.

სიცარიელემ თუ აზიდვინა შეურაცხყოფის უმძიმესი ტვირთი.

საცაა ოცდაორი წლისა გახდება. ბევრი კარგი უნახავს და ბევრი ცუდი. არც კარგისათვის გადაუხდია მადლობა და არც ცუდისათვის მიუზღავს საკადრისი.

**ირაკლი...**

**მაგრამ არის კი განსხვავება მასსა და ირაკლის შორის?**

არავითარი.

ორივეს **ერთი** ბოლო აქვს, ერთი დასასრული. ეს **გაუფასურებაა** იმისა, რაც ყველაზე ძვირფასი უნდა იყოს, ყველაზე დიდებული, ყველაზე მართალი.

**რუსუდანს** დედა მოაგონდა.

მოაგონდა მისი ზიზღით მოკუმული ტუჩები და გარღვეული ქუთუთოებიდან გამომზირალი **გაქვავებული** შუქი. სულს, **განთავისუფლებულს** სხეულის სიმძიმისაგან თუ სიბნელისაგან, თითქოს უკანასკნელად გადმოეხედა თვალების ამ უმცირესი ჭრილიდან, ზედ შეეტოვებინა მიწიერ სურვილთა უაზრობა და სიწვრილმანე და გამქრალიყო, გამქრალიყო თავისუფალი, ცარიელი, გულგრილი.

●

რუსუდანმა წიგნების კარადა გამოაღო და ერთ-ერთ წიგნს მოავლო ხელი. ეს წიგნიც, ისევე როგორც ყველა სხვა, დედის ნაჩუქარი იყო. (**რუსუდანი** თვითონ იშვიათად ყიდულობდა წიგნებს). ზედ ლამაზი, დახრილი ასოებით წაეწერა დედას თავისი და **რუსუდანის** სახელები. შუაზე გადაშლა წიგნი, რამდენიმე წინადადება ამოიკითხა, რატომღაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგა და ბოლომდე ჩაიკითხა გვერდი. ცრემლით აევსო სახე და ისევ თავიდან დაიწყო კითხვა.

— «Путь вашей жизни пройдите так, чтобы жить — чтоб на этом прекрасном пути ни к вам ни к кому-либо, с кем вы на нем столкнетесь, не прикоснулись ни грязь, ни смерть. Ищите везде добро и обноружив, вытаскивайте, как бы глубоко оно не было скрыто. Ему нечего стыдиться и прятаться. Оберегайте и рас ите даже самые мельчайшие крупицы человечности: это то, что противостоит смерти, хоть и само преходяще. Открывайте во всем светлое, чистое, то, что не может быть запятнано. Если в чем-либо сердце добродетель, преследуемая всеобщим глумлением, затаилось в испуге и скорби, ободрите ее. Не поддавайтесь поверхностным впечатлениям: они не достойны ясного взора и чистого сердца. Не подчиняйте себя никому, но и себе никого не подчиняйте. Помните: каждый человек это подобие вас самого. Вина любого — ваша вина, и все невинные делят свою невинность с вами, поймите это. Не стыдитесь быть добрым и нежным, но если когда-нибудь на пути вашей жизни наступит черед убивать — убивайте и не раскаивайтесь. Путь вашей жизни пройдите так, чтобы жить — чтоб на этом чудесном пути не увеличивать страдания и горести мира, но улыбкой приветствовать его безграничную радость и тайну».

მერე ხმამაღლა ატირდა.

დაიღალა.

ახლა საკუთარი თავის დანახვა რომ შესძლებოდა, გაოცებას ვერ დაფარავდა. წმინდანის სახეს დამსგავსებოდა მისი ფერდაკარგული, გრძელი სახე. მთლად გათეთრებოდა ტუჩები, თვალებისათვის უცნაურ, შიშისმომგვრელ სიმშვიდეს გადაეფარებინა თავისი ფრთა.

„ნუთუ აუცილებელია ცოდვის ჩადენა, იმისათვის რომ წმინდანად იქცე?“

მეორე დილით დაურეკა ირაკლიმ, — „ავად ვავხდი, სიცხემ ამიწია და გუშინაც ამიტომ ვერ მოგაკითხეო, — უთხრა.

— აღარ მომაკითხო არასდროს, — უპასუხა მშვიდი, გულგრილი ხმით.

— მოვდივარ, — იყვირა ირაკლიმ.

რუსუდანმა ყურმილი დაუშვა.

სასწრაფოდ ჩაიცვა, რამდენიმე საჭირო ნივთი ჩააგდო ჩანთაში და სამსახურში მიადგა მამას.

— თბილისში რაღა მინდა, ყველაფერს მოვრჩი. წავალ სოფელში, ნათესაობას მოვინახულებ და ცოტას დავისვენებ კიდეც.

მამამ რამდენიმე ათმანეთიანი მისცა და გაიფრთხილა.

— ბავშვებს უყიდე რამე, ხელცარიელი არ ჩახვიდე, სირცხვილია.

რუსუდანს ის გოგონა მოაგონდა მელიის ნიღბისა რომ ეშინოდა და ისე მოუნდა მისი ნახვა, ავტობუსისათვის რომ ვერ მიესწრო, ფეხით გაუდგებოდა გზას.

„იქნებ გათხოვდა კიდეც... ერთადერთი კაბა ჰქონდა. იმას რომ გაურეცხავდნენ, სანამ არ გაშრებოდა ცხვირსაც არ გამოჰყოფდა გარეთ...“

## 7

კარზე დაკაკუნეს.

— ფარნა, — წამოიძახა რუსუდანმა და აღელდა.

ის არ მოჰგონებია კარგა ხანია რომ არ ენახა ბიჭი, არც ის, ერთხანს დაკარგული რომ იყო და ეძებდნენ. უთუოდ ირაკლიმ გამომიგზავნაო, — გაიფიქრა.

გასუქებულიყო ფარნა. სიმსუქნე არ უხდებოდა.

— სადა ხარ დაკარგული.

ჯერ ლენინგრადში ვიყავი, მერე სოფელში. მამას ვეხმარებოდი, ეხლა ისევ სოფელში მივდივარ. შემოდგომაა...

— ლენინგრადში კარგი დრო გაატარე?

— დიდებული. „ერმიტაჟიდან“ არ გამოვსულვარ.

— შეცვლილხარ. გიყურებ და ვერა გცნობ, — მოუთმენლობამ მოიცვა რუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუდანი, ირაკლის რატომ არ ახსენებსო, ეწყინა.

— ნუგზარის დაკრძალვაზე რატომ არ იყავი.

— რომელი ნუგზარის?

— არა გრცხვენია?

— ნუგზარი? — ტყვიასავით მოხვდა რუსუდანს.

— რუსთავის გზაზე „ბელაზს“ შეასკდა. მანქანაში კიდევ სამი ბიჭი ეჯდა, ყველა დაიღუპა.

რუსუდანმა ხელები აიფარა სახეზე. თვალწინ დაუდგა ნუგზარის შავგვრემანი, მწვანეთვალება სახე. მოაგონდა როგორ იქცეოდა სუფრაზე, როგორ ცეკვავდა, როგორ აუპრიალებდა ხოლმე უპეებს ოფლი.

ბევრს უყვარს ნუგზარიო, — სლოკინით იტყოდა ხოლმე გურამი.

რუსუდანს არასოდეს ჰყვარებია იგი. აღიზიანებდა საკუთარ ღირსებათა დემონსტრირების ჟინით შეპყრობილი ვაჟი. ახლა კი, როდესაც ნუგზარი აღარ იყო, მასთან დაკავშირებული არც ერთი უსიამოვნება არ მოჰგონებია. მოგონებად ქცეული ვაჟი მხოლოდ ტკივილს ბადებდა.

— საცოდავი, როგორ ვერ გავიგე?.. შენ მაინც დაგერეკა!

— მე დაკრძალვასაც ძლივს ჩამოვუსწარი. იმ ავარიის ამბავიც ეხლა გავიგე. დოდოსთან მინდოდა მისვლა, მაგრამ მომერიდა.

— გურამი?

— გურამიცა და მანანაც დაკრძალვაზე ვნახე. მანანამ თავისი ქმარი გამაცნო.

— გათხოვდა?

— არ იცოდი?

— დიდი ხანია აღარ მინახავს.

— სულ იმას გაიძახოდა, რუსუდანი ჩემი მეკვარე უნდა იყოსო და...

— ვის გაჰყვა?

— ერთ მეტყველს. არ იცნობ. გურამი წამოსულა ძეგლთა დაცვიდან. მშენებლობაზე მინდა დავიწყო სამსახური, სამუშაოს მწარმოებლად ვიმუშავებდიო. ერთი მოსავალი დავაბინავეო, — უცებ მუქარით წამოიძახა ყველანამ, — ისე მინდა ხატვა, ვეღარა ვძლებ.

— აკი აღარასოდეს მოვკიდებ ფუნჯს ხელსო?

ფარნა წამოიტა.

ახლა კი ეცნო რუსუდანს იგი. ეცნო ის ენერგია, ვაჟის სხეულში უცებ რომ იფეთქებდა და მის ფერდაკარგულ, მსხვილ თვალებს მოაწვებოდა. ეცნო რუსუდანს ფარნა და მიხვდა, „მიტომ უყვარდა ყოველთვის იგი.

რუსუდანმა იგრძნო როგორ ღელავდა ბიჭი.

ფარნა ყოველთვის ღელავდა, როცა თავისი ფიქრის გადმოცემას ცდილობდა.

— მუზეუმი არა მარტო წარსული დიდების ძალთშესალაგია, იგი ერთი დიდი პეშმარიტების მღალადებელიცაა და იმ ჭეშმარიტებას „ერმიტაჟი“ მიმაწვდინა. ჩვენ, ყველანი, ცოცხლებიცა და მკვდრებიც, ისინიც, ვინც ჩვენს შემდეგ მოვლენ, ერთ ჯაჭვში ვართ ჩაბმულნი, ერთ ტვირთს ვატარებთ. იმ ჯაჭვის გაწყვეტა არ შეიძლება, იმ ჯაჭვის გაწყვეტა სიკვდილს ნიშნავს. სანამ ცოცხალი ხარ, შენ შენი უნდა ეცადო, თორემ თუ ის ჯაჭვი გაწყდა, თუ გაწყდა ის ჯაჭვი... ღმერთმა ნუ ჰქნას, — ხელები გაასავსავა ჰაერში, — ღმერთმა ნუ ჰქნას...

— ამიტომ მიყვარდი ყოველთვის, — აენთო რუსუდანი.

— უნივერსიტეტის საქმე როგორა გაქვს?

— ჯერ ნურაფერს ნუ მკითხავ, ვერაფერს ვეტყვი. ვნახოთ.

— მამაშენი რასა იქმს?

— ცოლი მოიყვანა და გადასახლდა მასთან. ისე რომ, მარტო დავრჩი, — რუსუდანს ისევ ირაკლი მოაგონდა, ეწყინა, ფარნა რატომ არ ახსენებსო მას.

— რამდენ ხალხს ხოცავს ავტოკატასტროფა. თუ გახსოვს ირაკლი. ჩემი ნათესავი. ერთხელ შეხვედრიხარ, მგონი.

— მერე? — წამოწითლდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ისიც ხომ ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მეგობარს ეთხოვა მანქანა და... ორმოცი ჰქონიათ უკვე. ისე იყო დამახინჯებული, სუდარა არ აუხდიათ. ლენინგრადში სულ იმას ვფიქრობდი ხვალ და ირაკლის დავხატავ-მეთქი.

— ნასვამს რატომ მისცეს მანქანა?

— მას რაღაც ისეთი ჰქონდა სახეში, ჩვენი საუკუნის ავადმყოფ სულს რომ მოიცავდა.

— ნასვამს ვინ მისცა მანქანა!?

—ავთანდილმა. ვიცნობ იმ კაცს... ჩემი წიგნები სარდაფში ჩაუყრია სახლის პატრონს. შენთან გადმოვიტან. გამიფუჭდება სინესტეში.

— ...

— ხვალ მივემგზავრები. როცა ჩამოვალ, შემოგვალ.

— ...

ფარნა წავიდა.

რუსუდანი არ წამომდგარა. რომ წამომდგარიყო, დაეცემოდა უთუოდ. ვერ შეიკავებდა მის მაღალ ტანს ძალგამოლეული, აკანკალებული მუხლები.

ყოველდამ ირაკლისთან შეხვედრაზე ოცნებობდა. რამდენჯერ დაურეკა სამსახურში. ხმას მაინც გავიგონებო. ვიღაც ქალი იღებდა ყურმილს.

ყოველდღე ელოდა ირაკლის გამოჩენას. ის კი თურმე აღარა ყოფილა ამ ქვეყნად.

როგორი იყო ირაკლი უკანასკნელად რომ შეხედა ცას? მას ხომ ყველაზე მეტად ცა უყვარდა, ღრმა, უსასრულო.

ისე იყო დამახინჯებული, სუდარაც კი არ გადაუხდიათ მისთვის.

ამის ეშინოდა ყოველთვის. მას შემდეგ, რაც ირაკლიმ ამოავსო მისი ცარიელი სიცოცხლე, სულ სიკვდილზე ფიქრობდა. ერთად რომ არ ვიცხოვროთ, როგორ უნდა შევხვდეთ უმისოდ სიკვდილს. ან ირაკლი რომ გახდეს ავად, ვინ უნდა მიხედოსო, ვინ. ვიღაც სხვა ქალმა მოვალეობის ან მიჩვევის გამო უნდა გაუკეთოს საჭმელი, გამოუცვალოს თეთრეული, უთოოს ღამე. მერე იქნებ დაიკვედროს კიდეც, თუ არაფერს იტყვის, გულში მაინც გაიკვლებსო... მე კი სანახავადაც ვერ მივალ, უჩემობა რომ ჭკლავდეს, მაინც ვერ მივალო ვერასდროს...

ირაკლის სახე დაუდგა თვალწინ.

გრძელი სახე ჰქონდა, წმინდანის თუ შეშლილის სახე. ნაცრისფერი მსხვილი თვალები უაზროობით ავსებოდა.

— ყველანი მაინც იქ უნდა წავიდეთ...

— ყველანი მაინც იქ უნდა წავიდეთ...

მაშინ შემოდგომა იყო. წყნარი, ცივი სიბნელე ფოთლებს აევსო. ვიღაც ქალი ცოცხით ხვეტდა მათ და ერთ ადგილზე აგროვებდა.

მერე ირაკლის ღიმილი მოაგონდა, დაუფარავი ცნობისმოყვარეობითა და მამაკაცური მხურვალებით სავსე. მოაგონდა მისი თხელი, ნატიფი თითები, მალიმალ რომ ავსებდნენ ჭიქებს სასმელით. მისი სუნიც იგრძნო, სიგარეტის სუნით გაჟღენთილი მამაკაცის სუნი.

ირაკლის ხმა შემოესმა.

— არ მიყვარს უიღბლო ხალხთან შეხვედრა. უნდა აქო და ამშვიდო.

ირაკლის ვინ აქებდა, ვინ ამშვიდებდა? ვინ ფიქრობდა რა იმალებოდა უდარდელობის ნიღბის ქვეშ? რა მძიმე იყო მისთვის საკუთარ თავთან მარტო დარჩენა?

— რამდენჯერ დამიწყევლია ის ღამე, რამდენჯერ დამიწყევლია, — მოსთქვამდა ირაკლის ხმა.

არა, შეუძლებელია ირაკლი მომკვდარიყო.

როგორ შეიძლება მოკვდეს ადამიანი, რომლის ყოველი ნაკვთი, ყოველი მოძრაობა არა მარტო ნაცნობია, არამედ შენიცაა, შენიცაა, შენიც...

ირაკლი აქვე იყო, მის გვერდით, რუსუდანს ესმოდა მისი სუნთქვა, გრძნობდა ამ სუნთქვის სიმხურვალეს. კაცის უაზრო, მაგრამ ყოვლის მომცვე-

---

**ნელი ბაბიაშვილი**
**ხვალ აღარ იქნება თოვლი**

ეროვნული

ლი თვალებით შეჰყურებდა ბინდს დამორჩილებული სივრცე.

უცნაურად ღელავდა რუსუდანის სისხლი. თითქოს ახლა, ამ წუთში უნდა მოსულიყო მასთან ირაკლი. ვაი, თუ კაკუნი ვერ გაიგონოს, მან ისე ფრთხილად იცის დაკაკუნება. კარი ღიად უნდა დატოვოს, ღიად...

მოვა და არასოდეს წავა. მოვა და სამუდამოდ მასთან დარჩება. — ახლა აღარც ავადმყოფობისა შეეშინდება რუსუდანს, აღარც სიკვდილისა. ახლა ვეღარავინ გაჰყრის მათ. გაჰქრა უნდობლობაცა და ეშვიც. სალაპარაკოც არაფერი ექნებათ, ირაკლიმ ყველაფერი იცის...

რუსუდანი ხედავდა როგორ დაებიჯებდა ირაკლი პერანგის ამარა, როგორ შემოჰქონდა შეშა. მაღალი, მკვრივი ტანი და შესიებული სახე ჰქონდა.

„ხვალ აღარ იქნება თოვლი. ხვალ აღარ იქნება სიცოცხლე!“ — ჩურჩულებდა სივრცე.

რამ გააქვავა ასე რუსუდანი. წინად ყოველ წვრილმანზე გაღმოჰყრიდა ხოლმე ცრემლს. ახლა კი თვალები სიმშრალისაგან ტკივა. ადრევე ხომ არ გამოიტირა ირაკლიცა და საკუთარი თავიც?

ისე იყო დამახინჯებული, სუდარაც არ გადაუხდიათ მისთვის...

მას ხომ ყველაზე მეტად ცა უყვარდა, ღრმა, უსასრულო...

რატომაა ასე მშვიდად რუსუდანი. თითქოს არც უკვირს არაფერი, თითქოს ასეც უნდა მომხდარიყო ყოველივე, თითქოს ადრევე იცოდა ყველაფერი.

„მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ!..“ — ჩურჩულებს წყნარად.

მას აღარ უკვირს ამ სიყვარულის აღმოჩენა, აღარ ღელავს ამ სიტყვების წარმოთქმისას მისი სული, აღარ უთრთის სხეული.

განა შეიძლება გაკვირვება ან აღელვება გამოიწვიოს იმის აღმოჩენამ, რომ შეგიძლია ხედავდე, გესმოდეს, ლაპარაკობდე? ეს აღმოჩენა ხომ შენთან ერთად დაიბადა.

რატომ ცდილობს ირაკლის დამახინჯებული სახის წარმოდგენას ასეთი დაჟინებით?

ვერ შეძლო.

სამაგიეროდ სცენა ელანდება.

იუპიტერებით განათებული სცენის წინ უფსკრულის წყდიადსა და მდუმარებაში ჩაჩეხილა პარტერი.

სცენაზე რუსუდანი დგას.

ენერგიის საოცარ მოძალებასა გრძნობს, სურვილი მოძრაობისა, მოუთმენელი და მღელვარე, ავსებს მის თითოეულ კუნთს. დაუოკებელია მისი სიყვარული, სიძულვილი, მრისხანება, სითბო.

„ხვალ აღარ იქნება თოვლი და რაც გასაკეთებელია, დღეს უნდა გაკეთდეს!“ — ჭურვივით აფეთქებს მის გონებას განგაში.

რუსუდანი სცენაზე დგას და ლაპარაკობს.

მისი თითოეული სიტყვა ნაპერწკალივით ელავს.

სიცოცხლე ზეიმია და თქვენი ცხოვრების გზაც ამ ზეიმით უნდა იყოს სავსე. ისე გაგლეთ იგი, არც თქვენ, არც სხვას, არავის, არ მიეკაროს ჭუჭყი და სიკვდილი. იყავით კეთილი და ნაზი, მაგრამ თუ როდესმე თქვენი ცხოვრების გზაზე წილად გხვდათ მოკვლა ადამიანისა, მოჰკალით! მოჰკალით და ნუ მოინანიებთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა მჭედლიძე

# ოთხი ცალი ტარანის ძალა

ოჰ, ერთი განახათ, როგორ ჯავრობს ხოლმე ჩვენი თავმომწონე გაიოზ ნადიბაიძე, როცა მე და მურთაზი ხუმრობით ვეტყვით ხოლმე. შენ რა კაცი ხარ, ოთხ ცალ ტარანად გვყავხარ დახსნილითქო! ხუმრობა არ გეგონოთ, ნამდვილად ასე იყო. არა გჯერთ? ახლავე მოგახსენებთ.

ჩვენი მურთაზი მივლინებით იყო წასული ომსკში. დამირეკა, ტარანი ჩამოვიტანეო. ერთი ოთხი ცალი დამრჩა და სანამ ესენიც არ აორთქლებულა, წაიღეო. ტარანი ისე მიყვარს, რომ ოც წუთში მურთაზთან გავჩნდი. ცოტახნის მხიარული საუბრის შემდეგ ორთავენი ავტობუსის გაჩერებასთან ვიდექით.

მე გაზეთში გახვეული, ოთხი ცალი ტარანი მქონდა იღლიაში ამოჩრილი.

ჩვენს წინ წითელი „მოსკვიჩი“ დამუხრუჭდა.

— ლომებო, საით? დაჯექით, მიგიყვანთ! — მანქანიდან ჩემი სკოლის ამხანაგი გაიოზ ნადიბაიძე იღიმებოდა.

— პლეხანოვზე! — მხიარულად მივუგეთ და მანქანაში მოვკალათდით.

ის-ის იყო ზოოპარკს ვუახლოვდებოდით, რომ ავტონისპექტორმა გავგაჩერა, წითელ შუქზე გაიარეთო.

— ვინ გაიარა წითელ შუქზე? — გაფიცხდა გაიოზი.

— ვინ და შენ! — აუღელვებლად უპასუხა ავტონისპექტორმა.

— მე მწვანე შუქი, რომ ჩაირთო, მაშინ გავიარე, თვალებში ვერ იყურები?! — ხმას აუწია გაიოზმა.

— თვალებში რომ ვიყურები, სწორედ იმიტომ დავინახე, რომ წითელ შუქზე გაიარე! — ხმას დაუწია ავტონისპექტორმა.

— მწვანე შუქზე გავიარე!

— წითელ შუქზე გაიარე!

— მწვანე შუქზეო!

— წითელ შუქზეო!

შეყვენ, შეყვენ და კაი გვარიანი ჩხუბი გამოუვიდათ.

— აგერ ორი კაცი ვართ მოწმე, მწვანე შუქი რომ აინთო, მაშინ გაიარა. — ჩავერიეთ ლაპარაკში მე და მურთაზი.

— თქვენ არავინ გეკითხებათ, — ჩვენსკენ არც კი მოუხედია, ისე გვიპასუხა ავტონისპექტორმა, ახლა ჩვენ აღვშფოთდით, მაგრამ შენც არ მომიკვდე, არავითარი ყურადღება არ მოგვაქცია, მე მძღოლთან მაქვს საქმე, თქვენ ვინ ხართ, არც მაინტერესებსო.

გაიოზი ცოტა ფიცხია და ისეთი რამ ჰკადრა, რომ ავტონისპექტორმა სამსახურეობრივი მოვალეობის დროს შეურაცხყოფის მიყენება დასწამა და მილიციაში წაგიყვანა, ხომ არ მივატოვებდით, ჩვენც წავყევით. გზაში გაიოზი ეჩხუბებოდა ავტონისპექტორს, შენ ვინ ხარ რომ მიჭერო.

— მე შენ გაჩვენებ ვინც ვარო, — პასუხობდა ავტონისპექტორი. ასეთი

ტკბილი ჟუჟუკით მილიციაში მივედით. გაიოზი უსაშველოდ დაყრაკვებულ, გრძელ ფიცრის კიბეზე აიყვანეს, ეს კიბე შიგნით განყოფილებაში შესასვლელი ყვავისფერი კარებით მთავრდებოდა, სწორედ იმ კარებში უკრეს თავი გაიოზს. ჩვენ, ჩვენი მხრით გავიქაჩეთ, მოწმეები ვართ-თქო, ვუთხარით, ჩვენც შემოვყვებით დაკავებულს-თქო.

— ე მანდ ქუჩაში დადექითო, — გვიპასუხეს — და თუ საჭიროდ ჩავთვლით, დაგიძახებთო.

რა უნდა გვქნა? ვიდექით ერთი საათი, ორი, სამი საათი.

სადაც გაიოზი შეიყვანეს, როგორც სჩანდა, საქმე ცუდად იყო.

— ძალიან აფეთქება კი იცის ჩვენმა გაიოზმა, — ვამბობდით მე და მურთაზი, — ავტოინსპექტორთან ვინ ბედავს ჩხუბს. ახლა რა ეშველება მაგ საწყალს?

დრო მიდიოდა, გაიოზი კი არ ჩანდა. ჩვენი მოუსვენრობა თანდათან შეშფოთებაში გადავიდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩამოვწყდით ფეხზე დგომით, მაგრამ ამას ახლა რას დავეძებით, როცა მეგობარი განსაცდელში გვევგულებოდა. ამ ფიქრით ვიყავით გართულნი, როდესაც ჩვენს წინ „ვოლგა“ გაჩერდა და იქედან ელეგანტურად ჩაცმული, ჩაფსკვნილი ბიჭი გადმოვიდა მანქანის გასაღების ქნევით. ფორმა არ ეცვა, მაგრამ გამოხედვაზე ეტყობოდა, რომ ამ დაწესებულებასთან რაღაცეთი იყო დაკავშირებული. ახალგაზრდა ღიღინით და გასაღების ქნევით მოგვიახლოვდა და ის-ის იყო კიბეზე უნდა ასულიყო, უცბად შედგა, — ტარანი სად იშოვეთო, — დიდი ინტერესით შეგვეკითხა და თან დაამთქნარა.

— ვიშოვეთ, რა, — თუ გინდა მოგცემ ამ ტარანს, ოღონდ ერთი კაცი ჰყავთ მანდ დაკავებული და გამოაშვებინე.

— რა გვარია?

— ნადიბაიძე, გაიოზ ნადიბაიძე.

ახალგაზრდამ შეწყვეტილი ღიღინი ახლა სტვენით გააგრძელა, კიბეს ნელა, გასაღებების ქნევით აუყვა და ყვავისფერ კარებში მიიმალა.

არ გაუვლია ხუთ წუთს, რომ კარი გაიღო და გაიოზ ნადიბაიძის კისერში მუჯლუგუნის კვრა, ზურგს უკან კარის მოჯახუნება, კიბეებზე კისრისტეხით წამოსვლა და თვალის დახამხამებაში ჩვენ წინ გაჩერება ერთი იყო. უცბად გონს მოსვლაც ვერ მოვასწარით, რომ ახალი მიჯახუნებული კარი ნელა გამოიღო და ის ელეგანტურად ჩაცმული, ჩასკვნილი ბიჭი ისევ სტვენით და მანქანის გასაღებების ტრიალით დინჯად ჩამოვიდა კიბეებზე.

ბიჭმა ჩვენთვის უცნობი ფირმის, უსაშველოდ გრძელი სიგარეტი პირში ჩაიდო, გაზეთში გახვეული ტარანები აუჩქარებლად გამომართვა. მანქანაში ჩაჯდა და მოტორი ჩართო.

# წ ა დ ი თ!

საწერ მაგიდასთან ზის ახალგაზრდა მამაკაცი და ტელეფონში ელაპარაკება ვიღაცას საქმიანად. კარები ფართოდ გაიღო და კაბინეტში გოგონას მშვენიერი სახე გამოჩნდა.

— შეიძლება?

— რა თქმა უნდა, მობრძანდით.

ახალგაზრდამ ყურმილი დადო ტელეფონზე და გოგონას ლამაზი ტანი შეათვალიერა ქუდდულად.

— რითი შემიძლია გემსახუროთ? — თავაზიანად მიმართა ქალიშვილს.

— ისეთი არაფერი — მორიდებულად დაიწყო გოგონამ, — მე მინდოდა გამეგო რა საბუთებია საჭირო კოოპერატიულ მშენებლობაში შესასვლელად, მე და ჩემს ძმას გვინდა სახლი გავყიდოთ სოფელში და...

— გასაგებია — დელიკატურად გაიღიმა მამაკაცმა — პირველ რიგში საჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როა ცნობა ქალაქის საპჭოდან, რომ თქვენ ინდივიდუალურ მშენებლობაში არ იმყოფებით, ცნობა სამუშაო ადგილიდან, სახლმპართველობიდან.

კაბინეტში შემოდის მოხუცი თანამშრომელი და საქმიანი ქაღალდების მთელ შეკვრას დაუდებს მაგიდაზე ახალგაზრდა მამაკაცს.

ამ უკანასკნელმა მეტად სერიოზული სახით დაუწყო თვალიერება ქაღალდებს.

— გმადლობთ, მე წავალ — სკამიდან წამოიწია მშვენიერმა ქმნილებამ.

— დაიცადეთ — დელიკატური ყვითლით შეაჩერა გოგონა ახალგაზრდამ — ახლავე ავიხსნით დაწვრილებით ყველაფერს.

ახალგაზრდამ ხელი მოაწერა საბუთებს და გოგონასკენ მიაბრუნა მომდიმარი სახე.

— თქვენ განკარგულებაში ვარ მთლიანად — ხელები გაშალა ახალგაზრდამ. — სამწუხაროდ ამ წელს კოოპერატიული სახლები შენდება ქალაქის განაპირა რაიონებში, დიღომში, ნავთლუღში და ასე შემდეგ. მაგრამ შეიძლება რაღაცა მოვიფიქროთ... მაგრამ ერთი ვერ გამიგია — განაგრძო თავაზიანად — რად უნდა ასეთ მშვენიერ ქალს ბინის აშენება? გთხოვდით და გექნებათ მზამზარეული ბინა.

— კი მაგრამ, ძმასაც ხომ უნდა... მორცხვად გაიღიმა გოგონამ.

— უჰ, ძმა სულ დამავიწყდა, საბუთალოს მასიკი მოგწონთ?

კაბინეტში შემოდის გამხდარი, გაუპარსავი მამაკაცი.

— პროექტები მოგიტანეს, სად ჩამოვკიდო? — კითხა მან.

— პროექტები? — დაფიქრდა ახალგაზრდა.

— მე წავალ კვლავ წამოიწია სკამიდან გოგონა.

— დაიცადეთ, მე თქვენ მოგცემთ ზუსტ სიას იმისას თუ რა ცნობები დაგჭირდებათ — თქვა ახალგაზრდამ და სიცელით დაუმატა — ის როგორა აქვს რაიკინს. „თქვენ გჭირდებათ ცნობა, რათა მიიღოთ ცნობა... ხა, ხა, ხა, — პროექტი ჯერ მიუტანე მელიას ხელმოსაწერად. — შრალად უთხრა მამაკაცს.

გამხდარი თანამშრომელი გავიდა კაბინეტიდან.

— ახლა წარმოიდგინეთ — კვლავ მიუბრუნდა გოგონას ელეგანტური ახალგაზრდა — წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ცხოვრობთ რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილ მასივში. არ შეგეშინდებათ საღამოს სახლში დაბრუნება?

— ძმასთან ერთად ვიცლი. — გაიღიმა ქალიშვილმა.

— მაგრამ სხვა ვინმესთან უფრო საინტერესო არ იქნება სიარული — მრავალმნიშვნელოვნად გაიცინა ახალგაზრდამ, — ალბად არის „ის ვიღაც“?

— არა, როგორ გეკადრებათ — დაიმორცხვა გოგონამ.

ახალგაზრდა ცმაყოფილი ღიმილით იღიმება.

— შელია გთხოვთ დაურეკოთ — თავი შემოყო კარებში მდივანმა ქალმა.

— მე წავალ, — წამოდგა გოგონა.

— დაიცადეთ. შეიმუდარა ახალგაზრდა ქალიშვილს და მდივან ქალს გასძახა:

— ახლავე დავურეკავ. — ე. ი. თქვენ გადაწყვიტეთ — მოუბრუნდა გოგონას — კოოპერატივში შესვლა, გასაგებია. მაგრამ რა ქნას იმ ადამიანმა, რომელსაც არც ძმა ყავს და არც ცოლი...

ტელეფონმა უდროო დროს დაიწკრიალა.

— მე თქვენ დროს გართმევთ, არა? — შეწუხდა ქალიშვილი.

— სრულებითაც არა, — „ფილიპ მორისი“ გაპოლა და ტელეფონის მილი აიღო ახალგაზრდამ.

— დიახ, მე გახლავართ, კი ბატონო, რა თქმა უნდა — ელაპარაკება ვიღაცას ტელეფონში.

— მე წავალ — გოგონა უკვე ფეხზე დგას.

---

ნანა მჟავლიძე
მოთხრობები

ახალგაზრდამ ტელეფონის მილი დაკიდა და გოგონას მიუბრუნდა:

— დაიცადეთ, ჯერ გავიცნოთ ერთმანეთი. მე მქვია ზურაბი, თქვენ...

უცბად კარები ფართოდ გაიღო და კაბინეტში შემოვარდა ოფლში გაწუწული, საშინელი შესახედაობის ხანშიშესული დედაკაცი, თან შემოიტანა საერთო სამზარეულოს მთელი სურნელება.

— აი, შე ბოზრებულო! — მივარდა დედაკაცი ახალგაზრდას — შე სპეკულიანტო. ქრთამი მოგცა იმ გაოხრებულმა ნაჭყეტიამ და იმიტომ იცავ, ხომ? ამ წუთში შეავლ გვასალიასთან, მოსკოვს მივწერ, შე უნამუსო...—ხელებს უქნევს ცხვირწინ დედაკაცი ახალგაზრდას.

— მოქალაქე, თქვენ რაღაცა გეშლებათ, რაღაცას ურევთ, მე გთხოვთ. შეცბუნდა ახალგაზრდა და თან გოგონას შეხედა, იქნებ წავიდესო, მაგრამ გოგონამ ფეხი არ მოიცალა.

— ვინ ურევს, შე გაფუჭებულო, შე ქურდო, შე სპეკულიანტო, მიქრთამეს ოთახი რომ გაყიდე, შენ გგონია არ ვიცი? ხუნდაძეს რომ ქრთამი გამოართვი, არც ის ვიცი, გგონია? ნაქურდალი ფულებით რომ „ვოლგა“ იყიდე — ხმას კიდევ უფრო აუწია დედაკაცმა — და ნაი-ნაირ ქალებში დაწანწალე, ვერ ვხედავ?! შე მექრთამე, შე აფერისტო. მე გიჩვენებ სეირს თუ ვყოფილვარ ქალი, შე გაფუჭებულო. — საშინელმა დედაკაცმა ისე გაიჯახუნა კარი, რომ კაბინეტი შეტორტმანდა.

ახალგაზრდა მამაკაცი სავარძელში ჩაჯდა და თავზე შემოიწყო ხელები.

— მე წავალ, — წყნარად ამბობს ქალი.

გაწბილებულმა ვაჟმა გამოუთქმელი სევდით ამოხედა ქალიშვილს.

— წადით! — ამოიოხრა მან.

# ARA SHEVAVS...

კინო დარბაზში შევდივარ, ვიკავებ ჩემ ადგილს და შუქიც ქრება. იწყება ფილმის ჩვენება.

ვზივარ და ვუყურებ ეკრანს.

ჩემს გვერდით, მსუქანი, ფაშფაშა ქალი ზის, მის გვერდით კი ზომაზე მეტად გამხდარი მამაკაცი. ეტყობა ერთმანეთს არ იცნობენ.

ფუქანი ქალი უყურებს ეკრანს და კვდება სიცილით. გამხდარი მამაკაციც უყურებს ეკრანს, მაგრამ ოდნავადაც არ ეღიმება.

ორი რიგით წინ მჯდომი ვიღაც ჩია კაცი გულგრილი ღიმილით გადმოხედავს ხოლმე მოკისკისე ქალს.

ცოტა მოშორებით რამდენიმე ახალგაზრდა უკმაყოფილო სახით უყურებს ეკრანს. ორი-სამი წლის ბავშვს პატარა დროშა უჭირავს ხელში და მთელ ეკრანის წინ გაფრიალებს და გამოაფრიალებს

უკნიდან ვიღაც მოქალაქე დგება და დროშას ძირს დააწევინებს ბავშვს. ბავშვი ერთხანს გაკვირვებით უყურებს მოქალაქეს.

მარჯვნივ ცოლ-ქმარი ზის გოგო-ბიჭთან ერთად. მშობლებიც და ბავშვებიც ნაყინს შეექცევიან, ეკრანს უყურებენ და სიცილით იჭაჭებიან.

კინო დარბაზის რიგებს შუა ნაყინის გამყიდველი ქალი ვაჭრობს.

სულ ბოლო რიგში კი ერთმანეთის ალერსში გართული ქალ-ვაჟი ეკრანს არ უყურებს, მათ წინ მჯდომი ხმელი კაცი სულ უკან იხედება, შეყვარებულები ვერ ამჩნევენ მას.

პორტფელიანი, მსუქანი მამაკაცი ზის და გემრიელად სძინავს, ხალხის ხმაურზე გაიღვიძებს ხოლმე, ოდნავ გაახელს თვალებს და ისევ ჩაეძინება. ცოტა მოშორებით ორი ქალი გაბმულად ლაპარაკობს, გვერდით მჯდომი პენსიანი მამაკაცი შენიშნავს აძლევს მათ. პატარა ბიჭი სიცილისაგან გადაფიჩინდა. რიგებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეა ნაყინის გამყიდველი ქალი მოდის. სიცილით გაიფხრიწა მსუქანი ქალი, გულგრილად უყურებს ეკრანს მის გვერდით მჯდომი გამხდარი მამაკაცი.

აღტაცებული პატარა ბიჭი ადგილზე ხტუნავს. სტუდენტებს აღშფოთება ეხატებათ სახეზე.

დარბაზი ერთი წუთით გაირინდა.

ცოლ-ქმარსა და ბავშვებს ნაყინი უშშდებათ ხელში.

ირონიულად უყურებენ სტუდენტები ეკრანს, ბუზის გაფრენას გაიგონებ.

უცბად საშინელი ბრახვანი გაისმა.. ხალხმა მოიხედა.

პორტფელიანი, მსუქანი მამაკაცი დარცხვენით დგება იატაკიდან და ისევ ჯდება სკამზე.

მსუქან ქალს ზიზღი გამოეხატა სახეზე. სტუდენტები გახარებულნი იყურებიან დაზარალებულისაკენ. პორტფელიანი, მსუქანი კაცი ერთხანს უაზრო თვალებით უყურებს ეკრანს. შემდეგ კი თანდათან ქინდრაკავ თავს.

დარბაზში შუქი ქრება, სტვენა და აღშფოთების გამომხატველი, კინომექანიკოსის მისამართით გამოთქმული რთული ეპითეტები ირევა ერთმანეთში. მსუქანმა მამაკაცმა კვლავ იკადრა თვალის გახელა.

ეკრანზე კვლავ ჩნდება გამოსახულება. დარბაზი თანდათან წყნარდება, იღლიაში პორტფელამოჩრილი მამაკაცი ისევ ლულავს თვალებს.

ეკრანიდან გულისამაჩუყებელი ჰანგები გაისმის.

უკანა რიგიდან ვიღაც დგება და გულგრილად სტოვებს მაყურებელთა დარბაზს.

მსუქან ქალს თვალებზე ცრემლები უბრწყინავს, გამხდარი კაცი იცინის. პატარა ბიჭი სირცხვილისაგან სკამქვეშ ძვრება. მსუქანი ქალი ცხვირსახოცით იწმენდს თვალებზე მომდგარ კურცხალს.

სტუდენტები ტაშს უკრავენ.

ცრემლისაგან თვალებდასიებული მაყურებელი გამწყარალი სახით უყურებს სტუდენტებს.

პორტფელიანი, მსუქანი მამაკაცი ესეს არის უნდა გადმოვარდეს სკამიდან, მაგრამ ამჯერად თავს იმაგრებს.

მსუქან ქალს ღაპაღუპით ჩამოსდის ცრემლები, გამხდარი მამაკაცი კვდება სიცილით, ბურთივით მრგვალი, დიდულვაშებიანი კაცი დიდი სერიოზულობით შესცქერის ეკრანს.

გულის ამაჩუყებელი მუსიკა ახლა ზეაღწეულ ხორალში გადადის. მსუქან ქალს ცრემლები შეშრობია და სასოებით უყურებს ეკრანს.

გამხდარი მამაკაცი ამთქნარებს და საათს დახედავს. პირველი რიგიდან ვიღაც სოფლელი ბიჭი დგება, სტუდენტებისაკენ გამოიხედავს და მთელი დარბაზის გასაგონად იძახის:

— დამზრზინა ტანში, ბიჭო!

აქა-იქ სიცილი გაისმის. პენსნიანი მამაკაცი წესრიგისაკენ მოუწოდებს საზოგადოებას.

სტუდენტები ტაატით მიდიან გასასვლელისაკენ, დარბაზში შუქი ინთება. გასასვლელში იღლიაში პორტფელამოჩრილ მსუქან მამაკაცს ვეკითხები:

— უკაცრავად, მოგეწონათ ფილმი?

ნამძინარევი, უაზრო, მშვიდი თვალებით მიყურებს და დაუფიქრებლად მპასუხობს:

— არა უშავს!

# ᲛᲘᲚᲔᲑᲘ

ქუჩის მთელ სიგრძეზე არხია გათხრილი. არხის ძირში მსხვილი მილები აწყვია. მუშა დიდის მონდომებით ცდილობს მილის ერთი თავი მილის მეორე თავს დაუკავშიროს. აქეთ გაასწორებს მუშა და თავი თავს მიადებინებს მილებს, იქით ასცდებიან მილები ერთმა-

ნანა ᲛᲔᲝᲥᲚᲘᲫᲔ
მოთხრობები

ნეთს, ახლა აქეთ გამოიქცევა, იქითა მხარეზე ყირავდებიან. რა ქნას, რა ინოონოს. დიდ გასაჭირშია მუშა. ერთობ ცდილობს ერთმანეთს დაუკავშიროს მილები, მაგრამ არაფერი გამოუდის. მაღლა ტროტუარზე, ხუთიოდე სუფთად ჩაცმულ-დახურული მამაკაცი უთვალთვალებს ამ სანახაობას. ორ მათგანს დახვეული ქაღალდი ამოუღლიავებია, ერთი სიგარეტს ეწაჩება, ხოლო ერთს კი, აი ის, უფრო ახალგაზრდად რომ გამოიყურება ჯიბეებში ჩაუწყვია ხელები

თქვენ არ გეგონოთ, რომ მამაკაცები გულგრილად უყურებენ ამ სცენას. რას ბრძანებთ! თითოეული მათგანი დიდის გულმოდგინებით ასწავლის მუშას, თუ როგორ უნდა მოიქცეს.

— ბიჭო, იქით, იქით გასწიე!

— ახლა აქეთ გამოსწიე!

— მასე ხო, მასე!

— ოჰ, შენ რა გითხარი, ხომ გითხარი, განზე უნდა დამდგარიყავი.

— არ ხედავ, ნამეტანი რომ გამოქაჩე?

— ოდნავ, ოდნავ!

— ნელ-ნელა უნდა გამოაჩოჩო!

— ხო, ხო!

— ცოტა იქით!

— ცოტა აქეთ!

— არა, არა!

მუშა ცდილობს. ძალიან ცდილობს, აქეთ გამოიქცევა. იქით ამოვარდება მილი, იქეთ გაიქცევა, აქეთ ამოვარდება. არა და არ გამოდის არაფერი. მამაკაცები კი კვლავ ენერგიულად იძლევიან მითითებებს.

მოსახვევში პატარა გოგონა გამოჩნდა. გოგონას ბადე აქვს მხარზე გადაკიდებული. ბადეში უშველებელი გორა პური ჩაუდვია. მოდის და გემრიელად ილუკმპება. ხან ლამაზ ქალს გააყოლებს თვალს, ხან ჰაერში მონავარდე კუდმაკრატელა მერცხალს. ბავშვის ყურადღება ახლა მოყაყანე მამაკაცებმა მიიპყრო. ბავშვი არხს მიუახლოვდა. დაინტერესებული სახით ხან მუშას ჩახედავს, ხან ამდენი ახსნა-განმარტებისაგან განაწამებ მამაკაცებს ამოხედავს.

— გასწი!

— გამოსწი!

— რა დაგემართა, შე კაცო? — გაისმის აქედან და იქედან.

დარბის მუშა არხის ერთი ბოლოდან, მეორე ბოლომდე, არა და არა! საქმე წინ არ მიდის. ხან აქეთ ამოხტება მილი, ხან იქეთ.

— ბიძია, მე დაგიჭერ იქითა ბოლოს! — დაიძახა გოგონამ. პურიანი ბადე ჯიბეებში ხელჩაწყობილ ახალგაზრდას მიაჩეჩა და თხრილში ისკუპა.

გოგონა მილის თავში წამოჯდა და პატარა ხელებით მაგრად დაეყრდნო რკინას.

მუშა მეორე მხარეს გაიქცა და მილის ერთი ბოლო მეორე მილის ბოლოს მიადგა.

— მასე, შე კაცო!

— ხომ გეუბნებოდი!

პატარა გოგონა თხრილიდან ამოხტა, ხელები დაიფერთხა, ჯიბეებში ხელჩაწყობილ ახალგაზრდას პურიანი ბადე გამოართვა. თავაზიანად მადლობა გადაუხადა და პურის ჭამით განაგრძო გზა.

# დაანებე თავი სულელია

— რა ვუყოთ კოჭაძეს?

— რა უნდა ვუყოთ? სულელია.

— სისულელისათვის ვერ გავრიცხავთ, არ გვაქვს მაგის უფლება.

— გადავიყვანოთ მეხუთე კლასში და ის იქნება.

— გადავიყვანოთ, გადავიყვანოთ, მაინც არაფერი გამოვა მისგან, ისეთი სულელია.

**სამი წლის შემდეგ:**

— რა ვუყოთ კოჭაძეს?

— რა უნდა ვუყოთ? გადავიყვანოთ მერვე კლასში და ის იქნება, მაგ სულელისაგან მაინც არ გამოვა კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კიდევ სამი წლის შემდეგ:**

— რა ვუყოთ კოჭაძეს?

— რა უნდა ვუყოთ? რაც ამ ათი წლის განმავლობაში არაფერი შეუტანია თავში, ახლა რა ეშველება ვითომ? — მივცეთ ატესტატი და გავუშვათ, ამოვისუნთქოთ ერთი მაგ სულელისაგან.

**ხუთი წლის შემდეგ:**

— რა ვუყოთ ამ კოჭაძეს?

— რა უნდა ვუყოთ? დადგენილი სულელია. მივცეთ დიპლომი და წავიდეს სადაც უნდა.

**რამდენიმე წლის შემდეგ:**

„... კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად სერაფიონ მიხეილის-ძე კოჭაძე დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ზოგიერთი შორისდებულთა (ოჰ, უჰ, ოხ, უხ, აჰ, ახ...) ფუნქციებისათვის XX-საუკუნის I-ნახევრის 20-იანი წლების გარკვეული ჯგუფის პროზაიკოსთა პერსონაჟთა ენაში“.

**საუბარი ერთ წრეში:**

— რა ვუყოთ ახლა ამ კოჭაძეს?

— მივცეთ ხარისხი. ვის რა დაუშავდება ხელფასი რომ მოემატოს იმ სულელს?

**რამდენიმე ხნის შემდეგ:**

„... სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად სერაფიონ მიხეილის ძე კოჭაძე დაიცავს დისერტაციას თემაზე: „მწუხარებისა და სიხარულის გამომხატველ შორისდებულთა საპირისპირო ფუნქციისა და მათი ურთიერთ ჩანაცვლების შესაძლებლობის შესახებ XX-საუკუნის I-ნახევრის 20-იანი წლების პროზაიკოსთა პერსონაჟთა ენაში“.

**დიალოგი მეტად აღშფოთებულ, ფერმიხდილ ახალგაზრდა კაცსა და მხცოვან მამაკაცს შორის:**

— რაზედ მიეცით კოჭაძეს ასე უმართებულოდ ჩემი ლანძღვის უფლება, რატომ არაფერი უთხარით?

— რა უნდა უთხრას მაგას კაცმა, სულელია.

— მაინც როგორ გაბედა ისეთი ცილისწამება და ისე უდიერად ლაპარაკი?

— რატომ წახვედი? იქ რომ ყოფილიყავი, ვერ გაბედავდა.

— იმისთვის წავედი, რომ ჩემი რეცენზია რატომღაც არ წაიკითხეთ და მე, მართალი რომ ვთქვა, თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი.

— კარგი, არ ღირს მაგაზე ნერვების აშლა.

— რას ბრძანებთ, მე გარკვეულად ჩამოვაყალიბე, რომ კიკნაველიძის სადოქტორო დისერტაციის შემდეგ არ შეიძლება ამ თემის ასე გაშუქება და იქვე დავსძინე, რომ თავიდან ბოლომდე უნდა შეცვლილიყო ყველაფერი.

— მერე ხომ შეცვალა?

— არაფერი არ შეუცვლია სათაურის მეტი და რა უფლება აქვს არამეცნიერულს რომ უწოდებს ჩემს შენიშვნებს?

— გაუშვი კაცო, სულელია, მე იქიდან მაგას გამოვიქეცი და კიდევ ვერ მოვიცილე?

— როგორ მიეცით სადოქტორო ხარისხი?

— მე შავი ჩავუგდე.

— ოცმა კაცმა მაინც მითხრა შავი ჩავუგდეო და ხმები რომ დათვალეს, მხოლოდ სამი გამოდგა წინააღმდეგი.

— იმ სამიდან ერთი მე ვიყავი.

— ყველა მასე ამბობს. ახლა გრცხვენიათ, ხმა რომ მიეცით ხომ? დაიცადოს მაგან...

— დაანებეთ თავი, ჭკვიანი კაცი ხარ და რაში გამოგადგება იმ სულელთან ჩხუბი?

**დიალოგი გარდერობთან:**

— რამ გაგაცხარა, ნინიკო, ასე?

— რა და. სერაფიონ კოჭაძის დისერტაციაზე რეცენზიის დაწერა დამავალეს. ვხედავ, ძალიან გავს კიკნაველი-

---

ნანა მეიდლიძე
ფოთხარბეგი

ძის ახლახან დაცულ თემას. მე, მართალი გითხრა, შემეცოდა და მსვლელობა რომ მისცემოდა შრომას, პირველ ორ გვერდზე რამდენიმე დადებითი მოსაზრება გამოვთქვი, შემდეგ გვერდებზე კი გავაკრიტიკე და დავასაბუთე, რომ შრომა ფუნდამენტალურ გადაკეთებას მოითხოვს. კოჭაძეს აუღია ეს ჩემი რეცენზია, ის პირველი ორი ფურცელი შეუსწორებია, დანარჩენი გვერდები საერთოდ მოუშორებია. ჩემს მაგვარად მოუწერია ხელი და ისე გაუგზავნია დასამტკიცებლად. არა, ეს საქმეს ასე არ დავტოვებ.

— დაანებე თავი, არ ღირს მაგ სულელზე ამდენი ამბის ატეხა.

**გაკვირვებულ სერაფიონ კოჭაძის მონოლოგი საპროფესოროში:**

— რა დავუშავე მაგ ქალს, ჩემი სტუდენტი რომ იყო, ხუთი არ მომიცილებია მისთვის და რას მერჩის ვერ გავიგე. რომ არ შემეწუხებინა, რეცენზია თვითონ შეგასწორე. მის მაგვარად მოვაწერე ხელი და ისე გავაგზავნე. დასამტკიცებლად. რა დანაშაულია ახლა ეს?

**განცვიფრებული ნინიკოს ფიქრები?**

„როდის ვიყავი კოჭაძის სტუდენტი?“

**დიალოგი აუდიტორიაში:**

— ვისი ლექცია გვაქვს?

— სერაფიონ კოჭაძის.

— „უჰ, ოჰ, აჰ“, — ორი საათი რა მოუსმენს ახლა მაგ სულელს?

**დიალოგი ქუჩაში:**

— მართლა რომ დიდი მეცნიერი დავკარგეთ! რა მოუვიდა საცოდავს, ა?

— სერაფიონ კოჭაძის აკადემიკოსად გასვლის ამბავი ვერ აიტანა და ინფარქტმა დაარტყა.

— ოუ, რა მითხარი ეს. ღირდა თავის მოკვლა იმ სულელისთვის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა ჯაფარიძე

# დალი, სოზარი და ლემი

...„ქავ ხოსანი უხვანხანქა
დალას, ?ახგური ლელატის
ოფნი აშხალ შის ხალვენა,
სგა ლახფერთინან ხავგარეს
მემბვიდ ეშხუ მად ხოცირა“.

„თვეთნე მანგური“

...„გამოვარდნილა ?ეუხნდან
დალი, მანგურის სყვარილი
ხელთ იფნის ტოტი სქერია,
დარეკია სავებს
ამბის მიმტანიც არ გაუშვია“.

„თეთრი მანგური“

ზამთარია. თოვს და თოვს. ხანდახან დუმილს ზანტი დევების ბუხუნი თუ დაარღვევს. მოსწყდება კლდეს ლოდი. დაეშვება გრუხუნით თავდაღმართში. ლაწა-ლუწით თან წარიტანს ქვასა და კლდეს, თოვლსა და ყინულს, ხესა და ბუჩქს. ჩაიგრიალებს ფლატეებს, გზაზე წალეკავს ყველას და ყველაფერს. მერე უფსკრულებში ჩაზავდებიან ზვავები. ისევ მიჩუმდებიან მთები. ისევ თვლემენ გამოქვაბულები ცეცხლის პირას მხართეძოზე წამოწოლილი დევები. კერაზე წითლად ღუის ?იფელი. მხოლოდ დალს არ ეკარება რული. უსმენს ზვავების ზათქს და ეჩვენება, რომ ახლოვდება გაზაფხული. ხტება უფსკრულებზე, ეძებს თოვლში ჩაკარგულ ბილიკებს, რამდენიმე ხანია აღარსად გამოჩენილა არც მონადირე, არცა ვინმე კაცი სულიერი.

ენატრება ღონიერი ?ბუკის ალერსი. რა ძნელი ყოფილა მარტოობა და ამ უსასრულო ერთფეროვანი დუმილის გაძლება. გადმოდგება მთის წვერზე დალი, მშვენიერ სხეულს ოქროს ნაწნავების ტევრში მალავს. შემოუბერავს ქარი, შემოძარცვავს თმის ?ავლებს ტანზე, უეცრად მკვრივი ძუძუები და ვარდისფერი კერტები გამოუჩნდება. უკვირთ ვეება ლოდს უკან შეუუყეულ ?ინავებს მისი მშვენება. დალი ოცნებობს გაზაფხულზე. როდის გარილდება თოვლი, როდის გადაირევა ენგური, ადიდდება ღელეები, მღვრიე ?ინადვრები მოაწყდება კბოდეებს. დალი თბილ მიწაზე წამოწვება და ყურს დაუგდებს, როგორ ფეთქავს, როგორ გუგუნებს, როგორ გალობს დედამიწა.

?ერ კი ზამთარია. შედამდება და სოფლისკენ დაეშვება დალი. აგერ ვიწრო საურმე გზა მიემართება, ღობესთან აღვირით მიბმული წითელი ცხენები მოუსვენრად ფრუტუნებენ. მერე დალის ჩურჩული მისწვდებათ, ყალაზე შედგებიან, სადავეს გასწყვეტენ და ?ენებამოწყურებულნი ?იშკარს გადაევლებიან. თქარა-თქერით დაეშვებიან თავქვე, თოვლის კორიანტელს დააყენებენ. როგორ უყვარს დალის მათი თავაწყვეტილი სრბოლის ყურება...

სოფლის განაპირას ერთი ძველისძველი კოშკი დგას. ცასა სწვდება მისი ქონგურები. სათვალთვალო ნიშები და სათოფურები უკაცრიელია. გვერდით მაჩვიბში კერაზე ცეცხლი ანთია. სარკელში ?ბრაქის სინათლე კიაფობს. საჩეხში ვიღაც შეშას ჩეხავს. მერე ?რიალით იღება კარი და კაცის ჩრდილი უჩინარდება. იქნებ ეს სოზარია?! — დალი სარკმელთან აისვეტა. არავინ იცის, რა დანახა ნადირობის მფარველ-

ბა, ერთი კია, საცრისოდენა მწვანე თვალებში სვედა ჩაუდგა.

ზოგჯერ მკრეხელური ფიქრი გაუელვებს დალის. შენატრის უბრი დედაკაცს, რომელსაც ბოკვერებივით ბიჭები შეუძლია წარმოქმნას. დედაც იყოს და დიასახლისიც. წისქვილშიც წავიდეს და მინდოს ჩამოსვლამდე ყური დაუგდოს, როგორ ტრიალეს დოლები. როგორ შხუის ღარში წყალი. ზაფხულზე გრძელკანჭება, მზეზე დაბრაწული გოგოსავით კევრზე შემოდგას პური და ქერი გალეწოს და სოფლელ ბიჭებს გამძლეობაში გაჯიბროს, მერე ტკრიალით აიკლოს იქაურობა, ზამთრის გრძელ ღამეებში ქმრის მკლავზე დაიძინოს და დაივიწყოს წუთისოფლის არარაობა... მხოლოდ სიკვდილს არ შეინატრებს დალი კაცთა მოდგმას. სასაფლაოს შორიდან მოუვლის ხოლმე. თვალს არიდებს საგოდებლის მდუმარე ბორკვებს. აქ, ამ ერთ გოჯა მიწაში ამოუხსნელი, მიეწვდომელი იდუმალება ჩამარხულა... აგერ, ქარაფზე ადიშის ეკლესია. მთვარის შუქი ნათლის სვეტივითი ჯიღაღ ადგას. ვეებერთელა ბოქლომი ადევს რკინით შეკეთდილ კარს. აქ ინახება მთელი ქვეყნის განძი. ალაშლემზე აბლაუდები გაუბამთ ობობებს. მტვერს დაუფარავს რკინის პერანგები, დაეანგებულა მუზარადები, სატევრები, ხმლები და ფარები. თახჩიზე დახვავებულა ხატები, წმიდა გიორგენ, გვირგვინები, ეტრატები ლოცვანისა, საგალობელთა, მატიანეთა, თვალი პატიოსანით მოოქვილი ოქროს და ვერცხლის ნივთები. აი, სოზარის ნახელავი მინანქრის მედალიონები... როგორ ლიცლიცებს, ელვარებს, ათასფრად ციაგებს ეს ამოდენა ლარი. ჩამოისვენებს დალი სარკმლის რაფაზე და თვალს ვერ აცილებს ქვეყნის თვალისჩინს.

უკვე გვიან არის. სოფელში აქა-იქ კიდევ ბეჟუკავს სინათლე. — მშვიდად სძინავთ ადამიანებს თბილ კერასთან. ხმალ-ნუზარადი დაეანგებიათ და არ ენაღვლებათ, მტერი რომ დაიმოყვრეს ის კი ლუკმაპურს უწვდის, ერთგულებას ეფიცება, მის მაგივრად ხმალს ფიანევს, დესპანიც ის არის, და მოსაბართლეც, მსაჯულიც და ცოდო-მადლიც. გამკითხავიც. ამასობაში გაზარმაცდა ქაღური კაცი, გაზაფულდა, დაჩრდილდა. მშვიდ ძილსა და მაძღარ სიცოცხლეს, რა სჯობიაო, ფიქრობს, დიაცის უბეს ელაციცება და ზამთარში სანადიროდ წასვლაც კი ეზარება. — ფიქრობს დალი და ძმისად მიაბჯენს გაუკვლეველ თოვლში. უკან დარჩა მიწიერი გაბედა და ფიქრი, ისევ მაღლა და მაღლა ფეთნულდისაკენ მიიწევს დალი...

ერთხელ ღვთაება ომახიანმა სიმღერამ გამოაღვიძა. ხორხისმიერმა ხმებმა შესძინა მთები, როგორ სჭიქდა ჰაინი მზეზე. თითქოს მნათობის კი არა, სიმღერის მხურვალება ალღობდა თოვლისა და ყინულის საფარს. „ლილე მზეო, ცხოველო, დიდება შენდა“... ხმობდა ხეობები, ქვესკნელები, გამოქვაბულები. დაიძრა მთებში შეჭირხლული მდუმარება. დალს ყრუანტელმა დაუარა. მოვიდა გაზაფხული. სვანები მზეს უგალობენ „ლილეოს“. ფერხული ჩაუბამთ და წრეს უვლიან...—

...მოფერხულეთა წრეში უცებ თეთრი ფული გადაეშვა და გაქვავდა. გაოცდა სოზარ. ფული თრთოდა, ნაბავდა დიდრონ თაფლისფერ თვალებს. მერე შემოტრიალდა, ეძგერა მკერდზე ბრგე სვანს. წაიფორხილა უცებ შემკრთალმა ვაჟმა და გზა დაუთმო უცნაურ ფულს. გამოფახზილდა სოზარ, ხელი დაავლო მშვილდ-ისარს და გამოედევნა. — დაბრუნდი, კაცო, ეშმაკი გამოგეცხადა თეთრი ფულის სახით, დაბრუნდი! — მისძახიან მამა, ახლად შერთული ცოლი და მეზობლები. მაგრამ არაფისი არ ესმის სოზარს, უმიზნებს ნაცად მშვილდისარს, ჯიუტობს ისარი, არ სსლტდება მშვილდიდან. უკვირს მონადირეს და კვლავ მეტი სისწრაფით გარბის. დაბინდდა. შორს დარჩა სოფელი. ახლა დაბურულ ტყეში გარბის ფული. აი საცაა დაეწევა სოზარ, ხელში აიტაცებს ნადირს და მარჰილს მოუყვანს. ეკლები, ხეების რტოები სახეს უკაწრავენ. და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლალა მონადირე, მუხლთ ეკვეთება, ნუთუ ვეღარ დაიჭერს ამ ფეხმარდ შველს.

უეცრად შველი კლდის ქიმზე შეხტა. ეყურებს ჰაბუკი და თვალს არ უჯერებს. გაბაცდა, გოცრიცა შველის სილუეტი და თითქოს მისი სუსტი ტანიდან ამოიზარდა ქალის სხეულის კონტურები. ქარში გაშლილი ალისფერი თმის შოლტები, მაგრამ მონადირეს ვერ გამოუცვლია მოჩვენებაა თუ ხორცელი, მიწიერი ცთუნება დალის სახით მის საწამებლად მოვლენილი.

მთვარე ახლა წყალში ჩასულა და ბანაობს. შეშურდა ჯოგთა მფარველს მისი. მოიხსნა შროშნების გვირგვინი და კლდის ქიმიდან ტანგაძრცელი ენგურში ჩამოხტა. იწყინა მთვარემ დალის თავნებობა. მერე მის მიერ ადგაფუნებულ წყალში სასაცილოდ ატორტმანდა და შეშინებული ამოხტა წყლიდან. დალი იცინის. ნიშნისმოგებით ეყურებს უშბის წვერზე ჩამომჯდარ, გაწუწულ მთვარეს, ტალღები მიეტმასნენ დალია ძოძუებს, გადასრიალდნენ მომრგვალებულ თეძოებზე, მოქნილ წელზე, შლიდნენ, სწეწდნენ ცეცხლისფერ თმის ხვეულებს. ლაღობით დაღლილმა ქალმა გადასცურა ენგური. ციცინთელები მხრებზე დაფრინდნენ და გაუნათეს ბნელში გაფრინარებული ბილიკი. — სოზარ!.. დალი ღიმილით თავისკენ იწვევს მონადირეს. შეკრთალმა ჰაბუკმა სახე ხელებში ჩამალა, სოფელში მოხტი მამა და ახლად შერთული ცოლი ელოდება.

— წადი შენი გზით, დალი. მე არ მწყურია შენთან ალერსი, არ მწყურია. გესმის... ირასოდეს არა გთხოვ არც ჯიხვს და არც შველს. ჩამომეცალე, ჩემი ცოლი, ჩემი მარჰილი სარკმელთან დგას და მელის.

ნაპრალებიდან ჯიხვების ჯოგი ამოსხლტა. გამორბიან, წრეს არტყამენ სოზარს. ეს რა მოსდის ჯიხვთა მოსისხლეს. ხელი გაიღო სატევარზე, მაგრამ სადღაა ორლესილი ან მშვილდისარი. დალი იცინის, ხანჯალსა და კაპარჭს ენგურში უყრის. დამარცხებული ჰაბუკი ლოდზე ჩამოჯდა.

დალის ჯიხვები მიაცელებენ. ციცინათელები კი ბილიკს უნათებენ. სადღაც შორს, ქვემოთ დარჩა მისი სოფელი, მაგრამ გრძნობს, ახლა არ შეუძლია იქ დაბრუნება. ღვთაება თავისკენ იხმობს. მართალია სულის კუნჭულში სინდისის ქენჯნას გრძნობდა, მაგრამ მასში საკმაოდ ბევრი იყო ადამიანური ბიწიერება... და დამარცხდა ენგბასთან ჰიდილში.

ახლა ენგურის ნაპირს მიადგა სოზარ. მეტი გზა არ იყო, უნდა შებმოდა მდინარეს და ფოთს გასულიყო. აზავთდა ენგური, აიფოფრა, მორეგში ჩაითრია ჰაბუკი, დაატრიალა და ლოდზე მიანარცხა, ისევ გააპო მკლავებით გაავებული ტალღები. აჯობა კაცმა გულბოროტ ენგურს და გადასცურა მეორე ნაპირზე. წყდიადში ჩაძირული მთელი სამყარო, ციცინთელების ბილიკის გარდა. მიდის ამ ბილიკზე სოზარ. ფოცხვერები ტოტით აგლეჯენ ჩოხის კალთებს. უეცრად მოისმა დალის გაწწირული კივილი. ცეცხლი მოედო ალპურ მდელოებს, ბუჩქნარს. ცეცხლი შემონთებია თეთნულდს და უშბას. თავდალმართში გამორბიან დამფრთხალი ჯიხვები და ირმები. ცეცხლს ვეებერთელა კოცონი ტკაცუნებს, წივის, ფრთებზე ალმოდებულთა ორბები და არწივები ცვივიან მიწაზე. წითელი ალები იკლაკნებიან, ურთიერთში იხლართებიან, ტორტმანებენ. სოზარი გაოგნებული შეჩერდა. სული ეხუთება. ჯოჯოხეთურად ცხელა. უფსკრულის კიდეზე წევს დალი. ტანზე ალი შემოგზნებია, ტკივილებისაგან იგრიხება და მომაკვდავივით ფართხალებს. ვაჟი მშვილდივით დაიძაბა, კამარა შეჰკარა, თავს გადაევლო ვეებერთელა კოცონს და ქალის საშველად გაიქცა. აუტანელ ტკივილებს გრძნობს, მაგრამ განა ღირს კი საკუთარ სიცოცხლეზე ფიქრი, როცა ცეცხლს წაკიდე-

ნანა ჯაშარიძე
დალი სოზარი და ლეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბია მთელ სამყაროს და თვით დალიც იღუპება. — მიირბინა უფსკრულის კიდესთან და როცა დაიხარა, გაჰქრა ხანძარიც, ტკივილებიც და თვით ქალიც— ალბათ ვგიჟდები, რა მემართება — გაიფიქრა ჭაბუკმა, ისევ აღმართს შეუყვა. მიდის და მიდის. რომ აღარ მთავრდება გზა .. გამოჩნდა სალი კლდეებით შემოჯავშნული ბროლის გამოქვაბული. შეუვალი და თვალშეუწვდენი. რა ქნას, რით ავიდეს ამ უცნაურ ციხე-კოშკში. დიდხანს იფიქრა, მერე ჩოხის ქილა გამოიღო ერთი, ჩაასვა კლდეში და ამაღლდა უცებ. მერე მეორე მოიხმარა, მესამე, მეოთხე. ალმურმოდებული სახე კლდეს მიაყრდნო და წამით სული მოითქვა. მერე უცებ თავთან გაფარჩხული კუნელის ბუჩქი დაინახა, რა წითლად ღუოდა ნაყოფი. მისწვდა ეკლიან ტოტს და ჩაებღაუჯა. ახლა ქარაფს ლოდი მოსწყდა და ერთი გრუხუნით გვერდით ჩაუქროლა. ბეწვზე გადარჩა. ბოლოს უკანსკნელი ჩოხის ქილა კლდის ნაპრალში ჩაჰქედა, როდემდის გაჩერდება ასე ცასა და მიწას შუა გამოკიდებული. — მაცდური დალი, ჩემი დაღუპვა გინდა, თუ შენამდე ამოვაღწიე, იცოდე, დაგიმორჩილებ. — ესა სთქვა და უკანსკნელი ძალა მოიკრიბა, თითებით ჩააფრინდა მოსიპულ კლდის შვერილს. მუხლებით მეხდროდ მიებჯინა და ძლივს აიტანა ტანი. მიცოცავდა ფრთხილად, ფეხი უსხლტდებოდა. ჯიუტი თავგანწირვით ებრძოდა სიკვდილს. როცა გამოქვაბულის შესასვლელს მიაღწია, ღამე იყო, მაგრამ შავი კი არა, ცისფერი ღამე იწვა გამოქვაბულში. ფირუზისფერი ანარეკლი გადაჭკროდა აქედან უშბასაც, თეთნულდსაც, მთვარესაც და ნისლებსაც. განცვიფრდა სოზარ უჩვეულოდ რეკდა მისი გული. ღრუბლის სარეცელზე იწვა მზესავით ქალი. თავთან იადონები გალობდნენ. ფერხთით ცისარტყელა ეფინა, ჭერში ვარსკვლავები ენთო. თვალი გაახილა დალიმ.

— ვაქკაცობისათვის შეგიყვარე. მე უშიშარი მონადირეები მიყვარს. ფეხის ცერებზე მროკავი ჭაბუკები მიყვარს. როცა მზის საგალობელს მღერი, შენ? მჭექარე ხმა თეთნულდზეც მესმის. დიდხანს გელოდი, გელოდი და შენ მოხვედი. ლაჩარი რომ იყო, ქვესკნელში გადაგისროდი.

— მაინც ქალი ხარ, დალი. ეე შენს წითელ თმას ხელზე დავიხვევ და კოცნით მოგთოკავ, — უთხრა მონადირემ. გაიცინა გამომწვევად დალიმ. ვაჟი ჯიქურ მიეჭრა ღუთაებას. მარჯვენა ხელით დასწვდა სასთუმალზე გაბნეულ ნაწნავებს. გადაუწია თავი, წელში გადაზნიქა. მერე ძლიერ მკლავებში მოიქცია შემართალი დალი და ისე აკოცა, რომ ჯიხვთა მფარველმა მომაკვდავი დიაცივით ძალაწართმეულმა დაიჩურჩულა:

— შენ მართლაც ენგურზეც, ცეცხლზეც და თვით ჩემზე ძლიერი ყოფილხარ... სოზარ.

მერე სასთუმალზე გადაუვარდა თავი. და ნება მისცა მონადირეს კოცნით ამომშრალებია მისი ცრემლიანი თვალები. ეუფურებს სოზარ ყოვლისმძლე დალის. ახლა სიყვარულისაგან ქედმოდრეკილს. აგონდება რამდენჯერ ოცნებია მასზე. ზამთრის უსასრულო ღამეები ათასგზის დასიზმრებია, ჟთვალავჯერ უთხოვნია დალისათვის ჯიხვი. საოცარი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მასში შენივთდა ყველა ჭაბუკის ენება და სურვილი. უკოცნიდა დალის მხრებს, ქალთათა მკლავებს, თავბრეს ახვევდა მისი ოჭროს ნაწნავების სურნელი...

ინათა თუ არა, ზეწამოიჭრა. აქედან სჩანდა მთელი სვანეთი. კოშკების დანახვამ ოდნავადაც არ ააღელვა. მიხვდა, დალიმ ალერსის დროს გული ამოართვა წელში მოხრილი წაბარბაცდა სოზარ და მოცელილივით დავარდა დალის სარეცელზე.

გამოხდა ხანი. დამშვიდდა სოზარ. შეეგუა თავის ბედს. მიდგებოდა და გამოქვაბულის კედელზე იების, ზამბახების, ძახველის, გვირილების ნაყურით დალის ლამაზ სხეულს ხატავდა, როცა ღუთაება ენგურში ბანაობდა, ან ჯიხვებთან ერთად დაეხეტებოდა მთებში. დალი მრისხანე, დალი ალერსიანი, დალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოწყალე იყო, მისი ვნებათა გამგებელი, მისი ჭირისუფალი და სალოცავი ღმერთი. ბროლის ნამსხვრევებისაგან ნადირობის მფარველს სამკაულებს უკეთებდა. ყვავილებისაგან გვირგვინებს უწნავდა. ოქროსმჭედელსა და მიხანქრების ოსტატს თვალზე ხარის ტყავი გადაეფარა და არაფერი ამქვეყნიური ჭმუნვა აღარ აშფოთებდა. ვნებამ წარხოცა მასში მომავლის რწმენა, თავგანწირვა და ნებისყოფა.

დღეები, კვირეები გარბიან. ამაოდ ელის მარჰილ დაკარგულ ქმარს. მოხუცი ჯოკია გაჭყურებს მთებს, — ვაიმე, დაიკარგა ჩემი სოზარი, ალბათ უფსკრულში გადაიჩეხა. იქნება დალომ გაიტყუა?!

აკვანში ჩაკრულმა ბიუუნამ ტირილით ლამის დარბაზის ჭერი ჩამოაქციოს. საწოლში მოუსვენრად ტრიალებს მარჰილ. არ ეძინება. თითქოს ვიღაც ხმიმე ნაბიჯით უახლოვდება, კარმა დაიჭრიალა. ეს მხოლოდ ქარია. ის დაფაჩუნებს ეზოში, გამხმარ ფოთლებს აშრიალებს. — მარჰილ! — ხმა ჯერ შორიდან მოისმა, მერე სულ ახლოს. თითქოს ვიღაც სასთუმალთან დაიხარაო, ყურში ჩასჩურჩულა, ქალი წამოვარდა. კარი გააღო. მაღალი, ნაბადმოსხმული კაცი ჭიშკართან იდგა და ულიმოდა მარჰილს.— სოზარ, შენა ხარ, კაცო? — მან ხმა არ გასცა. ზურგი შეაქცია. მერე ჭიშკარს იქეთ მიიმალა და გზაზე გაჩერდა. —მარჰილ! — იძახის ისევ. მიდის ნაბდიანი, მიდის და მისდევს ატირებული ფეხშიშველი ქალი, ტყეში ხეებს ლაწა-ლაწი გაუდის. მთლად დაიკაწრა, ძალა წაერთვა. აღარსად სჩანს ნაბდიანი კაცი. თითქოს მიწამ პირი უყო. აღარც ვეებერთელა მუხის კორომები და წიფლის ხეებია. ამ დროს შემპარავი სიცილი გაისმა. ზემოთ, მთის წვერზე იდგა დალი. ოქროს თმა კოჭებამდე სწვდებოდა.

— დამბირუნე დალი ჩემი სოზარი!— ევედრებოდა მეტოქეს მარჰილ. დალი იცინოდა და გარბოდა თეთნულდისაკენ, სადაც ტყვედ ჰყავდა ყველაზე გამჭრიახი და ყველაზე მამაცი მონადირე.

მეორე დღეს ტყეში გონდაკარგული იპოვნეს ხის მჭრელებმა მარჰილ. ურმით ჩამოიყვანეს სოფელში სულთმობრძავი...

●

გვიან დაბრუნდა დალი გამოქვაბულში. გარეთ ისევ ისმოდა მარჰილის ძახილი

— სოზარ!

წამოიჭრა მონადირე.

— გამიშვი, დალი, მეძახის... გესმის?!

— წადი.

ჭაბუკი იდგა, გრძნობდა, უნდილი იყო მისი თხოვნა და შერცხვა.

— მარჰილი მოკვდა,—სთქვა დალომ და მონადირეს ცხელი მკერდით მხრები დაუდაღა. ფრთხილად მოიცილა დალის მკლავები სოზარმა. თვალები დახუჭა — მარჰილი მოკვდა... მოკვდა... ჩემი ცოლი, ჩემი შვილის დედა, გესმის შენ სოზარ! — იმეორებდა ის უაზროდ, მაგრამ ვერაფრით ვერ წარმოიდგინა ვერც მისი სახე, ვერც მასთან გატარებული ბედნიერი დღეები. წარსული ჩაიფერფლა. დაპატარავდა, დაჩიავდა კაცური ფიქრი. იყო მხოლოდ ვნება და სულიერი სიცარიელე. უგულო, ცივი აღქმა გარემო სამყაროსი და უშინაარსო, უაზრო სიცოცხლე ბროლის კედლებით შემოფარგლული.

შეხედა დალომ მის ფერხთით გართხმულ ოდესღაც ამაყ მონადირეს და შეებრალა ჭაბუკი. მწვანე თვალებში ჩაქრა დამცინავი ღიმილი. მერე ვარსკვლავებს თავისი ცეცხლოსფერი, ხშირი თმის ტევრები აფარა და დაბნელდა ქვაბში.

— გულს მაშინ დაგიბრუნებ, როცა შენი სახე ნაოჭებით დაიფარება და გაჭაღარავდები.

— ნუ გამწირავ...

—ისევ აჩურჩულდა მონადირე, ის ბნელში მიხოხდა დალის ფეხებთან და გაირინდა.

---

ნანა ჯაფარიძე
დალი სოზარი და ლეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლაჩარო...

კაცი გამოფიზზლდა, თითქოს ქალს სილა გაეწნას მისთვის. წელში გაიმართა და თვალებში წუთით ისევ გაიღვა გოროზმა შუქმა, რაც ასე აღელვებდა დალის.

უთვალავჯერ ადიდდა ენგური, მრავალჯერ მოვიდა გაზაფხული. დრომ წაიღო მრავლის სიცოცხლე და დრომვე მოიტანა ბევრისთვის კაცური ცხოვრების სიხარული, ზოგიერთისთვის სიბერის მთელი საშინელება, მარტობა, სევდა და განაჩენი.

წელში მოიდრიკა სოზარ. თვალების ირგვლივ და ტუჩების კუთხეებში ღრმა ნაოჭები გაუჩნდა. მკერდი ჩაუვარდა, გამეჩხრებულ წვერულვაშში ჭაღარა გამოერია. დრომ წაიღო მისი სიჭაბუკე და სიფიცხე. დალი გაშმაგებით დარბის ბილიკებზე. ჭიუხებში ავდრისაგან თავშეფარებულ ჯიხვებს უმიზეზოდ ჰკცხავს და ბარისაკენ მიერეკება. უკვირთ ცხოველებს, რათ მრისხანებს მათი მფარველი.

ზექალი ღამეს თეთნულდზე ათევს და მარად თეთრ ქალწულს თავისი სევდიანი სიყვარულის ამბებს უყვება. ქვაბში სოზარი კი არა, უძალო, უენებო, დაშრეტილი ბერიკაცი ელოდება, ახლაც ჩუმი დრტვინვით გასცქერის დალი საცალფეხო ბილიკებს, ჯიხვზე სანადროთ წამოსულ ჭაბუკს ელოდება. გაჭიცხა თეთრმა ქალწულმა დალი და ურჩია სოზართან დაბრუნება. ქვაბში ციოდა. სარეცელზე დამჭკნარიყო ყვავილები. ქალი ბნელში ვერ ხედავდა სოზარის ჭაღარა თმას, ნაოჭებით დაღარულ სახეს და ეალერსებოდა, თითებით უბერდავდა ქოჩორს.

განთიადისას საიდუმლოებით მოცულმა ჩურჩულმა გამოაფხიზლა ბერიკაცი. ეს ქვესკნელის ცხოველიტულში ჩაკეტილი გული მოსთქვამდა.

— დაჟანგებულა სოზარ, შენი ხმალი. ყავარი დალპა და სახლის სახურავი ჩაიქცა. დაბრმავებულა ჯავრით მამა — ჯოკა. წყევლა-კრულვას გითვლის, კერის მიმფურთხებელს. შენი შვილი წამოიზარდა. მარჯვედ ხმარობს ხმალს, სატევარს. ბრძოლაში ჩვენი დრამაზე-მი ხელთ უპყრია და ასე მიუძღვის ლაშქარს. ადექი სოზარ, გესმის ჩვენი ნების კვნესა, ხმალ-მეზარადის ყოყრუნი. შეხედე კაცო, უბედურო, მტერმა გადათელა ჩვენი ყანები და ვენახები კოცონზე დასწვა აკვნები და ჩვილები.

წამოდგა წელში მოხრილი ბერიკაცი. ქვაბის შესასვლელთან შეჩერდა. ადმოსავლეთ ცისკიდური კვამლს დაებნელა ბინა. იმძლავრა წყვდიადმა და დფარა ამომავალი მზე. უაზროდ გასცქეროდ სივრცეს. შეცივნული შემობრუნდა გამოქვაბულში. უეცრად მის წინ დამჭკნარი, მოცახცახე გული დაეცა. მთლად დაკაწრული, სისხლიანი. დაიხარა ბერიკაცი. გაშხდარი, დაძარღვული მარჯვენით დასწვდა თავის კაცური სიცოცხლის წაგლეჯილ ნაწილს. ნაჩქარევად შეიხსნა ახალუხის ღიბკილიები და ჩავარდნილ მკერდზე მიიკრა მოფარფატალე, მომაკვდავი გული. ეჩვეულო სითბოს დაუარა მთელს სხეულში. ისევ ძალუმით აფეთქდა ძარღვებში სისხლი. გაჭარა ნაოჭები და ჭაღარა. მკერდი ამოებერა და მკლავები ისევ დაეკუნთა. ტუჩების კუთხეებში იფეთქა სიცოცხლის წყურვილმა. თვალებში ისევ გაჭვესა გოროზმა, თავხედურმა შუქმა.

— როგორ მიბოვე?...

— ჩვენიანების გოდებამ შემაძლებინა ქვესკნელიდან შენთან ამოსვლა. წავიდეთ, წავიდეთ ჩქარა. იწვის ჩვენი ფუძე.

— ჰო იწვის, იწვის ჩემი სოფელი, ჩვენი კოშკები — ცხელი კურცხალი სოზარს ლოყაზე ჩამოუგორდა და წვერულვაშში ჩაეკარგა. ერთხელ კიდევ გახედა მძინარე ღვთაებას. ის ახლა ჩვეულებრივ, მიწიერ, დედაკაცს ვავდა და ადარ იზიდავდა მისი თბილი, ფაფუკი სხეული. სადღაც ქვაბის ბნელ კუთხეში იპოვნა თავისი დაჟანგული სატევარი. კლდის კიდეზე გალესა და ქამარში გაიკეთა. ქვაბის გასასვლელთან გაავებული სავავები დახვდნენ. ბასარი ნისკარტით და ბრჭყალებით დაუკაწრეს გულმკერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი. შემოჰფანტა ფრთოსნები და მიწაზე დაეშვა.

გამოეღვიძა დალის. აღარსად სჩანდა ბერიკაცი. მიხვდა, გულმა და სოზარმა იპოვნეს ერთმანეთი. გახედა ბილიკს, სადაც ასე ამაყად მიაბიჯებდა მონადირე და გაფფითრდა ქალი. ჯიხვის სიმარდით მიჰქრის ჭაბუკი, მისი სოზარი. მოიწყინა დალიმ. უკანასკნელი ეშმაკობა მაინც იხმარა. ბრძანება გასცა, მთებისა და კლდეების ყველა სულიერს ედღესასწაულნა მისი დაბადების შეათითასე გაზაფხული. უფსკრულში ჩამალულმა ნისლებმა ფერხული ჩაბეს და საცალფეხო ბილიკები ნაცრისფერი ჯანღით ამოქოლეს. იქ, ქვემოთ ისევ ისმის ბრძოლის კიჟინა...

— გაუშვით, ნისლებო, სვედამწვარი ადამიანი, კაცურ ცხოვრებას მოწყურებული. — ჩურჩულებს სოზარ.

თმებში გაეხლართა ნისლი. მოიგონა თავის ძველი სიჭაბუკე და მუხლის ძალა. შავმოსასხმიანი სიკვდილი ხარხარით მოცეცვავს ბილიკზე. უეცრად ვიღაცამ ჩამოჰკრა თითები ნისლნერ ჩანგს. კლდეები შესძრა სიმების ქვითინმა. შეერთა მონადირე, მიხვდა თვით დალის სიყვარული უხმობდა აკვნესებული ჩანგის პირით. ის მაინც გარბოდა ნისლით თვალებდავსილი. ახლა ალქაჯივით ავი გრიგალი ამოვარდა, სტვენით ღრიალით ეკვეთა მთებს, შესძრა, აიცალცახა ისინი. სატანური ხარხარით ახლა მონადირეს მიეჭრა, უხილავი ფრთებით გათანგა, სახე დაუსუსხა და ნაპრალის პირს შეაყენა. ამ ყურისწამღებ ღრიალში კვლავ შემოიჭრა წყნარი, მთვარიანი ღამის მთრთოლვარე მუსიკა, ალების ბერ აკვნესებული ჩანგის ქვითინი.

წითელთმიანმა ალებმა ვარსკვლავები ჩამოიტანეს ციდან და დალის თმაზე დააყარეს. უვარსკვლავო ცა კიდევ უფრო ჩაბნელდა.

— სოზარ! — ისევ უხმობს დალი. წამით შეჩერდა მონადირე.

დალიმ კი დრო იხელთა და ხელი აიქნია. გაქვავდა ენგური, გადაისარკა. გაიყინა წყალში მობანავე მთვარე.

— ჯადოსანი დალი — სთქვა სოზარმა, რომელსაც წუთით ყველაფერი გადავიწყდა. დალი გაყინული ენგურის ზედაპირზე ცეკვავს. როკავს თავდავიწყებით. რა მოქნილია, თხილის ტოტივით დამყოლი. როცა ფეხის ცერებზე ტრიალებს, ჰკვრივი ძუძუები მოუჩანს. ოქროს თმის ტეკრები ჰაერში მარაოსავით ეშლება. აღარფერი სჯობს იმის ყურებას. სოზარს ისევ მოენატრა მის გვერდით დაწოლა, მისი თბილი სხეულის სიახლოვე, მისი თმის სურნელის შეგრძნება.

უეცრად მოსახვევში დათოხილი ცხენისნები გამოჩნდნენ. გამოფხიზლდა სოზარ.

— ეჰეი! — გადასძახა, მაკრამ არავის ესმის მისი. როცა ნისლი გაიფანტა, ცეცხლმოდებული სოფელი დაინახა და ელდა ეცა. ხეობაში მოდიოდა და მოდიოდა მტერი. წამოეწია სვანებს სოზარ და მხარში ამოუდგა სახლიკაცებს. ჯერ ერთ მტრის ცხენოსანს მიეჭრა. გადმოიღო უნაგირიდან, ხანჯალი გულდვიძლში დაუტრიალა. მეორეს ბეჭთარი ჩამოუფხრიწა, ხელდახელ შეება და ისე დაუნდობლად მოაშთო, როგორც ცოფიანი აფთარი. მოკლულს ხმალი აართვა და მკლავი დაიგრძელა. უკვე მერამდენეს ჩაფხუტიანად წაგლიჯა თავი. ჭიაფრად შეეღება ხელები. ამდროს ერთი ახმახი მოეტრიალდა და შუბი აძგერა, მაგრამ ბეწვზე აიცდინა სოზარმა, გაცოფებულმა დაითრია ბილწი და სული ამოჰხადა. ერთბაშად ამოხეთქა მოზღვავებულმა ბოღმამ, სიძულვილმა, სამაგიეროს გადახდის წყურვილმა. ღვთით ასეა დაწესებული, მტრის დანდობა არ შეიძლება... მერე ცუდ დროს წამოეწია მთებში დადევნებული სიკვდილი. ჭიუხში ჩასაფრებულმა რჯულაღლმა მიზანში ამოიღო სოზარი და მშვილდი სტყორცნა, ღრმად გაეწონა ისარი გულში, პირქვე დაემხო. თბილი იყო დედამიწა და სისხლიანი. წამოსწია თავი... შორს,

---

ნანა ჯაფარიძე
დალი სოზარი და ლემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტრის შუაგულ რაზმში მიჰქროდა ალამი ლემი. თვითონ მედროშეს კი ვერ ჰკიდა თვალი. მოეჩვენა მომაკვდავს, რომ მხედართა თავზე გადარბოდა ჩალისფერი... ფაფარაშლილი ლომი.

— დროშის მტვირთველი ჩემი შვილია.

უნდოდა ეყვირა ხმამაღლა, მთების ღრუბლების, სვანების, მტრის გასაგონად. თვალთ დაუბნელდა, ამოძახილი სადღაც ჩაკვდა და პირქვე დაემხო, როგორც გლახაკი ვედრების დროს.

გადარჩა ჩვენი დროშა — ჩემი შვილი თუ?...

მოკვდა ისე, როგორც ათასები კვდებიან. თან წაიღო პატარა ადამიანური ვნებანი და ამქვეყნად დასტოვა დამწყვარი კოშკები და ნასახლარები...

შეძრწუნებული შეჩერდა დალი, როცა თვალი მოავლო ბრძოლის ველს. აი თურმე სად მოიჩქაროდა შავნაბადიანი სიკვდილი. რა ხარბად აგროვებს მოკვდავთა სულებს ქვესკნელის გამგებელი დახტის, ბუქნავს და მალაყას გადადის. სისხლით მთვრალი ვეღარ არჩევს ბოროტს და კეთილს, მოხუცს და ყრმას.

დიდხანს ეძება ღვთაებამ ხმლით აკაფულ ადამიანთა გროვაში სოზარი და ბოლოს ღელის პირას, პატარა წისქვილთან შეჩერდა. პირქვე დამხობილი გარინდულიყო კაცი.

— მოკვდა?!.. ქოჩორს უბურდავს, ცდილობს კოცნით გაათბოს. — ცივია სოზარ.

სიკვდილი ხარხარით გარბოდა და თან მიჰქონდა ცხოვრებაში ხელმოცარული ოსტატის ნაწამები სული და მაშინ გამძვინვარებული დალი დაედევნა სიკვდილს. სწყევლიდა მას. სთხოვდა სოზარის სულს. ხარხარებდა ქვესკნელის გამგებელი. ჰკიოდა ჯოგთა მფარველი. ფეხი დაუცდა სიკვდილს. გაუვარდა ხელიდან ოსტატის და მონადირის სული. სული ვეღარ შეაჩერა დალიმ... ის სვანური კოშკებისკენ გაფრინდა.

თმა დაიგლეჯა დალიმ. წვეტიან მწვერვალებზე მკერდით დაენარცხა. შფოთავდა, ჰკიოდა ამაყი ღმერთი. სთხოვდა ზეცას, სინათლისა და სიყვარულის ფაფარ-დეგანონ ძალას, დედამიწისა და მიღმა სამყაროს ვნებათა გამგებელს, დაებრუნებინათ სოზარის სიცოცხლე მისთვის.

ქვემოთ, ახოზე გრძელდებოდა ხმალმუზარადის ჟღრიალი, ვნესა და ყივილი. მუზარადებისა და ჩალმების თავზე ისევ აიფოფრა ჩალისფერი ქართული ალამი. მისი ტარი, მტკიცე მარჯვენას ეპყრა. ცრემლი შეაშრა დალის, — როცა მედროშეში სოზარის ორეული შეიცნო. — ლემი ზემოთ ქარაფზე აღმართულ ადიშის ეკლესიისკენ მიილტვოდა. არც დროშის მტვირთველს და არც ფრთოსან რაშს არ ეკარებოდა უწმინდურთა მახვილი. წუთით თაღიან კარიბჭეში გაუჩინარდა ალამი ლემი, ადიშის ეკლესიას ჯიღად დაადგა ნაბლის სვეტი, ქართულმა ალამმა ოქროსფერი ბრწყინვალება შეანათა თეთნულდს.

მტრის მეომრებმა ახლა განძთსაცავსაკენ გამოაქანეს ცხენები. უნდოდათ, მოესრათ და გაეძარცვათ იქაურობა.

გამძვინვარდა დალი. დუშმანისკენ მიბრეწდა. ზვავებით გასრისა მათი ცხენოსნები. მერე ნისლი შემოახვია კოშკებსაც და ადიშის ეკლესიასაც, რომ უწმინდურის თვალს არ შეენიშნა ისინი...

ამბობენ, დღესაც სანადიროდ წასულ ჭაბუკ მონადირეს ხან ველის, ხან ქალის სახით მოეჩვენება დალი. გაიტყუებს გამოქვაბულში, თავისი ფაფუკი მკლავების ტყვეს გახდის, მაგრამ ხანდახან უჩვეულო სევდა შემოაწვება გულზე, იგონებს თავის ყველაზე ძლიერ და მხურვალე სიყვარულს — მონადირეს და ოქრომკედელს. იმასაც ამბობენ, სვანურ კოშკებს და ადიშის ეკლესიას მფარველობსო ღვთაება, თვალის ჩინივით უფრთხილდება იქ შენახულ ლემს. გამძვინვარებული დალი ემუქრება ჩალმიან მტერს და შავნაბადიან სიკვდილს... ოდესმე ალბათ დამშვიდდება შურისმაძიებელი ღვთაება და გამარჯვების ნიშნად მზეს ზვარაკად შესწირავს თეთრ, უცოდველ ირმებს.

ემზარ კვიტაიშვილი

# ხე ცხოვრებისა

## პოემა

თვალის გაწვდენა მიჭირს, იმდენი ხანი გასულა
(ათ წელზე მეტი). ჩემს არყოფნაში, წვიმამ დაალბო
თავდია ყუთი. ყველა წერილი, სურათი ყველა —
უკვალოდ გაქრა, არ მიძებნია. ყოვლის აღდგენას
არც ჰქონდა აზრი. რაც იყო, რასაც ვეღარაფერი
ვერ მოერევა, ისედაც მახსოვს. მინდა სამივეს
გწამდეთ — ფიქრშიაც არ გამივლია თქვენი ღალატი.
მზეს ვერ შევხედო, თუ გამეთიოს უთქვენოდ ღამე.
გაგიკვირდებათ, დახედავთ, იცნობთ უბრალო ნაწერს.
ვეჭვობ შემეძლოს თქვენი გართობა ან გახარება.
მრჩება იმედი — გაურკვეველი ძილით მძინარეს
დამწვდება ციდან თქვენი მოღლილი ფრთების შრიალი.

### I

არ მესირცხვება — მეძახდე მონას,
გული ანგრიო,
სისხლი აფეთო...
შენმა ხსენებამ ცრემლებად ქონოს,
ტკივილო ძველო და უცაბედო.
ამომენთება, ამიტანს ყინი,
დამოკლებულო ჩემო აღვირო,
არაფრად გიღირს — სახელი შენი
ამიფრიალო და დამაყვირო...
დამწდარ გუბეში იდგნენ წრეებად
მრგვალი სვეტები საფიშენი,
აზიდულიყო კოშკი ვეება, —
ლოდინის, შენთან ყოფნის ნიშანი.
არა ნახატი და არა სქემა,
ალესილ შპილზე ზურგით აცმული,
ვეკიდე. რა თქვეს თვალებმა ჩემმა,
თუ გეცნო სახე ან ტანსაცმელი.
არა თქვან — ლანდებს გაუტაცნია,
დანაზე ყელი მაქვს გაშვერილი.
რაში დამჭირდა, რისი მაცნეა,
რა ნუგეშია ჩემი წერილი...
დაბერილ ძარღვებს დაუყვა დენი
და ლურჯმა ალმა ხორხი ამოწვა.
არ მოველოდი; უეცრად შენი
ხმა გავიგონე. ეს იყო ლოცვა:

„შენ შორს იყავი ცისგან, მარიამ,
თითქოს ტრამალზე შროშანი ზისო,
გიცნო ვარსკვლავმა ხარიპარიამ
ლანდი მწუხარე, ასული მზისა.

ხნულის კურთხევა და თვსლის თესვა,
ნიავის ფრთები, ცით მონაქროლი...
ჩვილი უღონო უბეში გესვა, —
შენსავე მკერდზე იყო გაკრული.

გდიოდა ცრემლი და ისე ჩანდა,
სუსტი მაჯებით მასვე ეკავე.
მიშრიალებდა სილაზე ზანტად
ზღვა — შენი სახლი და წამლეკავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დაქანებული** და შენადები,
**ჯალის** ბეჭებზე იწვა კედელი.
ჭიღარ გიტევდა ვიწრო თაღები,
ქვა დაკუთხული და წაწვეტილი.

**ისმოდა** მოთქმა, ხმები მლოცავთა,
მიაგენს, იცნეს კალთა დედური;
ტანზე გეხვია და გაცოცავდა
ათასი ბილწა და უკეთური.

შენ შორს იყავი ცისგან, მარიამ,
სძალი და დედა სახით, ფერითაც...
გიცნო ვარსკვლავმა ხარიპარიამ
ჩვენზე მლოცველი და გაგერიდა.

## მოულოდნელი ჩანართი

**ერთი შემთხვევა** უნდა გავიხსენო. ახალ შეღამებულზე, **თეთრად** შემინულ ავტობუსში მოვხვდი. ვიგრძენი, რაღაც **საეჭვო** სიმჩატით მიირწეოდა, ორივე მხარეს შავკაბიანი **ქალები** ჩარიგებულიყვნენ, მუხლებზე ბზის ტოტები ეწყოთ — ბუნების ცოცხალი სუნთქვა; მწვანე სიმღერებად დატეხილი. **თვალები** უცინოდათ, არაფრით არ ამხელდნენ — ვინ გააცილეს. **ადგილიდან** არ დაძრულან — ასე ისხდნენ პირმოკუმულები. **ქუჩების** გადაკვეთაზე მცირე ხნით შეეყოვნდა ავტობუსი, დამრეცად დაყენებულ სარკიან ვიტრინას გაუსწორდა. დაიძრა თუ არა (ეს მაშინვე დავინახე ირიბ სარკეში), ცისკენ აიშვირა ბრტყელი პირი, ტანი აიქნია, აცურდა, მიაქანებდა აზრიალებულ მინებს დასაწნეხი მტევანი. საცოდავად ხსმარტალებდა მიწას აწყვეტილი ბორბლები. **გვერდს** ვუქცევდი შხულით გამოქანებულ ვარსკვლავებს. **ქალებს**, თითქოს არაფერიო, წერტილი არ შეტოკებიათ **სახეზე**. მათ წინ ციცქნა სანთლები ინთებოდა **რიგრიგობით**, თითო ფანჯარასთან — თითო. მოვიწყინე. ჩემს გარდა, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ შინ ბრუნდებოდნენ.

●

**რაა საწყენი.** ზღვამ იცის ასე.
ჩემი დღეებიც გულდაგულ მარხა.
**არ** ვიხედები ნაბიჯის ხმაზე.
**სხვა** რა მოხდება; იყავი — არ ხარ.

ბეტონის გულზე ტალღების ცემა,
ანტენის კუდი, მთვრალის ბანცალი...
ბაგეებს შერჩა მარილის გემი
**და** ყურში მიდგას ის ღრიანცელი.

**განზე** გამდგარი საეჭვო წრიდან
(პირით გადახსნა დასაკეცავი
**დანა**), მუხლებზე საზამთროს ჭრიდა
**და** ურიგებდა ბიჭებს მეძავი...

**რად** მომელანდა ხაშმი ჭაობთა,
ვისთვის ბოლავდა კუპრი, სულეთი...
**შიშველ** კისრებზე რად ქანაობდა
**იმდენი** ჯვარი და ამულეტი.

**უნდა** მეძებნა **ნაპირი** ფართე,
ჯარების ძონძები **ხელით** მეთრია,
**გაუმხელელი** ცოდვების ფარდი
**დამეცვა** რიგი და **სიმეტრია.**

ძლივს გავარჩიე საზღვარი, ფორმა, —
**დაიძრა** ხილა, **გაშლილი** ქარზე,
**გამოზომილი** ეჭირა ორმო
**და** ხურდებოდა ყოველი გარსი.

ორივე **გაქრა** — შიში, იმედი...
ახლოკდებოდა ალის ტკაცუნი.
**არ** იყო **ეცხო** ან რაიმეთი
**საგინებელი** ან **დასაწუნი**

იქაურობა. თვითეულს ეგო
ნაკირავები ან **საკუთარი**
**ჭრელი** ლეიბი. აგორდა ექო
ცოდვილთა ხვეწნის, ჩუმი მუდარის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე მჯეროდა და ასე ხატეს
ჟამი, როდესაც ვრჩებით მარტონი...
და სხეულს ჩვენსას — დაწრეტილს, მჩატეს —
ფლეთენ ფრინველნი უნისკარტონი.

●

ნიშანი არავის მიუცია.
მწვანე ბინდში, გადაკრეჭილი ბუჩქებიდან,
გამოსკდნენ მაღალ-მაღალი, ქერა ქალები.
თვალთა ფსკერზე, ჭორფლით დაკენკილი,
ღია მწვანე რგოლები ირეოდა,
მისრუტავდა კამკამა ჭაობი.
ქუთუთოებზე,
ათქვეფილ თმებზე,
ყვრიმალებზე —
ალუმინის მტვერი ეყარათ,
ბრჭყვიალა, სალონის ვიტრინაში დანაყილი.
(დვინახე: გადაწვენილი კიუტა...
ატლასის იღლიებს აჩენდნენ —
გადაქოთებული, თავღია ჩემოდნები).
ერთს (შავკაბიანს) იაპონური ძაღლი აეტატებინა:
პაწია რაინდის წავარდნილი თვალები ლოკავდა —
თეთრი, ყავისფერი ტალებით დასერილ მკერდს;
კედელს — თბილსა და გლუვს —
ითითქო ზედ ქუსლებით შემდგარიყო.
ამაოდ გაკვირდებოდი,
არცერთი იმათგანი არ იყავი.

●

შედამდა თუ არა,
რეზინის ფარფლები მოვირგე,
ზღვის წიაღს მივაშურე,
მეგონა — იქ მაინც შეგხვდებოდი.
ყვითელ ფსკერს ულმობლად ჭამდა
აბაზანის ჟანგი —
გოგირდის დამშრალი ღელეები.
ყოველ ნაბიჯზე მხვდებოდა —
ალაგ კაჟისგან, ალაგ მარმარილოსგან,
ალაგ მარილის ქვაში ნაკვეთი სახეები, —
გაყინულნი, უხელყურონი.
ვიწროდ გაჭრილ, გამომქრალ თვალებში
იდგა სიმშვიდე, განურჩევლობა.
თვითეულის წინ — სოკოებად დათლილი —
ნარჯნის ნათურები ბეუტავდა.
ძნელია წარმოიდგინო
უფრო დიდი საშინელება; —
ეს ტყე, ეს გაქვავებული კალიები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათითაოდ რომ დაგვევლო,
ვერავის იცნობდი.
ᲩᲘᲛᲭᲔᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ სინათლის წერტილებს.
უცნაური, წელამდე ჩამარხული კერპები.
დაფხავებულ ბორცვებზე ფშვინავდა —
რქოვან ჯავშნად,
კირქვად დალექილი
კიბორჩხალების მილიარდი დინასტია.
გაშავებოდათ, დაბრეცოდათ
შლამში ჩარჩენილი მარწუხები.
იქაც არავინ იცოდა შენი ამბავი.
შევატყვე — არ ღირდა ძებნა,
შემთხვევას დაველოდე.

●

ის გაზონი კარგად დავიმახსოვრე.
ბილიკზე მოპნეული ფომფლო, თეთრი მტᲯერი.
ისევ გამოეფინენ Ჯგროდ
(ამᲯერად საპირისპირო მხრიდან)...
ესენიც ქალები იყვნენ,
შედარებით მომცრო ტანისანი.
ხმის ამოღება არ შეეძლოთ.
თავების მაგივრად, ზონარზე გამობმული,
ბუშტები ებათ — წითელი, მწვანე...
იშვიათად ლურᲯიც გაერეოდა.
ქარის ამოვარდნას უფრთხოდნენ —
ეშინოდათ უთაოდ დარჩენა.
ერთ ნაოჭს ვერ უპოვიდით
აპრიალებულ, გადაჭიმულ სახეზე.
როგორც უკვე ვთქვი, —
ბუშტები იყო სხვადასხვა ფერის,
მკვრივი, სამკუთხად მოქანავე.
ზომითაც განირჩეოდნენ;
აშკარად აჩნდათ ნიკაპი, ყბები.
ზოგიერთს ქუდიც კი ჩამოეცვა, —
გადაკეცილი, ფარფლებიანი.
და როგორც ფერად ბუშტებს ემართებათ,
მათაც შიგნიდან ენასკვებოდათ
ფრთხილად დაგორებული წვეთები,
ოფლის თუ ცრემლის, მიჭირდა გარჩევა.
ამასობაში, მიტოვებულ,
აუშენებელ პანსიონატს გაუსწორდნენ.
წყავის ბუჩქებს მოეშოოთ, დაერბიათ —
იდაყვში, მუხლში გადამტვრეული ძეგლები,
ზმანება — სტანდარტებად ჩამოსხმული.
ძარღვების ალაგას ჟანგიანი,
გაშიშვლებული მავთულები ამოსჩროდათ.
დაბზარულიყო საცეკვაო მოედანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაბაშირის ძვლებით გადათეთრებული.
მოსეირნეთა ჯგუფს ერთი ჩამორჩა,
მომიახლოვდა, დამაჩერდა (რამდენადაც შეეძლო).
შენს გარდა, ვინ უნდა ყოფილიყო...
წაქანებულ თავ-პირზე, მიხატულ წამწამებზე,
ირიბად დაგეცა ცხელი წვეთი,
ჩამოყვა ლურჯ ლაქას, აგატირა.
სახე შენი (დაქუცმაცებული)
ცრემლებად გამება გადასერილ სახეზე...
ახლაც მიკვირს — როგორ დაგინახე;
მიყოლებით, წვეთ-წვეთად წყდებოდი
ჭრილობის ნაწიბურს, თავდებოდი...
და ვიდრე მზე პირს დაიბანდა,
აღარსად იყავი.

## II

მატყობინებდი, რომ ორი წელი
ჩათავდა უკვე, რომ ორი წელი,
ლოდინისათვის, საკმაო დროა.
მე ცალი თვალი ფრთისკენ მეჭირა
და თვითმფრინავის აძაგძაგებულ
მუცელს ვლოცავდი. ცვარს დაეკენკა
ვეება თვვზის ფარფლები, კუდი.
ავად მეტყველმა იკლო ზრიალმა,
დაძენძილ ღრუბელს გახურებული
გაევლო შანთი, აამიშინა...
მწერდი, რომ ნერვებს მოვფრთხილებოდი,
არ შევეჭამე ათასგვარ წვრილმანს,
თუ საძებნელი იყო რაიმე,
მეძებნა ცაზე. გულში, ორივე
ფილტვში შემეშვა ხმაური ქვეყნის.
ვიცი, ასეა; დიდი დრო მიაქვს
და ენერგია ოჯახზე ზრუნვას.
კარგა ხანია, ამაზე ფიქრმა
გადამიყოლა. რა არ ვიღონე,
რომ გამეღვიძოს ორად გაყოფილს;
ერთი შინ დავრჩე, ვაკეთო, რაც სურთ,
ხოლო მეორემ დავადო თავი,
გადავიკარგო. შენ კი, შენ ამ დროს
თეთრი ფარდების ტბაში ირწევი
და მზესუმზირას ჩაბრუნებული
თავები გიზის მკერდის ფიცარზე,
წყვილი ყუნწიდან რძე წვეთავს ძილში,
ჯედვე გაშრება. ყველაფერს მაინც
იმ გახსენების ადგას ნათელი.
ჩვენ მივყვებოდით მდინარის ნაპირს.
თვალები შენი, ყურეში დამდგარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალზე მორჩილი, მე მიყურებდა.
მდინარის გაღმა შვიდი გუმბათი
ელავდა ლავრის, უმცროს-უფროსი,
ოქროცურვილი, მოყელყელავე.
მოგვიანებით, ლამპიონებმა
შეგაბეს მძივი, მდორე სარკეში,
თან გაგიყოლეს, ვხედავდი როგორ
გფარავდა წყალი. გადმოვიხარე,
ცეცხლის ჩარჩოში თავგაყოფილი...

●

გადაღმა შენი სახლის და ქუჩის,
ოთხი ჯიხური ენთო სიროფის,
ბოლავდა, თითქო კოცონზე რუჯეს —
ქალაქი ყინვის, უნაპირობის.

გობელენს, შიშველ კედელზე ნაფენს,
(სად ამოგყევი, ღმერთმა უწყოდა)
წიგნის თაროებს, იატაკს, გრაფინს —
არ ეტყობოდათ კვალი უცხოთა.

თვეზები, მინის ფსკერზე მცურავი.
დაძალებული ხილი, სასმელი...
გულდაწყვეტილი და მომდურავი
დათვი, ტახტიდან ძირს გადასმული.

შეხვედრა — ბედის ხელით ნაწერი.
დუმილი — მხრებზე მხრების მორგება.
ძილებში გამჯდარი და განაცერი
ხისხლის ავარდნა და აბორგება.

ვერ ვიტყვი — კარზე გედო ურდული,
მატყობდი — არც მე ვიყავ მოძალე.
გამოზოგილი და ნაქურდალი,
ოქროს წუთები თვით ჩამოცალე.

... და ისე ჩანდა, აჭრილი ცამდე,
თეთრი სახლები — ბლოკები შაქრის, —
იტყოდი, ვეღარ გაუძლებს ამდენს,
ნერხევა კმარა — ცაშივე გაქრეს...

* * *

მინდა გავიხსენო ზოგიერთი ადგილი, შენთან ერთად რომ მომივლია. უპირველესად მაგონდება წვეტიანი რკინის მესერით შემოზღუდული ვეებერთელა პარკი. შესასვლელის ორივე მხარეს, კედელში, სალაროები დაეტანებინათ. მთავარი სვეტების შესაყართან გადაჭიმული თაღი პურის უზარმაზარი თავთავებით, ფარ-შუბით, დოლ-საყვირით და ნაირნაირი ყელიყელგადაჭდობილი საკრავებით მოჭედილ შავ ალაყაფს შეევსო. მერე მივხვდი (ყველაფერს მერე ვხვდები)

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბრალო პარკს რომ არ გავდა, მაგრამ რაღაც ვიზამდი, მივუევი დინებას. ჭიშკრამდე, დაახლოებით ორმოცდაათ ნაბიჯზე, ორივე მხარეს, აფიშის სტენდები იყო აყუდებული. ერთზე შუახნის მამაკაცი დიეხატათ, მოცინარი, ცალ ფეხზე მოჭანავე, წაბორძიკებული. გეგონებოდა, კბილები გადმოცვენაზე იყო და პირი ბოროწეულის მარცვლებით ჰქონდა გამოტენილი. შავი ფრაკის კალთებზე გამობმული ორფუთიანი გირები კისრის ძარღვებს უძაბავდა. ყელზე, ბაფთის ქვემოთ, ფანერის ფირფიტა ეკიდა:

დღეს და ყოველდღე — დილიდან საღამომდე — შესაძლებლობა
გექნებათ არენაზე იხილოთ მარამორანსის მოძრავი
ცირკის მთავარი კომიკი მ ი რ მ ი ლ ი ო ნ პ ი ე ი

აფიშა ხელრიანად არც მქონდა დათვალიერებული, რომ პარკის შესასვლელს მოხავერდებული ეტლი მოადგა. სამი ცხენი იშვერდა მიწას აწყვეტილ წინა ფეხებს, რიყიზე ამოყრილი ღორჯოებივით დაბერვოდათ ნესტოები. სამი აღვირი ექაჩებოდა სირბილში მიმოღრეცილ კისრებს. ლაქით აპრიალებულ ხის თავებს იქნევდნენ უტანოდ დარჩენილი, საღებავგაცლილი ბედაურები; გუგუნს უმატა ძრავამ, ეტლი თაღს გასცდა, ლურჯი ბოლი გაიდევნა და შალე ადგილზე გაქვავდა. ყავისფერ, გამოხუნებულ ფოჩებზე დაკიდებულმა ზანზალაკებმა წკრიალი მორთეს. ეტლზე ჩამოცმული ხავერდის საბურველი გადაიხსნა და ორიოდე საფეხური მკვირცხლად ჩამოიარა წელში გაზნექილმა მწითურმა კაცმა, რომელიც მანამდე არ ჩანდა. ეტლს ხელი აუქნია და მიმოიხედა.

ბუნებას თავად ეზრუნა, რომ ამ კაცს არავითარი ნიღაბი არ დასჭირვებოდა; თავისუფალად შეეძლო — ჰაერში ასროლილი პლასტმასის რგოლები, ხელფეხის ნაცვლად, წაწითლებულ, აპრეხილ ცხვირზე წამოეცვა. უმრავლესობამ იცნო აფიშაზე გამოსახული ხუმარა. ატყდა გადალაპარაკება, ჩუმი სიცილი. უეცრად, მიმავალს, შარვლის ტოტში ფეხი გაებლანდა, საკუთარ კანქს წამოედო და შეტორტმანდა; ტანი ჯერ მარჯვნივ გადაუქანდა, მერე — მარცხნივ; ვითომდაც ზღართანი უნდა მოედინა და მტვერში ამოგანგლულიყო, რომ ვიღაც გულუბრყვილომ ხელი შეაშველა, ეგონა წაქცევას გადავარჩენენო. პიჟმა ფეხები მიატყუპა, თავი დახარა, მადლობა გადაუხადა კეთილის მსურველს და გუგუნსა და ღრიანცელში დაემშვიდობა.

გამოჩნდა საუკუნოვანი ვერხვების წრეში ჩადგმული ცირკის შენობა, თითქოს ბოიარის ქუდი ამხვიაო. მთლიანად სახურავი იყო, კედლები არსაიდან უჩანდა, მხოლოდ რუხად აციმციმებული ნაკეცები ჩაზნექოდა ალაგ-ალაგ.

პირველი, რაც პარკში შესვლისთანავე მიიქცევდა თქვენს ყურადღებას, გრძელი, ბორბლებზე შემდგარი ტირი იყო. სამიზნესთან მდგარს თუთიყუშის ჩხავილი მოგახედებდა. მარჯვნივ, შემაღლებაზე, წვრილი მავთულებით დაქსელილი გალია იდგა. მოწყენილი, უყურადღებობით გაანჩხლებული თუთიყუში გალიაში დაკანებულ მოკალულ ბუნიკებს კორტნიდა, ნისკარტით ებჯინებოდა. მეგონა პირში გოგრის გაფცქვნილი თესლი ედო, მოხარშული. ენა აღმოჩნდა. ბნევმატური თოფს ყოველ გატკაცუნებაზე შეხტებოდა, ადგილს იცვლიდა.

ტირის გამგე, მორჩილი გამომეტყველების გამხდარი კაცი საკენკივით დაგიყრიდა ნამცეცა ღილებად ჩამოქნილ ტკვიებს, თოფის დატენვას დაგაცლიდა და ავტომატის სახელურს დაქაჩავდა.

აზრიალდებოდა მწვანედ და წითლად გადაღებული თუნუქის ტყე. ტყის მთელ ჩარჩოს გარშემო გაშშვლებული, ერთმანეთში ჩახლართული ფესვები ეგრაგნებოდა (დახატული, რა თქმა უნდა), ფოსოებიდან სხვადასხვა ფერის ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურებს ამოეყოთ თავი; მშვიდი ციმციმით ლამბავდნენ გვერდებჩაზნექილ, გაჟულტილ წრეს. წამიც და, თქვენს თვალწინ ჯუნგლის ბინადრები რიგრიგობით იწყებდნენ წრიალს და ძუნძულს. ყველამ თავისი სორო, ტოტი და ბილიკი იცოდა. ყოველ გასროლაზე (თუკი მიზანი არ გიმტკუნებდათ) რომელიმე ნადირი დაყირავდებოდა: ლომი ან ვეფხვი, ან შლიგინით გამოვარდნილი მარტორქა; მუხლებზე ჩაიჩოქებდა ფერდებშენგრეული ველური ტახი. რაიმე ნივთის გარდა, ჯილდოდ ზოგჯერ მარტივი მელოდიის ერთი ტაქტი სრულდებოდა (თუ სმენა არ მღალატობს); დამსხვრეული, მდინარეში ჩაძირული ყინულის წკარუნი დაუვლიდა დაბალ ჭერს, კუთხეში დახვავებული ბათამაშოების თავზე მიწყდებოდა; გაოცებულნი შემოგაცქერდებოდნენ ხარიხაზე ჩამოკიდებული, ცელოფანში შეფუთული — დათვი, ტურა, ფოცხვერი და სხვა მისთანანი.

გაზონების ჩაყოლებაზე გამოკრული პარკის გეგმა ყოველ წვრილმანში გაგარკვევდა, მაგრამ ჯობდა თავად გენახა ყველაფერი. ზემოდან რომ დაგეხედა (იყო ამის საშუალება; პარკის ბოლოს უზარმაზარი, ჭრილით აბრუნებული ბორბალის რომელიმე კალათაზე უნდა ჩამომჯდარიყავი და ის აგზიდავდა მაღლა) იქაურობა კომპასის გაკვავებულ ისარს ან სანახეროდ გახელილ თვალს (აუზის წყალობით) გავდა.

პარკის შუა ნაწილში არხი იყო გაჭრილი, წელზე ის მრგვალი აუზი ჰქონდა შემობმული, იქეთ-აქეთ თეთრი, რიყულებიანი ხიდები შემოსალტოდა. შორიდანვე ჩანდა ცაში ავარდნილი, გადაქანებული შადრევნის დაბინდული ძონძი.

სულ ბოლოს ხეხილის ბაღს უვლიდა ურეოლა. სიგრძეზე ჩაედგათ ცისფრად შემინული ორანჟერეა, ხავსზე აკრული მიწის ნესტითა და კედელ-კედელ მცოცავი ყვავილების სუნთქვით დაორთქლილი; თუმცა ამაზე მერე მომიხდება ორიოდე სიტყვის თქმა.

●

სალაროს ნიხრი ჰქონდა დართული,
ამოიკითხე შუშის დაფაზე —
წარწერა, მოკლე და სტანდარტული:
„დიდებისათვის — შესვლა აბაზი“.

დგას ავტობუსი — იგივე ტირი —
დაცხრილულია კედელი, ბადე...
არ დაგიჯდება გასროლა ძვირი,
თან გაერთობი, მსურველო, სცადე.

გაზნექილ ფიცარს მუხლით შედექი,
ლულის კრიალა ღარში მზირალი;
იქვე ცხადდება სროლის შედეგი, —
გერგება ნივთი ან საღირალი.

ვინაა მარჯვე და უმაგრესი —
მისი იქნება „ბიპრი“, საპონი,
ჯიბის ფარანი, უთო, ჯაგრისი,
სხვა წვრილმანები... მოიფონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელ სუვენირს დაემუქრები —
თიხის ყულაბა, ტორტის ყალიბი...
შენგე დაგრჩება სხვა საჩუქრები, —
სასანთლეები თუ მაშხალები.

საკრავის მუცელს სადაფი აკრავს,
ნაყვავილარი უკრავს მეთარე,
უსმენ, გაწებილ თითებში გაქრა,
ნაყინი — ტყვიის კანში მწვეთარი.

აკინძულია ხმელი ტარანი...
ლუდის კასრები დიდ-პატარანი
გორავს, ივსება ნესტით და ბანგით —
მორწყული კიბე, დახლი, მარანი...

**ბალე ცირკის შესასვლელს მივადექით, მარმარილოს გრილი კიბეები ავიარეთ და კარებში მდგარ მებილეთეს მივენდეთ. დიდი ლოდინი არ დაგვჭირებია. განათებულ სცენაზე დაბალი, ჩასუქებული, შუა ხანს გადაცილებული მამაკაცი გამოვიდა, გადასლექილ თმაზე ორივე ხელი გადაისვა და ხალხს ანიშნა, გაჩუმებულიყო. ჩაახველა, მიკროფონი შეაჯანჯღარა და საქმეს შეუდგა.**

მთავარი ადმინისტრატორი

არავითარი ოინი, ხრიკი...
მაყურებელი ბევრად მეტია,
ვიდრე ადგილი, თუმც იმედია,
ყველამ მონახა თავისი რიგი.

სანახაობას უყვარს ყურება.
რადგან სამოთხედ უნდა გვექცია
თქვენი აქ ყოფნა, თითო სექციას
თითო ბუფეტი ემსახურება.

იქნებ დაგვჭირდეს შუქის ჩაქრობაც.
სანამ კბილებით კიდია ცაში,
გთხოვთ ნუ იქნება: ხმაური, ტაში
ან შეძახილი... უჭირს აკრობატს.

სახელოვანი გამოდის დასი.
მოვლეს აზია, მთელი ევროპა.
არ დაირღვევა თანმიმდევრობა,
შედგენილია პროგრამა ასე...

**ადმინისტრატორმა პროგრამის წამყვანს დაუთმო სიტყვა — მასთან შედარებით ახალგაზრდა, მასზე გაცილებით მაღალ და მჭლე კაცს.**

**ხალხს მოვავლე თვალი. ერთი სამკუთხა, უცნაურად წაქანებული აივანი იქცევდა ყურადღებას, ორკესტრანტების მოედნის ძირში დატანებული. მამაკაცები იყვნენ, უკლებლად მახინჯები, არც ერთი ქალი არ ერიათ. ზოგს ნიკაპი არ**

ჰქონდა, ზოგს — ყური და ცხვირი. არ იჯდა ერთიც, რომელიმე ორგანო რომ არ კლებოდა. თითქოს საგანგებოდ შეარჩიესო ერთმანეთი. არაფერზე ეტყობოდათ, რომ ეს ამბავი აწუხებდათ. ზოგის სახე და გარეგნობა ჩამრჩა, დამამახსოვრდა.

ერთს, მაგალითად, წარბის ალაგას პრიალა სიწითლე გადაკვროდა და ცალი თვალი (შესაძლოა ჯანსაღიც) აპკს იყო ამოფარებული. საეჭვოა, იმ თვალით რაიმე დაენახა.

რამდენიმეს ხელის თითებიც არ ჰქონდათ, რომ ნომრის ჩავარდნის ან სხვა უკმაყოფილების შემთხვევაში დაესტვენათ; სკამის საზურგესა და სახელურზე იგლესავდნენ მორგვალებულ, შავ-შავ მაჯებს.

ფეხები არ უნანდათ; დარწმუნებული ვარ, იქაც არ ექნებოდათ კარგად საქმე. დროდადრო რაღაცას წამოიძახებდნენ, სახეზე სასიკვდილოდ წამოწითლებულნი.

აივანს ჯაჭვი ერტყა გარშემო, შავი, ალაგ-ალაგ დაზნექილი. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ალბათ ახსნიდნენ. ისე, დიდად არც ამაზე წუხდნენ.

...სანამ ორკესტრი მარშს აგუგუნებდა, ხვეული კიბის თავზე შემოდებული ბურთი დაბზრიალდა, ვერცხლისფერ საფეხურებს დაუყვა და გაგორებული ფერადი ნაჭრებით მოგებული მანეჟის შუაგულში გაჩერდა, გადაიხსნა. ცალ მუხლზე დაჩოქილ, შავ ტანსაცმელში გამოწყობილ მთავარ კომიკს სისხლისფერი ვარდების თაიგული ეპირა; შავი ცილინდრი მოიხადა და მაყურებელს მიესალმა. ტაში დიდხანს არ დამცხრალა. თავს დაბლა ხრიდა, წითური თმა უბრწყინავდა. ცეცხლმოკიდებულ ფითილს გავდა, იტყოდი, საცაა აფეთქდებაო. ბევრი იტრიალა, ბლომად ოფლი ღვარა; ხან ერთი მხრიდან გამოჩნდებოდა, ხან — მეორედან, ხანაც ზემოდან დაეშვებოდა. ჯამბაზობის გარდა, ილუზიონისტის ნიჭიც გამოამჟღავნა. იძულებული გავხდი, რამდენიმე მჩატე სტრიქონი მისთვისაც მეძღვნა:

აგერ მოდის პიჟი,
ქუდზე ჭრელი ლენტებია,
რის დაღლა და შიში,
სახეს ცეცხლი შენთებია.

ევალება მას —
პაუზების შევსება,
გამოსტაცოს ზღვას —
ბადე ოქროსთევზება.

წინ ფინია მიხტის,
დაჭიმულა ბაგირი...
ხელთათმანებს იხდის,
თითონაა ფაკირი.

წყლად აქცია ფაფა,
გველად — მეფის ტიარა,
ხან დაშნები ყლაპა,
ხან ეკლებზე იარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბარია, წყინს —
იარუსთა დაქანება;
რა ჯობია ლხინს,
თუ ცხოვრებამ დაგანება.

როგორც ზემოთ ვწერდი,
(უკვე იწყო ბარბაცი),
აქეს მიზანი ერთი —
გაციცინოს დარბაზი.

ცალკეულ მსახიობებსა და ნომრებზე სალაპარაკოდ, რასაკვირველია ვერავინ მოიცლის, მაგრამ ზოგიერთი რამ მაინც უნდა ითქვას.

განსაკუთრებით შემეცოდა ერთი ქონდრისკაცი, რომელიც მოულოდნელად აღელდა და პროგრამით გათვალისწინებული გეზიდან გადაუხვია; სასტიკადაც დაისაჯა:

ერთად აინთო სანთელი სამი...
და პისტოლეტმაც დაიტკაცუნა
ზედიზედ, სამჯერ... დაუდგეს სკამი
სკამზე ამაყად შედგა კაცუნა.

დაატრიალა მუშტი პაწია,
აუფრიალდა მწვანე ხავერდი.
ატყდა ზრიალი, გაწამაწია,
გულით უნდოდა, საწყალს, გავერთე.

თითქოს გამდნარი წვეთავდა ფისი...
იმდენი ხალხი ამკო და კაზმა.
ყურებში მიდგას წრიპინი მისი,
იცოცხლე, ბევრი მოგუდა ბრაზმა:

„გამქღავნებული თესლია კაცი,
ვერ აუთავდა ამდენ სიავეს...
სული — ზაფხულის ცასავით ბაცი —
დნება, ცოდვებმა დააჩიავეს.

ნუ დაენდობი. შენი გზით წადი.
ღმერთი ახსენე თუ არ დაგცოფა,
არ მოგიქსოვა სიკვდილის ბადე,
გაკმარა შური და თვალთმაქცობა.

გამახსენდება თვალით ნახული,
წინამ უკანას როგორ უგანა,
ვისთვის სასახლე დგას წამახული,
ვისთვის — ფიცრული და ბუდრუგანა.

მისგანვე, მისი ვართ გასაწირი,
წრე სიცოცხლისა ვინაც მოზომა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვირაბში რკინის ჩადგა საცერი,
აწყვილა ბედი და ქრომოსომა.

ვერ გამქცევა დაშვებულ ფარდას —
გამობმულია თოკზე თოჯინა...
არც იცის — სხვისი სურვილი მართავს, —
ჩემი არ გახლავთ ეს აღმოჩენა.

ვირი თავლაში და ფერი — ფერთან...
რა ჭერი გიძლებთ ან რა ქანდარა,
პირველად ენახე, შეყრილი ერთად,
ამდენი ურცხვი და ლაზღანდარა.

გახარებთ ხილვა — კოჭლის, ელამის,
თოკზე გასულის ფართხალი, გრეხა...
დაყრით სიცილს თუ რომელიმეს
დაუცდა ფეხი, ყინული ხეხა.

თვალის ხამხამი, პირის ცმაცური...
ვერას დამაკლებს თქვენი გინება,
თავაშვებული და უწმაწური,
პირიქით, კიდეც გამეცინება.

ხალხი შეცბა. ამას არავინ მოელოდა. უკმაყოფილოთა ღრიალმა და გუგუნმა იმატა. უცნაური დეკლამატორი ის იყო კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, რომ სიბნელიდან გამოვარდნილი ორი სცენის მუშა წელში ეცა და სკამიდან გადმოასკუპეს, წითელი ჩაჩი მოხადეს და ღუნღლიან კეფაში წაუთაქეს. ყოველ დარტყმაზე თითო კარტს აგდებდა პირიდან; ქაღალდი ტრიალ-ტრიალით მოდიოდა, შემართული, კუთხით ჩერდებოდა და თითქოს ქარმა დაქროლაო, პირქვე წაწოლილი, ფარდაგს ტკეპნიდა. შეპყრობილი, მკლავების ყოველ გადაგრეხაზე, ყირას გადადიოდა და წვრილი ხმით შეკივლებდა. ბოლოს ტომარა გადააცვეს და ასხმარტალებული ბნელი კორიდორისკენ დააქანეს. უეცრად შეწყდა მისი კივილი.

პროგრამის წამყვანმა, რომელიც აქამდე ბოლთას სცემდა, სიმწრის ოფლი მოიწმინდა, მერე, დარბაზის დასაწყნარებლად მარჯვენა შემართა და განაცხადა, რომ მსახიობმა ტახა-მახომ თვითნებურად შეცვალა ტექსტი და რომ ეს მეორე შემთხვევაა მის მიერ მაყურებელთა აბუჩად აგდებისა. ჩვენო, განაგრძო პროგრამის წამყვანმა, შევეცდებით საკადრისად მოვექცეთ კოლექტივის შემარცხვენელს — ჯერჯერობით ორი თვით აეკრძალება სცენაზე გამოსვლა და თუ ამანაც ვერ ასწავლა ჭკუა, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხს დავსვამთო. დასასრულ, მთელი დასის სახელით, ბოდიში მოიხადა ამ სამწუხარო გაუგებრობის გამო.

ბევრს შეეცოდა შუბლდანაოჭებული (მისმა პიროვნებამ იმთავითვე დაინტერესა და ვაკვირდებოდი) პაწია თავხედი. ვაპატიოთოო. გაიძახოდნენ. უმრავლესობა მაინც კმაყოფილი შეეგება დირიქციის განაჩენს.

მომდევნო სამი ნომერი ბევრით აბიფრით გამოირჩეოდა, მაგრამ რაღაცეებზე დამაფიქრა და ამიტომ ცოტა ხნით მივაქცევ თქვენს ყურადღებას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთიც დაიძრა. გაწრიპულს, მაღალს
სალაპარაკო და საყმედალი
არ ჰქონდა. კოფოს მოევლო ლაღად,
გადააგორა ცალი პედალი.

არ ვიცი, რაღას ნიშნავდა მისი
გამორეკილი თავის კანტური.
ლამის აწვენდა, დაყავდა ისე
ბორბალი, ცალი და გიგანტური.

მოკლედ — იცოდა თავისი საქმე,
საჭირო ნივთი ანუ საგანი...
და შენც... ათასი წვრილმანი დაგმე,
მთავარს მიეცი გზა, გასაქანი.

ყველა აფასო, არ ხარ მოვალე.
წინ — სამი თვალი — სამი ციკლოპი
ბრიალებს ყვითლად. კედლის ოვალი
ღმუის, ბობღავენ მოტოციკლები...

წრე თვითეული სალტეს ბზარავდა,
ცეცხლის კუდები ბნელში შემალეს;
ეცვათ ჯავშანი და მუზარადად
თვითეულს თასი ემხო ემალის...

მისცეს ნიშანი და დათქმულ დროზე
დაეშვნენ. შუქმა გადაანათა
შემკრთალი ხალხი. დასრულდა კროსი
ყრუდ მძინარეთა და კრაზანათა.

ესეც ჯამბაზი. ტროსტი და ფეტრი...
ყველაფერს უნდა ბიძგი, სტიმული
და მასაც ელის ცახცახა, თეთრი
ბადე, ანძებზე გადაჭიმული.

გადაძლევს ტანი და ჭერში ისვრის,
გაწელილია თავ-ფეხი განზე,
დაწყვეტაზეა ძარღვები კისრის,
ადის, მატულობს დაცემის შანსი...

ვუმზერდი მისი კუნთების თახთახს,
მოწყინდა თოკის უაზრო ბეკნა;
ელვად აჭრილი, დაეშვა, დახტა,
გაგორდა. მეტი რა უნდა ექნა.

ბევრი — მსურველი დაფნის და ტახტის —
ახლა რომ რიხით ამბობს „ჰარალოს“,
ვაითუ ახტეს და ვეღარ დახტეს,
უდროოდ წახდეს და გვეზარალოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მეკარგება. მე მათსას ვგიჟი —
ცერებზე დგომას, სალტოს, ირაოს,
ვაითუ მათი დამაღლოს ტივი
დინებამ ჩქარმა, დააყირაოს.

სულ ამაოა შიში და ურვა,
ნუ შეიცხადებს მათზე ნურავინ...
საუკეთესო იციან ცურვა,
მოუნდეთ — ზღვასაც გადასცურავენ.

ვატყობდი — სანახაობა მთავრდებოდა. ვალსის ტაქტზე წალმა-უკუღმა ატორტმანებული ბედაურები ჯინჯილებით დამძიმებულ თავებს გვიკრავდნენ. წინსაფრიანი, ციცქნა ძაღლები მაორახის ყოველ გატაცებებზე ცეცხლის რგოლში ძვრებოდნენ, ციგურებზე შემდგარი, კუდებით გადაბმული მაიმუნების ჭყივილს ყურთასმენა მიჰქონდა, დრუნჩაკრული, ბატებივით თავაღერილნი დათვები კვნიტა შაქრისათვის კუდში დასდევდნენ მწვრთნელს...

ცირკის ტერიტორიას გამოვცდით თუ არა, უცნაურ სანახაობას გადავეყარეთ. თავდაპირველად დახუთული სახსრებისა თუ მოშლილი პროთეზების უსიამოო ტკაცა-ტკაცი და ჭრაჭუნი შემოგვესმა. ცხადი გახდა — ჩვენს თვალწინ მოზხოვავდა მახინჯთა თუ დავრდომილთა ვეება პროცესია. შვიდი ბიშკარი მოლიავებულიყო მწიფე შინდისფერ კედელში, საიდანაც ესენი დაძრულიყვნენ. ვინ ვის უსწრებდა, ვინ ვის უკან მოიკლაკნებოდა, ძნელად თუ გაარჩევდი. მსგავსი რამ, ისიც ფრაგმენტულად, ძველი გერმანელების (დიუერი, ბურგმაიერი, კრანახი) გრავიურებზე თუ მინახავს. ხელ-ფეხზე, ყველას თუ არა უმეტეს ნაწილს თითების მაგივრად რკინის ჭანგები და მობრეცილი სამართებლები გამოსსმიდათ, ცელებივით აპრიალებული. ყურები რომ ყურებია, ზოგიერთს ფსიც-გარეკოვანებული ჰქონდა, ეკლებად გადაქცეოდათ.

რამდენიმე ლტოლვილს ორსართულიანი, სქელძირა „ბაშმაკი" წამოეცვა, რომ მოკლე ფეხი მიწაზე დაეწვდინა; რაღაცით ჩამოგავდნენ იმ ხეიბრებს, ცარიკის ქანდარაში რომ ისხდნენ.

ტალღაგადაცლილი ნიჩბების რიტმზე მოირწეოდა გვერდულად შეყენებული ყავარჯნებისა და ოჩოფეხების ტყე.

ჩვენი შეკრთომა რომ შეამჩნია, თმაშეღებილმა, სამაკულებით მოფაფრაკ ქალმა კიოსკიდან გამოგვძახა: ნუ გეშინიათ, ადამიანები არ გეგონოთ, ბეჭედ შეხდგმული ცოდვებია, სადაცაა კუპრის მორევში ჩაიხრჩობიანო.

ოდნავ დავშვიდდით. მივხვდი, რომ ყალიბები იყვნენ, არც ისე ოინლად გასაკრობი; თითო ან მეტი ასლი თუ ანაბეჭდი უკვე დატოვებული ეყოლებოდათ. სახე მათი სახეს არ გავდა, მოძრაობა — მოძრაობას.

აშკარად ეტყობოდათ, აუზისკენ ეჭიროთ გეზი, უნდოდათ განბანლიიყვნენ. მზეს მიფიცხებოდნენ. საკმარისი იყო, თუნდაც ერთს გადაელახა საზღვარი და აუზში შედგაფუნებულიყო, იმწამსვე დაიკეცებოდა შადრევნის აშრიალებული ქოლგა, ჭაობის ლორწო დაეკიდებოდა ლოტოსის ფურცლებად ბომბგავლებულ თასს, ამაზედაც ეფიქრათ: მოშორებით, სადაც შეღმართზე გზა ორად იყოფოდა, ზორბა ტანის კაცი იდგა, წვეტიანი კაპიუშონი ჰქონდა წამოცმული. ხალთიანად იგერიებდა დაფეხვილებს — კუდდაკლაკნილი შოლტის ყოველი მოქნევისას ლურჯი ნაქსოვის მთელ სიგანეზე ეპურცებოდა კუნთები. მეთვალყურე მარჯვნივ, კუშიანი ხიდისკენ მიერეკებოდა თავპირდასიებულ ლაშქარს; მართლაც,

ბიდან გასცდებოდნენ თუ არა, ყიჟინითა და კისრისტეხით მიგორავდნენ თავქვე, საცა მდუღარე, შავად აბუყბუყებული ტბა ლოკავდა შეტრუსულ მიწას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეწინავეებს თვითმავალ ურიკებზე შესაუბებული დამორილი არსებანი მოყვნენ. საქმე ის იყო, რომ მუხლებქვეშოთ არცერთს არ უჩანდა ფეხები — ან ფარულად ამოკეცილი ჰქონდათ ან წაკვეთილი და ამიტომაც ფქვილიანი პარკებივით ედოთ წინ. ერთგვარი წარმოდგენა რომ შეგიქმნათ, შეეცადები მოკლედ აღვწერო ზოგიერთი მათგანი.

ერთს, ხმელ-ხმელს, ნაცრისფერპიჯაკიანს ახლო დავუდექი, დავკვირდი, მუხლები მომეჭირა — თვალების მაგივრად ბუდეებში გაყვითლებული კამათლები ეწყო. ყოველ დახამხამებაზე თავს გადაკრეკდა და კამათლებიც წაღმა-უკუღმა ტრიალებდა; ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენი ბრწყინის გაკეთებას მოასწრებდა თვითეული ძვალი. ხანდახან სუნი ბინი გაეთაშაშებოდა დაღარულ, ჩამოგრძელებულ სახეს — ამ დროს ალბათ უმორთლებდა, სასურველი კომბინაცია გამოსდიოდა. წამით გამოცოცხლებული, წვეტიან ჯოხს იბჯენდა, რომ თავისი ურიკა აეჩქარებინა. თუმცა გასწრება და მისწრაფება ბევრს არაფერს ნიშნავდა; საბოლოოდ ყველა ერთად მოიყრიდა თავს.

მეორემ, გამოჩენისთანავე, საყვირს დაეჭირა, ჩამომეცალეთო. ეს უკვე ურიკას ალარ გავდა, ბორბლებიც ჩვეულებრივზე დიდი ჰქონდა, მონიკელებული. სავარძელიც კომფორტული ჩაედგა, ერთი მიმასვენაო, იტყოდი. საკვის გვერდით, მარცხენა თვალთან, ყელმოკეცული, მზესუმზირას მოყვანილობის სარკე დაეშაგრებინა პატრონს, მავთულზე წამოეცვა. წინა და უკანა ფრთებთან საგანგებოდ შერჩეული ნომერი იყო მიკრული. მანქანის ნათურებიც მიჭრით ჩაეფწერებინა; მთელი ღამის ნამგზავრს შუქის გამორთვა დავიწყნოდა; გაბმით ურიალებდა შუშის თხელ გარსში მოკცეული ქრომის ფირფიტები. ცალი ხელი სიჩქარის გადამრთველზე ედო, ერთი პირობა სარკისკენაც გადაიხარა, ვინ მომდევსო, შეამოწმა; გადასასვლელთან დაამუხრუჭა (სხვები ამას ვერ ახერხებდნენ), მოთმინებით უცადა მწვანე შუქის ანთებას, მერე აღმართს შეუყვა, ლურჯი ბოლი გაიყოლა მტკაველის სიმაღლეზე.

მოტრიალებულს, მესამე ურიკისნის ჩუმი გმინვა შემომესმა. ძნელი იყო კაცად მიგეჩნია, რასაც მე ვხედავდი. მუხლებთან ლუქიანი ბეჭედითა და საფოსტო ინდეკსით დადაღული ჯალოს ტომარა გაეწვინა; ზედ ნიანგის მოკლემოკლე, ხორკლიანი თათები დაეწყო, თითოზე ხუთ-ხუთი გირჩა წაზრდოდა, გარდი-გარდმო გაფარჩხული. გამიკვირდა, კალმისტარს რანაირად იჭერს-მეთქი ეს ჯიჯო. ვიცანი, რა ჩიტიც იყო. ესლა აკლდა, სავზლის თრევაზე შეეწუხებინა თავი, ტომარაში (ამას ბევრი მტკიცება არ ჭირდებოდა) მისი შეთზული სანივრები ეწყო (ორიგინალი და თარგმანები), დასტებად ჩატკეპნილი. ტომარას ძირზე პატრონის დახრტილული კუდი შემოვლებოდა. ალბათ შიშობდა, არ გადამივარდესო.

ბოროტად გაჩოჩკნილ ანტრაციტის ყბას (ალბათ „ღრანჭი" უფრო გამომსატყველი იქნებოდა, მაგრამ ჭკითხველის პატივისცემა მაიძულებს თავი შევიკავო) საკვეცად ეკრა შესივებული სადორბლე ჯირკვალი. ფანქრის წვერივით წათლილი თვალი თვალზე ჰქონდა წამოცმული, იმაზე კიდევ თვალი; გუგების ალაგას წურბელას წყვილი ხორთუმი იკლაკნებოდა, სისხლის დასაჭაჩად დაცეცებული. დასორსლილი ხორთუმები ხან თითს სიგრძეზე გაიწელებოდა, ხან —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლდებოდა, იკუმშებოდა, ბუდეში შეიწოვებოდა. წაგრძელებისას მიწაზე გამშვირვალე წვეთი ეცემოდა და შიშინით გაგორებული სკდებოდა. შხაპი თუ იყო. ასე ფუჭად იკარგებოდა წლობით ნაგროვები ძვირფასი სითხე.

სანამდე ჩამოვლიდა, დაამოჭნარა. გაფატრული, გულამოჭრილი მუხა ნესვი მეგონა, ისე გამოყვითლებოდა სახა. ალაგ-ალაგ ბაცი ლაქები დაყვებოდა (ვისაც ნიანგის ხახაში ჩაუხედავს, ემახსოვრება). მოწყვეტილი კაპუნი გაისმა. მიყრილ-მოყრილი, მშრალი ღოჯები ერთმანეთს გადააჯდა. ურჩხულმა პირი დაშუა. ისევ წყვდიადი ჩაიყენა მყრალ სტომაჭში. გასისინებული მუცელი საპირფარეშოში დატანებული თუჯის მილივით ულაპლაპებდა. კომბალი ან რკინის კეტი ვინატრე, დაუფიქრებლად ჩავცხებდი თავში.

ჩემს გაოცებას რა დიდი ამბავი უნდოდა, რა მინახავს, მაგრამ ამდენი ღვთისგან დაწყევლილის ერთად ხილვამ ნამდვილად დამაბნია. იერსა თუ აღქაურვილობაზე ზოგის ხელობას და საქმიანობას სანახევროდ ვხედებოდი, ზოგისას — მიახლოებითაც ვერა.

მაგალითად, რას შევატყობდი ასეთ გაწამებულ არსებას: სახესა და შუბლზე შაურიანისტოლა შავ-შავი ლილები ჰქონდა დაკერებული, ტუჩებში ირიბად გაეყარა თხელი, ციცქნა ბოქლომი. ორი ღილიც, ოღონდ სხვა ფერის, მოწითალო, დახრილ ქუთუთოებზე ეკიდა. ნამუშევარს წუნს ვერ დასდებდი; წვეთი სისხლი არსაიდან ყონავდა. გადაწყვეტით რაიმეს თქმა მიქირს. ისე, ცხადია, ამნაირ ტანჯვაზე მხოლოდ თავის გამოსაჩენად არ დათანხმდებოდა ჭკუთამყოფელი.

იმ თვალებდაჭყეტილი მოხუცებულის გახსენებაც არ ღირს. ახლაც მაგრიალებს. თითქოს გარეთ გამოეყონა თავისჭალას, კანს გადაკვროდა, გაქვავებულიყო. სინათლეგამომჭრალი მიარცარაცებდა გრილად დაკუთხულ კეფას. შიშით ვუმზერდი — როდის გაიპახუნებდა ამ გამურულ ცარიელ დოქზე სხვათა ბორბლებში ასხლეტილი კენჭი.

ორი თმაგაცვენილი და თხემჩაზნექილი ყმაწვილი ერთად მოგორავდა, ადვილი შესაძლებელია გადაბმულებიც იყვნენ. კარგად გამომწვარი, მოჭიკურებული თიხის მასიურ საფერფლეს უგავდათ თავები. მშვიდად მომუსაიფობდნენ, ერთმანეთს სიგარეტებს აფერფლავდნენ; რომ დასჭირვებოდათ, ზედვე ჩაკრობდნენ კიდეც. სხვა რამ საძრახისი არაფერი შემომჩნევია. ეს იყო, სალამზე არ მიპასუხეს.

საყურადღებოს და განსაკუთრებულს უკვე აღარაფერს მოველოდი, მაგრამ აქაც მოვტყუვდი. ათიოდე ნაბიჯზე ჩიყვიანი, გაურკვეველი ასაკისა და გამომეტყველების მამაკაცის განახევრებული ფიგურა წამოიმართა, დინჯად მოგორავდა. მეცნაურა, მაგრამ დანამდვილებით ვერავინ მივამსგავსე. ყური რომ ერთისა ჰქონდა, შუბლი და წარბი — მეორისი. ნაწილ-ნაწილად იყო აწყობილი. მკერდზე, რომლის მარცხენა ნახევარში ცივად მოხარშული გული უნდა სდებოდა, მუხის ჩარჩოში ჩასმული პერგამენტი აფიარებინა; ადვილად შეგეძლოთ გაგერჩიათ ტოტეზად ჩამოყოლებული მეტ-ნაკლები სიგრძის ნიშანთა მწკრივი. რა ენაზე იყო, ამის დადგენა ჩემს უნარს აღემატებოდა, ვერც ალფავიტი შევიცანი. ერთი რამ კი უყოყმანოდ შემიძლია ვთქვა — ეს იყო სია, ამ კაცის მიერ საგულდაგულოდ შედეგილი და დამოწმებული. სიაში მოქცეულნი ჯერ კიდევ ცოცხლები უნდა ყოფილიყვნენ; არცერთს არ ჰქონდა მიწერილი გარდაცვალების თარიღი. ჩარჩოს ორივე მხრიდან ჩაფრენოდა ფოლადის სამკუთხა, სისხლმოწოლილი ფრჩხილები. ძნელი სათქმელია, სად მიჰქონდა პატრონს ეს საბოლოოდ დადგენილი, სათუთად გადათეთრებული სია. როცა გამისწორდა, მაშინდა შევამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩნიე — სპარსული ქოშის ჭვინტივით ამობრუნებული ნიკაპი კაუჭა, გაქლიბულ ცხვირს მიბჯენოდა, თუმცა არა მგონია, ამ დეტალმა რაიმე შემატოს მის გარეგნობას.

ასე განზე დამტოვა და წარიხინდა. ყველაფრიდან ჩანდა, დანარჩენებზე შორს აპირებდა წასვლას, თუკი დააცლიდნენ. ზურგზე ვიღაც თავგასულს ცარცით დაჩოქილი აქლემი მიეხატა, არ გავდა კეთილ ხუმრობას. იმდენად სერიოზული სახე ჰქონდა, დაძახება ვერ გავუბედე, არც მომიხედავდა. მიგორავდა, ჯტეტკილ მტვერს მიიხვეტავდა მარადმწვანე პიჯაკის გამოხუნებული კალთები.

ვიდრე ახალი ტალღა მოგვაწყდებოდა (ჰორიზონტზე უკვე გამოჩნდა ფორფხვით წამოსული რამდენიმე სულდგმული) გაცლა ვამჯობინეთ; ჩვენკენ სანახევროდ შემობრუნებულ მეთვალყურეს საშვი დავანახეთ და შადრევნისკენ გადავუხვიეთ.

ზემოთ აღწერილი, არ იყო მოჩვენება, დაბანგული გონების მირაჟი. არაფერი გადამიკარებია, დაკლებით ბევრი დავაკელი. გავლენ წლები (ეს მათი თვისებაა) და ვინმე კვლავ იხილავს ამ ულმობელ, მწუხარე პროცესიას და იტყვის, რომ მე მართალი ვიყავი. მოგვიანებით, ნანახის ლექსად გადმოცემა ვცადე. სურათი განზრახ შევარბილე, სხვებისოვის გუნება რომ არ წამეხდინა. მომყავს სინამდვილის ეს მკრთალი ანარეკლი:

გახედე, თვალი გზას მიაპყარი,
ადევნებია საპყარს საპყარი.

გაიხსნა ფარდა, ჩამოარიგე:
ალაგ—ნიღაბი, ალაგ—პარიკი.

აქ არი, რაც რომ გაჩენას მოყვა, —
ტირილი, კვნესა, მიწაზე ხოხვა.

დავრდომილებო, საით იჩქარით,
საგორავებით და საბიჯგარით.

მინახავს თქვენი ცეკვა — სხმარტალი,
თქვენი კანონი და სამართალი.

კედელი, ნესტით გადახავსული,
აქ მოგროვილა ყველა ავსული.

განწირულია მოდგმა უძლური,
გძალავთ სურვილი ქვენა, მუცლური.

ხელობად იქცა თქვლეფა, გაღლეტა,
არავის ესმის ხმა სიმაღლეთა.

ვინ გაარჩიოს: შხამი, შაქარი,
სამსალა — ფუტკრის ნამუშაკარი.

გაუმაძღარნი და მესარფენი
შეოთვენ, ილევა მათი სარბენი.

შენც მოგედება ტანზე გენია,
დაიფერფლები, რა დაგრჩენია...

უფსკრულის თავზე უნდა ექნონ,
ლანდი უსანო, უკიდეგანო.

ეს აუზი, პარკის შუაგული რომ ეჭირა, თავიდანვე ვახსენე. ახლოდან მწვანედ კამკამებდა. ფსკერიდან ამოზიდული შადრევნის ღერძი, ვიდრე ზედ წამოცმული თასს გაივლიდა, ხუთად იყო განტოტილი (ლითონს შქერის წვრილი ხორკლები დაეკვეხოდა) და კიდეებამდე ავსებდა აცახცახებულ ოვალს; ეჭვსი ღერო ზედმეტი იქნებოდა. წყალს რომ ალმა მისცემოდა გზა, მილებს ზემოთ ჰქონდა აგრეხილი ბოლოები. იტყოდი — კელაპტრის გარშემო ხუთი მომცრო სანთელი ანთიაო.

აუზის ფსკერზე თვინიერი ტიტანი ოკეანე იწვა. გაყინვოდა გაოგნებული სევდით ნაცხე, არავის მაკქერალი თვალები. სიკვდილის წინ თუ ჩახედა შოგ მედუზა გორგონამ. თავწაკვეთილი გველების გვირგვინი ურჩდილავდა შუბლს; ძირამდე ჩახვეული მწითური წვერი წყლის მოძრაობაზე ერხეოდა. გარშემო უვლიდა მსუბუქად დატრიალებული, ყოვლის წამრეცხავი, დამშლელი მორეკნესტოები ამოსთურებოდა ღმერთებთან ამაოდ ნაბრძოლს. ნეტა თუ ახსოვდა ელვის ღვედებით დაფლეთილი ურჩი ატლანტი — დაფუტუროებულ რიფებზე ქვითინით წამობობილი.

შადრევნის ერთი ღეროს ჩახვრეოდ მამა ოკეანეს თავი ჰქონდა მიბჯენილი; პენტაგრამის დანარჩენ ოთხ წერტილს განზე გაშლილი ხელფეხი უსწორდებოდა. ძნელი სათქმელია, აუზის დამგეგმავს სცოდნოდა — ყოვლისმომცველ წრეში მოქცეული ჯვარცმა რომ გამოუვიდა. აუზის ცენტრი, საიდანაც მთავარი ნაკადი ამოჭქუხდა, ტიტანის ჭიპს მისსავე მტკაველზე ჩაცდენოდა.

ბეჭების სიმაღლეზე, მარცხნივ და მარჯვნივ, მზე და მთვარე გაქვავებულიყო; ორი კვირის მთვარეს შუქურ-ვარსკვლავი გამობმოდა, ყველასათვის დაესწრო ამობრწყინება. გრილი ზურგი იმაგრებდა ლურჯ სიცარიელეში დაძირულ ცას. მუხლებსა და თეძოებზე, მთელს ტანზე გრძლად წახვეული, ვულწოთელა ნიეარები დააცოცავდა. ფარფლები აშლოდათ დასაყვინთად მორკალულ დელფინებს; ორს ფერდების სიახლოვეს, მესამეს — ძირს, ტერფებს შუა. შრიალა, დაცხავებულ სფეროში ამოეტალიყო მოზაიკის დამაგნატებული წრეები. ისევ დავხედე ფსკერზე გაკრულ უძველეს ღვთაებას. ცივად დამისხლტა ღიად დარჩენილი თვეზის თვალები. ვიცოდი — ასე ვერ გაძლებდა, მალე ამორგდებოდა მისი სისხლი, სტიქიის განუწყვეტელ ღრიალში ჩაძინებული, მოენატრებოდა წამოწეულ მკერდზე, კუნთებით დაწნულ მუცელზე გადარბენილი ტალღების ჭენება — გზა სიკვდილისა და უკვდავების...

აუზთან მიახლოებულს ბრჭყვიალა, მაცოცხლებელი ზხეფები დაგეცემოდა სახეზე, ქუთუთოებს დანამავდა. ქარზე იხრებოდა თეთრი მტევნებით გადაპენტილი აკაცია. ბნელი საგუბარიდან ამოსროლილი, მზეზე აცეკვებული ყოველი წვეთი ბედნიერად თვლიდა თავს, ვიდრე კენწეროში მოქცეული, არ დაეცემოდა გალიცლიცებულ, კიდეებჩამოფლაშულ ქვის თასზე. ვიდრე მარგალიტებად გაბნეულთ არ დაქაჩავდა ახროტინებული, მოშორებით გათხრილ სარდაფში დამწკვეული ტუმბო. ეს იყო მარადი ბრუნვა, ფარვანასა და ალის გაუთავებელი თამაში...

ჩემს უბანში, თეთრი ეკლესიის გადაღმა შემორაგული, სანახეროდ გაუქმებული აუზი გამახსენდა. შინისკენ მიმავალი, მოკლეზე რომ გადავდიოდი, ხან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახან თავს ვიქცევდი. კიდე-კიდე დავყოლივარ, რა არ მინახავს იმ აუზის ტალახიან ფსკერზე: მოგლეჯილი ეურმილი, ყელში ჯოხგაჩხერილი ბოთლი, პლასტმასის პისტოლეტი, სოკოებმიხაფული, ჩაქყლეპილი სათამაშო ვედრო, ქოლგის ჩონჩხი, გვერდებგადაკეცილი ქაღალდის ნავი, აგურის წითელი ყუა, ფულჩათელილი ცალი წაღა, შუა გადახეული რეზინის ბურთი, თეთრი ხორკლებით დაფარული...

ზამთრობით უფრო გულსაკლავი სანახავია ყოფილი სასაფლაო. აუზში ჩარჩენილი წყალი იყინება. თითო-ოროლა მოხუცი და გაკვეთილებიდან გამოპარული ბავშვები თუ შემოეტეტებიან ამ დროს. ადვილი საცნობია პატარა მაწყნწყლების ნახელავი. ყინულის მეიფე სარკეზე მიდუღებული მათი ნასროლი ქვები, ლიმონათის ბოთლები; აქა-იქ კინოში მოგლეჯილ სკამის ფეხსაც მოკრავ თვალს. თუნუქის ენა დაყანგვია ყინულზე გაპახუნებულ, წამით დაბზრიალებულ კოსსერვის კოლოფს.

ლაბში დაშვება არ ეწერათ — ჰაერშივე გაიყინა ბრტყელი, ნაცრისფერი ქვები. მსროლელებს არ დაუნახავთ ეს, არ სმენიათ ტყაპანი (ვერც გაიგონებდნენ), ისე შეაქციეს ზურგი. გამჭვირვალე ქერქი რომ არა, ძაფზე გამობმულებივით მიაშურებდნენ ქვები მონიშნულ ადგილს. და გიპყრობს დაუძლეველი სურვილი — თვალი შეასწრო ყინულზე დაკრული საგნების ნელ დაძირვას, კანკალით დაშვებას ფსკერზე. ეს რომ მოხდეს, სათიბებიდან დაძრული გაზაფხულს სუნთქვა უნდა მიწვდეს ყინულს; გალხვეს. გაიბზაროს. იმდენად იშვიათია, ვერასოდეს შევესწრები ამ უცნაურ წამს — ფსკერზე ამდენი ქვის ერთდროულად, რწევა-რწევით დაქანებას. მე როცა ჩავივლი, ყველაფერი დამთავრებულია, ისევ ძირსაა გართმული ყავისფერ ბოლქვებად წამოშლილი სოველი მტვრის ღრუბელი. ნელა თრთის ნიავის სულის შებერვაზე აციმციმებული ჭავლები.

ასეთი რამ აქაურობას არ დაემართება-მეთქი, გავიფიქრე; მითუმეტეს ახლა, როცა ყოველ ხეს და სახურავზე წითელ-ყვითლად აბრიალებული ზაფხული შემოჰკრავს:

შადრევნის ჩრდილზე მდგარი მეფურად,
გადმოხვეწილი უცხო ზონაში —
ღმერთმა შემინდოს თუ უნებურად
ჩემივე დადგმის ვარ პერსონაჟი.

გალმა — მინდორი, გამოღმა ტყეა,
ფიჭვის მორები, ქოხი რუსული...
იჩქარე, გიცდის ჭიშკარი ღია,
ლურჯი მესერი და კარუსელი.

ტრიალის ვადა ხუთი წუთია,
ფასი — ერთ სულზე ორი მაური;
დაიჭრიალა და გაუტია,
წრეზე დაკრული ხარ მოგზაური.

ოქროს წვიმები რა ხელმა ფანტა,
ფერიებს, ანგელოზს ვინ მოაკმია...
რა ცის პატრონი იქნები ანდა
რას დაინახავ — შენი საქმეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღა მაკავებს, გაქრეს დროც არი —
შიში უფსკრულის, ქარის, წვიმისა...
გავშალო ფრთები ღვთის ნაბოძარი,
გამოვიჩინო ფხა საიმისო,

რომ გადავვლო მყინვარს, ტაიგას,
(თოვლიან ალპებს უკვე დავსწედე),
რომ სიცოცხლეში ვერვინ გაიგოს —
მიზანი ჩემი და სითავხედე.

მორდვეულია წვერი გორგალის,
დამიზნებული ვასკდები ფლატეს,
ჩიტებმა ბოლო წრე შემორკალეს,
ვერცხლის კუდები ფიცარზე დადეს.

ერთმანეთზე წაბმულ კარუსელებს ვერ დაითვლიდი. ერთს, მაგალითად, უზარმაზარი სამოვრის ფორმა ჰქონდა. სამოვრის გაფართოებული ყელიდან სამი ბაგირი ეშვებოდა და თითოზე თითო ცხენი ეკიდა (როგორც ზღაპრებშია: წითელი, თეთრი და შავი); ჩვეულებრივი სამოვრისგან განსხვავებით, აქ სამი ონკანი მოგჩერებოდა: ერთი ჩაის გისხამდა, მეორე — რძეს, მესამედან ქაფმოდებული ყავა მოჩხრიალებდა. მოწოლილ ორთქლზე ბუქნავდა, სტვენდა სახურავზე წაფარებული სარქველი. ცხენს გადააჯდებოდი თუ არა, ჭრელ ფინჯანს დაგაჭერინებდნენ ხელში. ერთხანს გადაზნექილს უნდა გეტრიალა სამოვრის პრიალა შუცლის გარშემო; სანამ კარუსელი თავბრუს დაგახვევდა, ონკანს გახსნიდი და რამდენიმე ჩამოვლაზე ჭურჭელს აავსებდი. მთავარი იყო სითხე (ჩაი, ყავა, რძე) არ დაგეღვარა. თუ ამ ილეთს უნაკლოდ შეასრულებდი, ნამცხვარსაც მოგაწოდებდნენ. დამუხრუჭებამდე, ათ წუთში (საკმაო დროა), ფინჯანი გამოცლილი უნდა გქონოდა. იქვე, კიბესთან, ძეწკვზე გამობმული შთაბეჭდილებათა წიგნი კონწიალობდა და ვალდებული იყავი რაიმე ჩაგეწერა. ნაუცბათევად ესღა მოვახერხე:

დაიძრა. წყობა მიყვება წყობას.
აღზევებულა ჩვენი ორდენი.
ვერ აუდიან მოზელას, ცხობას —
მეფუნთუშენი და მეტორტენი.

რომელი გინდა — მიდი და ისხი.
ნუ აღელდებით, ყველას ეყოფა...
არავითარი მტრობა და ზიზღი
არც სამდურავი და უკმეხობა.

გატრუნულია ფოლადის ძრავა,
რამდენი ღაძე გადაანათა,
მისი ნებაა — ვინ საით წავა,
ტრიალი ღერძის და კბილანათა...

მზის დანახვაზე წითლად იალე,
მადლობა, ვინაც გაშენა, გხატა.
ნურც დასრულდება ეს ხეტიალი,
მონახულება ხმელთა და ზღვათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლობა დიდი მრავალთა და მრავალთ,
ვინც რომ სიკეთე არ დაიზარა...
ახლა მშვიდობით! პირდაპირ წავალთ,
საითაც თეთრი უსვეცს ისარი.

ვეებერთელა ბორბალზე, თითქმის პარკის ბოლოში რომ დაყუდებულიყო, მოგვიანებით ვიტყვი. ალბათ გიკვირთ, შიგადაშიგ პროზას ვურთავ. ამას მხოლოდ სიიოლის გამო არ ვაკეთებ. არის ზოგი რამ, რისი ლექსად გადმოცემაც არ სერხდება. აქვე შევნიშნავ, არავის ეგონოს დიდი აზრისა ვიყო ჩემს დაწერილზე. უბრალოდ, ბევრი ვიწვალე და დახევა დამენანა.

ასე იყო თუ ისე, მალე ერთ პატარა ქუჩაზე გავედით. ყველა სახლი უკლებლივ ერთსართულიანი იყო; ფანჯრების ნაცვლად, სარკის ყუთები დაეტანებინთ. მხოლოდ გარე ნაწილს, ზედაპირს ეკრა უბრალო შუშა. მთელ სიგრძეზე არეკლილი საკუთარი ორეული ისე ჩაგვლიდა, ზედაც არ შეგხედავდა. იფიქრებდი, ასეთი რა დავუშავე ამ პატიოსან კაცსო; ძალიანაც რომ მოგენდომებინა, პირდაპირ სახეში თავადაც ვერ შეხედავდი.

ყველაზე მეტად ტროტუარის განაპირას დადგმულმა, მუცელშეზნექილმა შავმა სარკეზ შემაწუხა. რკინის ჯოხებზე იყო წამოცმული. ჩაიხედავდი თუ არა, თავი უსაშველოდ გიგრძელდებოდა, შეტეკუპებული, შემკრთალი თვალები ზემოდან დაგაცქერდებოდა. ფერიც საშინელი გედო.

მოედანზე ჩოჩქოლი იყო. ხალის წყალის ავტომატებთან ქადაგივით იჯდა თავშეკრნილი ზარაფი (ხნიერი ქალი), მაგიდა ედგა. დროდადრო ხელს გატეხილ ბრმსიკაში ჩაკრავდა, მიძალებულ ხალხს ფულს უხურდავებდა. დასიცხულებს მუჭაში უყრიდა სამკაპიკიანებს.

მოშორებით ბაზრობა გაემართათ. რა ქვეყნის საქონელი გინდოდა, აქ რომ არ გეშოვა. ყოველ ნივთს ცალკე ფარდული ჰქონდა მიჩენილი — საათი იქნებოდა, ვარლინო თუ მძივი. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ კოვზების განყოფილებაში, მაგალითად დანა არ დებულიყო ან თუნდაც ჩანგალი, მაგრამ თუ ქოლგის ყიდვას ფიქრობდი, სხვაგან უნდა გეძებნა. კარგად მახსოვს — პირსახოცების განყოფილებაში დავკარგეთ ერთმანეთი და ნოხებისაში გიპოვე. ამის მერე ადარ გიშორებდი, ნეკნებზე მედო შენი აცახცახებული ხელი. ყველგან რომ არ გახსენებ, ეს არაფერს ნიშნავს, იგულისხმები.

დიდხანს ვიარეთ. რამდენ ენაზე მოლაპარაკე. რა ფერისა და ჯურის ხალხს არ წაეწყდებოდი. ძველი ჩვეულება გავიხსენე; ვაკვირდებოდი გამელელ-გამომველლთა სახეებს, გამომეტყველებას. ვფიქრობდი — ვინ რა იქნებოდა, დაახლოებით ასე:

სულელის ცნობას არ უნდა დიდი
მიხვედრილობა და ანგარიში.
მე ვარო, გეტყვის მისი თვალები
შუბლი, ნიკაპი... შეწითლებული
ცხვირიც უმალვე დაგემოწმება.
ათასი ხერხი ან ცოტა მეტი
მაინც არსებობს იმის საგრძნობლად
და დასადგენად — ვისთან გაქვს საქმე.
წყალს როგორ მოსვამს, როგორ, დაგიკრავს
თავს, მანქანაში როგორ ჩაჯდება,
რბილ საზურგეზე გადაწოლილი,
ჩანს ყველაფერში სიკეთე კაცის.

ხოგს (შეამჩნევდით) დაწნულ ფუნთუშას
მიუგავს სახე. ვიდრე ღუმელში
გამოცხვებოდა, მოასხეს კვერცხი
და აპრიალდა (ახლა გიცინის).
თავად მინახავს დაფერდებული,
გადატანილი მათი ხომალდი;
ვაზის ლერწებად შემოვლებოდნენ
მორყეული ანძას. მესაჭე არსად
ჩანდა, ტალღებმა შეისვეს ზურგზე
და მედუზების უნაზეს ალყას
გამოარიდეს. არ დაცემულან
და ეკიპაჟმა დღემდე გმირულად
გადაიტანა ყველა ხიფათი.
დაირხა დროშა, ჭრიალი გააქვთ
ფიცრებს, აჭრილი ფართხალებს ქაფი,
მიდის ხომალდი სწორუპოვარი...
ტ უ ტ უ ც ი ბევრად უნამუსოა
და მოსაწყენი. ყველას გინახავთ.
ამაო გარჯა იქნება მისი
ხატვა და ძერწვა. არც შევეცდები.
არ ემდურება ძილს, ჯანმრთელობას
და არც იოლი გადაშენების
აწვალებს ფიქრი. წყალს წაუღია
ყველა თუ თვითონ იქნება კარგად,
არ შეაწუხებს — უპირველესი
ორგანო — კუჭი. უმართლებს კიდეც.
ჭაბუკობიდან სიჭარმაგემდე
მერყეობს ხოლმე ასაკი მისი
(მოხუცებს, ბავშვებს — თანაბრად ცოტა
მოეთხოვებათ); შემზარავია
მისი სიბნელე, ცნობისწადილი,
თავდაჯერება, გზა, არსებობა...
ბოდიშს მოვიხდი, რომ შეგახსენეთ.
გ უ ლ გ რ ი ლ ი ს გამოც მინდოდა მეთქვა
ორიოდ სიტყვა. ძნელი საქმეა
ცივი, პირქუში ბუნაგის პოვნა.
არანაკლები — მისი ნამდვილი
სახის დაჭერა ანუ შეცნობა.
მარტოსულია, თითქოს ამაყიც,
იცის მოქცევა. მეტი აქვს ჭკუა,
გამოცდილება. ადრე იზრუნა
და მოსავალიც დაბინავა.
ერთბაშად შენმა ხმამ და სიკეთემ
არ გაახაროს. მთაც რო მოგლიჯო,
სახეზე კუნთი არ შეერხევა, —
არ დაუნახავს; წყალი და თევზის
ქონი დაცოცავს შუშის ძარღვებში.
შენგან ყოველგვარ მილოცვას იღებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგიშვერს ლოყას, რომ დაუფასე
დამსახურება ერის წინაშე.
გამოეცლება სიმშვიდე, ტანჯვის
ფასად ნაყიდი. ბოღმით სავსეა
ამ საცოდავის ღვიძლი და ფაშვი.
ნაძირალებზე, გაიძვერათა
ცნობილ მოდგმაზე აღარას ვიტყვი.
უხერხულია მათი ჩამოთვლა,
დასახელება. არ მინდა ვინმეს
ტყუილ-უბრალოდ ვატკინო გული
(დაკლებით მაინც ვერას დავაკლებ)...
გამოგიტყდებით, დაყოფა ძალზე
სახელდახელო და პირობითი
გამოგვივიდა; აშკარა, მკვეთრი
ზღვარის გავლებაც გაგვიჭირდება.
ერთი წამითაც ნუ გეგონებათ,
რომ გაგვეცალონ. აქვე არიან.
ლოდებით, რკინით ამოშენებულ
კედლებში ატანს მათი გუგუნი.

●

ჩემზეც იტყვიან, ალბათ, ვინ არი...
სხვათა სარჩენი ანუ საზიდი,
მორიდებული და უწყინარი,
კეთილშობილი ვარ პარაზიტი.

არც არაფერი მითქვამს ახალი,
წლებმა რომ დეჭონ, ათრიონ, ცვითონ.
ვთქვათ და გადარჩა ჩემი სახელი,
რაც საეჭვოა (არ მჯერა თვითონ)...

ვერები — თავისთვის ვერ მიწამლია,
ვის რაში არგებს ანდერძი ბრიყვის;
დღისა და ღამის ცქერამ დამღია,
ვიცდი — შემთხვევა შემთხვევას მიყვეს.

და ხდება ისე, ჩემთვისაც იცლის —
ათასში ერთხელ, ერთი ჟურნალი.
მემორჩილება ხელობა ღვიძლი,
არ მყავს მოდავე და მოშურნალი.

ზრიალებს რკინის თაღი, სარქველი...
გადავალ, რაგინდ ყორე მომავლოთ,
მეყოფა, რისიც ვარ დამკარგველი,
გავძლებ უთქვენოდ და უმომავლოდ.

ყველაფერს ერთი ედება ფასი,
მიიტან გულთან თუ არ მიიტან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სად მეჩქარება, ვიქნები ასე —
ამორიცხული ყველა სიიდან.

ღმერთმა იცოდეს — არ მიციგნია,
აწონინ სეტყვა, გულს რომ დახლია,
მტკვერი რომ ადევს, ჩემი წიგნია,
წვიმა რომ ულლის, ჩემი სახლია.

**არ იფიქრო, თავს ვიკატუნებდე; ჩემს პიროვნებაზე გაცილებით ცუდი აზრისა ვარ, მაგრამ არ მინდოდა ზედმეტი გულახდილობა გამომჩინა.**

**საღამოვდებოდა, ციხეენ აქანავებულ ბორბალს რომ მივადექით. ბოლოში, წრეთა შემაერთებელ ღეროებზე ჩარდახიანი კალათები ება, სულ თორმეტი; თითოში ორ-ორი სავარძელი იყო ჩადგმული, იქეთ-აქეთ. სავარძლების თავზე რომელიმე მწერად გამოსახული ფარანი ციმციმებდა. დროდადრო ამ მწერის დამახასიათებელ რაიმე მოძრაობას აკეთებდა. ჩვენ (თუ გახსოვს) შავად გალაკული ხოჭო გვერგო, მზის ასავუნდავებლად შეემართა ბუსუსა ცაცები, კუთხეში ფიქრობდა ნადავლის მიმწუდდევას. რიგზე იყო მიყოლებული — პეპელა, კალია, კრაზანა, ობობა, ელექტრონის სისხლით გატიკნილი ტკიპა... დანარჩენი ექვსი აღარ დამიმახსოვრებია.**

**ჭრიალით მივიწევდით მაღლა. პატარავდებოდა მიწაზე მოფუსფუსე ხალხი. ნაბიჯებს უცნაურად წელავდნენ. მეჩვენებოდა, თითქოს რეზინის ფეხები ებათ, ჭუსლები რომ გაჭიოდათ, მანქანის ზეთი გამოეონავდა. ვერავინ დამაჯერებდა, რომ ამ ადამიანებს არ უუვარდათ ერთმანეთი. რომელიმეს რომ გასჭირვებოდა, თავს არ დაზოგავდნენ მის გადასარჩენად. მოსეირნეთა შემხედვარემ ჩემს გულში გავიფლეთ რამდენიმე შეგონება. აზრადაც არ მომივიდოდა, ამდენ ხალხს ჩემს ჭკუაზე ევლო. ნუ ეწყინებათ, მიმართვის ფორმამ არავინ დაბნეოს:**

**რა სიმაღლეა. ერთად ირევით —**
**მეფე, მსაჯული, თერძი, ნოქარი —**
**თქვენი ნადავლით, ნანადირევით;**
**აღძრულა სოფლის ზღვა ბობოქარი.**

**არ მოგერიდოთ — სული მწარეა.**
**ეძებეთ ბედი და გასართობი,**
**სათქვენო საქმე... რაც მთავარია, —**
**მაღალი ჭერი, მეტი ფართობი.**

**გადაბარგება: ერთიდან ორში,**
**ორიდან ოთხში და ასე... რვამდე...**
**სადილზე ზრუნვა: საცივი, „ბორში“**
**ან სხვა. წესია, გშიოდეს — ჭამდე.**

**ინებეთ. რასაც იტყვით, ახდება:**
**მუქთი ცხოვრება, კლუბი, „სობესი“.**
**საგზური. ხარჯი და განაღდება...**
**იქნებ იცოდეთ გზა უმჯობესი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელავს საყურე და შავი მეწვი,
დამძიმებულა ქერქი თასვებით;
არას მოიტანს გლეჯა და წეწვა,
იფხიზლეთ, მუცელს ნუ გადაყვებით.

არ გაიწყვიტოთ ილაჯი, ქანცი;
სიცოცხლეად დირდეს, რაა აგეთი.
არ მეგულება არარა განძი —
**დასამარხავი ან ჩასაკეტი.**

სინდისი იყოს ხატად და **ხარკად**
(ბევრის აიღსო სახლი ქონებით),
თავსაც მისდევთ **და** სხვასაც არგეთ,
გაგიხსენებენ, მოეგონებით.

. . .

ვერ მოკლავთ და არც გაისრისება –
ძე ადამისა — რაც უნდა გვემოთ;
ასეთი გასლავთ მისი თვისება,
მაგრამ გვეყოფა. ამაზე — ქვემოთ.

ფეხაკრეფით ჩავუარეთ შეორთქლილ ბარს. ველური მუსიკა აზრიალებდა ოქაურობას. მომეწყლულ ტუჩზე მიყუდებული, დაყრილებული საყვირი კვამლით და ალკოჰოლის ბუღით დამძიმებულ ჰაერს ფრეწდა. ტორტმანებდა დაზანზარებული ლითონის თეფშები. თვალს ვერ შეასწრებდი თხის ტყავზე დაშენილ შავ თითებს; თრობა მორეოდა, გაბეჭებულიყო წითელი ხელისგულები. ძაგძაგებდნენ კაცები მიტმასნილი, მოკლე კაბებში გამოსკვნილი მორგვები; შუალამემდე მაინც გასტანდა ახურებული თეძოების ქნევა. დაბრეცილ სამფეხაში დერგვივით ჩაშენდილიყო რკინის სალტეებით სუნთქვაშეკრული ტამტამი. იქ არ გაგვეძლებოდა; რა სიამოვნება იყო წოწოლა სკამზე შესაკუპება და ბროლის ჭიქებში ჩაჩხრიალებული მომჟავო ყინულის წრუპვა.

მალე ხილის ბაღში ამოვიჩნდით. ყველაფერი აქვე იყო, ერთი ხელის გაწვდენაზე. თითქოს ნაცარი წყაროდა დაბურცულ, მუცელმორგვალებულ ფორთოხლს, მღვრიე წვენით გაძეძგილს. გატრუნული ეკიდა ბნელი წიაღიდან გამოხმობილი, ყუნწთან ფოთოლგაჩრილი მსხალი. ჩამავალი მზისკენ ბრმად მიეშვირათ ლელვებს გაპობილი თავპირი; ცომცომებდა წვეთ-წვეთად გამოყოფილი წებო, კანში ვერ ეტეოდა ჯვარზე გასაკრავად ატარებული უფლის მწვანე ცრემლები. გასაკვირი იყო, როდის დამწიფდა ნაყოფი. დრო იმის დროა, რომ ვერ დაინახო, ყველაფერი გამოგაპაროს.

ფრთხილად შევადეთ ნეონის შუქით მორწყული ორანჟერეის კარები. მიწისა და ნესტის სუნი გვეცა. რუს ჭერზე კვერცხისტოლა ალმასები ბრჭყვიალებდა. ჭერიდანვე დაშვებულ კაპრონის ძაფებზე ყვავილებიანი პატარ-პატარა ქოთნები ეკიდა, ერთმანეთისკენ მიზიდულნი, მოქანავენი. ფლამინგოს ნისკარტებივით მოხრილიყო სავსიან ნაფოტებში ჩირგული, გაუშლელი ორქიდეები. ნახევარ დარბაზს მოდებოდა ტროპიკების მკვდრი — ღვინისფერი ბორიკანა; კრიალელერებად შემართული, ღერობებად ქცეული ფოთლების შუაზე თითო ყვავილი გამოხტომოდა — ბაც იისფრად ყეფდა. მწვანე თმა ჩამოშლოდა „სატაცურის დედას“. თხის ლარნაკში წვიფები დასველებოდა „კაკბის საკენკელას“

(„თოვლის ფიფქსაც“ ეძახიან). წითლად ღვიოდა „ჩიტვაშლა“, დაეცქვიტა შინდის მარცვლისტოლა ფოთლები. თეთრი კლანჭებით მიდუღებოდა სურო მოკრილი თუთის ქერქს; მწვანედ აპრიალებული, სამკუთხა ფოთოლი ტახტზე გადაკრული მუშამბის სიგრილეს გამოსცემდა — დატოტვილიყო ხასხასა, გლუვ სიბრტყეზე ჩამარხული ძარღვები.

**მინის** კედლებზე ნაირფერი ხვიარები იყო მიკრული. გაგონილი მქონდა, დაცოცავენო. ნახევარი საათი მაინც უნდა გეცქირა, მათი გადაადგილება რომ შეგემჩნია. **ახლა** უკვე დასაძინებლად იკეცავდნენ ფრთებს, არ სიამოვნებდათ უცხოთა შემოსვლა.

**წელში** გადაზნექილ გლადიოლუსებს ამოფარებული გამყიდველი (ლურჯთვალება, მადალყელიანი ქალი) მაჯებს ირწყავდა, რომ არ დაჭკნობოდა. თან **ჰქონდა ოქროს** ფაფარებოდა, არავინ შემამჩნეოსო. მესმოდა წვრილი, მოღვენთილი მკლავების ხუსტა ფეთქვა. არ დავუნახავართ, ისე გამოვედით.

**ბოლო** ცოუნება ოქროს ნაყოფით დახუნძლული ვაშლის ხე იყო, გველი **რომ** ეცადა. ხამი ვაშლი უნდა მომეწყვიტა (ასე დამარიგეს) და მაშინვე გავცლოდით **ამ** ადგილს. ჩემთვის არცერთს არ დავიტოვებდი — სიჭაბუკის დაბრუნებაზე ან თუნდაც უკვდავებაზე ფიქრი, იმხანად უაზრობა იყო. ყოველი ნაყოფი ნახევარი რადიუსით ბრუნავდა, წყალმა-უკუღმა. ცალი გვერდი წითელი ჭქონდა, მეორე — თეთრი; მიკვირდა, ყუნწი როგორ უძლებს-მეთქი. წამიერი დაყოვნებით უნდა გესარგებლა, ამხტარიყავი და ერთი შტო ჩამოგეპოტნა.

**პირველად** გველი მარაოსებრი პალმის ნერგი მეგონა; ალისფრად უელავდა დასალტული, კენწეროდან დაწვდენილი ტანი. კუდს სველ სილაში გაჰქონდა ტაპუნი. თვლემამორეული აკანტურებდა ვერცხლის მავთულით დაწნულ ბრტყელ თავს. რიგრიგობით ენთებოდა ბამიციებული ოვალები; დენზე თუ იყო ჩართული. ცოტაც და ჰეხპერიდები შეენაცვლებოდნენ, ღამის ხმატკბილი ნიმფები. ვინ გაუძლებდა იმათ სიმღერას. ამბობდნენ, დილით გონდაკარგული ურიანო ყველაზე გამბედავები. სად მიყავდათ, არავინ იცოდა. ვგრძნობდი, **ხეირს** არ დამაყრიდა ეს ვაშლები და აღარც მიცდია მათი ხელში ჩაგდება. ზედ ხის ძირში, გახეთქილი მილიდან წყალი მოთქეშინებდა, კამკამა გუბე დამდგარიყო. ჯერ შენ გადაგახტუნე, მერე მეც მოგყევი და ზურგს უკან მომესმა გამოფხიზლებული გველის **ხხრიალი.**

**ერთი** მცირე დეტალიც: ჩვენი ერთად ყოფნის მანძილზე, პარკის ხან ერთ ხან მეორე კუთხეში გამოჩნდებოდა დარბიულად ჩაცმული მაღალი კაცი. სახეზე თეთრი ქაღალდი აეკრა; დაძაბულად აშვერილ მომუჭულ ხელებზე (მაჯებამდე) ქაღალდისავე პარკები წამოეცვა, ცილინდრული, ძაფშემოკერილი. მშენებლობაზე ნამყოფს გავდა; ცემენტის მტვერი ეყარა მოფლაშულ სანდლებზე. ვიცანი, ვინც იყო, არ გამომხელია. მეგონა — საკუთარი მწუხარება დამდევდა.

პარკის გალავანს გავცდით და ერთბაშად ჩამობნელდა. შუაგულ სანაპიროზე, მანქანების ორომტრიალში მოვექეცით. უთვალავი ფერის, ზომისა და მოყვანილობის მანქანა ირეოდა. ჯერ გარშემო გვივლიდნენ, მერე პირდაპირ ჩვენკენ მოექანებოდნენ. არ ვიცოდი — რომელი ფრამა გაგვიტანდა. მოახლოებულნი, არნახული სიხშირეფით გვიქცევდნენ გვერდს, თვალს ვერ ვატანდით კუდი ამოშანთულ წითელ შუქნიშანს. ცხვირსა და ფრთებზე, თითბერის ჩარჩოებში ჩადგმულ, ანრეალებულ დისკოებზე არეოფნის სიცივე პრიალებდა. ეტყობა შეგვიბრალეს, არ დაგვჯახებიან. მშვიდობიანად მივაღწიეთ მდინარემდე. ქვის მოაჯირზე გადაწოლილი, თუ როგორ დაგითრია უძრავი მდინარის მწვანე ფსკერმა, ამაზე ადრე მაქვს ნათქვამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# III

სექტემბერია ახლა... უხშირა წვიმამ.
გახშირდა გზებზე ორიოდ კვირის, გაჭყლეტილი გომბეშოები.
თვითეულს შემწვარი კვერცხის ცილა აკვრია მუცელზე.
თავზე წაადგები, დააცქერდები და გახსენდება:
ციცქნა, კუდში ყვავილგამობმული ჭრელი კვაბები;
რა ზუსტად, რა გულმოდგინედ იმეორებენ
საცოდავები ერთხელვე დახატულ ზურგს, ღაბაბს...
უფსკრულით ბოლოვდება მათი ნამცეცა ნატრამები,
შუქიდან სიბნელისკენ მიქცეული, ჩამოწყვეტილი.
ერთი დაშვებული **არ �о**, მეორე ბიძგს იღებდა;
შავმა ბორბალმა დაიტანა უკანა თათებზე შემხტარნი,
შავ ტალახს შეახმა მათი სასიკვდილო ზმორება,
უცახცახებდათ გაწრიპული, შევიწროებული თეძოები.
ეს მოხდა წუხელ, ნაშუაღამევს ან, დიდი, დიდი გათენებისას.
ვერ აათავეს პირველივე შემოდგომის აღმართი.
მინახავს დედა გომბეშო — თავწახრილი, შეშინებული,
მთვარის შუქზე ცუნცულით შეფორთხებული კიბის ძირში.
უჭირს მის ძმებსაც — ტბების, გუბეების ბინადართ...
შეუძლებელია, ძირს დაიხედო და ვერ დაინახო —,
გაბრტყელებული, თითქოსდა თუნუქისგან გამოჭრილი ბაყაყი,
გაფშეკილი, მტვერში ნაგდები. ასე დარჩება სამუდამოდ.
არ ემგვანება ერთი წლის მძინარს, ლაშში ჩამძვრალს,
ვერ მოაცოცხლებს თმაწვერმოშვებული წვიმის ღმერთი.
ღამე ათამამებს ჭაობის საყელოზე დასკუპებულ ლაშქარს,
ელავს დაკუსულ თვალებში ჩამდნარი ფოსფორი:
„ერთი რომ ძროხის სმაზე ზმუის, მეორე თსასავით კიკინებს,
ერთს ზოლები დაუყვება ზურგზე, მეორე — მწვანეა,
სახელი ერთი აქვთ, ფორმა — ნაირგვარი,
ერთმანეთთან მოუბარნი მეტ-ნაკლებ რიხს ირევენ ხმაში“.
სექტემბერია ახლა... გახშირდა წვიმა.

ჩანართი, რომელზედაც ავტორი დიდ იმედს არ ამყარებს (სწორადაც იქცევა)

**სამსახურიდან თუ რომელიმე რედაქციიდან დაბრუნებულს ჩვეულად მაქვს — ვიდრე პორის მაღაზიაში შევიარიდე, ფანჯრებჩამტვრეულ სარდაფში ჩავიხედავ, სადაც ცხელი, ცივი წყლისა და გათბობის მილებია თავმოყრილი; გაუნძრეველად წვანან თავშეკონილი, თეთრად შეფუთული დევები, იშუშებენ თაბაშირით გაგლესილ გვერდებს, დასვრეტილი, ძვლისფერი ნალექები აქვთ გამოკრული სახაში. ყოველ მილზე წითლად შეღებილი საჭეა დახრახნილი. ღერძსა და ზედ დაცმულ რგოლს სამი ტალღისებური ხაზი აერთებს. ალბათ მოსახერხებელია ასე, სხვა აზრი ვერ გამოვიტანე. ამ საჭეს ხელოსნები ჩამკეტს, ურდულს ეძახიან.**

**საქვაბე ანუ საბოილერო ერთ მოხუც, სამოცდაათს მიტანებულ კაცს აბარია. სანთელივით გამქვირვალე ცხვირის ცალ ნესტოზე მომსხო კაპილარი გაკლაკნილა; სწორი, დატკეპნილი ჭაღარა თმა და შეუფერებლად ცოცხალი ბიჭური თვალები აქვს. ყაისარი ჰქვია — ძველი, ამჟამად მივიწყებული სახელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამ-ლამობით, ეზოში დაყენებულ კერძო მანქანებს ყარაულობს, ცეცხლი უნთია გარუჯულ ვედროში.

ქუჩის გადაღმა, თავისუფალ ნაკვეთზე, ასიოდე ძირი ვაზი უდგას, ლასტებით შემოკავებული, გაკოჭილი, მავთულის ხარახუნზე გადაწვენილი. ვენახს გვარიანად დაუსხამს, ჩამოგრძელებულა დოლბანდში გამოკრული მტევნები. სანამ დაიწურებოდეს, ჭირნახული მრავალ საფრთხეს უნდა გადაურჩეს (მტვერი, ჩიტი, ადამიანი...) შემოღობილში ერთი ძირგავარდნილი, მოყანყალებული კახრი აგდია, კირისა და შაბიამნის ხსნარით შეთითხნილი. მოხუცს პირველად მაჯებზე დავხედავ ხოლმე, მისივე ვენახის ძირები მახსენდება — მკვრივი, დაკორძილი, მიწას ჩაჭიდებული. იშვიათად ჩამივლია, რომ არ გამოვლაპარაკებოდი. ერთხელ საიდუმლოსავით გამამდო, მილებში ცოდვილთა სულებია გამომწყვდეული და იმათი პატრონობაც მე მიწევსო. თვალებში ჩავხედე, ხომ არ შეირყა-მეთქი, მაგრამ ჩვეულებრივი, აუმღვრეველი გამოხედვა ჰქონდა.

მსუბუქად დაამჯიჯებს, ფეხის ხმას ვერ გაიგონებ. ახლაც შეუმჩნევლად ამომდგომოდა გვერდში. არ მომსალმებია, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ისევ ამათ უყურებ? რაღაც სხვანაირად წკმუიან დღეს, მგონი წვიმას აპირებს. გადარევა იციან ასეთ ამინდში.

ძირს დავიხედე. შავად დაწინწკლულიყო უსწორმასწორო ასფალტი. მთელ სიგრძეზე დასწოლოდა ქალაქს ღრუბლის შავი ქეჩა.

მკლავზე მომკიდა ხელი. წამო, ახლოდან შევხედოთო, მითხრა, თან გაეცინა, ნიკოტინისგან ჩაყვითლებული კბილები გამოუჩნდა. ცემენტის დაბზარული კიბე ჩავიარეთ. სანახევროდ შეღებილი გისოსებიანი კარი აჭრიალდა. შემთბარი ნესტისა და მტვრის სუნი მეცა.

— პირველად ნამტანანი შევწუხდი, მერე და მერე შევეჩვიე, — შორიდან ჩამესმა ბერიკაცის მოყრუებული ხმა, — ჩემი შეტყობით, პატარები უნდა იყვნენ, თავგისტოლები. ესენი, საერთოდ, რკინეულობას ეტანებიან — მილებს, ქვაბებს, რადიატორებს... ასეთ რამეებს, — შენ წაკითხული გექნება, — ეშმაკურად მოჭუტა თვალები, შემომაჩერდა.

— ზოგჯერ წყლის მილი დაიყურყურებს კედელში. იცოდე — ესენი არიან. ვინმეს რომ კითხო, ჰაერიაო, აგიხსნის. ოთახებში, აბაზანებში შესვლას ვედარ ბედავენ, იციან საზღვარი.

ამბობენ, სულები დაფრინავენო. არა მგონია, ამათ ფრენა შეეძლოთ. არც ის მჯერა, მეხსიერება ეკარგებათო. გამოეჩნდები თუ არა, მაშინვე მცნობენ, აწრიალდებიან. როცა გინდა და რამდენსაც გინდა, გამოიძახებ. ერთი ურდული გადაატანილი და მოგაწყდებიან, არც ცხვრის დაკვლა ჭირდებათ და არაფერი. უცნაური ჭუჭყურს ატეხავენ, დაბარება უნდათ რაღაცასი, ალბათ ჭირისუფალი მიუხვდებოდათ. — სუნთქვა გაუხშირდა, ხელი ჩამოსხვა სახეზე.

ტილოს ბლუზა ეცვა, რუხი, ალაგ-ალაგ თეთრძაფგარეული; წვრილი ქამარი მჭიდროდ შემოეჭირა შევარდნილ წელზე, სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა.

— ძირითადად ამ უბნის მაცსოვრებლებია (ყოფილი, რა თქმა უნდა), ეს ერთი ბოილერი ემსახურებათ, აქ გროვდებიან. პატრონებმა არაფერი იციან, არ ვეუბნები. საწყლები, ორ-სამ ატმოსფეროს ძლივს უძლებენ, არადა ზედა სართულები ჩივიან, ფულს ტყუილად ვიხდით, ცხელი წყალი არ მოგვდისო. რვამდე რომ ავიყვანო, მილები ცალკე დასკდება და ამათ კიდე რაღა ეშველებათ. მაშინ უნდა იკითხო საცოდაობა. ზემო კვარტალებში შედარებით წყნარები ყოფილან, ამხანაგი კაცი მუშაობს. მთელი კვირა რომ არ მიაკითხო, ხმას არ გაიღებენ თურმე, არ შეგახსენებენ თავს. — გაჩერდა, წვიმის საამო, მონოტონურ შრიალს დაუგდო ყური. არაფერს შეკითხვივარ, თვითონვე განაგრძო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცეცხლფარეში კი მქვია, მაგრამ ცეცხლთან არაფერი მესაქმება, ჩემამდე გაცხელებული მოდის წყალი. წნევას ვაკვირდები მხოლოდ, დავაყენებ, რამდენზეც შეიძლება და გათავდა... აპარატურა მოძველდა, მილებიც დასაცვლელია, ალბათ დააყენებენ საზველს.

ორ-სამ თვეში ერთხელ უბნის ინსპექტორი მაკითხავს, უწყისი მოაქვს, სულადობას მიმოწმებს; მე შენ გეტყვი, დამაკლდება. მერე ამათ მთავარ საქვაბეში გადაქაჩავენ; ახალი აშენებულია, ზევს პირას რომ დაბალი, თეთრი შენობაა, ის არის. უნდა ნახო, რა ტაპა-ტყუბით მიცვივიან. იქ რაღა ემართებათ, არ ვიცი, მგონი სამუდამოდ რჩებიანო. იქაც განყოფილებები ექნებათ, ყველას ერთად ხომ არ შეყრიან, დახარისხებული ეყოლებათ. მერე ახლები იკავებენ ამათ ადგილს; დიდი ამბავია, თუ გინდა დაგანახვრეს ერთხელ...

ამას რომ ამბობდა, სახელოებიდან ცეცხლის ენები ამოიწვერა, წრეებად შეიკრა, სახე გაუნათა. ტატობა მიჩვეული იყო, არც გატოკებულა; ბალნიც არ შეტრუსვია მაჯებზე. თანდათან დაიწია, დაპატარავდა გაზის ორი გვირილა, სარდაფის დახუთული კუნჭულებიდან გამოცოცებული ლანდები დამოკლდნენ, გულში მოექცნენ ნაგბევებიან გისოსებს.

ჩამობნელდა. გოგირდის ალი ლოკავდა ძირს დაქანებულ, შიშინით გამქრალ სიტყვებს. ძლივს ვიჭერდი ნათქვამის აზრს. თავს ძალა დავატანე.

— უფროსობას წინასწარ შევუთანხმდი. ბავშვები, საერთოდ, მცირეწლოვნები არ მოახვედროთ-მეთქი ჩემთან. სად გაგონილა ამათი ცოდვა. ეტყობა ასხოვთ ეს და მიწვევენ ანგარიშს. იმ დღესვე დავანებებ სამსახურს თავს. მეც ბევრი არ დავკარგო, უკეთეს ადგილს მპირდებიან. შვილიშვილი მომიკლა დენმა, პატარა გოგო, მეოთხეკლასელი. ათი წელია მას მერე. ეზოში თამაშობდა, ჩამოვარდნილ მავთულს გამოედო, ვერ ააგლეჯეს მიწაზ... — ცრემლი არ მოდგომია, ისე აუკიაფდა თვალები. დავაშშვიდე. გრილ ბეტონზე გადავუსვი ხელი.

გაძლიერდა ერთმანეთზე გადაკეცილი მილების ყურყუური, წვიმის შბრიალი გადაფარა; მუშისტოლა, ჩამფუქებულმა ლანდებმა ბეტონის ჭერზე დაიწყეს როკვა, ჭვალოგადაკრული თაბაშირის ბზარებიდან, ქოქანთა, შედედებულმა ორთქლმა გამოყონა, რგოლებად გაიშალა.

— ე, იწყება, გესმის? — დამჭაჩა, ახლოს მომიყვანა.

ყველაფრის გარკვევა შეუძლებელი იყო. ბოლოს, იმ გაუთავებელ გნიასში ესღა გავარჩიე:

დატყვევებული ჩვენ ვართ სულები,
რკინის ბადეში ძალით გაგვაბეს,
ვართ სურვილები გარდასულები,
მიგვეულება ორთქლი საქვაბის.

ქურა ახურეს და ცეცხლზე გვადნეს.
ემვება მილი — მყიფე, უხეში,
ობი და ჟანგი გვაბრუებს მადნის,
ვეშვებით ქვაბში მოთუსთუსენი.

არ შეარჩინეს ნაფლეთი ზეცის —
ფოლადის ლულა ორად მოხარეს,
გადაყვინეს, ღებეს და კეცეს,
ჩვენთვის ამოჭრეს და ამოღარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა უნდა მოსდეს ან რა დარჩება.
თეორი ბუმტების ცეკვა, სვარსვალი,
ძნელია მათგან ჩვენი გარჩევა —
არსად ნაჭდევი და ნაძარღვალი.

ვის ატკივდები, სად ეწერები.
მოშიშვლებული წვეთავს აგური,
დაფუსფუსებენ ღამის მწერები,
დაყვება ფიცარს თაგვის ფხაკური.

სამწუხაროა, გვინახავს, ვიცით:
სადინარები რკინისკოჭრება,
ამოფსებული ქვითა და მიწით,
ბოლოს დაწდება და ამოშრება.

რა დაგვეტყობა — ჩვენ ვართ სულები,
არ დაგვიკლია ხვედრი და წილი,
ვართ სურვილები გარდასულები,
სტუმრები თქვენი ნანმოკლე ძილის.

ვერ დავიჩემებ, რომ ეს ხმები ნამდვილად გავიგონე. უბრალოდ, მომესმა. ეტყობა, მოხუცის აჩემებამაც ამოქმედდა და მდუღარეში ამოვლებული ბგერები „ცოდვილთა“ მოთქმას მივამსგავსე.

მახპინძელმა ამომაცალა. წვიმას გადაეღო. ტროტუარის კიდეებზე ღვარები მოედინებოდა. მოუსვენრობა დამეტყო.

— იხე კაა საინტერესო, ვის დაჭირდა ყველაფერი ეს... (ხელი გააყოლა გაწუწულ ხეებს, შენობებს, აბოლებულ მთას...) ან თუ იცის რა გააკეთა. ალბათ ეცოდინება.

კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ დავემშვიდობე, ხტუნვა-ხტუნვით გადავიარე ქუჩა; ვიღას გაახსენდა პური და კარაქი.

იმ ღამეს არ მძინებია. ბრეზენტის მოშვებულ ფვედებზე ვიწექი, გადავარდნაზე ვიუავი. წამი-წამზე ველოდი, რომ ძირს, ხიბნელეში მიეყუჟული მოტორი აგრიალდებოდა, დამითრევდა. წელიდან სისხლი მოეონავდა, თირკმელების ალაგას წვრილ-წვრილი რკინები მიჩხრიალებდა. რიგრიგობით ვარდებოდა დაზეთილი, სილაკრული ჭანჩრები, ხრახნიანი ხამსჭვალები, კრიალა, პატარ-პატარა ლილვები. არც დამახედავს, ხელს ვავლებდი მხოლოდ და ვყრიდი; კარგა ხნის მერე მოისმოდა ყრუ ჭახანი.

მერე ვეებერთელა ქვაბში ფეხებით ვიუავი ჩაკიდებული. დროდადრო თოკს მიუშვებდნენ და თავს ვახლიდი ფხკერზე. კეფას მიბზარავდა გამოკალული თუჯის უსიამო ყღრიალი. ყოველ მესამე დარტყმაზე გონს ვკარგავდი — ნაწევრდებოდა, რბილდებოდა მჭახე ბგერები, ფლეიტის ღუღუნად ჩამესმოდა. როცა უკანასკნელად ამომქაჩეს, აპრიალებულ კედელზე შენი დანგრეული ანარეკლი იზრდებოდა, ჩემს გადახარჩენად გამორბოდი — თვალებში შიში და გაოცება გედგა. სანამ მომისწრებდი, ყურები გამილურჯდა, სახეზე სპილენძი გადამეკრა, გავიყინე.

... შუაღამის მდუმარებას ფლოსტების ჩლარტუნი ხეხავს. გაიწკაპუნებს ტელევიზორის ჩამრთველი, უსასრულობიდან მოვპრდნილი ლურჯი გრიგალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაწყდება ეკრანს — აკანკალებული, ცივად მდუღარე; იხლართებიან გამქრალი, ერთმანეთში გადამდნარი გამოსახულებები.

ძირს გადაიხედავ და ღამეა — ნახშირის დაცხავებული ბალიში, ძაღლების მყეფარი ენით გაფოთლილი.

**ამ დროს მოდის ნამდვილი მოწყენა. თვალწინ დაგიდგება:**

**უკაცური ბაქანი თოვლიან ტრამალზე;**

**გამოყეტილი, უგაზეთოდ დარჩენილი კიოსკი;**

**რკინის მესერთან მომდგარი საავადმყოფოს ნაძვები, რომლებთანაც შესვლა აკრძალულია.**

**არ იცი რას მიაწყდე. მოსწევ სახელურს, აგეყუდება ტანზე ბნელში მოხეთქილი კლდე — მაცივრის კარი, შემოგანათებს ყინულის ბუდეში მიყუჟული ერთადერთი ნათურა...**

**რას ვფიქრობდი შენზე „წმინდა გულის“ ტაძარში:**

ჩვენ უფრო ახლოს ვიყავით, ვიდრე
ენა და კოვზი, ვიდრე ხორხი და
სამართებელი და მზოლოდ ერთი,
შესასვით ერთი დასმა კმაროდა.
ჩვენ გაცილებით ახლოს ვიყავით,
ვიდრე კანონი და ბრალდებული,
ვიდრე წვიმა და ნიაღვარებით
გადახეხილი ქიმერას ზურგი,
ვიდრე გული და იმავე გულში
ნასროლი ტყვია. საით გაქცევა
ან რა წამალი გადამარჩენდა.
ელავდა ჭაღი და მლოცველთათვის
ჩარიგებული თოლის მერხები.
უფალმა ნახა: შენი სახელი,
ღია თვალებში ანთებულ სპირალს
რომ ღაეხვია... მოგიყვეს თითონ.
პირს მარიდებდა, არ ჰქონდა მასაც
იმედი ჩვენი განმეორების.
რა საჭიროა სხვათა გაკილვა
ან გამტყუნება. ვერ მიხვდებიან.
და დაჯერებაც გაუჭირდებათ
ამ სიყვარულის. ასე მათრობდი,
ვერ გამოვლიე ტუჩებზე რბილად
შემოვლებული სიგრილე რკინის,
ვედარ შევქელი შენი ამაყი
სულის დაშრეტა, ამოთავება.
სანაცვლოდ ამის, რა შეიძლება
შემოგთავაზოს წყალწაღებულმა...
მე შევარჩიე ადგილი, სადაც
მოუბრუნებლად, სამარადისოდ
დავესასლებით (მახსოვს **პირობა**).
ესაა თეთრი ნაპირი სილის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზის დაძირვიდან გათენებამდე
უნდება ქარის და ოკეანის
ლურჯი ტალღების მოგერიებას.
უცვალებელი სუფევს ზაფხული,
სიბერე, ყინვა არ ეკარება
სავანეს წმინდას. ნაპირთან თეთრი
ხე გატტოილა, კომშისფოთლება.
არ გვეღირსება ჩვენ ჩრდილი მისი,
ვერც მხსმოიარე ქოქოსის ძირში
დაფლულ სკამებზე ჩამოვისვენებთ.
ხორცით განძარცულ სხეულებს ჩვენსას,
აუმღვრეველი შეირევს წყალი,
არც დავაჩნდებით. მივყვეთ დინებას;
ხან ზღვის ვარსკვლავი, ზღვის ცხენი შავი,
ხან მოჩვარული რვაფეხას ცაცი
გამოგვეფდება. არ შევიმჩნიოთ...
ამას ვფიქრობდი იმ თეთრი ტაძრის
კედელს აკრული და მეპატიოს
თუ უკადრისი წამომცდა რამე.

●

ვერ ამოვედი შენი სარკიდან,
შენი გულიდან, შენი სარკიდან,
უძლიერესო და უძნელესო,
ყველა მიწიერ დასაკარგიდან.

გამითავდება ტკივილი, შიში...
თითონ ღმერთია ამის მოსურნე —
შენი სიმაღლის მონახე ნიში,
დახარე მხრები ანგელოსურნი.

დახარე თავი — გვირგვინი მძიმე,
მზე მომალანდე და მომაშიშვე,
სასასლედ იქცეს მათხოვრის მღვიმე,
წყალობა ცისა დარჩეს ცაშივე.

ხე ცხოვრებისა ამაოდ ვხატე,
ცრემლი დაისხა ნაყოფის ნაცვლად;
მემხობა შენი სიზმრების ბადე,
არ მიწერია გაქცევა, გაცლა.

ვერ ამოვედი შენი სარკიდან,
შენი გულიდან, შენი სარკიდან,
უნეტარესო და უმწარესო,
ყველა მიწიერ დასაკარგიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დამღლიდა და არც საჭირო იყო მეტის მოწერა.
იცოდეთ — განგებ არ დავაწერე დღე, მისამართი,
თავად მორიგდით — რომელს რომელი შეგეფერებათ.
არც ისე ძნელი მისახვედრია ამის მიზეზი:
სამნი იყავით, სამივემ ერთი მიიღეთ სახე.
თქვენ ტრიალებდით და გაერთებდათ ტანი თუ ღერძი —
გულს გული შეხვდა, წვივები წვივებს ამოეფარა,
თვალმა ადვილად მონახა თვალი, გამუქდა ოდნავ,
მხოლოდ ხელები, ხელები დაგრჩათ გაშლილი განზე
და მაშინ მიეხვდი — ის ექვსი ხელი — ფრთა იყო ექვსი,
ჩემს წასაყვანად დაქანებული და მოშრიალე.
მწვავდა ნათელი და უთვალავი მიმზერდა თვალი.

**ბოლო მინაწერი:**

მიწა წვიმებით დაბერილი.
მზისა და მთვარის დაფერდება.
ოქროთი, სიხსლით დაფერილი,
ჩემი ზაფხულიც დაბერდება.

დაჭკნება ნერგი უხარები,
გულ-მუცლის თეთრი გალავანი.
ცასავით ძველი მწუხარება —
ფერის და ხორცის გალეკანი.

სულ მახსოვს შენი დარიგება:
„არ გაამრავლო მოეჭვენი,
მგლობას გერჩივნოს ტარიგობა,
ყველას პატარა მოეჩვენე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ ადეიშვილი

# ზელიმხანი მოვიდა

— ქვაბები მოვკალოთ, ქვაბები, ტაფები მოვკალოთ! — ლეკური აქცენტით მოძახილი გაისმა ჩვენს ეზოში. ახალგაზრდები ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდნენ მაღალი ტანის, სპილენძისფერსახიან, ასე ოცი-ოცდაერთი წლის მკალავს. ბავშვები მის ტომარას შიშით თვალებს ვერ აცილებდნენ. ალბათ ფიქრობდნენ, დედის მუქარა ახდაო: „თუ არ შეშჭამ, არ იქნები ჭკუით, ტომრიანი კაცი წაგიყვანსო“, და აგერ, მოსულა!

ყველაზე ბოლოს, დარბაისელი მოხუცები გამოვიდნენ. წარსულის ნაძერწს მტვერი გადასცილდა, გაახსენდათ, რომ თელავში ხიდის გაღმა ლეკებს სათოქმაჩო ჰქონდათ. დიდი ბოხოხა ქუდები ეხურათ. ქალაქში ბარიტონით დაბაჯებდნენ და მთელი თელავის სპილენძის ჭურჭლებს კალავდნენ. თელაველი დარდიმანდი ბიჭები ხანდახან საოინბაზოდ მკალავ ლეკს ქუდის ქვაბულში პაპიროსის ნამწვავს ჩაუგდებდნენ, ბოხოხა ქუდი საკვამლე მილივით აბოლდებოდა. აბა მაშინ უნდა გენახათ ხიდზე გამოფენილი ჩარჩების, ხელოსნების, ქურთების სიცილ-ხარხარი. მკალავი ლეკი ქუდს მოიხდიდა, გააქნევ-გამოაქნევდა, ჩაეკრობდა, თავიანთ ენაზე წაიდუდუნებდა და მერე რომ დაწყნარდებოდა, მშვიდად გაგრძელებდა: მოვკალოთ, მოვკალოთ!

მკალავი ბერერდა. მორიდებული ღიმილით აკვირდებოდა ქუჩაზე გამოფენილ მუშტრებს, რომელთაც, ალბათ, აქედან რაკეტის გაშვება კოსმოსში ისე არ გააოცებდათ, როგორც მკალავის გამოჩენა.

— მოვკალოთ! — მკალავმა ხალხს თავი გაახსენა.

— რა არის მოვკალოთ? — იკითხა ცნობისმოყვარე ბავშვმა.

— უჰ, ამას ახლა მთელი ქიმია აუხსენი! — აფორიაქდა ბავშვის მამა.

— რა არის მოვკალოთ? — გადაედოთ სხვა ბავშვებსაც.

ლეკს შეკითხვებზე სახე გაუნათდა, გახსნა ტომარა. ბავშვები დედ-მამის კალთებს ამოეკვრნენ. ლეკმა ტომრიდან სპილენძის თუნგი ამოიღო.

— აი, მოკალე! — თუნგში ჩაახედა გაბედული ბავშვები.

მკალავ ლეკს თუნგის გულში მზის სხივები ჩაეკრიფა. ბდღვრიალებდა თუნგი.

— აი, მოკალე! — აუხსნა მკალავმა ლეკმა.

თუნგით დიდებიც დაინტერესდნენ. მოკალულს ხელს უთათუნებდნენ, გაოცებულნი თავებს აქნევდნენ. ზოგი მოხუცი ეშვის თვალით უყურებდა.

— ეჰ, წინად რომ ჰკალავდნენ ეს ურჯულოები, შიგ სახეს დაინახავდი!

— საოცარია, ესენი ჩვენ გვეძახიან ურჯულოებს, ჩვენი კი — მაგათ, — თქვა საშუალო ტანის ზესიძედ მისულმა ახალგაზრდამ, რომელსაც ორი ტყუპი გოგონა გაჰირვებით ეკავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დასწრებაზეა, ჩემო თამაზ, დასწრებაზე, — ჩაიღიმა გამხდარმა ბიჭმა, რომელსაც მეტრიკით ტარზანის ეძახდნენ.

სპილენძის თუნგი ხელიდან ხელში გადადიოდა, ერთმა ფულიც კი შეაძლია, მკალავმა თავი გააქნია:

— მაგისი პატრონისა...

— ეე, ნუ იგინები! — შეაჩერა ტარზანამ.

— იგინები? — შეიცხადა მკალავმა, იმ აზრით ნათქვამი ვერ გამიგესო.

მკალავი ისევ ხასიათზე მოვიდა, სიამით აკვირდებოდა თუნგის ხალხში მისვლა-მოსვლას, ნოსტატარზე ქებას მოკრძალებით ხვდებოდა.

— აბა მომიშვით! — მკალავი ლეკისკენ მიიწევდა თოვლივით თეთრმიანი, სახემშვენიერი, ტანმორხეული, სამოციოდე წლის ნაქალბატონარი. მისი ქმარი მოშორებით იდგა. ცოლი დაუშრეტელი სიამაყით გაოცებული იღიმებოდა.

— შენი სახელი, ლეკო? — ჰკითხა ნაქალბატონარმა.

— ზელიმხანი!

— ზელიმხან, ორი ქვაბი და ტაფა მომიკალე. რამდენს გამომართმევ!

— რას მისცემ? — დაიმორცხვა ზელიმხანმა.

— მე შენ გეკითხები! — არ ეშვებოდა ნაქალბატონარი. სვიმონს კი ყბის კუნთები ებერებოდა: „ნეტავ რა ჯანდაბად უნდა ეს ქვაბები!“

— მოვრიგდებით, დედიჯან, — ზელიმხანმა ტომარა გახსნა და ორი ქვაბი და ერთი ტაფა შიგ ჩააყუდა.

გამოჰქონდათ ძველი სპილენძის ჭურჭლები. ზელიმხანი გულდასმით ათვალიერებდა. თუ რომელიმე უვარგისი იყო ადდგენისათვის, თავს გააქნევდა, უკან უბრუნებდა. ბავშვებს გამოჰქონდათ ყველა ლითონის ჭურჭელი.

— ძია ზელიმხან!

— გეხვეწებით! — ბავშვებმა დაიძახნაგეს ზელიმხანი.

— არა, არა!

ერთმა თმაბუებულმა, ტუჩებამობურცულმა ხუთი წლის გოგონამ გამურული თოჯინა მიუტანა. ზელიმხანმა იმდენი იცინა, რომ ხველებაც კი აუტყდა, თვალებიდან ცრემლები წამოუვიდა, ცოტაც და წყლით მობრუნება დასჭირდებოდა.

— ეს როგორ, ვაა! — იგუდებოდა ზელიმხანი.

ზოგი ბავშვის გულუბრყვილობაზე იცინოდა, ზოგი კი ზელიმხანის როხროხა სიცილზე.

ბავშვები გოცებულნი მისჩერებოდნენ ძია ზელიმხანს, უკვირდათ, „რა ხუმარა ყოფილა ტომრიანი კაცი!“

თმაბუებულმა, ტუჩებამობურცულმა ხუთი წლის გოგონამ გამურული თოჯინა ტომარაში სტაცა და გაიქცა. ზელიმხანს სიცილი შეაშრა, თვალი გაყოლა გაქცეულ ბავშვს.

ზელიმხანმა ერთი ტომარა გაავსო, მეორე ტომარა ნახევრად მოიყვანა, დაემშვიდობა. გზას გაუყვა.

— ზელიმხან! — მიმართა ამ უბნის ახალგაზრდა ქვრივმა, ნათიამ.

ზელიმხანი შედგა, თვალები კითხვის ნიშნის ასპექტში მიაშტერა...

— მე ერთი სპილენძის ქვილისძველი ქვაბი მაქვსა, — გააგრძელა ნათიამ.

ზელიმხანი უსმოდ გაჰყვა ნათიას. მათ ბავშვებიც აედევნენ.

— აი, ეს ქვაბია. — ნათიამ სათონის მოჩარდახულის ქვეშ ამობრუნებული სახინკლე ქვაბი აჩვენა. ზელიმხანმა ტომარა მოიხსნა, ფრთხილად მიაყუდა ბოძთან, ჩაიმუსლა, ქვაბი ამოაბრუნა. დიდიხნის ნაგდები იყო, ქვაბის შიგნიდან უამრავი მრავალფეხები, ყურბანები და ხოჭოები გამოღოღდნენ, ბავშვები სიამოვნებით უცქერდნენ მათ ვაივაგლახს.

ზელიმხანმა დიდხანს ათვალიერა ქვაბი და მერე უთხრა:

— ზნელია.

— რა არის ძნელი! — შეიცხადა ნათიამ.

---

ანანდილ ადიეფილი
ზელიმხანი მოვიდა

ზელიმხანმა ტომარა მოიგდო, ეზოდან გავიდა. გასვლისას ერთხელ კიდევ მიიხედა, თავი გააქნია. ნათიამ ჭია-ღუნებით გართულ ბავშვებს დაუტატანა:

— აბა, სახლებისკენ!

ბავშვები ყივილით გაცვივდნენ ეზოდან, მამაცებს ნარისეკლებზე შავი ხოჭოები წამოეგოთ და მხდალებს აწოკკებდნენ.

გავიდა ორი კვირა. ჩვენს ქუჩაზე გამოჩნდა ზელიმხანი. ისევ იმ ადგილზე აიშოლტა, გაზპირებული სიტყვები მუსიკალური ყიერადობით ამოუშვა:

— მოკალოთ ქვაბები, ტაფები... — ტომრის გარშემო უპირველესად ბავშვები დაჯარღნენ. ზელიმხანმა ტომრიდან იწყო მოკალული ქვაბების, ტაფების, თუნგების ამოლაგება. ზოგს სამ მანეთს უფასებდა, ზოგს — ხუთ მანეთს და ასე ტომარა დააცარიელა. მერე გახსნა პატარა პარკი. ჩაყო ხელი, და ლეკურად ჩაცმული თოჯინა ამოაძრო, თმაგაუებული გოგონა მიმინოსავით ჩააფრინდა თოჯინას, გამოგლიჯა და მოკურცხლა შინისაკენ. ზელიმხანი იღიმებოდა:

— ოო, მამაზაღლო!

ნაქალბატონარი გულდასმით ათვალიერებდა ზელიმხანის მოკალულს, მერე შეეკითხა: — შენი სახელი?

— ზელიმხანი!

— ზელიმხან, სპილენძის შანდლები მაქვს, გამიწმენდავ? მხოლოდ თან ვერ გაგატან!

— დედიჯან! — იწყინა ზელიმხანმა.

— აბა, როგორ გითხრა, ძაან ახლოს ვერ გიცნობ, ზელიმხან!

ზელიმხანმა ტომარა დაახვია, ამოიღლიავა, ხალხს თავი დაუკრა და გზას გაუდგა.

ქვრივ ნათიას ჭიშკართან შეჩერდა:

— ეე, დედო, დედო!

ბავშვებმა ატეხეს სიცილი, ერთმა ენამრავალმა გოგონამ ზელიმხანს შეუსწორა:

— დედო კი არა, დეიდა ნათია!

— ნათია, ნათია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩნდა ნათია, ხელებს [illegible]ეტ-და, კაბას იბერტყავდა, გახსნა ჭიშკარი, ზელიმხანი ვერ იცნო, ვორიზად ჰკითხა: — ვინა ხარ?

— მე, მკალავი...

— ჰო, — გაიხსენა ნათიამ. — აკ სთქვი უარი.

— წაიღე.

ნათიამ ზელიმხანი ჭიშკარში შეუუშვა. სპილენძის ქვაბი ისევ სათონესთან ეგდო. ზელიმხანმა ტომარას პირი გაუწია, ნათია ქვაბისკენ დაიხარა. ქვაბის გულისპირიდან გამოუჩნდა თეთრი მზემონატრული ძუძუები. ზელიმხანს ნებისყოფამ უმტყუნა, თვალები გულისპირს დაჰყო. ნათია მიხვდა, მაგრამ ქვაბი ორი ხელით ეკავა და რას იზამდა, სანამ ტომარაში არ ჩაგდებდა. ზელიმხანმა თვალები მოაცილა, მაგრამ თვალები რის თვალებია თუ... ზელიმხანის თვალები ისევ ნათიას უბეში შენთდა.

— ზელიმხანი ხარ, თუ კობახჩო, დროზე ჩადე ქვაბი!

— კობახჩო აული, აული, — გაუხარდა ზელიმხანს.

ქვაბი ტომარაში გამოიქედა, პირი მოუგრიხა და გაამზადა ზურგზე შემოსაგდებად.

— წყალი! — ითხოვა ზელიმხანმა.

ნათიამ დოქი და თეთრი ჭიქა გამოუტანა. ზელიმხანმა დაისხა და ყურყუნით გადაუშვა ხელში. მეორედ დაისხა, მესამედაც და დოქი გამოიცალა. ზელიმხანი მონუსხულივით იჯდა, ნათიას სინარნარით იბნედებოდა. ნათია კი ოთახიდან ოთახში ხელდატვირთული გადიოდა და გამოდიოდა. ზელიმხანის ასეთ დაყოვნებას იმით ხსნიდა, რომ „დაღლილია, დაისვენებს, წავა მაშ არ წავა, აბა ზესიძედ ხომ არ დამიჯდება? ისე კი ლამაზი ვაქაცია, პირველად ვნახე ლეკი და ასეთი ლამაზი, ლამაზი არა, ჭირია!“ — ნათიამ დატუქსა თავის თავი.

ზელიმხანმა სტუმრობის დრო იდიდა, ტომარა მოიგდო განიერ მხრებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეზოდან გავიდა. ნათიამ თვალები დაადევნა, „ძლივს არ წაეხრია“.

იმ დღეს წვრილად წვიმდა. ზეცა საცერში ჩავარდნილიყო. ყველანი სახლში შეყუჟულიყვნენ.

ნათიას აივანზე გამოეტანა ხის გობი და სოკოს არჩევდა, პატარა თამარი ნახატებიან წიგნს ათვალიერებდა, დედის მრისხანებისა რომ არა, თვითონაც სოკოს დაარჩევდა.

— ნათია! — გაისმა ხმა.

ნათიამ ეზოში შემოჭრილ ძახილს გააყოლა თვალები. ბინდში ვერ გაარჩია დამძახებელი.

— ვინ უნდა იყოს? — ძრწოდა ნათია, მერე გამხნევდა, სკამიდან წამოდგა. — რომელი ხარ?

— ზელიმხანა!

— რომელი ზელიმხანა? — ჩაიდუდუნა ნათიამ.

— დედა, ტომრიანი ზელიმხანა, აი ქვაბი რომ წაიღო! — უხსნიდა პატარა თამარი.

ნათია ეზოში ჩავიდა. უკან თამარიც მიკუნტრუშებდა. ჭიშკართან შეჩერდნენ.

ნათიამ კარები გახსნა, წინ ზელიმხანი აესვეტა.

— მოკალე?

ზელიმხანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— აბა მომეცი!

ზელიმხანმა ტომრიდან ქვაბი ამოიღო, ნათიამ ხელი ჩაავლო ქვაბს.

— ზიმია, ზიმე!

— არ გინდა, მე შევიტან!

— ვაა!

ნათიამ სვენებ-სვენებით ქვაბი აივნის ქვეშ შეათრია, სინათლეზე დაუწყო თვალიერება, მერე მეორე სართულზე ფულის ჩამოსატანად აირბინა, ჩამოირბინა, ჭიშკართან მივიდა, სახტად დარჩა — ზელიმხანი წასულიყო. ნათია გამოედევნა.

— ზელიმხან! ფული!

— ფეშქაშ, ფეშქაშ!

— არა, არა! — გაწიწმატდა ნათია. პიჯაკის ჯიბეში ძალით ჩაუკუჭა ფული. ზელიმხანმა ფაფუკ თითებზე გარუჯული, კოჟრიანი თითები მორიდებულად მოჰკიდა, ვნებიანად შეიკავა, ნათია შეყოვნდა, მერე უმტკივნეულოდ გამოსტაცა მტევანი, გოროზი თვალებით მიაჩერდა მონუსხულ ზელიმხანს. ნათიამ შენიშნა ახალ კოსტუმში გამოწყობილი ზელიმხანი, ჩაეცინა, ზელიმხანსაც ჩაეცინა, ნათიას ისტერიული სიცილი აუტყდა, ზელიმხანიც აჰყვა.

სიცილი ექოთი გადადიოდა ქუჩიდან ქუჩაში, ეზოდან ეზოში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგეი ჭილაია

# მე და ჩემი პროფესორი
# წიგნი II

## იყო ერთი პოეტი

**ამ დღეს ივანე ჯავახიშვილის** მიერ დაარსებულ **უნივერსიტეტში** პროფესორი **შალვა** ნუცუბიძე **გვიკითხავდა** ლექციას. ფილოსოფიის **შესავალი** — ასე ერქვა საგანს, **რომელსაც** იგი **ჩვენთან** კითხულობდა **იმ** წელს (**მეორე** წელს **კი ევროპის** ლიტერატურის **ისტორია** წაგვიკითხა). **ბატონი** შალვას **ლექციები ყოველთვის** საინტერესო **იყო** და აუდიტორიაც შუდამ გაჭედილი. **იმ** დღესაც ასე იყო. **ჩვენი** კურსის სტუდენტებისა და ასპირანტების გარდა გარეგან **მოსული** მსმენელებიც ბლომად ესწრებოდნენ. **შალვა** ნუცუბიძე არა მარტო დიდი ორატორი—დიდად განსწავლული და ერუდირებული მეცნიერი-პედაგოგიც გახლდათ. ლექციაში ყოველთვის **ჩაერთავდა** სრულიად ახალს, **მოულოდნელს**. მოულოდნელობათა მთელი სერია იყო მისი ლექციები; **იმ** დღეს სპინოზაზე ლექციას **რომ** გვიკითხავდა, **უცებ ტერენტი** გრანელზე **ჩამოგადო** სიტბარი. და იცით რა თქვა? მე არ მგიგუცია **მეორე უფრ**ო დიდი მისტიკოსი პოეტი, ვიდრე **ტერენტი** გრანელიაო და ზეპირად წარმოსთქვა **გრანელის** სიტყვები: „მე ისე ვსდგავარ მარადისობის გარინდებულ საზღვართან, ვით მგლოვიარე სერაფიმი, და ვეღ ქრისტეს ლანდს, რომელიც დამიხსნის მე განსაცდელისაგან. მე მჯერა სიცოცხლე სხეულის გარეშე. მე მივმართავ მთელ მსოფლიოს შემდეგი სიტყვებით: მე მინდა გაფრენა. მე მინდა ყველგან ვიყო, როგორც ღმერთი. ჩარჩენილი ვარ ამ ცოდვილ ქვეყანაზე და არ ვიცი, როგორ ამოვიდე **იმ ტალახიდან**, **რომელსაც** ფეოდება მიწა. **არა სიცოცხლე, არა** საკვდილი, **არაფერ** რაღაც **სხვა**“: **არც ერთს მისტიკოსს ამაზე** თამამი სიტყვა **არ უთქვამს**: დაუმატა თავის მხრით **პროფესორმა... რასაკვირველია**, ბატონმა შალვამ გადაჭარბება იცოდა, გადაჭარბებით შეგაქებდათ. ასევე გადაჭარბებით გიმტყებდა და ხელის ერთის მოსმით მოსპობდა მოწინააღმდეგეს. ამ შემთხვევაშიც აჭარბებდა **გრანელის** მამაო და **მაინც ჩვენთვის** სრულიად მოულოდნელი **იყო ეს** შეფასება. მოულოდნელი იმიტომ, **რომ ჩვენ ყველანი**, ვინც **იმ** დღეს ბატონ შალვას ლექციას **გისმენდით**, ვიცნობდით ტერენტი გრანელს, **მაგრამ** ასეთი აზრისა არ ვიყავით მასზე. ბატონ **შალვას** სიტყვებმა საოცარი გაელენა **იქონია ჩვენზე** — და აი, **ამ** დღიდან დაიწყო **ჩვენ კურსელთა** განსაკუთრებული დაინტერესება **ამ პოეტი**ით... მე, **მე კი ტ**ერენტი გრანელს ბავშვობიდან ვიცნობდი...

ჩვენ ერთმანეთი სოფელში **გვიცანით**, უფრო სწორად ჩვენი დაბის **სკოლაში**. **იმ** წელს **ჩვენს** სასწავლებელში **პირველი** მაისის ალსანიშნავი ღილა **გაიმართა. სკოლის** დირექტორმა მოხსენება **წაიკითხა**, **უფროსკლასელებმმა** — რევოლუციური ლექსები. **მერე ტ**ერენტი **გამოვიდა** საკუთარი **ლექსით. ტ**ერენტიმ **რაღაც** სვედიანი ლექსი **წაიკითხა**, **სრულიად** რომ **არ** შეფფერებოდა საპირველმაისო საზეიმო განწყობილებას. ისეთი სვედიანი კილოთი წაიკითხა ლექსი, **რომ** კრებაზე **აკა-იკ** ქვითინიც გაისმა.

**მე**, ცრემლები **და ტ**ერენტი — **იქ** შეეხვედით პირველად ერთმანეთს. სულ **მალე** დაკქმობილდით. **მერე**, ასევე სულ **მალე** ბედისწერამ ერთმანეთს **დაგვშორა**. **ათი** წლის **შემდეგ** თბილისში შეეხვედი, **ტ**ერენტი **უკვე** ცნობილი პოეტი **იყო**, **მეც**, **უნივერსიტეტის** სტუდენტი, ლექსებს **წერდი**, **პროლეტარულ** მწერლებთან ეთანაშრომლობდი; **ტ**ერენტი **გ**რანელთან კი ემეგობრობდი. სტუდენტობა ისე **გავატარე**, **რომ** ტერენტისთან შეხვედრები **არ** შემიწყვეტია, **უ**ნივერსიტეტის **დამთავრების** შემდეგ ასპირანტურაში **დამტოვეს**... **ხელი** აგიღე ლექსების **წერაზე** და ლექციების **კითხვას** შეეუდეგი. სალექციო **მუშაობი**ან ისე **დავიტირე**თ, **რომ** ერთხანს **ტ**ერენტი **გ**რანელს **ჩამოვცილდი**.

**იმ** დღეს **უ**ნივერსიტეტში **დავით** კობიძე **შემხვედ**და **და** მითხრა: **ი**ცი, **ტ**ერენტი **გ**რანელი **წუსელ** ღამეს **უპატრონოდ** **გარდაცვლილ**ა **სა-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავადმყოფობაში. — როგორ? ვინ გითხრა? — შევიცხადე მე.

— დილით სახლში შემატყობინა გენო ქალბატონისა, — მითხრა დიღონებულმა დავით კობიძემ. გენო და დავითი ბოლომდე უცველი მეგობრები იყვნენ ტერენტი გრანელისა. საავადმყოფოს პროზენტტორები გენო, დავითი და მე მთელი ღამე ტერენტის ცხედარს ვიდგეთ თავზე. მეორე დღეს ადრინდ დილით, სოფლიდან ტერენტის დბინა ჩამოვიდნენ და უბედური ძმის ცხედარს ვერაფერით მოვიცილეთ პოეტის საყვარელი ღები. მესამე დღეს დავასაფლავეთ ტერენტი გრანელი.

დილიდანვე ეინნელავდა. დღის ეზრუნათ და მოვდგელი მიეყვანათ. ით





ოდ მეგობარი, ღები და მოვდგელი მივაცილებდით მიცვალებულის ცხედარს. გასაოცარი წინაგრძნობა ჰქონია გრანელს: „სწორედ რომ ყველაფერი ასე იყო, როგორც ეს ალწერილი აქვს პოეტს, ოღონდ ზამთრის ნაცვლად, შემოდგომა იყო და შემოდგომის ეს წვიმანი დღე უფრო გულის დამაღონებელად გვგონებდა გრანელის წინასწარმეტყველურ სიტყვებს. „სიკვდილს შემდეგ“.

უფრო იმან დაგვაღონა, რომ სიცოცხლეში მზრუნველობა ვერ გამოვიჩინეთ და ვერ მოვუარეთ ქართულ პოეზიაში ამ მეტეორივით გაელვებულ ნიჭს.

შინ რომ დავბრუნდი, გადავწყვიტე შემეგროვებინა ყველა მისი ლექსი, მომეშზადებინა ფასიანებულდ, წინასიტყვაობა დამეწერთ და მასში მომეთხრო, რაც კი გამეგონა და ვიცოდი გრანელის შესახებ. შევუდექი ამ საქმეს. ჯერ მასალების შეგროვება დავიწყე. მე თავად რაც ვიცოდი და რაც მომაგონდა, ქაღალდზე გადავიტანე; უცებ დავდგინდი. თურმე, ძალზე ეოტი რამ მეცოდინა ტერენტი გრანელზე. ეულ-ნაკლულმა მისი ახლობლები და მეგობრები მოვიძიე, გამოვიკითხე, შევხვდი თითოეულს, ჩავიწერე, ჩავინიშნე, რაც კი მათი პირიდან მოვისმინე. სწორედ ამ დროს ჯარში გამიწვიეს, დაგროვილი მასალები საგულდაგულოდ შევინახე, მერე ის იყო დიდი სამამული ომი დაიწყო, მერე ომიც დამთავრდა და შინ მშვიდობით დავბრუნდი, დაეცოლშეილდი, ათასი რამ საწვალებელი და ყოველდღიური საფიქრალი ვამიჩნდა სამსახურში თუ შინ, და ტერენტი გრანელის გამოცემის საქმე მიმრჩა. ამასობაში ლმობიერდნენ ჩემზე უფრო გულშემატკივარი ადამიანები და ტერენტი გრანელის რჩეული ამოსაცეს.

ეს წიგნი რომ ენახე, საღლაც ჩემი სინდოისს წინაშე დამნაშავედ ვიგრძენი თავი. წიგნი სულმოუთქმელად გადავიკითხე და ალდგა ჩემს წინაშე დიდებული აჩრდილი ბედდამწყარი პოეტისა. წიგნი დავხურე და რაღაცნაირმა სევდამ შეპიპყრო. მომაგონდა პოეტის დაკრძალვის დღე, შემოდგომის დღე, ნაღვლიანი, წვიმიანი გაძარცული ბუნება და უტაბად გონებამ ბინდი გადაეცალა და გადავწყვიტე, ისევ გამგრძელებია ტერენტი გრანელის დაკრძალვის მეორე დღესვე ჩემს მიერ დაწყებული საქმე. დიდხანს ვფიქრობდი, რა ფორმით შემესრულებინა ეს სამუშაო. გამოვიხრიკე ახალი მასალები და ეს ყველაფერი, ძველი და ახალი, ერთად შეკავონე, მოკონებათა ერთ წიგნად ავკინძე და რომ მასალა მიკრძოებითი არ ყოფილიყო, შიგ მისი მეგობრების, მისი ეპოქის კვლიც ალენუსსტ. ეს გარდასახული წიგნი უფრო შეეფერება მის პოეტურ ბედსაც და მის ეულ სულს, რადგან იგი ავსებს იმას, რაც მის დაწერილი დღიურებისა თუ ბარათების სახით არ დიუტოვებია. ან რასაც იგი შეგნებულად თუ ავადმყოფურად განერიდა. და რამე კიდეკ თუ დაალდა მის სასელს და მის თანამედროვეთა რეულ ეპოქას, ამის შეკვნა მომდევნო თაობებისათვის მომნდეა.

* * *

— ტერენტი რომ დაიბადა, იმის წინა დღეს მზე ჩაქრა თურმე, დიახ, მზის დაბნელება იყო. ჩვენი სოფლის ეკითხავს ესი აუსხსნია ეს მოვლენა: შავი ზღვის ვეშაპი, ზდინარე ხობი ზღვას რომ შეერთვის, იქ გაჩხირული, გაბრაზებულმა დაიფრინალა, ზეაჰტა, ზედ შაე ზღვაზე დაკიდებულ მზეს წვდა და გადაყლაპა თურმე მზე. სიბნელეს მოუცავს ირგვლივ ყოველი, ასე ყოფილა მთელი ორი დღე, მერე დამშვიდებულა ის ქეეყნის ბეტონი ვეშაპი და ისევ გამოუშვია მზე. სწორედ იმ დღეს — მზე რომ ავლილ ვიაჰანაზი და ზეცაზე, სწორედ იმ დღეს დაბადებულა ტერენტი. ხალხნი რწმენია, მზის დაბნელების ეაეს უთათუდ ეინმე ციდი კაცი დაიბადებაო. ჩვენს სოფელში იმ დღეს მხოლოდ ტერენტი დაიბადა. ბავშეს ოქროსფერი, მზისფერი თმა ჰქონია და ზღვისფერი, ცისფერი თვალები. მამამისი ჩვენში ცნობილი ხარაზი, ორმაგად გახარებული, იმავე დღეს მეფდელთან ვიაქეა, დიდი მოზეგერი დაკლა, შინაურები და მეზობლები მიგიპატიჟა, დიდი ნადიმი გადაეხადა ზეიოლსა და მზის სამადლობელი. იმ დღეს ტერენტი და მზე ერთად აღიდგრძანა ჩვენმა სოფელმა. არა, უცნაური იყო სწორედ, მზის მეორედ დაბადების დღეს დაიბადა ის ბავშეი და რაც მახსოვს სულ მოღუშული, პირქუში და სევდამორეული იყო.

მამაჩემს საუკეთო ბიბლიოთეკა ჰქონდა. მუდამ წიგნებს ჩაკირკეტებდა, წიგნებსა და ლექსებს, ერთი დიდი შავყიალინა რეული ჰქონდა და შიგ ნაწერიან ლექსებს ჩვენ გვიმღერავდ. — ეს ამბავი ისე დაჯერებით მოგვითხრო ტერენტის წალეჯინებელმა თანაკოლმა, ამ სოფლის სკოლის დირექტორის შეიოლმ, რომ დაჯერებით

**ბევრი რამე არ დავიჯერე, მაგრამ სიტყვასიტყვით კი ნავიწერე.** — მერე, როგორც მახსოვს, — **ვაგრძელი დირექტორის შვილმა, — სოფლის სკოლა რომ დამთავრა, სწავლა წყეროდა, მაგრამ მამამისმა ხარაზობა დაიწყებინა, ამას ვერ შეეგუა, გაიქცა, თბილისს მოაშურა. მას შემდეგ, მართალი გითხრათ, არ შეეხვედრავარ, ისე მისმა სახელმა ჩვენს სოფლამდე დიდი ხმაურით მოაღწია, ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას, იმასაც ამბობდნენ, რომ ლექსებში ეჯიბრებიო ყველას, მაგრამ რამდენადაც მე ვიცი — ვერც ლექსებში იპოვნა შეება სულისა.**

**აქ კი სიტყვას ჩვენ ჩამოვართმევთ დირექტორის შვილს, რადგან თბილისური ამბების მოწმენი ჩვენ უფრო ვართ, ვიდრე ის წაულნჯიანელი დირექტორის შვილი.**

**თბილისში** იმ დროს ცხარე ბრძოლები იყო. **ახალი** თბილისი, და მოლად ახალი საქართველო, ძველს სასიკვდილოდ შეეხდებოდა. ამ ცხარე ბრძოლის დღეებმა ერთგვარად გაახალისა სოფელი ბიეი და ჩიები კიდევ ტერენტი პოეტების ორომტრიალში. სამხატვრო-სალიტერატურო გაზეთი და ჟურნალიც კი გამოსცა. ეს იყო ოციანი წლები. პოეზიის ცენტრში ვალერიანონი იდგა. იყო გაუთავებელი დავა და ჯამაბათი. აქეთ ყაწწეული, იქით ფუტურისტები, უფრო დიდი პრეტენზიით — რევოლუციის პოეტები — პროლეტარიატის მწერლები, რომელთაც თავი ისე მოაჩენდათ, თითქოს მხოლოდ მათ მოეხდინთ ეს რევოლუცია. და კიდევ იყო ცალკე ტერენტი გრანელი. რევოლუციურ საქართველოს მიერ მის სულში გამოფენილებული ცეცხლის ალი სულ მაღე ჩაქრა და ახლა მისთვის არც ახალი იყო და არც ძველი. გრანელმა ახალს, რევოლუციურ საქართველოს ხმა ვერ აუწყო. წარსულის პოეტურ ისტორიასაც ვერ ეზიარა მისი სული. და ასე, არც აწმყო იყო მისთვის და არც წარსული. მომავალი? მომავალი კი მას მტკიცედ სწამდა. ამ რწმენას კი პოეტობა და პოეზია უმტკიცებდა. დიახ, მან ცალკეა და ახლის კი გადაწყვეტ ბრძოლაში, მესამე გზა აირჩია, მესამე გზა, რომელსაც შემდგ პოეტმა თავისი სახელიც დარქვა — „მესამე გზა, როგორც ოდუმლეა“ — და თავის ოდეალდაც დასახა. არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა. — ეს ლოზუნგი რევოლუციური საქართველოს რომანტიკული წლებისათვის უცნაურიც იყო და მოულოდნელიც. ტერენტის ეს მკვეთრი პოზიცია ვიღაცეებს იტაცებდა კიდეც, მაგრამ პოეტი დიდი ყურადღებით მაინც არ სარგებლობდა.

**ამ** წელს უნივერსიტეტში ანტიკური ფილოლოგიისა და ფილოსოფიის ლექციების კურსს ისმენდა და აქტიურად მონაწილეობდა პროფესორების გრიგორ წერეთლისა და სერგი დანელიას სემინარებში. ტერენტი გრანელს ყველაზე მეტად ბერძნული მითოლოგიის ენციკლოპედია და ანტიკური ფილოლოგიისა და ფილოსოფიის ლექციებს დიდი ყურადღებით ისმენდა. მაგრამ ვერც აქ იპოვნა ის, რასაც ასე თავდადებულებით ეძებდა. დაფიქრებულმა და სვედიანმა ლექციებს თავი მიანება და ისევ თავის საყვარელ ლექსებს, ბოდვებს, სასიფლოებს და ბალებს დაუბრუნდა.

ამავ**ად** მწერალთა სასახლე ქუჩდა და ბორგვედა, დარბაზი ორად იყო გაყოფილი, ერთ მხარეზე იყვნენ რეალოლეციის პოეტები, პროლეტარიელი მწერლები, და ყველა ის მწერალიც, ვინც რეალოლეციას ემხრობოდა და იფიდა, მეორე მხარეს, — ისინი, ვინც იქვის თავლთ ეყუოტებდა მთელს ამ მოძრაობას და დემილს, ზნირად მტრობაში რომ ფიოლონეგ. და ისინიც, ვინც საჯაროდ გამოდიოდნენ რეალოლეციური საქართველოს კრიტიკითა თუ ეპიყოფით. კამათი და დავა იყო არა ჩარტო მწერალთა სასახლეში, არამედ უნივერსიტეტის აუდიტორიებშიც. სტუდენტები იმდენივე ჯგუფად იყო დაყოფილი, რამდენი ჯგუფიც მწერლებში იყო. ხშირად ჩვენი ლექციები სწორედ ამ პოეტებზე კამათად იქცეოდა.

ასე იყო ამ დღესაც. ლექციას ლიტერატურაში კონსტანტინე კაპანელი გვიკითხავდა. ლექტორი რომანტიკოსებზე საუბრობდა, ფეიერბასაკითხს შეეხო და ნოვალისი ახსენა, მერე ანალოგია პართალშეელს — „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“ დაუძახა და უცბად ტერენტი გრანელი ახსენა. ტერენტი გრანელისათვისაც ცისფერი იდეალური სამყაროს სიმბოლო იყო. ნოვალისის მიერ მინიშნებულმა ცისფერმა ყველაზე მრავალი ვარიაცია განიცადა. მეტერლინკის ლურჯი ფრინველი და ბლოკისა და ვალერიანონის ცისფერი მერი ამის ვარიაციებია. ახლა ტერენტის სტრიქონები მოვიგონოთო:

ეს წამება ბაიელის
თუ ალისა ინათა
და ცისფერი ყვავილი
დაიცემა მინასთან.

ან — მოდის ჩუმი და ცისფერი ღამე.
ან — და მოვა მწუხარება — ჩემი
ლურჯი ფრინველი.

ყველა ამ პოეტებთან ცისფერი — დაკავშირებულია ამაღლებულ იდეალთან. ცისფერი — სულის სიმბოლოცაა, ესთეტიკურ სახეებში თუ გადავიტანთ მსჯელობას — ქარიფელი სული ესთეტიკურ სახეებში, — ხაზი გაუსვა კონსტანტინე კაპანელმა ამ სიტყვებს — (ეს ის დრო იყო, როცა დაიბეჭდა კონსტანტინე კაპანელის ამავე სახელწოდების წიგნი) — მაშინ კი სული, იმ ქვეყნიერი ბეჭნიერების სიმბოლოცაა. მეშინია, თქვენ, კომკავშირელებმა, იდეალიზმში ბრალი არ დამდოთ, თუმცა გულ-

ნრფელად გეტყვით, კაპანელი იდეალისტი არაა სოდეს ყოფილა, — ამ სიტყვებსაც ხაში გაუსვა პროფესორმა და თამამად განაგრძო, — ცისფერიცა და მასთან დაკავშირებული საიქიოე ბოეტების გამოგონილია და ამდენად აქ ესთეტიკურ კატეგორიებთან უფრო გვაქვს საქმე, ვიდრე თეოლოგიასთან. თუ ამ განმარტებას მიიღებთ, მაშინ ცისფერი დაკავშირებულია ბედნიერებასთან, მშვენიერებასთან. ეროენია ყველაზე მაღალი სუბსტანციაა, სადაც სულის გამოფენიეეა ხდება. ეროენია სულის ესთეტიკურ სახეებში გამოვლინების ფორმაა. ტერენტი გრანელს ეროტიკ პალატრაში ჭარბობს ცისფერი, ლურჯი ფერი, თუმცა აქ თეთრი ფერიც ირაციონალურის სიმბოლოა. აქაც არ არის ნოვატორი გრანელი, მაგრამ მე მოიცეს მისი მიგნებები და ეროტიკი ხალანი. თეთრი ფერი — ქრისტიანულმა სარწმუნოებამ გამოაცხადა საქეოის სიმბოლოდ, სიწმინდის, უმანკოების, უბიწოების, ხაზვიდის, სიკეთის სიმბოლოდ. მერე ყველა ჯერის მოღერნისტებმა თავისებურად გამოიყენეს თეთრი ფერი.

თეთრი და ლურჯი, თეთრი და ცისფერი გაბღენენ სინონიმები მარადისობისა, იმ ქვეყნიური უკვდავეებისა. — ეს თქვა პროფესორმა და ისევ ტერენტი გრანელის ლექსის სტრიქონები მოიგონა:

ღამეა შავი და ჩნდება დარდი,
გულიდან ისევ ამოდის კვნესა.
ოთახში თეთრი სიჩუმე დადის,
სიჩუმე დადის, როგორც პრინცესა...

ან: ჩემი თეთრი იმედი, დაიკარგა ოდესღაც...

„ცაზე ანთებული ვარსკვლავები — სიმბოლო თეთრი მარადისობის“ არა, მე მეუნია, ტერენტი გრანელთან მაინც ფერის ასოციაცია ჭარბობს, ან უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით — თეთრი და ცისფერი — ტოლფასვანი სიმბოლოებია მისთვის. თეთრი და ცისფერი მედმივი სიცოცხლის სიმბოლოა. ეს სიცოცხლე კი რელიგიური სიცოცხლე არაა, აქ აბსტრაგირებულია თეთრი, ლურჯი და ყვითელი, და ხშირად ყვითელია — როგორც სიკეთის ესთეტიკური ფენომენი, ან უკვდავებაში გადასვლა. ამიტომაც სიკეთიანსაც და სიცოცხლესაც რეალურის სფუძველი გამოელილი აქვს ტერენტი გრანელთან. ცხოვრება, სინამდვილე, სულისა და ფიზიკური სხეულის ერთად არსებობა დროებითი მოვლენაა. ფიზიკური სხეულთან სულის გაკეეება ბედნიერების დაკარგვა სხეულის.

— ეს თეორია, — თქვა პროფესორმა, — ყველაზე ჩინებულად ბოდლერმა იქადგა და მერე ყველა ჯერის დეკადენტებმა გაიზიარეს. ჩვენში ყველაზე ერთგული ამ აზრისა იყო და არის ტერენტი გრანელი. ტერენტი ბოჰემა იყო. ცხოვრებით და ეროეითაც ბოჰემას ქადაგებდა, თუმცა აქაც მოკრძალებული და ჩრდილში დამდგარი იყო. რამდენადაც მე ვიცი, სიკვდილს და სიცოცხლეს შორის გაბარული ბრძოლაში ის აქტიურად არ მონაწილეობდა. მისთვის ბოროტისა და კეთილის დაპირისპირებული ბრძოლა გაუგებარი იყო. ის რადაც მესამე გზას ეძებდა, როგორც თვითონ ამტკიცებდა, „არც სიცოცხლე და არც სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა“. მაგრამ ეს რადაც სხვა, ეს მესამე გზა არავის აღმოუჩენია და რასაკვირველია, ვერც ტერენტი გრანელმა შესძლო ეს, მისი სულერი დეპრესია უფრო დაიჩქარა და გაამწვავა ამ მესამე გზის ძიებამ. ბუნებაში ორი ძალაა, ძალა კეთილისა და ძალა ბოროტისა, გრძნობა სიყვარულისა, გრძნობა სიძულვილისა, მესამე გზა ზღაპარია და ტერენტიც ამ ზღაპრით ცხოვრობდა, ოცნებით შეეშინენი ზღაპრით. ამ ოცნებას შეალია მან ნიჭი და გონება. რას იზამ, ზშირად ეს გამოუცნობი, შორეული და საოცნებო იზიდავს ჩვენს გონებას. შენ დაინახო და ეზიარო იმას, რაც სხვას არ დაუნახავს — პოეტური ეთოუდ, მაგრამ, როცა მოჭარბებულია ოცნებაზე აგებული პოეზია, შეცდომების ბედისწერაც აქ იწყება. და ან, ბოლოს და ბოლოს ისიც არჩევანის წინაშე დადგა — მიწა თუ ზეცა, სიცოცხლე თუ სიკვდილი. თუმც ის სიკვდილამდე ეძღაუებოდა მესამე გზას, მაგრამ სინამდვილემ თავისი გაიტანა და მან ბოლოს და ბოლოს მესამე გზა, სიკვდილის გზა, დეკადენტობის გზა აირჩია. თუმცა ეგეც მისი სიტყვებია: „სიცოცხლე არ ღირს, მაგრამ არც სიკვდილშია შველა“. და ბოლოს პროფესორმა ერთბაშად მოკრა: სიკვდილის მაღმერთებელი პოეზია კი არა, სიცოცხლის დამამკვიდრებელი ჰიმნი ჯერდება კაკაშრიობას. სიკვდილის ღმერთ[illegible] რომ გაიმაჯვეოს, მაშინ ზომ სიცოცხლეც შეწყდებოდა და პოეზიაც სადღა იქნებოდა. მაშ ვისდა ეთქვა იმავე ტერენტი გრანელს ქება, თუ კაცის სიცოცხლე დარაჯად არ დაუდგებოდა ნამდვილ პოეზიას. არა, სიცოცხლე და მხოლოდ სიცოცხლე — აი, რა არის ამბი ანსაბობისა, აი რა არის დამთრგუნველი სიკვდილისა. რა ვუყოთ, რომ ადამიანნი კვდება, სიცოცხლის ამბრ ზომ ამ სიკვდილთან ბრძოლაა. თვით პოეზია, ეკუმპარიტი პოეზია, ის რაც თვით ტერენტი გრანელმა შექმნა, არის თვით სიკვდილის პოეზიაზე გამარჯვება. მისი ლექსები სიკვდილის დამარცხებაა, ეს სურდა თუ არ სურდა პოეტს, ასეთი სუბიექტური კანონი ცხოვრებისა და მაშასადამე, თვით პოეზიისა.

— რიხიანად დასრულა ლექციი პროფესორმა. მაგრამ რამდენადაც იგი აღტაცებით ლაპა-

---

ალრეზი ჭილაია
ნე და ჩემი პროფესორი

რაკობდა სიცოცხლეზე და ეკამათებოდა ტერენტი გრანელს, იმდენად უფრო გეღიზიანებდა ჩვენ სტუდენტებს და აღგვიძრავდა გრანელის პოეზიისადმი ინტერესს. უფრო და უფრო გაფფიცებით ვეძებდით ტერენტის ლექსებს, წიგნებს, ვეძიებდით მის ნაკვალევს...

* * *

ჩემი კურსელი სტუდენტები ყველა კომკავშირელი იყო. ჯაუფში სოფლელები ვეპაობდით თბილისელებს და არა მარტო ვეპაობდით, არამედ ვკონნიდით კიდეც ქალაქელებს სწავლაში და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. რეგოლუციისაგან გათამამებულ სოფლელებს უფრო ეტყობოდათ თავის გამოჩენის მიზანსწრაფვა. ორ რამეში მედავენდებოდა ეს მიდრეკილება: თანამდებობების დაკავებაში და სამეცნიერო კარიერაში. უნივერსიტეტში ყველა საზოგადოებრივი, პარტიული, კომკავშირული თუ პროფკავშირული თანამდებობა სოფელელ სტუდენტებს ეკავთ, ასპირანტურაში დატოვებულთ შემადგენლობაშიც სოფელელები ჭარბობდნენ. ასე იყო ეს ოციან წლებში, ასე გგრძელდება ეს მდგომარეობა უნივერსიტეტში ოცდაათიან წლებშიც. ამათში ყველაზე მებრძოლი კარიერისტი ტერენტი გრანელის თანასოფელი გვანჯი აღმოჩნდა. იგი II კურსის სტუდენტი იყო, როცა უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს. კუსნი დამმთავრა თუ არა, ფიზიკის კათედრის ასპირანტად დატოვეს, ხოლო იმ დღეს, როცა ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან დაითხოვეს, იგი პირველი გამოვიდა ბატონი ივანეს წინააღმდეგ. მან ივანე ჯავახიშვილი ქართველი ნაციონალისტების მედროშედ გაზოგადა უნივერსიტეტის კომკავშირის კონფერენციაზე. იმათ, ვინც მაშინ ივანე ჯავახიშვილს ებრძოლნენ, ეს დიდ დამსახურებად ჩაუთვალეს და იმავე თვეს მეორე კურსის ასპირანტი გვანჯი ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ დანიშნეს... ხოლო აქვე ეთქვათ, რომ ჩვენს რთულ საზოგადოებრივ ვითარებაში, ახალი ცხოვრების დამკვიდრების ბრძოლის ისტორიაში რევოლუციისთვის ფანატიკურად თავდადებული გმირების ვვერდით მკეთრად გამოისახა ორი ტიპი. ერთი რევოლუციის რიტმს ჩამორჩენილი, რევოლუციის მიმართ შინაგანად პატიოსანი, მაგრამ ახალ ცხოვრებაზე ხელჩაქნეული, რევოლუციი მისთვის გუდგებარი იყო, რევოლუციისაც ადარ ეპრდება იგი, ხოლო მეორე — რევოლუციის მიტმასნებული, რევოლუციის სახელით პირადი გაწდიდების მძიდეთი და გამორჩენისათვის ცხოვრების უზომოდ დახარბებული. ორივე მოდელს თავისი წარმომადგენელები ჰყავდა — თითქმის ყოველ დარგსა და სფეროში ჩვენი ცხოვრებისა. პირველი მოდელის წარმომადგენელი ტრიბუნაზე გამოსვლის იშვიათად თუ გაბედავდა, ოღონდ [illegible] გაბედავდა ენაკვიმატყნით და გაუგებარი. სტუდენტებიც აიკლებდა იქაურობას. თვითონაც არ ჰქონდა კარგად თავისთვის გამოძიებული და გამორკვეული, თუ რას მოითხოვდა იგი. ახალი დროსაგან, რევოლუციისაგან... მეორეს კი, ტრიბუნაზე ეერავინ დაასწრებდა, რევოლუციის სახელით ქვას ქვაზე აღარ ტოვებდა, მაგრამ პირადი კარიერისა და კეთილდღეობის ამ მაძიებელს რევოლუციი ნიღბად ჰქონდა ადარებული, თორემ რევოლუციის მით სულში ერთი ღაპეც არ გაუთენებია.

ჩვენს დროში გამოსახული ამ ორი მოდელის განსახიერებას წარმოადგენდნენ წალენჯიხელი ორი ბიჭი, რომელთაგან შემდეგ მწერლობის ისტორიაში ერთი ტერენტი გრანელის სახელით შევა, ხოლო მეორე გვანჯი კვარჩხიას სახელით, მომხვეელობის, ვამოძალვის, საქმოსნის კლასიკური ტიპი გახდება.

ჯერ ტერენტი გრანელის შესახებ მოვითხოვოთ თხრობა და შემდეგ გვანჯის საქმოსნობის ისტორიას უფრო დაწვრილებით გავეცნოთ.

* * *

1918 წელს, ტერენტი გრანელი თბილისში რომ პირველად ჩამოვიდა, ქალაქში ახლიბელი და ნათესავი არავინ ეგულებოდა. იდგა დილით სადგურის წინ და დიდხანს ფიქრობდა, საით წასულიყო, ვის მისდგომოდა. ბოლოს შის ცხვირწინ გაჩერებულ № 2 ტრამვაიში ჩაჯდა, ფანჯარაში თავი გამოჰყო და ქალაქის ქუჩებს დააკვირდა, ტრამვაიმ ერთხანს ვაკეკ-ვაკე იარა, მერე აღმართს მიაგდო და ზარები დაჰკარუნა. აღმართი მოთავდა და ტრამვაიმ რომ გაიეაკა— დიდი და ფართო ქუჩა გამოჩნდა. მოეწონა ეს ქუჩა ტერენტის და ტრამვაი ერთი ღიდი შენობის წინ გაჩერდა თუ არა, ძირს ჩამოვიდა. ახლა ფეხით მიჰყვა ამ ქუჩას, დიდი შენობები დამთავრდა თუ არა, პაღი შენიშნა. ამ ბაღში შეეიდა, იქვე გრძელ სკამზე ჩამოჯდა და ცოტახანით შეისვენა, მერე ადგა, ბაღის რკინებიან რაკეტიის წინ მდებარე პატარა წიგნის მაღაზიას კარიდან თვალერება დაეწყო, შიგ შესცვი ეკარ გაბედა. ამ დროს ტანმორჩილი, შავგვრემანი მოხეული კაცი, რომელსაც ხელში წიგნი ეკავა, გარეთ გამოვიდა და ეს ბლუზაშარვალში გამოწყობილი ზღვისფერთვალება, გრძელ ოქროსფერმოინი უწვერულვაში ყმაწვილი შიგ შეიპატიჟა: გამოემცნაურა: მე ზაკარია ჭიჭინაძე ვარო, უთხრა. უცაბედ გონება გაუნათდა ტერენტის, ეს სახელი გაგონილი ჰქონდა, ვიცოდ, მისდაუნებურად წამოსცდა, მერე უხერხულობა რომ გამოესწორებინა, უცაბედ დაუმატა: „მე ერთი წიგნი მაქვს, იმას ეწერია „ზაკარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემული"... მე ტერენტი ვარ, ეკერაკველი, სოფლიდან ჩამოვედი და ბინა არსად მაქვს, — ოლსარბასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით წარმოთქვა ეს სიტყვები. ზაქარია ჭიჭინაძეს მოეწონა ეს ფიქრიანობა და ანუგეშა. თბილისში უბინაობა ძნელია, მაგრამ არა უშავს, ისევ ბედს გავაბრძოლებთო. — ეს ისე უთხრა ამ მოხუცებულმა კაცმა, თითქოს ძველის ძველ ნაცნობს თუ ნათესავს მიმართავსო. — ჰო, მაინც რას ფიქრობთ, რა უნდა გააკეთოთ თბილისში? — ჰკითხა მოხუცმა. — მე, მე... — დაიბნა ტერენტი, მაგრამ ბოლოს სიტყვას სიტყვა წაადა, — მე ლექსებს ვწერ; — ჰო, ეს კარგია, მაინც სად გაქვს ეს ლექსები, ან თუ დაგიბეჭდავს რამე? — ისევ შინაურულად მიმართა ზაქარიამ ყმაწვილ კაცს. — კი, დაბეჭდე, — და ტერენტიმ ქუთაისის გაზეთში დაბეჭდილი ლექსი გადაშალა და მიაწოდა ზაქარიას, ზაქარიამ დახედა, ლექსი გადაიკითხა, ბოლოს ავტორის ვინობაც ხმამაღლა წარმოთქვა, — ტერენტი წაეკითხებელი, ეს სახელი და გვარი ისეთი ტონით წარმოთქვა ზაქარიამ, რომ თითქოს გაეგონოს კიდეც ეს გვარი და სახელი.

იმ დღიდან ტერენტი გრანელი ამ ბაღს, ამ წიგნის მაღაზიას და ზაქარია ჭიჭინაძის ბინას კუკიაზე არ მოსცილდებია, ვიდრე ჭიჭინაძე არ გარდაიცვალა. 1922 წელს ზაქარია ჭიჭინაძის დაზმარებით ტერენტი გრანელმა გამოსცა ლექსების კრებული „სული და საფლავები". ლექსების პირველ გვერდზე სამგლოვიარო ჩუქურთმაში იყო ჩასმული შემდეგი სტრიქონები:

ტერენტი გრანელი მოდის
სისხლიანი სამარიდან
იქნებ ის იყოს ქრისტე
მეორედ მოსული.

ამ წიგნის პირველი გამოეხმაურა ჟურნალი „ულიმერიონი" (№ 1). რეცენზიაში ეკითხულობთ: „თანამედროვე პოეზია იხრჩობა ლირიზმის ქვაბში და ეს ლირიზმი შეიქმნა უკიდურესი ინდივიდუალიზმის საქანელა, რომელზედაც ყველა ქანაობს, თვისი პიროვნების ცრუ ნირვანისთვის თანამედროვე პოეზია უექველად უნდა გადაიხარშოს განცდათა ვულკანში და პოეტი შემოქმედი უნდა გასცდეს ჩვეულებრივ სუზღერებს, მაგრამ მან ამისთვის უნდა მხრებზე გაიღოს ნეერსატენი», სიგიჟე, ტუბერკულოზი, ღვინო და ბოპემის ყველა სამკაული... და ეს მოხდება... მაგრამ ყველა ახალგაზრდას, რომელსაც ეი ითიოდ ლექსი დაუწერია, თუ გინდ ნაბეჭერი, არ შეეფრის დიალექტიკის საუკუნეთა ტრირეთი, კენესით, თავი ქრისტედ გამოიცხადოს, ხელები დაილურსმოს და სთქვას:

იქნებ მე ვიყო ქრისტე მეორეთ
მოსული-ო!

ჩვენ ვიცით, რომ ტერენტი გრანელი არ არის არც ქრისტე მეორეთ მოსული და არც პეტრე მოციქულული...

მისი წიგნი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამაზე ფიქრის ნებასაც არ გვაძლევს.

— მე ხშირად მადარებენ გალაკტიონს და მის ეპიგონად მაცხადებენ, — დიდი შეცდომა ეს. გალაკტიონი დიდი პოეტია, მაგრამ საკუთარი განსხვავებულია ჩვენი გზები. გალაკტიონი მრავალწახნაგიანი პოეტია, მე ერთი ხაზი მაქვს, ერთი გზა, გალაკტიონი მოდამ იბრძვის, მუდამ ბოპობრძის, სევდაშიაც ბობოქრობს, მე უფრო შერიგებული ვარ ჩემს ბედს, ჩემს ხვედრს.

შენ დედამიწავ უფრო მაშინებ,
როცა ოცნებით ზეცას მოვიარ
წმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე.
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია.

მე ეს ვთქვი და ჩემი პოეზიის დევიზად გამოვაცხადე „შესამე გზა". ასე, რომ ჩვენ სხვადასხვა ვართ. სულ სხვადასხვა.

— გალაკტიონში არის დემონი
და ჩემში უფრო ანგელოზია.

ამას ისე დაჯერებით ამტკიცებდა ტერენტი, რომ ძნელი იყო ეინმეს გადაერწმუნებინა ამ აზრისაგან, ის დიდი თაყვანისმცემელი და თავდადებული ქომაგი იყო გალაკტიონისა.

— დღეს დილა ადრიან ტერენტი გრანელს ვესტუმრე. სად? აბა სად, საკუთარი ბინა მას არა აქვს და ადგილი, ისევ ზაქარიასთანაა შეკედლებული: იქ მისვლისა მომერიდა და ისევ, იქ ალეკსანდროვის ბაღში ვნახე. შიგ ბაღის მყუდრო კუთხეში, კი არ იჯდა, ვეფხზე იდგა, გრძელ მერხზე კი ქალალდები ელვა, ხან ერთს აიღებდა ხელთ, ხან მეორეს, რადაკას ბუტბუტებდა თავისთვის და გარშემო არაფერს ამჩნევდა. მივუახლოვდი, მივესალმე, თითქოს შემომხედა, მაგრამ სალამზე სალმით არ გამომეხმაურა, მე დავიბენი და ასე ვიდექი შორიახლო ღიდხანს.

რას წარმოადგენს მისი წიგნი „სული და საფლავები"? მისი მოტივები ახალი არ არის ახალ ქართულ პოეზიაში, იგი ტ. ტაბიძის მოწაფეა, მაგრამ უნდა ითქვას, ნიჭიერი...

იქ, სადაც გრანელი ძალდატანებელი, სადაც ეს უბრალოა, იგი გამარჯვებულია და მისი ლექსიც თავისუფლად მღერის, გრძნობას ატკბობს:

მწუხარება ნაკეცი გაზაფხულზე დაგვიძებს,
შენს უმანკო ბაგეზე დაბინავდნენ ლოცვები.

ხარგი ჭილაია
მე და ჩემი პროფესორი

**ნოოკრების ლანდები შენ წინ გლოვას**

ანთებენ,

**როგორც ბრილიანტები საიდუმლო ოინებით.**

(ტირილი სინანულის ხაზებთან“, გვ. 2).

**გრანელის** ლექსი იქ, სადაც ძალდატანებულად სჭიდს, ნაზია და მგლოვიარე, როდესაც მისი სული საფლავებია სევდის... პოეტი ამ კრებულში არ არის სრული გამოჩენებული, ბევრი **სუსტი ლექსია** ნაგზავნილი... **პოეტი მხოლოდ რამდენიმე** ლექსშია ფრთებგაშლილი **და** ამღერებული („ტირილი სინანულის ხაზებთან“, „ცისფერი სიშორე“, „მოროლოგი უდაბნოს ყვავლებზუ“, „სოფლის სიჩუმე“, „მისალმება ზამთრისადმი“, „სიშორე“ და სხვ.). **მისი თავისუფალი** ლექსი სუსტია და მკლე...

უნდა **ითქვას**, რომ ტ. გრანელი **შემდეგში** ვასაღლდება გ. ტაბიძის გავლენას, დიაწმინდეგა, **თავს დაანებებს** ქრისტეზე ოცნებობას და საკუთარი გზით ერთის საუკეთესო ადგილს დაიკრის **ჩვენს უახლეს** პოეზიაში. (ურნალი **„უქმერითონი“, 1922 წ. № 1, ქუთაისი, ზმატ-ერული** მწერლობის **კაფშინი, გვ. 38).**

**ტერენტი გრანელის** წიგნს — **„სულიდან** საფლავები“ — მიეხალა და „ყანწულების“ **კორპორაციის წევრების** გვერდით დიდის ქებით **მოიხსენია** ტიციან ტაბიძემ: **„ტერენტი** გრანელის **წიგნი** „სულიდან საფლავები“ დაწერილია **ცრემლებით** და ნერვებით. არის ადგილები, **რომლებიც** სამუდამოდ დაგამახსოვრებენთ **ოქროსი** ოქროსი და **გულწრფელობით.** ტერენტი **გრანელი** სანთლივით იწვის პოეზიისათვის, **არ** შეიძლება ამ ალმა ცეცხლი არ გაიჩინოს. **მალე** ის გიიმაგრებს ხმას, ასცალდება **გავლენას,** რომელიც მას მხოლოდ აფერხებს და **მონახავს** თავის თავს. **ამ** წიგნზეც შეიძლებოდა მეტის თქმა, რომ შეიძლებოდეს ამ წერილში“ (ტ. ტაბიძე, „პოეზიის დღე“, 1922 წ., 6 მაისი).

ივანე **წიგნი ასეთი** ეპითეტებით **შეაბკო** კონსტანტინე ვიმსაზურდან: „ტერენტი გრანელის „სულიდან საფლავები“, ჩვენი თანამეგზაურეობა **მისტიკის** სანიშნოს **უყურებს.** ჩემზე კარგი **შთაბეჭდილება მოახდინა** ახლგაზრდა პოეტის **ხოიკინი** გამბეგდაობით გამოცემულმა წიგნმა, რომელიც უფრო საოცარ წარწერას ატარებს: **„ტ.** გრანელი მოდის სისხლიანი **საფლავიდან“.** ჩვენ დროს ესაპირიოვნი **ქრისტეს** სისხლიანი სახის დემონური შემოხედვა. ევროპულის მასშტაბით მოხდა დიდი გარდატეხა, რადიკალიზმიდან მარჯვნივ. ფილოსოფიაში მიტტეკა **ამარჯვეს.** პოეზიისაც მისტიკური ქროლეა **ეუფლება.** ახლგაზრდა ტ. გრანელი სიმპატიურია ამ მხრივ. წიგნში მრავალი **გულწრფელი** ცრემლია, დიდი მშვენვარება, დიდი სევდა, გიუხარებელ ნაღველში გამოზრდილ თაობისა... ეს წიგნი **უახლეს** პოეზიაში ძლიერ **თამამი სიტყვაა.** (ვ. „ილიონი“, 1922 წ.)

ტიციაზმით ყელამდე სავსე პოეტს, **მისტიკურ**ობის ბანაკიდან ასე აქებდნენ. მეორე მხრივ, რაპელები და ფუტურისტები ტერენტი გრანელეს ჯოხით ეროვანდნენ პოეზიის სალოცავ ტაძრიდან. ასეთ დიდ წინააღმდეგობრივ ეპიკაში მოხვდა, ისედაც ავადმყოფი პოეტის სული. ამ გარემოებამ ერთგვარად განსაზღვრა ტერენტი გრანელის გზა და ბედი...

აქ ისიც სათქმელია, რომ, თვითონ ტერენტი გრანელი თავალობდა გალაკტიონის გავლენას:

არა, ტერენტი საოცარი კაცია, **ბულს** არაოსოდეს გაგიხსნის, შიგ სულში არასოდეს **ჩაგიხედებს,** ახლოს არ გაგიკარებს, მიხვალ, წამიხვალ და ვერ გიგიგებ გაუხარდა, თუ ეწყინა შენი ნახვა. ის თავისთვის არის მუდამ, თავის ფიქრებში ჩაძირული, არც არავის აშინებს გარშემო, არც არავის ხედავს. მართალია, ცხოვრება აიძულებს ზჩირად ფიქრთა ბურუსიდან გამოვიდეს და იფიქროს საკმლისათვის, ჩაცმისათვის, იფიქროს, **როგორ ი შოოვოს** სასმელი **თუ** ბინა, **მაგრამ ეს ერთი წამით ხდება,** ეშო�s და შეჭამს, ეიღიეესთან **ლაქეს** გადაათვლს, მაგრამ მაშინაც ფიქროთ საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს. ზიხარ თუ სიარბრობ **მასთან** ის ნახევარჯერ ყურს არ გიგდებს, **სულ სხვა** ფიქრითა და საზრუნვით ცხოვრობს, **მეტწილად** დუმს და ეს დუმილი და სიჩუმე გადამდები ხდება და შენც ჩუმდები. ის გიმორჩილებს უცნაური ვამოხედვით და სიჩუმით.

ასე იყო იმ წუთსაც, როცა მე მან **ალექსანდროვიერ** ბაღში მიეგესალმე და პასუხი არ გამეცა. მე კი ვიდექი და ვუცადიდი **რაღაც** ხასწაულს. ერთი მოიხედა, მერე **უცბად** დაჯდა მერხზე და ქაღალდები ალაგა, ერთი ფურცელი ძირს დაუვარდა, მე ერთბაშად დავიხარე და ავიღე ეს ფურცელი, ხმის გაუცემლად ხელიდან გამომვლიეგ, **თითქოს** შეეშინდა, არ წამართვასო, ამასობაში გონს მოეგო, **უცნაურად** გამიღიმა, თავი დამიქნია, გამარჯობაო მითხრა. მერხზე ჩამოვდეკი, დიდხანს ვისხედით ჩუმად. მერე ვერ მოითმინა და მითხრა, იცი, მე ახალი ლექსი დავწერე, ჯერ არავისთან **ზამაკითხავს,** ჭაშნიკად მინდა გიგასინჯო, ის **კი** არ სჩანს, ესა თქვა და ისევ **უცნაურად.** შემომაჩერდა. ვინა-მეთქი — მოუთმენლად ეკითხე. **პასუხი** არ **გამეცა,** ეატყობ. რომ ღელავს, ამ დროს ბაღში გალაკტიონი გამოჩნდა. ტერენტი ერთბაშად გამოიცოცხლა. ადგა, მერე ისევ დაჯდა, რაღაცნაირი სიამაყე შეენიშნე მის სახეზე. გალაკტიონი მოვიდა: სალამი თქვენნაირ თქვა და ხელი ისე აწია, თითქოს ჯვარი გადაგვსახა, ირონიულად ჩაიქირქილა და ჩვენს გვერდით დაჯდა. ტერენტი ადგა და ხელთ აიღო ქაღალდების მთელი ბოღჩა. გალაკტიონმა მისდაუნებერად ჰკითხა: რა არის ეს, ძაძი-

კო? ისე გაკვირვებით შეხედა ტერენტიმ გალაკტიონს, თითქოს არ სურს გაუმხილოს ამ ერთ მუჭაში ჩაბღუჯული ქაღალდების საიდუმლო. ეს? თითქოს გაკვირვებით იკითხა ტერენტიმ და მერე თავად გამეორია სიტყვა — ეს? სულმოუთქმელად თავადვე უპასუხა: ახალი ლექსები დავწერე. ლექსი? — უცნაურად გაიღიმა გალაკტიონმა და ისეთნაირად დაიგრიხა მერეზე დამჯდარი, რომ მე დღესაც არ ვიცი დაცინვა იყო თუ თუ გაკვირვება. — დიახ, ლექსი, რადაცნაირი სიამაყის თუ გბრაზების ინტონაციით კვლავ გაიმეორა გრანელმა: დიახ, ახალი ლექსი დავწერე. სიჩუმე ჩამოვარდა. ახლა სამივენი ვდუმდით. დუმილი ისევ გალაკტიონმა დაარღვია, აბა ერთი წაგვიკითხე, ძამიკო, ის შენი ლექსი. ტერენტი ადგა და ხმამაღალი წაიკითხა:

წუხს როიალი ბაღის მაზლობლად
და მოდის მზიდან სხივთა კრებული
ალბათ, სადღაც შორს ვიღაც ნაღვლობდა
ამქიე დარდია გამეფებული.
სწუხს როიალი, მე რალაც ტკივა
დავტოვებ თბილისს და წავალ დასთან
ენანხარ ეს ფიქრი სანმდის მიგა
ენანხარ ეს ტანჯვა სანამდის გასტანს.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ისევ გალაკტიონმა თქვა: ბა ერთხელ კიდევ წაგვიკითხე, ძამიკო, ეს შენი ლექსი? ტერენტი გაბარაზდა, ადგა და გაგვეცალა. გალაკტიონმა გაოცებით მკითხა — უყურე ახლა შენ ამასს? — ეს თქვა, რადაცნაირად ჩაიღიმალა, თვითონაც ადგა და ბაღიდან გავიდა. მარტო რომ დავრჩი ვცადე ამეხსნა, გვრკვეულიყავ, რაც მოხდა ახლა, ამ წუთის წინ, მაგრამ ვერაკითარი ახსნა ვერ მოვუძებნე მომხდარ ინციდენტს. ორი პოეტისაგან მატოვებული ეზიარ ამ ცისმარე დილას ალუმსანდროვის ბაღის კუთხეში სულ მარტო, ორგვლივ კაცის შვილი არა ჩანს, ეზიარ და ვფიქრობ — რატომ მოქცა გალაკტიონი ასე სასტიკად თავის ძველ მეგობარს?

ტერენტის ჩვეულებად ჰქონდა, თბილისში თუ ვინმე აწყენინებდა, გაებუტებოდა თბილისს და სოფელს მიაშურებდა, თავის დებს მოიკითხავდა, მერე იქაც ვერ ძღებდა დიდხანს და ისევ თბილისში გამოიქცეოდა. მისი ნამდვილი ტრფიალი თბილისი იყო, ჩმაურიანი თბილისი კი არა, ბაღები, სასაფლაოები, მყუდრო სავანე ეტაცებდა მის სულს. თბილისში პოულობდა იგი მაინც ოდნავ შვებას. აქ ჭურნალ-გაზეთებს და მეგობრებს უზიარებდა თავისი ლექსების დარდს.

გალაკტიონთან ინციდენტის შემდეგ მთელი ათი დღე ვიარე იმ ბაღში, მაგრამ ვერსად დავლანდე მისი კვალი: ტერენტი იმავე დღეს წასულიყო სოფელში. ათი დღის შემდეგ კვლავ იმ ბაღში შეეხვედინ მე და ტერენტი. ახლა უფრო ნაღვლიანი და სევდიანი მეჩვენა. მაგრამ სათი ისე ვიჯექით, ხმა არ გაუღია. მერე ისევ მე ვკითხე მორიდებით, გალაკტიონი თუ ნახე-მეთქი, როგორ არაო, ისეთი გაღიმებული სახით მიპასუხა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს მათ შორის იმ დღეს ამ ბაღში, როგორ არაო გაიმეორა და რაღაცნაირად გახალისება ტერენტი: გუშინ აქ შენც ვეძიეთ, მაგრამ არსად ჩანდი. მე სოფლიდან პერმარილი ჩამოვიტანე, აქ გალაკტიონი და ვენო შემხვდნენ და ისა იყო შინ წავედით. სად შინ-მეთქი გაკვირვებით ვკითხე, ჰოდ შენ მართალი არ იცი, მე ეს ორი დღე ზაქარიას გამოვეძეკი და მთაწმინდის ქუჩაზე ერთი პატარა ოთახი ეიშიეგ, ახლა იქა ვარ, ჰო, მართალ, ცოტა ღვინო შემრჩა, მოდი, წავიდეთ, დავლიოთ ბარემ, სანამ დამშარდებოდეს.

ჰარველად მესმოდა მისგან ასეთი მეგობრული მიპატიჟება და ფარს აბა როგორ ვეტყოდი, ფსიტყვად გავყევი, ბაღს გავედით, რუსთაველის პროსპექტი გადავკვეთეთ და ბესიკის ალმასის ავყევით, მერე იქ, სადღაც შესახვევში, პატარა ეზოში შეეედინ. ეზოში ორსართულიანი პატარა, აივნიანი სახლი იდგა, აივნის ქვეშ საქართველოსელი ფიცარული ოთახი იყო და იქ შეეედინ. ამ ფიცრულში ერთი ხის ტახტი იდგა და ერთი სკამი. ტერენტი ლოგინზე ჩამოჯდა, მე სკამზე დამსვა, ტახტიდან პატარა ტიკარორა გამოაძვრინა, თითქოს ცარიელი იყო, სიიდანღაც ჭიქა და თეფში გამოიტანა და ლოგინზე ზედ გაზეთი გაშალა, თეფშიც, ჭიქაც და ხელი ხაჭაპურის ნატეხებიც ზედ დადო. ტიკარორას თავი ჭიქაში ჩააყოფინა, ვაივაო და მოამწოდა, ესიტყვად გამოვიღე, თეფთონაც ასევე ესიტყვად დალია და ხაჭაპურის ნატეხი გამომიწოდა: ქვესაეთი მაგარი ნატეხი ძლივს დავდეტე. კვლავ გამივსო ჭიქა. ცარიელი რომ მეგონა ის ტიკარორიდან ათიოდე ჩაის ჭიქა ღვინო გამოიედა. ვეარიანად შეეზარხოშდით, ტერენტის სახეზე ღიმილი შეეენშნე, ღვინო მასთან წინათაც დამიღვეთ, მაგრამ ეს ღიმილი კი არასოდეს შემინიშნავს. გამიკვირდა, უცაბად ადგა და საზეიმოდ გამომცხადა: იცი რა, ჩემი ლექსების წიგნი გამოვიდა. ჯიბიდან ნაცარისფერადიანი წიგნი ამოიღო და გამომიწოდა. სანამ წიგნს გადავშლიდი, უკანვე გამომართვა და პირველივე ლექსი თავად წაიკითხა:

ახლა უფრო ხშირია შეცდომების დაშვება,
ახლა მოდის ივნისი, ორგვლივ მწვანე მოდია.
ჩემი ფშანდა სახელი პოეზიის დარჩება,
ჩემი გული და სისხლი ეს „Memento mori"-ა
დღეს სამია ივნისის, მინდა იყოს ცამეტი,

ჩემს გარშემო ციხეა, მწუხარების სავანე.
რომ მდომოდა სიცოცხლე, სიკვდილს
არ ვიწამებდი,
მიწა არ იქნებოდა ჩემთვის შავი სამარე.
სადღაც მთისთან იწვიმა, სადღაც მთაზე
ბერია,
ამნაირი ღიმილი უწინ მე არ ვიცოდი.
ახლა მე ცას ვეუბნები, ცაზე ანთებულია
ვარსკვლავები, სიმბოლო თეთრი
მარადისობის.
ეხლა რა ვქნა, არ ვიცი, მე როდესაც ასე ვარ,
როცა სულ ეპარება აჩრდილები სიბერის.
მე ძლიერი ტალანტი, ზეციერი არსება,
ჩემი ნაზი სამშობლო ლაკვარდები ცისფერი.
რა ვქნა, შავი ღამეა, მძიმე და უსაშველო,
მახსოვს ჩემი სოფელი, მისი ყრუ ადგილები.
ახლა რაღაც სხვა მინდა, რაღაც სხვა
უსახელო,
რომ დალუპვა მომელის, ვიცი
დანამდვილებით
ნელ-ნელა გადის დღეები და ძნელია გარჩევა,
მე, ძვირფასო, ვერ მოვალ, გზა შენამდე
შორია.
ჩემი გვარი — გრანელი პოეზიას დარჩება,
ჩემი გული და სახელი ეს „Memento mori“-ა

აწეული ხმით, მღელვარებით კოხტალობდა, ხელები უკანკალებდა და წიგნი, ცაცხვის ფოთოლივით ცახცახებდა მის ხელში. კითხვა დამთავრა თუ არა, მე უსიტყვოდ გადავეხეთე, თვალებზე ცრემლები შევნიშნე, თვითონაც ჩამეხვია და როცა ფალო იყურა ალერსით, მის თვალებში ცრემლში ნარეკი სინათლე კიაფობდა. — იცი, გუშინ გალაკტიონმა თავიდან ბოლომდე წაიკითხა ეს წიგნი, მერე, როცა დაელიეთ, კიდევ გადაშალა წიგნი და ეს ლექსი ხმამაღლა წაიკითხა, წაიკითხა, ადგა და წავიდა, ისე წავიდა, რომ არაფერი მითხრა, დავიბენი, ვერაფერი გავიგე, მოეწონა, თუ არა ვერ გავიგე, გავჯავრდი, კინაღამ ვიტირე, ღიღეს შემბეგდა და სწორედ ეს ლექსი, გუშინ რომ მეორედ წაიკითხა, ზეპირად მითხრა. ზეპირად კი მითხრა, მაგრამ მოწონების სიტყვები ვერა და ვერ დავიცდინე, მე კი მეგონა, რომ ეს ლექსი გალაკტიონის ლექსებს არაფრით ჩამორჩება, ეს ისე დაჯერებით თქვა, რომ ასი კრიტიკოსი რომ მოსულიყო და საწინააღმდეგო ემტკიცებია, ვერაფრით ვერ დაგარწმუნებდით.

მე ძლიერ მიყვარდა ტერენტი და მისი ლექსები და საწინააღმდეგო ვერა ვუთხარი რა. მთელი სთქმელი ლექსში სეფდინ ჰანგზე იყო გაწყობილი და ამიტომ ძლიერ ხედებოდა ჩვენს სულს. მაგრამ მეტის მეტია ეს სედა, ძმიმე და გულის დამაღონებელი.

სეფდისაგან გამოკუმული და გამოხრული გული კიცისა არაფის მაქნისია. გული უნდა ანებივრო, რომ კარგად იმუშაოს, რომ ქვეყანა მეტი გაუკეთოს, მეტი ააშენოს, მეტი მოიხმაროს, მეტი დათესოს, მეტი დაწეროს, მეტი დახატოს... კარგმოსაგან მოწყვეტილი და საკუთარ თავში ჩაკეტილი კაცი ყოველთვის სევდიანია და შენც სევდიან გუნებაზე გაიყენებს. არა, არ მინდა მე შენი სევდის მონა ვიყო. ყოველ ადამიანს თავისი საკუთარი სევდა აქვს და ის ეყოფა მას და შენ შენი სევდიანი ლექსებით უფრო ნუ გაუღრმავებ ამ სევდასა და ვარამს. ნუ ჩასჩიჩინებ, ფარა-მარა — რომ ყველაფერი წარმავალია ამ ქვეყნად. არა, ასეთი ლექსები ცხოვრებაში ადამიანს არ ეხმარება, თუმცა მის სულს კი ეხმაურება. ჩვენ ისედაც მარტო ვართ ამ ქვეყანაზე და მარტოობაზე ჩიჩინი კი არა, გამახნევები და გახალისება გვინდა, იმედი და რწმენა, დიახ, იმედი და რწმენა გვინდა, რომ გული, გული გვქონდეს მხნე და მედგარი, და მორწმენენ, მორწმენენ იმისა, რომ შენ საზოგადოების წევრი ხარ და ვალდებული ხარ მისი კეთილდღეობისათვის იღვწოდე, იბრძოდე ხვალისათვის, ეს ხვალ შენი შვილის და შვილიშვილების დღე იქნება და იმაში მონაწილეობა შენ დღეს შეგიძლია შენი კეთილსინდისიერი შრომით — აი, რისი ქადაგება გვმართებს ჩვენ. ტერენტის არა აქვს ან ცოტა აქვს ასეთი გამამხნევებელი და წამახალისებელი ლექსები. არა, მე არ ვამბობ სულ არა აქვს-მეთქი, მე ვამბობ ცოტა აქვს და მენანება, სწორედ, რომ მენანება ამ ნიჭიერმა კაცმა ამდენი დრო და ენერგია სულისა და გონების დამაღონებელ ლექსებს რომ შეალია. მე ასე მგონია, მისი წარმმართავ შეიძლებოდა, რომ მეგობრებს მეტი მზრუნველობა გამოეჩინათ; მე უფსკრულის პირად უმეგობროდ მიტოვებულ კაცად მეჩვენებოდა ტერენტი ყოველთვის. მას უფრო ხელს კრავდნენ უფსკრულში გადაჩეხილიყო, ვიდრე მეგობრულ ხელს უწვდიდნენ და აბნევებდნენ. მის დაღონებულ სულს კი მოფერება და ალერსი, მეგობრული ალერსი ჭირდებოდა. ეს კი მუდამ აკლდა მას. ამტკიცებდნენ, რომ მას სხვანაირად არ შეეძლო წერა: არა მგონია ეს მართალი იყოს. მას ხომ აქვს ეს „სხვანაირი“ ლექსები.

არა, ტერენტი დიდად ამაყი იყო და თავისთავში ღრმად დარწმუნებული პოეტი. რასაც წერდა, სულის ყარანახით წერდა, გულიანად წერდა, ეწერებოდა და წერდა, ოღონდ ყველაფერი, რაც მას დაუწერია, მისი პირადი აღსარებაა. ხელმოცარული და ნერვებაშლილი კაცის პირადი სულის მონაწერი, მისი ღრმად დაფარული და დარწმუნებული მისტიკური რწმენის გამხელაა, ოღონდ ნახევრად გამხელაა, ნახევარ ტონებში ნათქვამი, თავისი სულის ნამდვილ საიდუმლოს ის თავის ლექსებსაც აღარ ანდობდა, რაღაც შიში, შიში და იქვი დაუფლებოდა მის სულს და ის ერთი შეხედვით მეტის-

მეტად აფორიაქებული — ვერაკო ანჯაფარიძის მიერ გარდასახულ შეკსპირის ოფელის ჰგავდა. დიახ, როცა ტერენტის გესაუბრებოდი და მის პასუხებს ვისმენდი, მე მუდამ ვერაკოს ოფელია მედგა თვალწინ.

— იმ დღეს დიდხანს დავრჩი ტერენტის ოთახში, თუ ოთახს დავარქმევდით იმ გალიას. სათუოდ ეფუტქაოდენ ტერენტის ლექსების კრებულს და ვეთხუოლობდი, ხან მე და ხან თვითონ ტერენტი, ვკითხულობდით და ვდაობდით ყოველ ლექსზე, ყოველ შედარებაზე, — არა, მითხარი ბულწრფულად, ხომ არის ამ წიგნში ბევრი სიახლე, სიახლე და მოულოდნელობა? ეს ხომ ნაღდი პოეზიაა? — ჩვენ უკვე ისე ვიყავით შეჩვეულები ერთმანეთს, რომ იმ დღეს არ დავმალე და პირველად ეუთხარი სიმპოლიზე, ის, რასაც მე ვფიქრობდი მის პოეზიაზე. ასე დავიწყე:

— დიახ, არის აქ სიახლე და მე მიყვარს პოეზია, რომელშიაც სიახლეა, მაგრამ სიახლეს სიცოცხლე უნდა აძლევდეს ენერგიას. შენს პოეზიაში ენერგია არ არის, ან ძალზე ცოტაა ის, რასაც სწორედ ენერგია, ცხოვრებისეული მიწერება ქვია. შენ თითქოს არ შეგიძლია სიცილი, სიხარული, აღტაცება. დიახ, აღტაცება, შენს პოეზიაში არ არის ღიმილიც, თითქოს გაღიმება არ გემეტება. ადამიანი, რომელიც მუდამ მოღუშულია, ცხვირიარი ჩამოსტირის და მის სეფდას, ეარამს შენ რომ გადაგდებს — ასეთი პოეზია მე ნაკლებად მიზიდავს, ჩემს სულს არ ეხმაურება...

შევატყვე, ეს ჩემი პირდაპირობით და გულწრფელობით ნათქვამი სიტყვები არ მოწონა ტერენტის, ერთი შეიშმუშნა და დავარქიანებდ დაიწყო: — აბა მე თუ მკითხავ — არც მე მიყვარს კაცი, რომ მუდამ იცინის და იცრუებდეს, შენ ხომ გაგიგონია ასეთ ჭკუამხიარულ კაცზე რომ ამბობენ, რა აცინებს მუდამ სულელივით იმ ბედდამწუარსო... ჰოდა, ასეა, სულელები იცინიან ანგარიშმიუცემლად, იმათი ადგილი ციხეშია, — ეს თქვა და კითხვით მომმართა: შენ თუ დადიხარ სასფლაზე?! — ჩემთვის ეს კითხვა მოსაოლდნელი იყო და მაინც შევეყოფმანდი.

— ეჰოდ! გეტყვი, ვისაც სიკვდილ სიცოცხლეში არ უგრძვნია, იმან ცხოვრებისა არა იცის რა. იცი თუ არა შენ, — ტერენტი კვლავ გამომწვევად ლაპარაკობდა, — იცი თუ არა შენ, რომ ადამიანი უბედური არსებაა და ამ ქვეყნაზე მწუხარება და ტირილი მეუფეობს მის ირგვლივ? დიახ, მწუხარება და ტირილი, მე შენ გირჩევ ხშირად იარო პანაშვიდებზე, გასვენებზე, სასაფლაზე და... სიტყვა არ გაემთავრებინე, ისე მოვუქეცი, — ვიცოდი, რომ ამას მეტყოდი, არ დავფარავ და გეტყვი, სწორედ იმ ადგილებში სიარულმა შეგმალა შენ. თუ კაცი ხარ, თავი ანებე ამ სისუფლეს. სასაფლაო, სასაფლაო დგიჩეგმებია, გირჩევ უფრო ფარფოდან შეხედო ამ ქუჩებს, ამ ქარხნებს, ამ სასახლეებს და ღიმილი და აღტაცება შენს ლექსებშიც გამოჩნდება.

მეტისმეტად გაჯავრდა ტერენტი და მომაყვირა: — თუ ძმა ხარ, დამაყენე ჩემს სახლში, მწერალთა კავშირში ხომ არ გგონია შენი თავი ჩაკუას რომ მარიგებ? — არა, — დავუყვავე მე. — მწერალთა კავშირი რა შუაშია, პირადად მე, სეედიანი პოეზიის, ცხოვრებისეული სეედის წინააღმდეგი როდი ვარ. ცხოვრებაში დიახაც არის წუხილიც და სეედიც, მაგრამ მარტო ეს ხომ არ არის ცხოვრება? ერთი ფერით, შავი ფერებით დახატვა ცხოვრებისა არა მგონია ეკმაყოფილებდეს იყოს. — როგორ? ჩემს პოეზიაში შავი ფერი გაბატონებული? მაშ არ წაგიკითხავს ჩემი ლექსები, თეთრიც, ლურჯიც, ცისფერიც, ყვითელიც, ნარინჯისფერიც. მე, მე შევიყვანე პოეზიაში სიმბოლოებად, მე ვარ ფერების და მრავალფერიანი ფერების მოამბრე და ეს რა ბრალდება წამომიყენე — მხოლოდ შავი ფერიაო შენს პოეზიაში, ჰა, — ისევ გაჯავრდა ტერენტი.

— არა, საკითხს ასე ნუ გავამარტივებთ; მე ამ ფერებზე როდი გედავები, განა მე არ ვიცი, შენს ლექსებში ლურჯი ფერი, ცისფერი, თეთრი თუ ყვითელი უფრად რომ გვხედება, გვხვდება წითელი ფერიც: ფერი წითელი ირგვლივ დაწვება

და უწინდელი

ეს აღტაცება

ეგეც ხომ შენი სტრიქონებია.

ყველა მათგანს თავისი ფუნქცია აქვთ და ისეთივე კანონიერი უფლებით სარგებლობენ, როგორც შავი ფერები. მე გაწყობილებაზე, პოეტურ გაწყობილებაზე მოგახსენებ.

— აქ, აქ კი გეთანხმები, — შეებით ამოისუნთქა ვრანელმა, — დიახ, ეგთანხმებით. პოეტმა ისაზე უნდა წერო, რაც გაწუხებს და გტკივა, რაც უფრო თვალსაცემია ცხოვრებაში. პოეზია ბოლოსდაბოლოს შენი სულის აღსარებაა და მეტი არაფერი. ხოლო ცხოვრება თვით შენს სულშია, ამიტომ პოეტმა შენს სულში უნდა ჩახედო უფრო ღრმად, შენი სულის შუქით უნდა გაანუქო ცხოვრება, გზა უჩვენო სხვებს, გზა სანუკვარი და სამუდამო— დიახ, ცხოვრებისა და პოეზიის ამგვარი კავშირის მომხრე ვარ მე და ჩემი პოეზია სხვა არა არის რა, გარეა ამ გაწყობილების ქაღალდებსა „მე ლექსები გამაფრენენ ცაზე, მე ლექსების სიხარული მომკლავს“...

— მე მგონია, — განაგრძო ვრანელმა. — დღევანდელი პოეზიის თავპრი ნაკლი ისაა, რომ ზოგი პოეტი მეტისმეტად აღტაცებული.

---

სერგი ეილანია

მე და ჩემი პროფესორი

ბბოსებრ აღფრთოვანებას დავრჩმეული ამ ალტაცებას. გინახავს სოფელში ბბო რომ უცბად აკუნტრუშდება და დარბის გაუკრნეველად — ალბათია თუ დაღმართი. ზოგი ლექსიც ასე აკუნტრუშებელია. ადამიანური სითბო და დაფიქრება აკლიათ ამ ლექსებს. ამ ლექსების სოფალი სიცივე და სიმშრალეკი აქედან მოდის. შშრალი აგიტაცია ისევე არაფერს შეელის რევოლუციას, როგორც ღაარძლიანი გიგება და ლანძღვა ვერაფერს დაალებს მას. მე ორივე მეზარება და ამიტომ მესამე გზა ვცადე, დიახ, მესამე. ლექსი „ობიექტისა" და „სუბიექტის" მექანიკური შეერთება კი არ არის, არამედ რაღაც სხვაა. ეს სხვა, ჩემი აზრით იმ „ამსოლუტის" ძიებაა, რომელიც არც ჩემშია, არც შენში, ფიზიკურად, სინამდვილეში არავის უნახავს ის. ის სადღაც დამალულია ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელ სუბსტანტში. აი, ამ დამალულის, ამ ამსოლუტური შეშმარიტების აღმოჩენა უნდა იყოს პოეზია. ყოველ შემთხვევაში, ამ ამსოლუტური ჭეშმარიტების ძიებაზე ხელი არ უნდა ავიღოთ. პოეტმა აქედან მიმავალი გზები უნდა დაუსახოს მკითხველებს...

— ეს ხომ სოლიფსიზმია და იდეალიზმი, — შშვიდად ვეუხარი ლაპარაკისაგან აღგზნებულ გრანელს.

ახლა კი გაჯავრდა ეი მომაყვირა: — კარგი, თუ ძმა ხარ, თავი დამანებე ამ შენი აყვიტებული ლოგიბანით. სჩანს, შე ეს შენ საერთო ენაა ვერ ეიპოვნი, ჯობია, პოეზიაზე კამათს თავი ვანებოთ და ისევ ღვინის მიეუბარეთ, ტიკეორაში ღვინო არ აღმოჩნდა და ჩვენ უსტაყვოდ გამოვედით ტერენტი გრანელის „სასახლიდან".

ამ დღეს მწერალთა კავშირში წვაყვეი გრანელს. სხდომათა დარბაზი ხალხს ვერ იტევდა, სალონიც სავსე იყო მწერლებით. ტიციან ტაბიძე სალონში იდგა და იქიდან ესროდა რეპლიკებს ტრიბუნაზე შემდგარ პირსმელ და გამხდარ ორატორს. მომხსენებელი იმ წელს გამოცემული ლექსების წიგნებს განიხილავდა, ტიციან ტაბიძის გაკრიტიკებდა მოთათვი თუ არა, ორატორმა ხელში ტერენტი გრანელის წიგნი აიფრიალა და გამყინავი ხმით იყვირა: აი ამ წიგნს, ლექსებს ამ შავ წიგნს თუ იცნობთ თქვენ? — კითხვით მიმართა აუდიტორიას. დარბაზი დაიბნა, ვიღაცამ რეპლიკა ესროდა, ეს როგორ? შავი კი არა თეთრი წიგნი გიჭირავთ ხელში, ქალქალთა, თეთრყდიანი. — ჰო, — თეთრი და არა წითელი — უპასუხა მომხსენებელმა. დარბაზში ხმამაღალი ხარხარი ატყდა. გაბერაზდა ორატორი და უფრო მძაფრად შეუტია ეკამატი რეპლიკას აეტორს. დიახ, თეთრი, ვიცით ჩვენ, რას ნიშნავს ეს თეთრი, თეთრი გიორგი, თეთრი რაში, თეთრი ანგელოზი. — ახლა ისე აფრიალა ტერენტი გრანელის ლექსების კრებული და რიხიანად ამოიკვნესა: — ეს წიგნი კი ამ თეთრ ანგელოზებზე ლოცავა, მათხოვარი ქრისტეს ლოცავა. ამიტომ ვეუოდე მე ამ წიგნს შავ წიგნს. რეკეციულ წიგნს, რეკვლიციის მიერ დამარცხებული კლასების ნაბოდვარს და ნაცოდვილარს.

იმ დღეს მწერალთა კავშირში ის წაკითხული გვანჯიც მოსულიყო. გვანჯი მომხსენებელს ეკერს უკარავდა და გრანელის წინაღიდგა სოლარ რეპლიკებს ისროდა: სწორია, მისტიკოსია, რეაქციონერია, ნაციონალისტია — მომხსენებელს აქებენდა. კონსტანტინე გამსახურდიამ ვერ მოითმინა და ხმამაღალი იყვარა: — ვინ არის ეს ქვასრული? — უნიგრისატერის ასპირანტიაო, ვიღაცამ უპასუხა. ასპირანტი კი არა, ინტრიგანია, — იყვირა სალონი და აირია დარბაზი. ტერენტი ადგა და სიტყვა მოიიხოცა. თავმჯდომარემ გააფრთხილა, გვაცალეთ, ჯერ მოხსენება არ დამთავრებულა, შენს სიტყვას ითხოვ? ახმაურებული დარბაზის მაგიერ თავმჯდომარე ტერენტის გაუჯავრდა. ტერენტი ახლა მომხსენებელზე უფრო იმ გვინჯიზე და თავმჯდომარეზე იყო გაჯავრებული და ადგილზე ვერ ისვენებდა.

ტერენტის შეეხედე და მარილაც, მთლად გაფთორებული გრანელი ჩვენს ფრესკებზე ნაბატულ ქრისტეს მიაგავდა. უცბად მომიბრუნდა და მუდარით მომმართა: წადექეთ აქედან, თუ ღმერთი გწამს, მომაშორე ამ ხალხს, თორემ ალბათ მთლად გიგვიდგები. ისეთი აღგზნებით მითხრა ეს სიტყვები, რომ ავდექი და უსიტყვოდ მივყევი. სასახლიდან გარეთ გამოვედით. მაჩაბლის ქუჩა ისე გავლეთ, რომ სიტყვა არ დაგვიძრავს. მეც ვერაფერი მოვახერხე, რომ რაიმე სანუგეშებელი მეთქვა, რუსთაველის პროსპექტზე ვენო ქილბაქაანი შემოგვხვდა. გალიმებული მოგვეგებალმა. მუდამ მოღუშული ტერენტი, ახლა რომ მთლად აყაბაბებული და ანერფიულებული შენიშნა, იკითხა — რა მოხდა? სად იყავით? ტერენტის ხმა არ გაუღია. გზა განაგრძო, ვენო უკან გამოგვყვა. ახლა მე მკითხა, რა მოხდა, ვერ ავტყვეო. მე წვრილად მოვუყვეი, რაც მოხდა. ვენო გაბრაზდა: — ჰაკ, თქვე გლახებო, თქვენნა, ამისთვის ჩამოგიყრიათო ყურები, მე ვუჩვენებ მაგათ, როგორ უნდა ვინება და ლანძღვა, დაბრუნდით, მომყვეთო! — ეს თქვა და თითქმის სობრიოლთან მწერალთა კავშირისაკენ გასწია. რასაკვირველია, ტერენტი არ დაბრუნდა უკან. ამის გამო ვერც მე გავყევეი ვენოს.

სახლამდის რომ მივაღიეწე, თითქოს მაშინ გაახსენდითო: — არა, ვიეი არ მომეშვებიან ეს ჩემი მტრები. მომხსენებელი და პოეტები კარგი, მესმის, რომ ჩემი ყველაფერი შურთ, მაგრამ იმ ვენაჯის, მაინც რა უნდოდა, რატომ მოეთრა მწერალთა კავშირში მაინდამაინც დღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცოდა, სწორედ იცოდა, რომ დღეს ჩემზე იქნებოდა ლაპარაკი. რა უნდა ამ კაცს, რას გადადგმეიდა. ჯერ იყო და სოფელში არ დამაყენა სკოლიდანვე გადამეყვანა, რა არ მომიგონა, რა ჯორები არ გამიგრცელა. ახლა აქაც არ მაყენებს, დიეტიოს იმ თავის ასპირანტურაში, კისერიც უტეხია, მაგრამ მე ხომ ვიცი, რა მიმაძღლია და ოხერი, გამოვალ ერთ დღეს ფ ყველაფერს ვიტყვი, ყველაფერს ვიტყვი. ანდა დღეს რატომ გავეშვი ეს შემთხვევა ხელიდან, — ახლა იმუქრებოდა და ნანობდა ტერენტი. ძლიერ დავაწყნარე და ოთახში შევაყვანე.

ჩვენ მეორე დღეს შევიტყვეთ, რომ ვენო მართლაც გამოსულა სიტყვით მწერალთა კავშირში, დოუცავს და უქია ტერენტი გრანელის ლექსების წიგნი, მაგრამ ეა, გაზეთებში დისპუტის ანგარიში რომ დაიბეჭდა, მაინც სასტიკი ლანძღვა-გინება დაიწერა ტერენტის ამ წიგნზე... მთელი კვირა გიუჩინარდა გრანელი, სად არ ვეძიე, მაგრამ ვერსად მივაგენი მის ასავალ-დასავალს. არც წენენის მაღაზიაში გამოჩენილა, არც მწერალთა კავშირში და არც იმ ბალი ფიცრულში, სადაც ბინა დაიდო. ერთი თვის შემდეგ ისევ ბაღში ვნახე. მაგრამ ეაი ამ ნახვას. ტერენტის ჩვეულებრივ თეთრი ბლუზა-ხალათი და თეთრი პიკეს შარვალი ეცვა. ახლა ისე გახუნებული და ჭუჭყიანი იყო მთელი სამოსი, რომ რა ფერის ტანისამოსი იყო, ვერ გაარჩევდით. მიეესალმე, ხმა არ გამეცა რაღაცას ლუღლუღებდა. შევატყვე ნასვამი იყო, მერე სიტყვებიც გავარჩიე, ვიღაცას უდვთოდ აგინებდა. გინება პირველად გავიგე მის პაგეთაგან. ეცადე, დამეშვიდებინა და გამემხნევებინა. ამაოდ. მთლად ხელიდან წასულა, გავიფიქრე მე. ამ დროს ვენოც მოვიდა და ისევ იმან უშველა საქმეს. ქელბაქიანი მწერალთა კავშირში მოიხდარ ამბებს მოპყვა: — გუშინ გალაკტიონიც გააჯავრეს, დღეს ენახე მტკვრის პირას, მთვრალი იყო — ფეხზე ვეღარ დგებოდა, მერე ეტლით მივაცილე სახლამდის. სახლში ძლივს შევიყვანე, მთლად ნერვებაშლილია. არა, ეს დიდი მხეცობაა. თუ ვინმე წერს რეკოლუციაზე, საბჭოთა საქართველოზე პირველი გალაკტიონია. სწორედ რომ არ მესმის, რა უნდაან მისგან. დეკადენტი, მისტიკოსი, სიმბოლისტი, რა არ უწოდეს გუშინ. არა, ყოველივე ამის ატანა შეუძლებელია, — ცხარობდა ვენო. — ამ რაპელებმა და ფუტურისტებმა პირდაპირ მოწამლეს ჩაერი.

ამ საუბარში ტერენტი ცოტა არ იყოს გამოცოცხლდა. თავი ინთა ინუგეშა, რომ მარტო მაგას კი არა, თურმე გალაკტიონსაც უმადურად ეპყრობაან.

ამ დროს ბაღში ფრიდონი გამოჩნდა. პროლეტარული მწერლობიდან ტერენტისთან მარტო ფრიდონი მეგობრობდა, თუმცა დავა და უთანხმობება, ერთი დაუსრულებელი კამათი მუდამ ჰქონდათ. ფრიდონი დარწმუნებული იყო, რომ ეს ნიჭიერი კაცი გზას აცდენილია; და მისი შემობრუნება დაესახა თითქოს მიზნად. აი, მოვიდა თუ არა ფრიდონი, მაშინვე შეება ტერენტის. არა, ტერენტი, ახლა მაინც ამას არ მოველოდი შენგან, ეს რა წყენი გამოგიცია, ბიჭო (ბიჭობით ელაპარაკებოდნენ ისინი ერთმანეთს). რა დარს წინდა გიორგი, ქალწუღი მარიამი და იესო ქრისტეა, შე კაცო. მითხედ-მოიხედე, ხომ ხედავ, რა ხდება ქვეყანაზე. პოეტი ახლა ხარაზობაზე უნდა იდგეს, ლეგუს უნდა ამხრეეებდეს ხვნასა თუ მკაში. შენ კი, ისევ ეკლესიებში და სასაფლაოზე დაბორიალობს, დედაბერივით ლოცულობ და მოთქვამ. არა, გლეხის შვილი არ იყო მაინც. არა, ამიხსენი ერთი — რამ შეგაძულა ეს შენი ქვეყანა, ეს შენი სოფელი და ქალაქი? — ცხარობდა ფრიდონი.

— არა, მე არავისზე ნაკლებად არ მიყვარს ჩემი გლეხი და ჩემი მუშა, ჩემი ქალაქი და სოფელი, ვინ გითხრა, რომ მე მაგათ განვუდექი? ეს თქვა და რახიანად წაიკითხა:

ლილის საყვარი და ქარხნები ნელას გრიალა,
ქალაქის ცეცხლი, დასერული ღრუბლ
წიფელ;
ბნელ შუადამეს აკრთობს შუქი მოხეტიალე,
ო, სუფეულ წიფელია და მიმზიდველი.
სისხლის მდინარე, დაბინდული მთები და შარა,
დამწვავს ტყვეების სურნელება და
განსაცდელი.
ო, განახლების ქარიშხალმა ფრთები გაშალა,
კრთის ნანგრევებზე ალმაფრენა, როგორც
სანთელი.

ქალაქის კვამლი, მღელვარება, ღამის ალები
და შორეული რიანდებით უმწეო შფოთი
სამარადისო მწუხარება მოკლულ თვალების
და ჩემი სული ამართული, ვით ეშაფოტი.

ბაღში დუმილი ჩამოვარდა. უხერხულობის გამოსწორება კვლავ ფრიდონმა სცადა. ეს მე ვიცი და მით უფრო სამწუხაროა, რომ ამის დამწერი ამ მოტეხს გადაუდექი. — ალბათ, შენ ჩემი ლექსები „ღამე გლეხთა სახლში“, „გლეხთა სასახლე“, „დაბრუნება ცხოვრებისაკენ“... — ფრიდონმა არ აცალა სიტყვების დამთავრება, ესენიც წამიკითხავს და ისიც ვიცი, რომ „ავირის წირთები“, „წმინდაო მარიამ“, „სასაფლაოსკენ“, „ექსკურსია ცისკენ“ — ამგვარი ლექსები უფრო ჭარბობენ შენს პოეზიაში, ვიდრე ის, რაც შენ ჩამოთვალე... ერთი გაბმული ტირილია შენი ლექსები.

— არ არის მართალი, რომ ჩემი ლექსები სულ ტირილი იყოს. მე ცხოვრებამ ბევრი მწუ-

ხარება და ჭირი შემყარა და „ჩემს ამგვარ გრძნობას ტირილს ეძახიან“. ბედნიერების წუთებიც მქონდა, განსაკუთრებით, როცა კარგ ლექსს დაფწერდი, ან საღმე ამ ჩემ ლექსებს შეაქებდნენ, მე იმდენს ნაპრწყალი გამიელვებდა და ჩემს ლექსშიაც აციმციმდებოდა ეს იმედი, ეს სიხარული, ეს წუთიერი ქმაყოფილება. ჩემს ლექსებში ისინი ციცინათელასავით ანათებენ ღამის უკუნეთში. დიახ, ციცინათელებად ყველაზე ცრემლიან ლექსებშიც ანათებენ ეს სტრიქონები:

ღამეა, ვწევარ და მიხარია
მე ხვალინდელი დღის გათენება.

ან:

და ისევ მოვა სხვა ფიქრთა გროვა
და ისევ მოვა დღე უზრუნველი.

ან:

ისევ მზიანი დღეა, ისევ სიხარულს ვეძებ
— ისევ მიხარია დღეს ბასელი მზეზე.

ან:

როგორც იქნება გავა ზამთარი
და მალე მოვა დღე გაზაფხულის.

ან:

ეს დღე მაღეიძეს სიხარულისთვის
დღეს ისევ მზეა და დღეს ქარია...

კიდევ გავაგრძელო?.. მე მგონია, ქმარა, არის ასეთი ლექსები და სტრიქონები. თუ არ დაინახავთ, ეს უკვე თქვენი საქმეა. რასაკვირველია, მე გადაჭარბებით არ ვაფასებ ამ სტრიქონებს. უფრო მეტი. მე ვიცი, რომ ისე, როგორც ციცინათელა ღამეს, უკუნეთს ვერ მოერევა, ისე ჩემს დარღს და გულის წუხილს ეს სტრიქონები ვერ ანელებენ. ჩემს ლექსებში დღეს ღამე ერევა, სინათლეს — სიბნელე ნთქავს, კეთილს ბოროტი თუ საქმეს გარეგნულად შეიდგამ, თუ უფრო ღრმად დავფიქრდებით, მაშინ მე ის შორეული, ის მარადიული მიტაცებს, რომელსაც ჩვენი გონება ასე ადვილად ვერ წვდება. და ჩემი და ჩემი ლექსების ნამდვილი სამსჯაროც იქ მეგულება. „ეროფნის ვიგონებ ისევ, როგორც შორეულ ხიზმარს“. ისე კი, ვით ამ ქვეყნიერ მოკვდავს, არც მე მითქვამს უარი ციცინათელებზე:

მე მაფიქრებს საქართველოს ბედი
მე განვიცდი ჩემს სამშობლოს ტკივილს.
... და საქართველო ჩემთვის დრდია
და საქართველო ჩემთვის დიდია.

ჩემს ლექსებში საქმის ნამდვილი ეთიკრები ასეა წარმოდგენილი. რაც შეეხება თანამედროვეობას, მიმდინარე მოვლენტ — მეც ვეხმაურები. აიღეთ ჩემი „ვანო სარაჯიშვილი“,„ ექსპედიცია „იტალია“, „გენერალი ნობიელ“. ოღონდ საკითხია — ვის, როგორ ესმის თანამედროვეობა. ზოგიერთისთვის ის მხოლოდ ვაშა! ზოგიერთისთვის მარტო ვაშა არ არის. ვაშას უზომოდ მოტრფიალეებმა უნდა იცოდნენ, რომ არსებობს ბოროტება, რომ არსებობს სიკეთეი. მე ამ მესმის ცხოვრება და ჩემი სამუთიდ ჩემი ლექსებია, — „ეს ლექსებია ჩემი ქონება“. ჩემი ფრიდონ — დიახ, საქართველო, გლეხი, მუშა, ქარხანა — ამაზე წერა საჭიროა და მე ვიტყოდი, ზოგი თოლდაც აბერხეს ამას, — ეს თქვა და ფრიდონს გადაზეადა, ფრიდონს არ ესიამოვნა ეს გადაკრული სიტყვები, მაგრამ არ შეიმჩნია, — ტერენტიმ გაიგრძელ: სიტყვა — ზოგს ლექსი მარტო ის გონია, რაც ფიზიკური არსებას გამოსახავს, ყოველდღიურობას აღწერს, არა, ჩემო ფრიდონ, ნამდვილმა პოეტმა ამის იქით უნდა გადაიხედოს. მე პოეზიად ის მიმაჩნია, რაც მოულოდნელს, ჩვეულებრივი ადამიანის თვალისათვის აღმოუჩენელს აღმოაჩენს, სულის სიიდუმლოებას ახსნის, მიეუწვდომელს — მისაწვდომად დაგვისახავს. ახლა ფრიდონმა შეაწყვეტინა სიტყვა გრანელს: — შენ რატომ გგონია, რომ ნამდვილი პოეზია ანგელოზზე, ეფსო ქრისტეზე და ღმერთზე წერაა და არა მუშასა და გლეხზე. შენ ამბობ, მე ის მიზდავს, რაც პირდაპირ არ გვიძლევა, თვალით არ ვხედავთ — მე კი, პირიქით, მგონია და დიდ ვმირობად ის მიმაჩნია, რომ რასაც თვალით ვხედავთ და ყველა ვხედავთ იმაზე ეწეროთ, და ეწეროთ ისე, ვინც ჩვეულებრივად ხედავს ყველას გაუკვირდეს, ეს რა კარგად დაუწერია, პირდაპირ ჩემი აზრი და ფიქრი გამოუხატავსო, დიახ, ეწერა ამ ნამდვილ ამბავზე ისე, რომ წამკითხველს შეეძლოს ოთ ის, რაც სიძულვილის ღირსია და შეგაყვაროთ ის, რაც საყოველთაო სიყვარულს იმსახურებს.

— არა, მე ასე მგონია, — ამბობდა ტერენტი, — მუშას, გლეხს თუ ინტელიგენტს ერთი საერთო საიდუმლო აქვთ, ჯერაც ამოუცნობი და ამოუხსნელი. პოეზია უნდა დაეხმაროს ყველას ამ საიდუმლოებათა ამოცნობაში. პოეზიის საკანი ადამიანის სულის საიდუმლოებთა ამოხსნაა. საიდუმლოებისა და მარადიულობის ამოცნობის შეგნება უნდა გაუფვიძოს პოეზიამ ყველას, ვისაც კი პოეზია უყვარს და კითხულობს. აბა, ისე მუშამ და გლეხმა შენზე და ჩემზე კარგად იცის, როგორ ურტყას ბრდემელს ურო ან მიწას თოხი. ჩვენ ამის საიდუმლოებას მათზე გონიერად და ნიჭიერად ვერ გავხსნით და ვერ ავუხსნით, რა გინდ არ უნდა ვეცადოთ.

— არა, კი არ ავუხსნით, არამედ გავამხნევებთ, ვეკრდში ამოვუდგებთო, გავაბალისებთ და ამით შრომას გავუადვილებთ.

— არა, ეგებ ეს ყველაფერი საჭირო იყოს და ამაზე მეცა ეწერ ხოლმე, მაგრამ, ჩემის აზრით, ნამდვილი პოეზია ამ პრობაუები ამბების შემდეგ იწყება. მე უფრო მეტს ვეტყვით —

ყოველდღიური და პროზაული საგნებიც რაღაც ალმაცერად და ირიბად უნდა დალაგო ლექსში. სხვა მხრივ ლექსი ლექსი არ არის — და აქ ტერენტიმ ისევ თავისი ლექსი წაიკითხა:

ელვარებს მზეზე ნატეხი სარკე
ქრის **ორთქლმავალი**, დღეა მზიანი.
პირველად მივალ კახეთისაკენ,
გავცილდი ნავთლუღს, ჩანს ვაზიანი
ან რა დარია, ან მიწას დახე,
ვაზიანიდან ისევ იორი.
მზიანი დღეა, მე მივალ კახეთს
**და** სადღაც გაქრა გალაკტიონი...

**კამათმა ცხარე ხასიათი** მიიღო. ხან მე **და ხან გენო შიგადაშიგ** ვერეოდით კამათში, **მაგრამ მაგ** შორის ზავს ვერ მივაღწიეთ, **და ეს შეუძლებელიც** იყო. **შეუძლებელი** იმიტომ, **რომ ორივეს სრულიად** საწინააღმდეგო აზრი და **შეხედულება** ჰქონდა, რწმენა და გაგება პოეზიის არსსა და დანიშნულებაზე. **ამიტომაც ამაო** იყო **მაგი** მორიგებაც.

* * *

**იმ** დღესაც ბაღში დიდხანს ვისხედით. მე და **დავით** კობძემ ტერენტის ახალი ლექსები წა-**ვკითხეთ. ყურადღებით მოგვისმინა.** განსა-**კუთრებით მოეწონა** დავით კობძის ერთი ლექ-**სი. ეს** ლექსი მეორედ წაკითხა დავითს და შე-**უქო. ურჩია** დაბეჭდეო. ისე, საერთოდ დაბეჭ-**დვას არ** უნდა ვჩქარობდეთ. **დაწერას**, დაწერას **უნდა** მოსწდომო მთელი დრო და ენერგია. **დაბეჭდვის** დრო თავად მოვა. **თუმცა**, აქ ისიც სათქმელია, **რომ** თუ **არ** დაბეჭდე, ისე ვინ გაიგოს **შენი** არსებობა, **ამიტომ** უნდა ვიზრუნოთ **დაბეჭდვისათვისაც. ხშირად** დაბეჭდავ **უფრო** ძნელია, ვიდრე დაწერა. მე ვიტყოდი **ზოგისათვის**, **თორემ** ზოგს **დაწერა** უფრო **უჭირს**, ვიდრე **დაბეჭდვა**. **დაბეჭდავ** მე **რომ** მიჭირს, **თქვენ**, **რასაკვირველია**, **უფრო** გაგიჭირდებათ. **გულს ნუ გაიტეხთ**, **რაც** დაიწერება, **თუ ის** კარგია, **დღეს** თუ **არა**, ხვალ **დაიბეჭდება. მე** რომ **დავწერ**, **მერე** დიდხანს **კრუხივით** ვაზივარ ამ ჩემს ლექსებს. ლექსს **რომ** ფრთები **გამოესხას** და **გასაფრენად** მოამზადო — **დრო** უნდა. **დროა** ლექსის **უტყუარი** საზომი. **დრო** ვეტყვის **ლექსი** მზადაა თუ **არა** გასაფრენად. **უფრთო** და **უსულო ლექსი** ვის **რაში** ჭირდება?

**ამ** დროს ბაღში ხარიტონ ვარდოშვილი შემოვიდა და თავმდაბლად მოგვესალმა. **ტერენტის** ძალიერ გაუხარდა მისი მოსვლა, **გახალისდა**: იცი, ხარიტონ ბატონო! **მე წუხელ ლექსი** დავწერე **და** ეს **ლექსი** თქვენ **მოგ-ძღვენით**: **ხარიტონ** ვარდოშვილს — **„ქუჩა“**.

**დასასრული იქნება**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოეზიის მეჩიჯიანები

## ვოლფგანგ გოეთე

### ფილოსოფიური ლირიკიდან

#### პრომეთევსი

მრუმე ღრუბლებით ემანდ შებურე,
ზეესო, შენი ცა!
და ბიჭის დარად,
გვიმრას რომ მუსრავს,
მილეწ-მოლეწე მუხები და მთის მწვერვალები!
ოღონდ მე დამრჩეს
ეს ჩემი მიწა
და ჩემი ქოხი, —
შენგან როდია იგი ნაგები, —
და ჩემი კერა,
რომლის ცეცხლმაც
აგავსო შურით.

არავინ ვიცი მზის ქვეშ, დმერთებო,
თქვენებრ ღატაკი.
მსხვერპლის ხარკი და
ლოცვის ოხვრაა
თქვენი საბრალო საზრდო,
დიდბატონებო;
დაგლაძდებოდით,
რომ არა ბალღნი და მათხოვრები,
იმედებით სავსე ბრიყვები.

ოდეს ყრმა ვიყავ,
გზა და კვალი ჯერ არ ვიცოდი,
მზეს მივაპყრობდი ცთომილ თვალებს,
თითქოს ჰქონოდეს
ჩემი გოდების გამგონე ყური
და ჩემებრ გული,
შეჭირვებულთა თანამლმობელი.

ვინ შემეშველა, ტიტანების გულზვიადობას
როცა ვთრგუნავდი?
რომელმა დამხსნა სიკვდილს,
მონობას?
შენ ხომ თავად ქმენ ყოველივე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგზნებარე გულო!
თან მადლობასაც არა სწირავდი,
ალალ-მართალი, მოტყუებული,
ზემოთ მძინარეს?

შენ გცე თაყვანი? მერე და რისთვის?
იქნებ ოდესმე დაუამე
ტკივილი ენებულს?
ანდა შეამრე
დაზაფრულს ცრემლი?

მამაკაცად ხომ ძლევამოსილმა
დრომ გამომჭედა
და ბედისწერამ,
ორთავ ჩვენგანის ორმა უფალმა.

იქნებ გგონია, ამა ცხოვრებას
რომ შევიძულებ,
უდაბნოში გავიხიზნები,
ყმაწვილკაცობის უცხო სიზმრები
რახან უკლებლივ არ ამხდომია?

აგერ ვზივარ და ვაყალიბებ ადამიანებს,
ჩემებურ მოდგმას;
ვიმსგავსებ, რათა
ევნოს, იტიროს,
იხაროს, დატკბეს,
და არად უჩნდე,
ჩემებურადვე.

## გ ა ნ ი მ ე დ ი

გარს შემომენთე
ალისფერ დილით,
გაზაფხულო, ჩემო ტრფიალო!
ათასგვარ ვნებად
გულში მეღვრება
დაუსაბამო შენი სითბოს
ნეტარი განცდა,
წწვენიერებავ თვალშეუდგამო!

ნეტავ შემეძლოს,
ეს ხელი გტაცო!

ოპ, შენს გულმკერდზე
განვისვენებ ღონემიხდილი
და ვარ აღსავსე
შენი ყვავილით, შენი ბალახით.
შენ მიცხრობ გულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხურვალე წყურვილს,
ალერსიანო დილის ნიავო,
ნისლით დაბურულ მინდორ-ველიდან
სახიყვარულოდ მიხმობს ბულბული.

აჰა, მოვდივარ! მოვდივარ!
საით? ოჰ, საით?

ზევით, სულ ზევით მიმაფრენს იგი,
ღრუბელთა ჯარი
მიცურავს დაბლა,
კრძალვით თავს უხრის მლტოლვარე ვნებას,
მე მესალმება!

ამ თქვენს წიაღში, ღრუბლებო,
ზემოთ,
მომიცვა ყოვლისმომცველმა!
ზემოთ,
შენს მკერდთან,
ყოვლის მეტრფევ, დიდო მამაო!

## მეეტლე კრონოსს

1774 წლის 10 ოქტომბერს, საფოსტო ეტლში მჯდომარე პოეტი

იჩქარე, კრონოს!
მოეშვი ჩორთით მაგ რახრახს!
თავქვე დაეშვა შარა;
გულს მიმღვრევს
შენი ზანტი სირბილი.
გასწი! ეგ ოღრო-ჩოღროდ
ჯაყჯაყა ეტლი
ნ.გ ცხოვრებაში შეაგრიალე!

აი, კვლავ აღმართს
შესდგომიხარ, სუნთქვაშეკრული,
მძიმე ნაბიჯით.
აბა უჩქარე, ჰა, წუ მოეშვი!
იმედით გასწი, ხალისიანად.

ლაღად შორს მაღლა თვალი მოავლე
მთიდან მთამდე
ცხოვრებას ირგვლივ,
სუფევს იქ გონი დაუსაბამო,
უკვდავ სიცოცხლის წინათმგრძნობელი.

კიდეგან მაღალ სახურავთ ჩრდილი
გიზიდავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იქვე ზღურბლზე ასულის მზერა
ცსოველმყოფელი. —
გაამოს! — ოჰ, მეც მერგუნე, ქალავ,
შენი სასმელი აქაფებული
და შენი მზერაც, გულითად-მომარჩენელი.

მაშ, დავეშვათ, თავქვე თამამად!
ხედავ, მზე ჩადის.
ვიდრე ჩასულა, სანამ ჭაობში
ნისლის შმორი მოხუცს ჩამითრევს,
უკბილო ყბებსა
და ძაბუნ ძვლებს არ მივაჩხარუნებ —

უკანასკნელი სხივით დამთვრალი,
ცეცხლოვანი ზღვის ქაფით ბრმობილი
დამაქანე და,
გაბრუქებული და მობარბაცე,
მიმაგდე
ქვესკნელს, ჯოჯოხეთის უკუნ კარიბჭეს.

ჩაჰბერე მაგრად, მეეტლევ, შენს რქას,
ჯირითით გასწი, მიმაგრიალე,
ორკუსს რომ ესმას: თავადი მოდის,
და მძლეთამძლენი
ფეხზედ წამოდგნენ.

## კაცობრიობის საზღვრები

უუხუცესი
წმინდა გამჩენი
მკრთალ ღრუბელთაგან
უდრკომელ ხელით
მიწად რომ აფრქვევს
მაცხოვარ ელვას,
ვეამბორები
მის კალთის კიდეს
უმზაკვრო ბალღის
მთრთოლვარე გულით.

რამეთუ ღმერთებს
ნუ ეტოლება
ნურც ერთი კაცი.
თუ ამაღლდება
და შეეხება
ოხემით ვარსკვლავებს,
ვერსად დააბჯენს
ოვის მრყევ ტერფებს
და სათამაშოდ გარდაექცევა
ღრუბლებს და ქარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუკი დგას მტკიცე,
ძალუმი ძვლებით
მკვიდრად ანაგებ
დღეგრძელ მიწაზე,
იმოდენადაც ვეღარ იზრდება,
რომ გაუტოლდეს
თუნდაც მუხას,
ანდა ვაზისსეს.

რა განასხვავებს
ღმერთებს კაცთაგან?
მათგან მორბედი
მრავალი ტალღა,
უმრეტი ღვარი:
ტალღა აგვიტანს,
ტალღა ჩაგვითრევს,
და ვიძირებით.

კნინ რგოლადაა
შემორკალული ჩვენი ცხოვრება
და თაობათა რიგი
მწკრივდება
ყოფიერების
ულმველ ჯაჭვად.

## ᲓᲘᲗᲐᲔᲑᲠᲘᲕᲘ

სულგრძელი იყავ, ადამიანო,
ენელი და კარგი!
რამეთუ მხოლოდ
ეს გამოგარჩევს
ყველა არსებას შორის,
რასაც მოკვდავნი ვიცნობთ.

დიდება უცნობ
მაღალ არსებათ,
ვისაც ვგრძნობთ ბუნდად!
იმათ ემსგავსე ადამიანო,
შენმა ნიმუშმა შეგვასწავლოს
იმათი რწმენა.

რამეთუ ვერ გრძნობს
ბუნება:
ბოროტსაც ათბობს მზე და
სათნოსაც,
და გლახასაც, ვით საუკეთესოს,
ვარსკვლავები
დასცემციმებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარი და ღვარი,
სეტყვა და გრგვინვა
ბორგავს მათ გზაზე
და, შმაგად მსრბოლი, ერთსაც
ისევე სწვდება,
როგორც მეორეს.

და დააბოტებს ასე
იღბალიც ბრბოში,
უცებ დაითრევს
ყმაწვილის ხუჭუჭ უმანკოებას,
ხანაც წაიგდებს
წარწყმედილის მოტვლეპილ კეფას.

პატივსაპყრობელ
მარად კანონთა თანახმად მართებს
ყოველ ჩვენთაგანს
საწუთროს წრეთა
ბოლომდე გასვლა.

ოდენ კაცს ძალუძს
შეუძლებელი:
ის განასხვავებს,
არჩევს და განსჯის,
მას შეუძლია
აქციოს წამი წარუდინებლად.

მისი ნებაა ოდენ
კარგის დაჯილდოება,
ბოროტის დასჯა,
ხსნა-განკურნება,
საქმის სავარგოდ ყველა
ცთომილ-მერყევის შევრა.

და ჩვენც თაყვანს ვცემთ
მარადყოფიერთ,
თითქოსდა იყონ ადამიანნი,
იმას იქმოდნენ დიდად,
რასაც ჩვენთაგან საუკეთესო
მცირედად სჩადის ან თუნდაც ლამობს.

კეთილშობილი ადამიანი
იყოს ქველი და კარგი!
დაუშრომელად ექმნას სარგო,
ექმნას მართალი,
გამოგვეცხადოს იმ ბუნდად ნაგრძნობ
მაღალთა არსთა წინარე ხატად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჟერად წარმოდგენილი ხუთი ე. წ. „დიდი პიენი“, შეიძლება ითქვას, გვევლინება ჭაბუკ გოეთის ყველაზე მნიშვნელოვან ლექსებად, რომელთა დედაზრი მათს კონტრასტულ, მაგრამ განუყოფელ ერთიანობაში ვლინდება სრულად.

თანაც ამ ჰიმნებში საგანგებოდ ცხადდება გოეთის მთელი პოეზიისა და, უფრანერეს ყოველისა, მისი ლირიკის ესთეტიკური ძალის ერთიერთი მთავარი მსაზღვრელი: იდეურ-ემოციური შინაარსისა და მსატვრული ფორმის გასაოცარი ურთიერთშესაბამისობა: ჰ. ა. კორფის მოსწრებული თქმისამებრ, „ამ ჰიმნებში რიტმი ისე მჭიდროდ ეკვრის აზრთა და გრძნობათა მიმდინარე ნაკადს, როგორც სველი სამოსელი ტანს“.

ამავე დროს, ეს ლექსები, როგორც ჩანს, ყველაზე უკეთ ცხადყოფენ გოეთის შემოქმედებითი გზის ორ არსებითად განსხვავებულ მონაკვეთად, — ადრინდელ-რომანტიკულ და გვიანდელ-კლასიკურ პერიოდებად, — დაყოფის მთელ პირობითობასა და უკმარობას. სამმე იმდენად ის კი არაა, რომ ამ ტიპის ჰიმნებს, რომელთაც ჩვეულებრივ „ღრმული“ თემატიკის ანუ ფილოსოფიური პრობლემატიკის გამოსახატავად იყენებს, გოეთე თითქმის მუდამ, მეტადრე კი სიკმაუყისა და მხეცოვანების წლებში წერს, რამდენადაც თავად ამ პრობლემატიკის ხასიათი, ის გარეშეა, რომ უკვე ამ ადრინდელ ჰიმნებშია ერთიმ მკვეთრად გამოვლენილი ბრძენი პოეტის ფაუსტური მრწამსი, რომლის მთავარ ასპექტთა გაღრმავება-გაფართოვებას იგი ბოლომდე არ შეშვებია.

— „**პრომეთეუსი**“ (Prometheus. 1774 შემოდგომა). პირველად 1785 წელს და გოეთესთვის უკითხავად მისმა მეგობარმა ფრიდრიხ ჰაინრიხ იაკობმ გამოაქვეყნა თავის წიგნში „სპინოზას მოძღვრებისთვის“, სიიდანაც ისიც გახდა ცნობილი, რომ იმავე იაკობის 1780 წელს ეს ლექსი. ლესინგისთვის უჩვენებია, რომელსაც წაკითხვისთანავე ასე აღუნიშნავს ისი მათეისტური დედაზრი: „თვალსაზრისი, რომლიდანაც (ეს) ლექსია წარმოდგარი, ჩემი საკუთარი თვალსაზრისია... Hen kai pan*. მეც სხვა არაფერი ვიცი. ლეგსიც აქეთკენაა მომართული და, უნდა ვალიარო, ძალიან მოეწონს იგი“. ამ დედაზრის, რომელიც ლექსს ფილოსოფიურ სარჩელად დაედო, ე. ი. უშუალოდ არაა მასში წარმოჩენილი, ამგვარად აკონკრეტებს ჰ. ა. კორფი: „...პრომეთეუსის ღვთისმებრძოლეობა მისი საკუთარი, შინაგანი ღვთაებრიობის გრძნობიდან წარმოსდგება... ტიტანის არსებაში ღვთის ჭეშმარიტი ძე უმზედრდება ღმერთს, ადამიანური სულის ღვთაებრიობა უპირისპირდება ღვთისადმი მისი მონობის იდეას... ადამიანის სული, რაკი თავადვა ღვთაებრივი, თავისუფალი უნდა იყოს, (ანუ) საკუთარი ღვთაებრიობის შეგრძნებამ უნდა აუმბედროს იგი ღმერთს, რომელიც თავისი მცნებებითია და აკრძალვებით მას შიგნიდან ბოჭავს... ამიტომაც, პრომეთეუსი ღმერთს კი არ ეარაჯოვნს,... არამედ ღმერთის ვვერდით საკუთარ ღვთაებრიობას ამტკიცებს, ხოლო ამ უკანასკნელის ძალით მისგან თავის დამოუკიდებლობას იმის მიუხედავად იცავს, რომ თავისდათავად იგი მასზე ძლიერი შეიძლება იყოს... (და ამრიგად, გოეთისეული) პრომეთეესის დრამა ბვეველინება სულის ღვთაებრიობის სახელით აღმართულ რევოლუციად ღვთის წინააღმდეგ, ღმერთ-კაცის დიად ამბოხად მსოფლიო დესპოტის წინააღმდეგ. რომელიც თავისი თავის მუშეკობით ყოველივე სხვას აუღმერთო

ტივად გამოაცხადა და რომელსაც კაცთმოყვარე ტატანი, აყალიბებს რა მათ საკუთარი თავის მიხედვით, კვლავ ადამიანთა მოდგმას „უბრუნებს“, ვითარცა თვითარსობის, დამოკიდებულობა-თავისუფლების საწინდარსა და მათი ექსისტენციური ღირებულების საფუძველს.

იგივე ჰ. ა. კორფი ასე აღგვნს პრომეთეესის ჰუმანისტური ხატის ამ უმთავრეს, — ადამიანის აქმეკულნად გამაღმერთებელ ანუ მისი რეალური არსებობის მადგინებელ, — ასპექტს:

„კიდევაც ესაა პრომეთეესის ღვთისმებრძოლეობის ჭეშმარიტი აზრი — მას ფუქი ლოცვებით კი არ სურს თავის სასარგებლოდ კანაწყოს ღმერთები, არამედ — მამრული საქმით“, რომელსაც „ფუტლის“ განთქმული ფილოსოფი თეზისი კარნახობს: „თავისუფლებას და სიცოცხლეს ის იმსახურებს, ვინც განუწყველივ, დღენადაც, ამად ირჯება“; ხოლო „კაცთა სიბრძნის ამ უკანასკნელი სიტყვის“ დედაზრსაც ხომ „ იმის გამახვილება“ შეადგენს, რომ „ადამიანსაც ბაღია შემოქმედებათ უნარი“; ანუ, სხვა სიტყვით, ადამიანს სწორედ მისი შემოქმედებითი უნარი ათანაბრებს ღმერთთან და კიდევაც ათავისუფლებს მისგან: „რამეთუ შემოქმედად ყოფნა, არსებითად, ღმერთად ყოფნას ნიშნავს; ღვთაებრივის უღრმესი არსი მის შემოქმედებით უნარში ძევს და თავისთავად სულ ერთია, სად მეღავნდება ეს უნარი, კაცობრიობის საზოგადოდ შემოქმედებით ძალთამხეკელში ანე მის კულტურაში,— აკი პრომეთეესიც, უუნარეს ყოფილსა, კულტურის შემოქმედად გვეველინება, — თუ სპეციალურად შემოქმედების იმ უმაღლეს სახეობაში, სადაც პრომეთეესის ხატი ლექსის უკანასკნელ სტროფშია წარმოჩენილი, სახელდობრ, ქანდაკების დარგში, ე. ი. ხელოვნებაშ“.

როგორც ერიკ ტრუნეი აღნიშნავს, ამ უკანასკნელი მტეიცთ გოეთე გვეელინება განმანათლებლობის დროინდელი ესთეტიკური მრწამსის უშუალო მემკვიდრედ: ჯერ კიდევ ადრინდელი ინგლისელი განმანათლებელი ენტონი ეშლი შეფტსბერი წერდა, პოეტი „მეორე შემოქმედიაო, ჰეშმარიტი პრომეთეესიო“, მისგან ეს ეკლესიის თვალსაზრისით „მკრეხელური“ თეზისი იოჰან გოტფრიდ ჰერდერმა შეითვისა, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ შთაგონებული ჯაბუკი გოეთე უკვე 1771 წელს ამბობს თავის მეამბოხე თანამოაზრეთაგან გენიოსის „პროტოტიპად“ აღიარებული შეეს პირის გამო: „პრომეთეესს ექიშპეზოდაო იგი, რამეთუ მის მსგავსად რიგრიგად (Zug vor Zug) აყალიბებდა ადამიანებს, რომელთაც შემდეგ თავისი სულის შთაბერვით ერთიანად აცოცხლებდა“.

რაკი სიტყვამ მოიტანა, დავსძენ, რომ ღვთისა და ადამიანის, ვითარცა შემოქმედ-ხელოვანთა იდეენტურობის ეს პანთეისტური იდეა შეადგენდა ქეცეული დიდი ხელოვნების თემაც, კერძოდ, ოგიუს როდენის ერთ-ერთი უშშეენერესი ქანდაკება, რომელსაც „ღვთის ხელი“ ჰქვია, თიხისაგან კაცის მძერწავ მარკვენას წარმოგვიდგენს.

დასასრულ, მძაფრი პანთეისტური მსოფლგანწყობითვე განპირობებული, როგორც „პრომეთეესის“, ისე დანარჩენ აქ წარმოდგენილ ჰიმნთა სალექსო ფორმა, მათი თავისუფალი, ერთიანად შინაგან ექსპრესიას დაქვემდებარებული, საერთოდ „ხელოვნური“ მოწესრიგების ძნელად ამტანნი ფა, კერძოდ, რითმის ვერმგუეველი რიტმიკა.

ჯერ ერთი, სამყაროს „ღვთაებრიობის“ განცდა თავისთავად ბადებს ყოველივე „ბუნებრივის“ შეძლებისდაგვარად „ბუნებრივად“ ფასსაზიერებს არსებითად ნატურალისტურ ტენდენციას, რომელსაც ეუცხოვება ე. წ. „მკაცრი“ სალექსო ფორმები ანე ისეთი რიტმიული სტრუქტურები, სადაც ვერსიფიკაციის მტკიცე ნორმებით განპირობებული, კერძოდ, რეგულარულად მეორად თანაზომიერ სტროფთა კალაპოტში მოქცეული შინაარსი „ხელოვნური“ ორგანიზაციის, „ნაძალადევი“ ტრანსფორმაციის (რუსველეს ტყიაეთ რომ ვთქვთ, „გარდაფქმის“) საგნად იქცეეა. ამ ჰიმნებში კი აღნიშნული ტენდენცია საგანგებო ჩნდება, რამდენადაც მათ სუბიექტად თუ „ლირიკულ მგრაფ“ ე. წ. გენიალური „მე“, თავისი „ღვთაებრივი“ არსების სრულქალოვანების „შეგრძნ“ ნებით აღსავე ინდივიდი გვეელინება; მისი დინამიური ფა ლაღი, მარტოოდენ საკუთარი ვიტალური ენერგიით ფარგალდებული, მძლე ახრობრივ-ეფოციური ნაკადის სახით მიმდინარე „თვითგამოსახვა“ ადეევატურ სალექსო ფორმად იგუეს მხოლოდ „თავისუფალ“ რიტმიულ წყობას, სადაც ისეთი პირველადი „მაყალიბებელი“ ფაქტორიც კია მაქსიმალურად შერბილებული, როგორიც სილაბურ და ტონურ განმეორებათა სისტემაა, და მით უფრო ბოლოვადი რითმაა უუფდგებული, რომელიც, არ გვეელინება რა მარტო ფონეტიკურ საკაკუოდად, იმით იძენს სტრუქტურულ ფუნქციას, რომ რიტმული მწკრივის ბგერით დასრულებულობას გამოხატავს, რითიც რიტმული სისტემის „მეკრულობას“ ანუ „ხელოვნურობას“ ზრდის და გამოკვეთს.

წინამდებარე თარგმანებში გოეთეს ამ სათარგმნელად უძნელეს ჰიმნთა რიტმიკის გადმოკარიულებს არსებითად პირველი და, უთუოდ, მოკრძალებული ცდაა მოცემული.

— „განიმედი“ (Ganimed 1774 წლის ალბათ გაზაფხეზე). თავდაპირველად თავად გოეთემ გამოაქვეეყნა თავის „თხზულებათა“ 1789 წლისეულ გამოცემაში, სადაც უშუალოდ „პრომეთეესის“ გვერდით (შემდეგ) განუკუთვ-

ნა ადგილი, რითაც ამ ორი კონტრასტულად თუ „პოლარულად“ დაპირისპირებული ლექსის ერთიანობასაც გაუსვა ხაზი.

მომაქვს ამ კონტრასტული ერთიანობის ინტერპრეტაციის ორი, ეფექრობ, ყველაზე საგულისხმო ნიმუში.

ე. ტ რ უ ნ ი ს თანახმად, უკვე ამ ადრინდელ ლექსებშია გამოხატული გვიანდელ გოეთესათვის ნიშანდობლივი დიალექტიკური კონცეფცია „ჩემადგმენისა“ თუ „გათავისებისა“ (Verselbstung-ისა) და „სხვადგმენისა“ თუ „გასხვისების“ (Entselbstigung-ის) შესახებ, რომელნიც, ვითარცა „სისტოლა“ და „დიასტოლა“ (ზისუნთქვა--ამოსუნთქვა), ყოფიერების, — გარესამყაროსთან ინდივიდუუმის საარსებო კავშირის, — ძირითად ფორმად გვევლინება; ამ თვალსაზრისით, ღმერთს ამხედრებული პროფეტები გათავისებულ „მე“-დ გვეცხადება, ხოლო ღმერთს მინებებული განიმედი გასხვისებულ „მე“-ს სიმბოლოა.

ეს განმარტება აშკარად უკმარი ჩანს, რამდენადაც ამ ფაქტს უკლის გვერდს, რომ აქ ორი სხვადასხვა, ღ მ ერ თ ი ა წარმოდგენილი. ამიტომაც უფრო გამართლებული ჰ. ა. კ ო რ ფ ი ს ინტერპრეტაცია უნდა იყოს, რომლის თანახმადაც პირველი ჰიმნის ზეკანონია „ოიზმის მსოფლიო დესპოტი“, რომელსაც გმირი (დამიანთა საკუთარი სახით მძღრწვი პრომეთეევსი — ო. ჯ.) თავისი „მეტაფიზიკური თავისუფლებისათვის“ ამხედრებია, ხოლო მეორე ჰიმნის ზეკანი, ვისაც გაზაფხულის ეშხით მთვრალი განიმედი ვითარცა „ყოველის მეტრფე მამას“ მიეწდომა, გვეკლინება „სპინოზას Deus sive natura-ლ“;* ანუ ამ ორივე ლექსის საერთო იდეად გვესახება „ძველი, ბიბლიის მიერ სამყაროს მიღმა ყოფიერად აღიარებული ღმერთის შეამბოხური უარყოფა“ და „ნეტარი მიწდობა ახალი ღვთისადმი“, რომელიც „თავის ინდივიდუალურ ხატებს მხოლოდ იმას ავალდებულებს, რადაც მათში თავად ვლინდება, რათა შინაგანი თავისუფლების ის გრძნობა აღიქარის, რაც სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა (მათი) საკუთარი ღვთაებრიობის ნიშანი“.

ამ ინტერპრეტაციაში მხოლოდ პრომეთეესული თავისუფლების „ტრაგიზმურად“ გამოცხადება ჩანს უსაფუძვლო, — რამდენადაც სხ ვ ა თ ი თ ვ ი ს „ჩემი მიწის“ ხელშეუხებლობისა და „ჩემი ქოხის“ შეუვალობის მოტივი ამ თავისუფლებას, პირიქით, ყოველად კონკრეტულ, დიახ, სოციალურ-ისტორიულ შინაარსსა სძენს, — რის გათვალისწინებითაც და სხვა სიტყვათ ასედაც ითქმის:

ამ „ჯუფთ“ ლექსებში გოეთემ თავისი ჰუმანისტური მრწამსის ორი უმთავრესი ასპექტი წარმოაჩინა: პ ი რ ვ ე ლ შ ი — თავისი ხატ სრულფასოვანი და სუვერენული, თვითმარსენ. თავისუფალი, აქტიური და შემოქმედი ადამიანისა, რომელიც არავითარ გარეშე ანუ თავისადმი უცხო და მაშასადამე, ძალმომრეფ, მაიძულებელ მოქმედ „საწყისს“ არა სცნობს, დიახაც, რელიგიურ ღმერთს უარსყოფს, ვინაც ეთომცდა „თავის“ ქმნილებათაგან მარტოოდენ მონურ მორჩილებას, თვითგაარაფრებას მოითხოვს; ხოლო მეორეში — ამ ნამდვილი, კაცური კაცის ს წ ო რ ფ ე რ ი* ღმერთი, რომლისადმი მინებებაც“ მის უზენაეს შინაგან მოთხოვნილებას წარმოადგენს, რამეთუ სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა საკუთარი ბუნების „სიუკეთესო ნაწილის“, რელატურად განხორციელებული იდეალური არსების ვიწროდ-პირონული და, მაშასადამე, ნაკლოვან-წარმავალი ფარგლებიდან გაღწევას ანუ ყოფიერების უმაღლეს დონესთან მორიგ მიახლოებას, აბსოლუტურ სრულყოფილებასთან განახლებულ ზიარებას (იხ. „ნეტარი ლტოლვის“ დედაზრის გამოხატველი „მოკვდი და იქმენ!“).

„მეიტლ კრონოს“ (An Schwager Kronos). ჰაპეკ გოეთს ეს „უმშვენიერესი ლექსი“, როგორადაც მას კორფი მიიჩნევს, — მე ვიტყოდ: მისი „მერანი“! — გარკვეული თვალსაზრისით, გოეთეს მთელი ლირიკის კლასიკურად ტიპიერ ნიმუშად ჩაითვლება.

რა ხასიათიც არ უნდა ჰქონდეს გოეთის ამა თუ იმ ლექსს, წმინდად ემოციური თუ ღრმად მედიტაციური, მსუბუქად-სასმიდერო თუ სიზიმოდ-ჰიმნური, იგი ჩვეულებრივ ე. წ. Gelegen-

* „ღმერთი ანუ ბუნება“ (ლათ.).

* მეცარე განმარტება ამ საოცრად ღრმა და ლამაზი ქართული სიტყვის გამო: ჩვენს ლექსიკონებში „სწორფერობა“ მხოლოდ ფშაური „წაწლობის“ ხეკეკოურულ-თუშურ სინონიმადაა წარმოდგენილი და, მაშასადამე, ამ უკვე გარდასულ ეთნოგრაფიულ მოვლენასთან ერთად ჩვენი ცოცხალი მეტყველებიდან გასაკრობად გაწყრარული; მაგრამ ის იდეალური შინაარსი, რომელმაც ეს სიტყვა თავის დროზე „წაწლობის“, ამ ისტორიულად და ეკოგრაფიულად ვიწროდ ფარგალდადებული ტერმინის სინონიმად აქცია, — ქალ-ვაჟს შორის შინაგანი ნათესაობისა და ტოლფასობის საფუძველზე დამკვიდრებული თავისუფალი (ცოლქმრობის ყალიბ წესებით შეუზღუდველი) და ღრმა ურთიერთმოწყობაში აღსავსე სულიერ-ხორციელი ტრფიალის იდეა, — უფფუნის გვაძლევს და კიდევაც გვავალდებულებს მისი ამ საკუთრივი და ოდნაღელი მნიშვნელობით ვიხმაროთ, დიდებული ფილოსოფიურ-პოეტური ცნების სახით განვაალოთ და შევინარჩუნოთ ჩვენი ლექსიკური მარაგის ეს მარგალიტი.

heitsgedicht-ს, ე. ი. ამა თუ ამ „გარემოების“ გამო დაწერილ ლექს წარმოადგენს ანუ რაღაც კონკრეტულ-ცხოვრებისეული გრძნობისა თუ განცდის „გარდათქმად“ და, ამდენად, ჭეშმარიტად ლირიკულ ქმნილებად გვევლინება, რომლის ესთეტიკურ ფაქტურას, საბოლოოდ გარკვეული იდეური შინაარსის ხორცშესხმად თუ გაპობატულებად რომ გვესახება, პოეტის სუბიექტური განსაცდელი განპირობებს უშუალო იმპულსს, ცოცხალი „მიზეზის“ სახით.

ეს პიმნიე სწორედ ასეა წარმომდგარი: როგორც ამას გოეთეს მიერვე მიწერილი ქვესათაური მოწმობს, იგი 1774 წლის 10 ოქტომბრის დიაწერა, როდესაც პოეტი საფოსტო ეტლით ბრუნდებოდა მაინის ფრანკფურტში, საიდანაც ორი კვირის წინ კარლსუეემდე გაეცილა მასთან სტუმრად ჩასული ფრედრიკ გოტლბ კლოპშტოკი, მაშინდელი ევრმანული პარნასის მეუფე. ოღრო-ჩოღრო გზაზე ანტად მოჯაჭოვე ეტლში მჯდომარე ჯაბუკს ეს ელენტარული გრძნობა ეუფლება: რაც შეიძლება მალე გიაროს, როგორმე მოილიოს თავისი მომაბეზრებელი საკალი, თუნდაც მის ბოლოში ქვეყანაზეოს კარიბეე ელადებოდეს. ხოლო ის საფუძველზე წარმომდგარ ვენაილურ ექსპრომტში აღნიშნული ემოციური ფაქტი გრანდიოზულ სიმბოლოდ, ერთიანად მძლედ და ღონესეულად გასრულებული ცხოვრების საოცრად ექსპრესიულ ხილვადაა გარდაქმნილ-წარმოჩენილი.

ეს ლექსი იმითაც იწვევს ესთეტიკურ-თეორიულ ინტერესს, თუ როგორაა მასში შეკუმშულ-დაჭარბებული ლირიკული გმირის მოელი, — აწმყო და მყობადი — ცხოვრების მომავალი ობიექტური (ე. წ. „მოთხრობილი“) დრო, რომელიც სულ 42 სტრიქონის შემცველ 7 მაქსიმალურად ექსპრესიულ სტროფშია დატეული. აქ ყოველი სტროფი ამ ცხოვრების ახალ ეტაპს წარმოგვიდგენს, რომელსაც წინამორბედისაგან, სტროფებს შუა მდებარე პაუზის სახით, ერთი ასაკობრივ-თვისობრივი მონაკვეთიდან მეორეში გარდამავალი „ნახტომი“ ძევს *.

პირველი სტროფი ლექსის ექსპოზიციაა, სადაც თავისი დენე და უღიმღამო, „ჯაჭაჭა“ ყოფით თავგამეზრებული ჯაბუკი — სასიცოცხლო ენერგიით აღსავსე და სრულფასოვანი არსებობის მწყურვალე — პოეტი ცხოვრების შეაგულში მოელი ძალით შეჭრას, „შეგრილებასაკენ“ ნატრობს და მოითხოვს.

ეს ფენომენი იგი, დანტეს სიტყვებით რომ ვთქვათ, ცხოვრების პირველი ნახევრის მძიმე ალმასის შესხდომია და თავის მეგზურს, — დროის ღმერთად წარმოდგენილ კრონოსს **, — ისევ აჩქარებს, რათა მან დამძიმებული გზა შეუდრკომელად, მხნედ და ხალისიანად, მამრული სიმტკიცითა და სიმსუბუქით დაძლიოს.

მესამეში ცხოვრების მწვეველზე ასულ გმირი ყოველისმომცველი თვალით სწვდება გარშემო გადაწვლილ ქვეყანას, რომლის დიდებულებაში ყოფიერების უმაღლეს საზრის განკვეთებს, უკვდავი სიცოცხლის შეგრძნებით ალვსილ „ეროს“, ვინც მთელს არემარეზე განფენილა და ვის უსრულეს განცხადებადაც თავად გმირი, პოეტ-კაცი გვევლინება.

და მისი აღზევების ეს მწვერვალი ამავე დროს ცხოვრების ბარაქასა და მაღლს სრულად შეგვეგებსა და უზენაესი ნეტარების განცდის წამიაა, რის სიმბოლოდაც მეოთხე სტროფში „აქაფებული სასმელის“ მიმწოდებელი და „ეულითად-მომარჩენელი“ მზერით მაკქერაო ასული ჩნდება.

მეხუთე-მეექვსე სტროფებში კი გზის „მეორე ნახევარს“ აღმოგაჩენ თუ, სულელი, უკანასკნელ დიდმართზე დაშვებული გმირი მის გახანგრძლივებას კი არ ლამობს, არამედ დროის ეტლს კიდევ უფრო აჩქარებს, რათა საწუთროს ეს უანელესი მონაკვეთიც ღონისეულად განვლოს, ასე ვთქვათ, სულის ერთი მოთქმით მანამდე ჩაიჭიროლოს, ვიდრე სიცოცხლის ენინარ დაშრტება, ცხოვრების შნოსა და ლაზოს არ გაუცხოვებია და თავისი სრულ-ქმნილი არსებობის დიონისურად დაგვირგვინება ძალუძს, „ყოფნის“ სიუხვითა და ეშხით გამაღღარ-დამთვრალს შეუძლია სიკვდილი, ვითარცა საბოლოო შვება, დარბაისლური უდარდელობით მოიღოს.

მაგრამ ამ ლექსის სიმბოლიკას მეორე არსებითი ასპექტიც აქვს: ცხოვრების ალმა-დაღმა მთიანელი ოღრო-ჩოღრო გზა, რომლის სიმძიმე ზანტი „ჩორთით“ კი არ დაძლევდა, არამედ შმაგი „ჯარითით“ გადაილახება, გოეთეს ექსისტენც-ფილოსოფიის ერთ-ერთი უმთავრესი, სულაც ქვაკუთხური მრწამსია. ძის ფაუსტურ

---

* ამავე ხერხს გამოიყენებს გოეთე თავისი შემოქმედებითი მხცოვანების ხანაშიც, „ფაუსტის“ მეორე ნაწილის III აქტის ფინალში, სადაც ერთი პატარა სურათის მანძილზე გაიელვებს ფაუსტისა და ელენეს უდღეური ვაჟის, ევფორიონის, რომანტიკულ - გმირული ცხოვრება.

** თავისი, უკვე „პრომეთეესში“ გამოთქმული, თვალსაზრისის თანახმად, რომ უზენაესი განმგებელი, — როგორც ღმერთთა, ისე კაცთა მეუფე, — „ბედისწერასთან“ ერთად „დროა“, გოეთე ამ უკანასკნელს, ბერძნული „ქრონოსი“ (chronos-ის) ღმერთად წარმოგვიდგენს ქრონოს (Kronos-ს), ზეციურ, ბერძენთა მთავარი ღმერთის მამას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოქმას, შეიძლება ითქვას, ოდითგანვე არსებობის უფრო „პ ა რ ო ყ ე ლ ი“ ფორმა შეეცადამეება, ვიდრე „ალსიცისტური“: ცხოვრების არა პრომნეისია და სინშეიდის ნიშნით ალბეჭდილი, არამედ შინაგანი წინაალმდეგობებითა და დაძაბულობით ალსავსე ყოფაზე, დიან, უსწორმასსწორო, დაბრკოლებებითა და ფათურაკებით ათხრილ-დათხრილ გზად წარმოდგენა. რომლის ჯეროვნად, ადამიანის ღირსების შესაფერისად გადალახვა მხოლოდ კმირეულ ძალთა-ხმევის, ფაუსტურ სულის-კვეთებას ხელეწიფება. და ამ მხრივ კრონოსისადმი მიძღვნილი ჰიმნი, ჯაბეკ გოეთეს ეს ულრესი ალსარება, პირდაპირ ეხმაურება მისი ფაუსტის უკანასკნელ მონოლოგს, რომელშიც ძალმე ცხოვრებასეული განსაცდელით „გამოკეთდილ“ ბრძენკაცს ეშეშარტად ადამიანური მომავალი, როცა „ფახსნილ მოწამე თავისუფლად მოფუსფუსე ხალხი“ იცხოვრებს, სამოთხისდაგვარ ნეტარ საკენედ კი არ ესახება, არამედ ს ა რ ბ ი ე ლ ად წარმოედგენია, სადაც „ხიფათით გარემოცულ ყრმა, ეფეკალი და მოხუცი“ ბრძოლით „ბალეკს თავის დიდთა სისავსეს“.

ცხოვრების დღეთა სრულად ბალეკის ანუ მის სიძნელეთა მძლეველი ღირსეული, დიდ-კაცური პიროვნების ამ ფაუსტური იდეის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეშვიდე, დამამთავრებელი სტროფი, რომელშიც ჰიმნის დედაზრია ინტეგრირებული.

კომენტატორები სხვადასხვა მეტაფიზიკურ,— „ფილოსოფიურ“, — მიზეზებს ეძებნიან ხოლმე იმას, რომ „ბანიმდენი“ ღმერთთან „ცად“ ერთქმნილი მეხოტბე პოეტმა ამჯერად ჯოჯოხეთისაკენ დაიქნა თავისი გმირი; შესაძლოა, უფრო მარტივი და დამაჯერებელი ზემოთმოტანილი კონკრეტულ-ფსიქოლოგიური ახსნა იყოს: საფოსტო ეტლში მოჯაჯაცა პოეტის თავდაპირველი, „გამოსავალი“ განწყობილება უფრო ჯოჯოხეთს შეესაბამება. მაგრამ მთავარი ის კი არაა, თუ რ ა ტ ო მ არნია პოეტმა ქვესკნელი, არამედ ის, თუ რ ო გ ო რ „მიაგდო“ მან თავი ეს გმირი მის „უკუნ კარიბჭეს“.

გოეთის თანახმად, როგორც ეშმაკია ღვთის „სხვა“, ნეგატიური სახე, რომლის პირისპირადაც იგი თავის ბოზიტიურ ახსს ადგენს, ასევე ქვესკნელიც ზესკნელის პოლარული ნაირსახეობაა და ამდენად პრინციპელი მნიშვნელობა იმას კი არ ენიკვნა, თუ სად მოდგება ბოლო ინდივიდუუმის პიროვნულ არსებობას, — „ზემოთ“ თუ „ქვემოთ“, — არამედ იმას, თუ რა ხარისხობრივ დონეზე ერწყმის და ავსებს იგი ამსოლუტს: ღვთაებრივი სუბსტანციისაგან ვაუცხოვებულ-გაცლილი ანუ „გაარაფრებული“, თუ ღვთის სწორფური თავისი არსების მთელ სისრულეთია და ძალთა, ისე რომ მას „ყოველს მეტრფე“ შემოქმედიც როგორც სანატრელ „მეჯნურს“ მოიკვეს და ჯოჯოხეთის ძალნიც ბატივით ხვდებიან ვითარცა „თავდს“.

და დასასრულ: როგორც ყოველი ჭეშმარიტად მსატვრული ქმნილების, ეოეთეს ამ ფაუსტ-დევრის ძალაც იმდენად მისი „იდეური შინაარსით“ კი არაა განპირობებული, რამდენადაც იმ ფორმით, იმ სტილით, — პოეტური ხატოვნებით, ემოციური ენერგიით, რიტმიული ინტონაციით, — ისაზღვება, რომელიც ამ შინაარს ესთეტიკურ რეალობას სძენს. ამ ლექსის მთავარ სტილურ ნიშნებად, რომელებიც მის ლაიტმოტივს, — ცხოვრების გზის მძლე ტემპით გასრულების იდეას, — გ ა ბ ო ხ ტ ა ვ ე ნ, ვეეველნება: შინაგანი ძალის შეგრძნებით, ე. წ. „გენიოსური“ ტონით, ღაღი სიზვიადით გამსქვალული ენა, ხალხური ზეპირმეტყველებიდან ნასესხებ „უხეშ“ თუ „მაგარ“ სიტყვებსაც რომ არ ერიდება, და მეტადრე საოცრად დინამიური რიტმი, რომელიც მარტო „ნატურალისტურად“ კი არ შეესაბამება „დროის ეტლის“ სვლასა და „გზის ოელიეფს“, — დასაწყისში და „ალმართზე“ თითქოსდა „ჯაჯაყეთ“, წუკეტილად თუ ბიძგებით მიიწევს წინ, „მუწერავალზე“ ასული დინჯდება და მაღლდება, ხოლო ლექსის „ეთრე ნახევრიდან“, გზის დასალიერზე, თავადაც „თავქვე დაექანება“, ვიდრე ბოლო სტროფში ღირსეული აღსასრულის შესაფერისი სიდარბასლეთი არ შენელდება, — არამედ თავისი ენერგიის ძალით საგანთა ერთდაგვარ „დეფორმაციასაც“ კი ახდენს (მაგალითად, ცხენის „ჩორთსა“ და ეტლის „რახრახს“ ერთმანეთთან აკავშირებს *, რის ანალოგიითაც თარგმანში „ოღრონ-ოღრონდ ჯაჯაყაკ ეტლი“-ს ნაცვლად „ოღრო-ოღრონდ ჯაჯაყაკ ეტლ“-ც გაჩნდა), ანდა ერთთან, დაეანგეკრავედ „ნაკადად“ ამწკრივება სიტყვებს („ლაღად შორს მაღლა თვალი მოავლე მთიდან მთამდე ცხოვრებას ირგალეკ“); ყოველივე ეს ერთობ თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე, „ეექსპრესიონისტულ“ იერს აძლევს მთელ ლექსს.

— **„ცოცხრობის საზღვრები“** (Grenzen der Menschheit დაიწერა 1781-ა ანდა უახლეს წინაწლებში).

ეს ლექსი თითქოსდა უპირისპირდება წინა ჰიმნებს: თუკი „პრომეთეესსა“ და „კრონოსში“ ღვთის სწორფური „მე“ კაცნერად ო ტ ო ლ ე დ ე ბ ა ბსოლუტს, აქ პირიქით ადამიანის შესაძლებლობათა სიეიწროეზეა ლაპარაკი. მაგრამ სინამდვილეში ეს განსხვავება არამც და არამც არაა რადიკალური, თუმცაღა იმ არსებით კორეტივს კი გამოხატავს, რაც გოეთემ თავის მსოფლიოქმაში ადრინდელი ინ დ ი ვ ი დ უ ა ლ ი ს ტ უ რ ი განწყობილების ძალეკეთ უკვე ამ დროისათვის შეეტანა.

ამ კორექტიეის აზრი ისაა, რომ ადამიანი პიროვნულად კი არ უტოლდება. არამედ თავი-

* სახელდობრ: ორიგინალშია der rasselnde Trott (რახრახ ჩორთი), რაც თარგმანში „ჩორთით რახრახად“ შეტრიალდა.

სი არსით, „ენტელექიით“ ენთვლებედა ღმერთს, ეფრძოდა, მხოლოდ გვაროვნული არსების სახით, „კაცობრიობას“ შერწყმული ეზიარება ღვთებრივ „უკვდავებას“, წარუდგინებლობასა და სიდიადეს.

სხვა სიტყვით: უკვე აქ ჩნდება მკვეთრად გვიანდელი, „სრული“ გოეთესეთვის ესოდენ ნაშნდობლური იდეა, რომელიც „დასავლეთ-აღმოსავლური დიენისა“ და „ფაუსტის“ შემოქმედს „დასავლურ“ (ქრისტიანულ) მისტიკას აშორებს და „აღმოსავლურთან“ (ბუდისტურ-სუფისტურთან) აახლოებს: თუკი დასავლეთელი მორწმენე ამაკრად ეგოისტურადაა განწყობილი და პირად უკვდავებას მოითხოვს კატეგორიულად, — შესაძლოა, ეს მოთხოვნა ყველაზედ მძაფრად ლეგ ტოლსტოის, გამოეხატოს, რომლის „დღიურში“ (1863 წლის 6 ოქტომბრის თარიღით) ასეთი სასოწარკვეთილი წამოძახილი გვხვდება: „მგრამ მე არ მსურს სიკვდილი, მე უკვდავება მინდა და მიყვარს“, — გოეთესულ უფრო ღრმად და მშვიდად ითვისებს მხოლოდ ცხოვრების წარუდინებლობის, არსებობის უწყვეტლობის, სიცოცხლის უკვდავების რწმენას, რომლის ფორმულადაა ჩამოყალიბებ თავის ანთქმელ „მოკვდი და იქმენ!“-ს.

ხოლო აღნიშნულის შუქზე ამ ლექსის სათავერად გამოტანილი დედაზრი ასეთი ჩანს: ცად ეზიდეული კაცი მაღალია, მაგრამ უმკვიდრო, მიწას დაფუძნებული მძლავრია და: მყარი, ოღონდ დაბალი, ე. ი. ერთიცა და მერეც დაშორებულია ეშეშარიტ სისრულეს. რიშლის არსებაც, ჩვენი შოთას ანალოგიურად რომ ოქვას, ფართოა და გრძელი; ანე მხოლოდ მაშინ ეშლება ადამიანური ღვთებრივისაგან გამყოფი საზღვრები, — ადამიანური იქ სრულდება ღვთებრივად, ხოლო ღვთებრივი იქ ხორცილდება ადამიანურად, — როდესაც კაცი თავისი არსებობის ეიწროდ-პირადული რკალის გარღვევას ახერხებს და გვარივნეულ-საკაცობრო ყოფიერების დონეზე მიადგება. სწორედ ეს ძნელად — მხოლოდ ტრაგიკული გამოცდილების საფეხველზე — მიღწევადი მეტამორფოზა, ადამიანის თანაადამიანად გარდაქმნა. შეადგენს გოეთეს ფაუსტის მიმდევ ცხოვრების უმაღლეს მონაპოვარსა და უღრმეს საზრისს.

— ღვთაებრივი (Das Göttliche) დიაწერა 1783 წელს, ხოლო 1785-ს იმავე ფ. ჰ. იაკობის „პრომეთეევსთან“ ერთად გამოაქვეყნა, როგორც გოეთეს „სპინოზიზმის“ ანუ პანთეიზმის ნიმუში. მოეხდებადად იმისა, რომ თავად გოეთეს არაფერი უთქვამს ამ ინტერპრეტაციის საწინააღმდეგოდ, — 1785 წლის 11 სექტემბრის წერილში პოტტის მხოლოდ ის უსაყვედურა თავის მეგობარს, რომ მან საზოგადოებისათვის ეს „უსიამოვნო“ თვ, სულაც „საძრახი“ (ärgerliches) ლექსი მისი სახელით გამოაქვეყნა და არა ისევე ანონიმურად, როგორც „კიდევ უფრო საძრახისი“ (noch ärgerlicheres „პრომეთეევსი“, — კომენტატორთა ნაწილს (მაგ., ე. ტრუნს�g) მიაჩნია, რომ სპინოზას თუ ღვთაების მსოფლმხედველობასთან ამ ლექსს „არსებითად არაფერი აქვს საერთო“. ეს თვალსაზრისი, რომელიც ჩვენს ადრინდელ (30-იანი წლების) გოეთეანაზეც შეიმჩნევა, იმ „არგუმენტს“ ეძებრება, თითქოსდა „პრომეთეევსის“ ტიტანერ ტრიანთმეგმიზელობასა და მეამბოხეურ განწყობილებას აქ „სრული წინააღმდეგობის“ სახით ენაცვლება „თვითდასაზღვრისა და ზნეობრივი თვითაღზრდის იდეა“ (იხ. გოეთეს თხზულებათა რუსული საიუბილეო (13-ტომიანი) გამოცემის ტ. 1, გვ. 566).

სინამდვილეში კი, პირიქით, ამ ორ ლექსს შორის ორგანული მსოფლმხედველობრივი ერთიანობაა: „ღვთაებრივი“-ს იდეალური, ზნეობრივი ადამიანი, რომელიც შთამგონებელ ნიმუშად ევლინება ჩვეულებრივ მოკვდავ, სწორედ იმით ალმატება „ბუნდად საკრძნობ მაღალ არსებათ“, — ბრმად, განურჩევლად მოქმედი ბუნების იდექალ ძალებს, წარმართ ბერძნულს „ღმერთებად“ რომ წარმოდგენთან,— რომ პრომეთეევსის უმთავრეს, თავდაჩრილელ ღირსებას ითვისებს: თავს „სხვათათვის“ მზრუნველ და მოღვაწე, დიახ, „კეთილშობილ, ქველ და კარგ“ არსებად იჩენს.

ოღონდ, რასაკვირველია, იდეალური ადამიანის „ღმერთებზე“ ეს ამაღლებულობა აქ სააზრევეთა უკვე არა „პრომეთეევსი“ გამოხატულ ინდივიდუალისტურ ასპექტში, არამედ ამ ზემოთადნაშნული არსებითი კორეტეკის თანაბამდ, — პიროვნული „თვითდასაზღვრის“ იდეის შესაბამისად, — რაც კაცის ღმერთთან სწორფერობის გოეთესეულსა კონეფფციამ „კაცობრიობის საზღვრებში“ განიკადა.

თანაც ეს აღმატებულობა, რომლის მაქსიმაცაა: „კეთილშობილი იყოს ადამიანი, ქველი და კარგი“, აშკარად იმაზე მეტს ნიშნავს, რაც ჩვეულებრივ „კეთილის“ და „სათნოს“ ცნებებში იგულისხმება, სახელდობრ, არა მარტო უბორეტო გამწყობილებას, თუნდაც წრფელ, მაგრამ ესეიერ თანამშრომელებს, არამედ — რეალურ სიკეთეს, მართებულად და ჭკვიანად გარჯას, ქმედით სიკარგეს („დიუწრომელად ექმნას სარგო, ექმნას მართალი“), რაც „კარგი“-ს Gut-ის) ცნების ძირითად ნაზეზენელობას (Grundbedeutung-ს) შეადგენს და, მაგალითად, „ფაუსტში“ (109 — 110) გოეთეს ასე აქვს გამოხატული:

„კაცს, თუკი მარჯვედ სურს ვთესარგოს,
ხელსაწყო ეპყრას საუკეთესო“. *

* იხ. P. Fischer-ის Goethe-Wortschatz. Leipzig. 1929, S. 312.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენმა ვ ა ე ფ ა მ ასეთ კაცს „კ ა ი ა ნ მ ა“ უწოდა, რომელიც ვითარცა მოქმედი, დიან, მებრძოლი კაცობრიულად დაუნდობელად მტრობს „სადიაცე“ ექსისტენციალისტებს, „ღამე მაძღრები (რომ) დასწყდებიან, დილით (კი) მშიერები სდგებიან“, მხოლოდ „თავის ჯამს რომ ჩასცქერიან“, ხოლო „საქვეყნოდ არც რის არ გამასდგებიან“; ანუ, მისი გაგებით, „კაი ყმა“ ისაა ვინც „ადამიანობაზე“ თუ „პატიოსნებაზე“ ლაყბობის ნაცვლად საქმით ირჯება „თემ-სიფლისათვის“ და „(იქა დგას) ხმალ-ამოწყდალი, საც ძალა აღმართს ჰკვლავდეს“ და „გაბეჩავებულ სიმართლეს უსამართლობა სძალავდეს“.

აღნიშნულს გარდა, ეფიქრობ, ეს ერთი მოტივიც საჭიროებს განმარტებას: „ოდენ კაცს ძალუძს შეუძლებელი...“

ჭერ-ერთი, აქ ადამიანის, როგორც „სულიერი“ ანუ ცნობიერ-ნებელობითი და ზნეობრივი არსების, სპეციფიკა იგულისხმება: ყოველივე არსებულის დარად იგი კი ემორჩილება ყოფიერების „მატერიალურ კანონებს“, მაგრამ ე. წ. „უსულო“ თუ „ქვეადამიანური“ (untermeuschliche) ბუნებისათვის „შეუძლებელი“ ძალუძს, სახელდობრ ყველა მხოლოდ „ბუნებრივი“ არსებისაგან განსხვავებით ამ მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა ს უმაღლეს დონეზე უცვლის ხასიათს, ვითარცა გარჩევისა და არჩევის ანუ შეფასების უნარით აღურვილ ქმნილება თ ა ვ ი ს უ ფ ლ ა დ განახორციელებს (ჰ. ა. კორფი). ამ იდეის სრულ გამოხატულებადაც გოეთე თავის ფაუსტს წარმოგვდგენს, რომლის სულიერი ევოლუციის არსს ფსიქოლოგიურ-ეთიკურ ასპექტში ის შეადგენს, რომ ღვთისადმი „ბრმა მორჩილების“ დიდმატს ამზედრებული, იგი საბოლოოდ ღვთის „თვალხილულ“ მსახურად ყალიბდება ანუ სტოიკურ, „ბრმა“ ბუნებაზე „მეწს ღმერთად“ მაღლდება.

და მეორეც: მართალია, ბუნების „უგრძნობელობის“ ანუ განურჩევლობის პოტენციალურ ჩანს, ბიბლიური პირველწყაროს აქვს, — მაგრამ სახარებაში წერია: „რაჰეთუ მზე მისი (ღვთისა — ო. ჯ.) აღმოიყალ ბოროტთა ზედა და კეთილთა, და წვიმს მართალთა ზედა და ცრუთა“ (5,45) — მაგრამ თუკი ევანგელისტი ღმერთს მისაბაძად უთვლის ამ განურჩევლობას, გოეთე, როგორც კორფი კარგად შენიშნავს, „უკუღმა ატრიალებს ამ ძველ აზრს“: ბუნების „უგრძნობელობაზე“ ამაღლებას მიიჩნევს იმ უპირატესობად, რომლის ძალითაც უკვე ადამიანი კი არ გვევლინება ღმერთის თუმცაღა უმაღლეს, მაგრამ მინც ო რ ე ულ ა დ, არამედ, პირიქით, ღმერთი გვესახება „კარგი“ ადამიანის მიხედვით საარზებელ და წარმოსადგენ სიმბოლოდ („და ჩვენც თაყვანს ვცემთ მარადყოფიერთ, თითქოსდა იყონ ადამიანნი“) ანუ „კეთილშობილი ადამიანი“ გვეცხადება „იმ ბუნდად ნაგრძნობ მაღალა არსთა წინარე ხატად“.

და დასასრულ, მრავლის მეტყველი პარალელის სახით აღვნიშნავ, რომ ალეგე თავისებურად, თუმცაღა სხვა კონტექსტში, — ღვთისა და ადამიანის შეუპირისპირებლად, — მაგრამ არსებითად გოეთესებურად ასდგენს ამ ბიბლიურ მოტივის „ადაპტაციას“ იგივე ვაკა, როცა ასე წარმოგვდგენს თავისთავში „უფლის“ დარად თვითარს ბუნებას:

ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეშავს,
ზოგჯერ მწნელია ავისა,
ერთფერად მტვირთველი არას
საქმის თეორის და შავისა;
სიცა პირიმზეს ახარებს
იქვე მთხრელია ზავისა...
მაინც-კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ჰკავისა!..

„ღამე მთაში“

თარგმანი და კომენტარი **ოთარ ჯინორიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნ ა ბ ა ჯ ვ ე ვ ი

არმაზ სანებლიძე

# მარტი: ლიონი-პარიზი

Я жил чересчур мало, чтобы выписать правильно и подробно частности.
Я жил чересчур мало, чтобы верно дать общее.
В. Маяковский «Мое открытие в Америки.

## ალიარება

მიზეზთა გამო ლიონის საერთაშორისო ბაზრობაზე ჩასვლა დამაგვიანდა. პრესის მეშვეობით გავიგე ის, რისი მონაწილეც თავად უნდა ვყოფილიყავ. (ვინ იტყვის — ბედი ჰქონიათ). პირველი ჩანაწერი რეპორტიორის ბლოკნოტში „პრავდაში" დაბეჭდილი კორესპონდენციის მოკლე შინაარსია:

საერთო ეზრით ლიონის 1975 წლის გამოფენა-ბაზრობაზე წამყვანი ადგილი საბჭოთა კავშირს უკავია. ემონაწილეობთ მეცხრედ. 3.500 კვადრატული მეტრის ფართობზე, 5.000--მდე სხვადასხვა საბჭოური ექსპონატია გამოფენილი.

ტრადიციულად რიმელიმე მოკავშირე რესპუბლიკა მონაწილეობს ბაზრობაში ცალკე ექსპოზიციით. წელს ეს პატივი საქართველოს ხვდა.

17 მარტს უდიდესი წარმატებით ჩატარდა საბჭოთა კავშირის ეროვნული დღე...

**ბოლოდროინდელ ბიზნეზდგელობა.** წყაღლგარეული მელნის ფერი ხღება ცა და სტიეარდესა დასაფრენად მოემზადეთო, გვაფუწყებს დინამიკებიდან.

ღმერთო მომკალი, და ზემოდან ძალიან ჰგავს პარიზი თბილისს. თითქოს: რუსთაველის გაჩირაღდნებული პროსპექტი, ბარათაშვილის აღმართი, აეროპორტისკენ გაკეთილი გზა — ნათურების გრძელი ჯარი — ბოლოში მორკალულია... ილუზია სრულია და მეპატიოს ეს შემდარბედური პროვინციალიზმი.

დათოვლილ მიწას მკლავებში მოეკვეა, ჩვენს დასანახად ხელში აეტაცა თბილისურად. მოკიაფე პარიზი — თეთრქუჩქმოსსმული ლამაზი ქალი და ვინ იცის, რა უფრო გვიზიდავდა ორლის ბეტონის ბილიკებისაკენ — დედამიწის მბიზიდულობა თუ „მოლოდინის მიმზიდველობა" (ბოლ ვერლენი).

ილუმინატორებს მიკრული გაყუჩდა ყველა. გაურკვეველი და თბილი მელოდია გუნდრუკვით ეკმეოდა სალონს და მარცხენა ფრთაზე გადაწოლილი თვითმფრინავი უზარმაზარ წრეს ხაზავდა ქალაქის თავზე. ილეოდა წრე და ილეოდა მოთმინებაც ბინდს შერეული...

მწუხრში ლანდების დაკორწინების და ღამეს,
ქცეულს ტკბილ განსაცდელად,
თავს ევლებოდა ჩემი ოცნება, უსაზღვრო
ლტოლვა და გატაცება,
თვითა ტაატით და კვირეების მოუთმენლობით
სული წვალობდა
და მოელოდა ამ სიახლოვის მოახლოებულ
გარდუვლობას.
(ბოლ ვერლენი)

ნეონის ნათურებს გაერთიმათ ქალაქი, ლექსად აეწყოთ ქუჩების სტრიქონები, დატეხილ-ჩაზეფული პწკარები: ლექსად, რომლის შეგრძნება შეიძლება, ამოკითხვა კი არა.

მოფარებასავით თავს ევლებოდა თვითმფრინავი პარიზს. ქალაქს მეზობლისა და ბოჰემის, ტრიუმფალური თაღებისა და კლოშარბის, კომუნის სამშობლოსა და დასაღლეთ ევროპაში მუშათა მოძრაობის ერთ-ერთ უძლიერეს ცენტრს დღევანდელს; ჭრელ ქალაქს — გარეგნობითაც და სულითაც, ქალაქს, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც ერთი ნახვით ვერაფერს გაუგებ და თავის სიყვარულს კი გამოგაყოლებს უფუოდ.

მთის ავადმყოფობას ჩვენებია პირიზს მიახლოებული კაცის გრძნობათა აფორიაქება.

მერე კი — თვითმფრინავის ბორბლები მეტნს რომ ეკაკავის, მიწაზე ბრუნვება და მთელი ღღე ღიმილისაგან სახის კუნთებგადღლილი ოლის აეროპორტის მომსასტრე ქალიშვილები ფარს რომ ვეტყვიან — ლონის ბოლო რეისზე ბილეთები არ არისო, რეალური გარემოს კრიტიკულად აღქმის უნარი გიბრუნდება საკმაოდ სწრაფად.

მდგომარეობა კრიტიკული ხდება: ხეალ საქართველოს ღღეა ლონის ბაზრობაზე — მიზანი ჩემი ჩამოსვლისა და ჩაუსვლელობა საქმის გაცუდებაა უეჭველი.

ფაპირება, იმედიანი ლოდინი და მოულოდნელ ბედნიერებასავით ჩემი ვეარის სოცარად დამშხინჯებულად ამოკითხვა: ადგილი არის!

ეიდე ერთი საათი და ლონის აეროპორტში საბაეოს მუშაკის შეკითხვა:

— არაბეთიდან?

რა მიგავს-მეთქი, — დაბრუნებული კითხვა.

საბაეოში ბევრს არ ლაპარაკობენ, მოქმედებენ: ჩემი ჩემოდანი შუეულგამოფატული ღვეს.

მერე ამიხსნეს: ექსტრემისტების პროეაკციების არც თუ უსაფუძვლო შიში აქვთო ჭაეტ ხელისეფლეთ. თავადაც დაერწმუნედი შემდგომ, როდესაც ბაზრობაზე, სხვთაგან გამოცაკეგებულ დარბაზში ისრაელის გამოფენის (სუეენირები ერთ პატარა დახლზე, ქალების კაბებისა და საბანაო კოსტუმების გაყიდვა, რამდენიმე წიგნი და ფოტო) გვერდით ფრანგული პოლიციის ექსპოზიციასა და ზომაზე მეტად გაფაციცებულ პოლიციელებს რომ შევეფეთე. სუეენირების ისრაელ გამყიდველთა შეშფოთებული სახეებიც და ფაქტებიც — რამდენიმე ინციდენტს აქაც ჭკონდა ადგილი — მოწმობდნენ, რომ არ იყო სიმშვიდე ბაზრობის ამ კუთხეში.

ეს იქნება მერე. ახლა კი, როგორც გამსაზღრიალ რომანებში კარგი ეულაყის პატრონ სტუმართან თავის მოსაწონებლად ცხენს გიეაზე ხელს დაკრავს და რომელიმე განსაკუთრებულ თვისებას შეუქებს, ისე დაკარა ხელი ლეონელმა ტაქსის შოფერმა თავის ლუჩ# მანქანას და „აბა, რა გეგონაოს“ კიდოთი მითხრა:

—„ეეეთ“-დიზელ!

რა არის-მეთქი ამაში საოცარი და არანაუული?

არაფერიო. ბენზინი ისე ძვირად ფასობს, რომ დიზელის ძრავიანი მანქანა მისწრებაა პირდაპირ.

ე. ი. ყველა ამ მანქანაზე გადასეეა და ეგ არის-მეთქი.

ბარემაცო, მაგრამ მანქანა ღირს ძვირი, იგივე „ეეეთ“, ოღონდ ბენზინის ძრავიანი, გაცილებით იაფიათ.

მერე — ნაკლებსაინტერესო საუბარი მანქანების ორ მოყვარულს შორის რომ ვიმართეთ ბოლმე, დანიმრილი ტრასების სიმრავლე, ლეონის ღამეული პარკი — მოვლილი ტყე და ბოლოს გაეშმული სანაპირო, ყეიფელი ნათურები და მათი ანარეკლი მდინარის წყალში.

რონა.

რონასა და სონას შორის მოქცეული ლეონის სავიზიტო ბარათი თე ნამსასტერობის ნეხა რომ შეედგენათ, ალბათ ასეთი გამოვიდოდა: საფრანგეთის მესამე ინფუსტრიული ცენტრი, რონას დეპარტამენტის ცენტრი, ისტორიული ოლქის — ლეონეს მთავარი ქალაქი, ბალთა ეეძველესი დასახლება და რომის კოლონია, ასევე ძველთაძველი, ბურგუნდის ერთსაუკუნოვანი სამეფოს დედაქალაქი, ფრანგების მიერ დაპყრობილი, შეა საუკუნეებში საფრანგეთის შემოერთებული და კომუნის სტატუსმინიჭებული.

ლეონი უკვე XV საუკუნიდან ხდება ცნობილი თავისი აბრეშუმის წარმოებით. მართალია, ახლა აბრეშუმი თანდათან დავიწყებას მიეცა და ქსოვილთა ხელოვნურ წარმოებას დაეთმო ადგილი, მაგრამ მერე ძველმა ხელობამ — ეკერობამ გაშალა ჩხრები: 1420 წლიდან მოყოლებული ეწყობოდა აქ ბაზრობები და ლეონი თანდათან ერთ-ერთი მსხვილი ცენტრი ხდებოდა ევროპის ეკრობისა და კრედიტის. ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის ოფიციალურად ლეონის საერთაშორისო ბაზრობის ისტორია.

ლეონი — მეამბოხე ქალაქი. პროლეტარების პირველმა ამბოხებამ საფრანგეთში აქ ითვალა (1831 და 1834 წლებში), „ეკოცოლოთ და ვიმუშაოთ ან ბრძოლაში მოვკვდეთ!“ — ასეთი იყო მათი სამოტო ლოზუნგი.

ვერ იტყვი, ეამია სელის ბორბალს თავისი ალალი არ დეემჭნოს, გაზზე დიტოვეებინოს ლეონი.

ძველ ეეროპულ ქალაქებს განსაკუთრებული სიმძიმე მოჰყვება თიოქოს, სიმძიმე, რომელსაც ჩასული კაცი იმთავითვე ეგრძნობს. იქნება ეს ჩაშვებული კედლები ქათედრალებისა, ან საფლავზე წამიწოლილი სეედიანი ქანდაკებებია ამის მიზეზი, ან იქნება ეს, სიძველეთა სეიერიდან ამოღებული, ნაკრისფერი ცა გაცვეთილი ღრუბლებით, რომელიც ხეალ წამოგვეხურება ქალაქის: დათვალიერებისას და წვიმაგარეული ეიეი ქარი, მანქანიდან გადმოსელას რომ დაგვაზარებს. ან, იქნებ, გოთერ ნაგებობათა ეამდაკოული ჩუქურთმების ხვეულები. არ ვიცი. ერთია უეჭველი — ისტორიის სიძველე არაფერ შეაშინა: როდესაც იქვე, ლონში ძველის-ძველი რომაული თეატრის ნანგრევები მოვინახულეთ, საოცრად განათდა სული და შვებით ამოვისუნთქეთ თითქოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ესეც ეს განწყობილება მოვა ხვალ. ახლა კი ზომიერად რეკლამებჩარიგებული ქუჩებს მიეუფლებით და ტაქსის შოფერი, მასპინძლის უფლებებით აღფრთოვანები, ჩვეულ მოგალობას ასრულებს: მაძღვნე ესაა და მარცხნივ ისო. როგორც წესი, ამ დროს ვერაფერს იმახსოვრებ.

უეცრად მასლაათი, აშკარად ეტყობოდა დაღლა. მეც არანაკლებ დაღლილი ვიყავი და არანაკლებ მიჯირდა მისი ფრანგული გაგება. ისე რომ, ბარიბარში ვიყავით.

ნახევარ საათში სასტუმრო „ბრისიოტის“ ბოლო სართულზე მერცხლის ბუდესავით პატარა, სამკუთხა ოთახში გახლდით და ალ-ის კორესპონდენტები, მასპინძლად რომ მომელოდნენ, „იმედიანი შეორით“ მეუბნებოდნენ: ბალზაკის გარეშეოში მოხვდი და ჰა, ბეჭით და მოედანო.

თბილისის დროს გადაუჩეველი ღილის ხუთის ნახევარზე ეფეხე ვარ და ეს სტრეკონებიც „დამატებით სამეშო საათებში“ იწერება.

გარეთ, როგორც იქნა, გაიცალა ქალ...

ლიონის საერთაშორისო ბაზრობაზე ღღეს საქართველოს დღეა.

ფრანგი ჟურნალისტები ამ დღეს მეტყვიან: საბჭოთა პავილიონი ბაზრობის თვალია, საქართველოს ულამაზესი ექსპოზიცია — მისი მარგალიტია.

ჩვენი ექსპოზიციის მომწყობნი განსაკუთრებით შეაქო ლიონის პრესამ.

14 მარტს გაზეთი „ლე პროგრე“ რეპორტაჟს გამოფენიდან ანშლაგით ასათაურებს: „ლიონის ბაზრობა: ორი ქალის ნიკი საბჭოთა კავშირის პრესტიჟს ემსახურება. არქიტექტორებმა ანა შიტკოვამ და ნელი ქვარცხავამ გაარეულ და მორთეს საბჭოთა პავილიონი“.

გაზეთი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა მათ ნიკს, წერდა, რომ ისინი თავიანთი შემოქმედების წყაროს დიდი ხელოვნებიდან იღებენ და რომ ამაში დარწმუნდებოდა ყველა, ვინც საბჭოთა პავილიონს ეწვიოდა.

პირველი სტუმრები — ჟურნალისტები. უპირველესი, რაც ხაზგასმით გამოჰყვეს თავიანთ რეპორტაჟებში — ხალხთა მეგობრობის თემაა.

შესასვლელშივე, გამორჩეულ ადგილზე შეამჩნევთ პანოებსა და ფოტოსურათებს, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთობას ასახავს, — წერდნენ ლიონის გაზეთები, — მაგალითად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვალერი ჟისკარ დ'ესტენის შეხვედრა უმაღლეს დონეზე 1974 წლის დეკემბერში, რომელიც ასე შედეგიანი იყო ორივე ქვეყნისათვის.

ფოტოზე — პრეზიდენტი ედუარდ ერიო 1930 წელს მოსკოვში სტუმრობის დროს. იგი ერთ-ერთია იმათთაგან, ვინც საბჭოთა კავშირსაფრანგეთის მეგობრობის სათავეებთან იდგა, წერენ ჟურნალისტები. ომში ნაწრთობ მეგობრობაზეც წერენ, ესკადრილია „ნორმანდიანიემანის“ გმირულ გზას იხსენებენ.

სტენდები ახსენებენ: სტალინგრადი 1941 წელს — ნანგრევებში. სტენდები ჰყვებიან ისტორიას.

„ექსპოზიცია „ლაპარაკობს“ ორი ქვეყნის საბჭძოლო მეგობრობაზე“.

ისტორიაში ჩაბედვა არასდროს ყოფილა ზედმეტი და უსარგებლო...

**თვალადი ამეხილათ ლიონელებს.** მე არ ვერიდები ათასჯერ ნამარ სიტყვებს და ვამბობ: მოდიოდნენ უუწყეტ ნაკადად. ნაკადად, რომელიც შეტბორდებოდა ჩვენს პავილიონში, მორეკვივით დატრიალდებოდა — სტენდებს ჩამოუელიდა, შედგებოდა — შეკითხვებს დასვამდა და ახსნა-განმარტებებსა და პასუხებს მონდომებული ცნობისწადილით ყურს უგდებდა.

— ესენი ხომ ჩვეულებრივი ადამიანები ყოფილან! — ყურს მოეკრავდით ზოგჯერ, — ჩვენნაირები. — უკვირდათ თუ საკუთარი დასკვნების სისწორეში რწმუნდებოდნენ.

საქმე ის გახლავთ, რომ ერთი წლის განმავლობაში აქაური პრესა განუწყვეტელ ანტისაბჭოთა კამპანიას ეწეოდა. ცილისწამება, ფაქტების დამახინჯება, ჭორი — არ ერიდებოდნენ არაფერს. შინაგან საქმეთა მინისტრმა პონტოფსკომ ხომ „ყველა რეკორდი მოხსნა“: ფაშიზმი და კომუნიზმი ერთი და ოგივეაო (?!). ისე შეტაზეს, ისე ნაძირალობენენ, რომ ბოლოს მეთხეველები ყველაფერს მიხვდნენ: სისულელეა და მტკნარი სიცრუე! — დაასკვნეს.

ახლა მოდიოდნენ, უყურებდნენ, ისმენდნენ და კმაყოფილნი ბრუნდებოდნენ — ასეც ვიცოდთო.

ანა არაში, სიმპათიური ფრანგი ქალი, რომელიც ჩვენს პრეს-ცენტრს ეხმარებოდა (ღმა ბარათებს ჰყიდდა), ღღის ბოლოს ძლივს იდგა ფეხზე: საქმეს ვერ ავუდიეთ და შეკითხვებსო. მიაქვთ ლიონელებს საბჭოთა ბროშურები, ბუკლეტები, ჟურნალები. არც თუ იშვიათად ორ-ორი ეკზემპლარი — შვილს დავპირდი, ცოლმა დამიბარაო.

ერთი მოხუცი ქალი განსაკუთრებით დაამახსოვრდა ანა არაშს. დიდის მოწიწებით ითხოვა თურმე კიდევ ერთი ბროშურა: ვერ გავაწბილებ შვილიშვილს, საკუთარი ეგზემპლარი ენდაო რომ ჰქონდეს. და მერე მოჰყვა, თუ რარიგ აინტერესებს ახალგაზრდობას პოლიტიკა, როგორ ცდილობენ მეტი რამ გაიგონ საბჭოთა კავშირის შესახებ და, თქვენ წარმო-

---

**არმაზ სანეგლიძე**

ნარტი: ლიონი — პარიზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ადგნენო, ჩვენზე,** მოხუცებულებზე უკეთაც ერკვევიანო.

**ლაპარაკობდა** მოხუცი ქალი და ანა აროშს **მოთმინებით** ელოდა დიდი რიგი.

**ზოგადი პასუხები** არ აკმაყოფილებდათ, ეგ ხომ ვიციოთ და იმართებოდა პატარ-პატარა „ბლიც-კონფერენციები".

მარტო ანა აროში არ იღლებოდა დღის ბოლოს.

**ნახევარმთვარესავით** მორკალული მაგიდასთან ოთარ გიგინეიშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, აქ — გამოფენის მუშაკი, გულღია მასპინძელი თუ გაწაფული გიდი, რომელიც ადგილიდან არ დგება წიგნებსა და ბროშურებში ჩაფლული და მთელს საქართველოს კი მოატარებს დამთვალიერებელთან, რომლებიც აქ, მის გარშემო ყოველთვის ბლომად არიან. მომჭირნეულ და შერჩევით არიგებს ბუკლეტებს, ფოტოებს, ფოფოტებს და სახელდახელო ლექციებს შესაფერი ოპერატულოობით ატარებს.

მოდიან სტუდენტები, მოსწავლეები და **ამბათ** მასწავლებლები, მუშები, მოსამსახურეები და უკვე პენსიაზე გასული ლიონელები, პარიზელები, ბორდოელები, მარსელელები. ყველას თავისი ინტერესებს. კითხვები — ზოგჯერ უცნაური:

— ქართული ენა საბჭოთა ენაა? — შეკითხვა ერთი ქალაქელისაგან, რომელმაც ეს-ესაა ოთარ გიგინეიშვილისგან მიიღო ბროშურა „ქართული ენა".

ოროგორც ჩანს, მას აინტერესებს გვაქვს თუ არა ქართული სკოლები, წიგნები ქართული და ა. შ.

— პასუხად გულდაწყრა საუბარი საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის შესახებ.

**რა** არ იწვევს ინტერესს. ზოგჯერ სრულიად მოულოდნელი რამ იქცევა პირველწყარო თუ ბიძგი ინტერესისა.

თვალი ამბევსო და აკმეკსო და გემოენებით შესრულებული „ინტერესტის" სარეკლამო ფფიშები მოეწონა ორ, თავად მოსაწონ ახალგაზრდა ქალს.

**არ** მოგვეშვნენ: ან მოგვყიდეთ, ან გვაჩუქეთო. ვუხსნით: ექსპოზიციას რა ეეყოთ, ხომ მოშობშვდება ეედელი? ბოლო დღეს მოვალთო, დახუჭვის წინ და ნუ გაგვაწბილებთო. მაგრამ ბოლო დღე ჩვენი ექსპონატების მონრეალისაკენ გადანაცვლების დღედ იქცეგა და ვერც ამ თხოვნას ვეესრულებდით. მაშინ — ჩამოვალთო საქართველოში. მობრძანდით! ეკონომისტები აღმაჩნნენ სპეციალობით, რაციონალური ხალხი: რა ღირსი ბიეეთი, სასტუმრო რა დაგვიდებაო, კვება და ა. შ. და ა. შ. პასუხი მიიღეს, აქვე ინგლიშეს და აუეიელდად ჩამოვალთო გაგვიხადეს ერთსმად.

ერთი სიტყვით, აფეშიდან — ჩამოსვლის სურვილამდე, ცნობისმოყვარეობიდან — დაინტერესებამდე. ინტერესი და ადგილზე საკუთარი თვალით ნახვა, დარწმუნება კი ალფრთოვანებას იწვევს, რომელიც შთაბეჭდილებათა წიგნში ისახა ძახილის ნიშნებმიჩარიგებული ჩანაწერებით:

„გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!"

„ვაშა!"

„ბეოიკეტები და ალფრთოვანებული ვართ!"

„უაღრესად კმაყოფილი ეტოვებთ თქვენს გამოფენას. გისურვებთ წარმატებებს!"

„ გმადლობთ!"

უფრო დინჯი:

„იმისათვის, რომ უფრო ბეჭნიერად მეგრძნო თავი და უკეთ რომ გავცნობოდი საბჭოთა კავშირს, აუცილებლად მეჭირებოდა საქართველოს ნახვა და, აი, დღეს ლიონის საერთაშორისო ბაზრობაზე ამას მივაღწევ.

ტუნისის ელჩი ედი ბარუ".

და ასეთიც:

„ბასკები და ქართველები ერთი და იგივე ხალხის შვილები ვართ..."

**ლიონის** პარკის პავილიონში საქართველოს დელეგაციის პატესაცემად გამართულ ოფიციალურ მიღებაზე ბაზრობის პრეზიდენტმა, ლიონის მერის მოადგილემ ფრანსის კოლომმმა ამ საერთო მოწონების დასტურად ჩვენს ექსპოზიციას, ისევე, როგორც საბჭოთა პავილიონს, საიუბილეო ოქროს მედალი გადასცა. ეს ჯილდო სხვა არც ერთ ექსპოზიციას არ მიუღია.

ამ მიღებას ფრანგი ჟურნალისტებიც ესწრებოდნენ. იმავ საღამოს მათი სტეპრები ეიყავით. ირწმუნებოდნენ: ამ თაობის ჟურნალისტებს არ ახსოვთ, საბჭოთა პრესის წარმომადგენელი რომ მიეწვიოთ აქაური გაზეთების რედაქციებში. ჩვენ პირველები ეიყავით.

კარგი დიასახლისივით ტრიალებდა ამ შეხვედრის მასპინძელი: გაწაფული კაცის ოსტატობით ჭიდა და ალაგებდა პურსა და ხორცს, ძეხვეულს და ყველიულს (საფრანგეთში 365 ჯიშის ყველიაო, თითო დღეზე თითო მოდის წელიწადში — გვიხსნიდა თან), აწყობდა ვისკის, ღვინოს, შამპანიურის ბოთლებს, გვისხამდა, გვთავაზობდა — მიირთვით, მიირთვითო. ჩვენს დიდ აქტივობას რომ ვერ ხედავდა, ბუზღუნებდა, ასეთი დიდი ქვეყნიდან და ასეთი პატარა მადაო? მიპატიჟებს ყველა ჩრჩხი რომ ამოწურა, ტრაპეზიდ დაჯდა თავად და, მეპატიოს მასპინძლისათვის ლუკმის დაფვლა, თვალნათლივ, ასე ეთქვათ, მაგალითზე გვაჩვენა, თუ რა შეეძლიათ ლიონელებს (აღიარებულია, რომ აქაურები დიდი გურმანები არიან — პირველნი საფრანგეთში). შეეძლიათ კი იმაზე გაცლებით მეტი, რასაც ჩვენი ყველაზე უფრო გაბედული ფანტაზია წარმოიდგენს.

ნარიკატე იასონერ ფოლკლორში ცნობილი პერსონაჟია, ცნობილი იმით, რომ სუფრაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმართა მადის აღსაძვრელად იწყვიდნენ. შიმშილი აწუხებდა ნარიკატს და შეუზღუდავი ოდენობით შეიქონ საკვების მიღება. უთს არასტრს ამბობდა მიპატიჟებაზე და ყოველთვის პირნათად ასრულებდა „დაკისრებელ მოვალეობას“: მასპინძელიც კმაყოფილი იყო და სტუმარიც. ჩვენს ნარიკატს, სამუშაროდ, შრომა წყალში ეყრებოდა და ბუზუნებდა. ასეთი დიდი ქვეყნიდან ეკი ასეთი პატარა მადა...

შეხვედრა კი თავისი რიგით მიდიოდა. იყო გულახდილი დიალოგი ერთი პროფესიის ადამიანებისა.

ქალბატონი კოლეტი კაფანდარა, სიმპათიური ქალი (ცალი ლოყა დრო და დრო ნერვიულად უკრთის, მაგრამ ამ ნაკლს ქცევის სითბოთი ფარავს) განსაკუთრებით ინტერესდება ჩვენი რესპუბლიკით. კითხვა — მრავალი. პასუხიც ამდენივე.

— მაინც საკუთარი თვალით ნახვა სჯობს.

— რასაკვირველია.

— ყოფილხართ საბჭოთა კავშირში?

— არა, სამწუხაროდ.

— სურველი?

— ო, ძალიან დიდი. მაგრამ მოგზაურობის საშუალება მხოლოდ დიდ რეპორტიორებსა აქვთ...

— კი მაგრამ, ვინ გითხრათ, რომ თქვენ მათ რიგს არ მიეკუთვნებით?

— ფუმა.

ფული — შემოქმედების თუ შრომის საზომი? მაგრამ ვის აუწერია ჟურნალისტის შრომა? რა უფრო ძნელია: ნარკეკვის დაწერა თუ ოპერატიული რეპორტაჟისა? რომელს მეტი შემოქმედება სჭირდება, რომელს ნაკლები? ან იქნებ თანამედროვე ჟურნალისტური ორგტექნიკით აღჭურვა (მაგ.)ანა, მაგნტოფონი, დიქტოფონი და ა. შ.) წყვეტს ყველაფერს? მაგრამ ამასაც ზომ ფული სჭირდება.

ჭეშმარიტი შემოქმედების საზომი რომ სხვაა, ორივემ კარგად ვიცოდით. იგორ სტრავინსკის, თანამედროვე მუსიკის ერთ-ერთი მამამთავრის (შოიბერგთან და ვებერნთან ერთად) სიტყვები მოვიშველიე: „ორლინოვს ახლა უფრო მეტი რეგალური აქვს, ვიდრე ოდესმე, მაგრამ არ არის ბახი. მაშასადამე, საქმე რესურსების გაფართოება კი არაა, არამედ ადამიანები და ის, რისიც მათ სჯრნთ“.

სტრავინსკი მართალია, მაგრამ იქ, სადაც ჩვენ ვიყავით, მაინც რესურსები წყვეტს ყველაფერს, რესურსები ფინანსური ანუ ფული, რომლისაც სჯრნთ.

ქალბატონი კოლეტი ჩუმად იყო, სიჩუმე კი, ზოგჯერ ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტია, ყოველ შემთხვევაში, სუბრის დროს.

მაინც არ იწყვეტს იმედს ქალბატონი კოლეტი — ძალიან მინდოა ჩამოსვლა თქვენს ქვეყანაში.

„ლე პროგრე სუბარის“ ამ ხანშიშესულ რეპორტიორს კი შორეულ ქვეყნებში მოგზაურობის იმედი გადაწურული აქვს, იმითაც ცოცხლობს, რაც აქვე ვაიჩნია, — რაც ლიონში ზდება ან შეიძლება. მოხდეს (ფაქტები — ჟურნალისტის პერი). არც ისე ერთგულოვანი ცხოვრება, როგორც ჩანს. ძებნაა საჭირო (ფაქტები ქეჩაში არ ყრია) და დანაბიის უნარი. და, რასაკვირველია, კალამი არ უნდა მოგინლეგდესო. თორემ დანახვითაც დაინახავ, გაგებითაც გიიგებ და მეორეული პირში ჩალაგამოვლებული დაგიჩრეს მაინც. ამას კი ვინ გაპატიებსო.

აღფოთოვანებული იყო მოხუცი რეპორტიორი ჩვენი პაციენტისაგან:

— თქვენი გამოფენა ბაზრობის თვალია, საქართველოს პავილიონი — მისი ტრილიანტი, — ცოტა უცნაურად აყალიბებული ალმოსავლური სიუხვით გვამკობს და ამატებს, — ასე დავწერე და კვლავაც ეგრეეს დავწერო.

ამ ახალგაზრდა კაცს, ჟურნალისტს „ეკო ლიბერტედან“ რუსული სამყოფ კარგად უსწავლია და მთელს საღამოს გვერდიდან არ მეცილება: გესაუბრებითო. რუსულის მეცოლე ფრანგთან ფრანგულს გაბედავს კაცი. სუბრის მისი ნახევარი რუსული იყო, ნევი — ფრანგული და ვინც ამ ბილინგვა საუბარში ჩარევა დაიპირა, გაწბილებული გაბრენდა, ვერაფერი გიგო.

საიდან იცოდა რუსული? ამ რამდენიმე წლის წინ მოსამზადებელ კურსებზეკე ესწავლია სოუში, საკმაოდ კარგად დაუფლებია ენას. ზოგი რამ ჩვენზეც გიგო, სამწუხაროდ, საკუთრივ ტო საუბრებიდან. ამგვარად შეკმნილი მისი წარმოდგენების დარღვევისა და მისივე ცოდნის გაფართოებას საკმაო დრო დავუხარჯე...

შეხვედრა კი გრძელდებოდა, მრავალთემიანი შეხვედრა: ეროვნული ეკონომიკა და კულტურა, არქიტექტურა და თანამედროვეობა, ენა და სახელმწიფო, ჟურნალისტიკა და სადღეისო პრობლემები. მიზანი: ურთიერთგაცნობისა და ურთიერთგაგების კეთილი სურვილი.

**ფსიქიკაზე ეიმოქმედა, რომ უფრო დაგაკლა ალარაფერია.** ჩვენს პავილიონში ემიგრანტებს რომ შეეხვედებოდით, ეჭვი არ გვეპარებოდა. მოვიდნენ, ცოტანი, თითზეჩამოსათვლელნი, მაგრამ მაინც მოვიდნენ.

ორი დამამახსოვრდა.

პირველი. დაბალი, ჩასუქებული. მრგვალსახიანი და ლაფთაღალოფაენაანი. სამოც წელს გადაცილებული კაცი, რომელსაც ამკარად ეტყობა, რომ არც დღესაა მწყარალად ალკოჰოლთან. უფრო მარტივად: უყვარს სმა.

— საქართველოში დიდი შიშნილიაო, დამ-

---

**ირმაზ სანიკიძე**

**მარტი: ლიონი — პარიზი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყდარა ხალხი, — მეგრულად უქცევენ, სხვათაშორის ფრანგულად საუბრისასაც.

ვერ იტყვი, ცნობისმოყვარეობას იკმაყოფილებდეს, მით უფრო — სიმარილეს ეძებდეს. ეს „შეკითხვა“ უფრო ცინიკური თავხედობაა, გამომწვევი დემაგოგია. მაგრამ იმდენად პრიმიტიული, რომ არც არავინ აჰყოლია.

— ისევ ურმებით დადიანო საქართველოში. მანქანა არ იციან რა არის, მაგალითად...

ეს უკვე საინტერესო ხდება და, ცოტა არ იყოს, სასაცილოც.

— ვინ მოგაწოდათ ეს ცნობები?

— ამბობენ ასე არისო, ნამდვილად.

ერთი სული გაქვს საკადრისით მოიცილო თავიდან, მაგრამ არ შეიძლება — დამ-თვა-ლიერებელია, ანუ სტემარი.

რასაკვირველია, მას თავადაც არ სჯერა იმისა, რასაც ამბობს და კარგად ესმის, რომ ჩვენც ვხედებით პრიმიტიულ სურვილს გულღრძი კაცისა: წონასწორობა დაგვაკარგვინოს, კალაპოტიდან ამოგვგდოს, ერთი სიტყვით, პროვოკაციის კაკანთში ამოგვაყოფინოს თავი. მაგრამ ჩვენც რომ არა ვართ საამისო ჩიტები?

— ჰალიობრანით ჩამოხვედით? — „იკვირვებს“ ისევ და ახლა უკვე „საწყალ პროვინციელებს“ ქვეყანაშემოვლილი კაცის კილოთი საკუთარ შეხედულებას კაცობრიობის გამოცდილებად გვიწყალობს:

— ჰალიობანში როგორ ჩავედი! ჯერ არ ვმჯდარვარ მაგალითად სულ...

მიხვდა, რომ ეს მაინცდამაინც ვერაფერი ეროპელებმა იყო და სასწრაფოდ ატრიალა მოცვეთილი გრამფირფიტა, ერთსა და იგივეს რომ იმეორებს უაზროდ:

— საქართველოში შიმშილიაო, გაწყდა ხალხი.

ვეღარ მოითმინა ერთმა ჩვენთაგანმა, კიო, უპასუხა, სულ გაეწყვეთ და აგერ რომ გელაპარაკებით, იმ ქვეყანის ვართო, გაღმა გასულები, მარილზე.

არ ესიამოვნა.

გატრიალდა.

უნდა წასულიყო. არ წავიდა. წრიალებდა ჩვენს პავილიონში: ხან ერთ სტენდს მიაწყდებოდა, ხან მეორეს. მერე სისწრაფეს უკლო და დიდხანს ჩერდებოდა რომელიმე ნიმუშთან. ელმავლის მოდელს უყურებდა, უტრიალებდა:

— თბილისში აკეთებენ?

სჯერა? როგორ არ სჯერა და რაღაცას ებრძვის თავის თავში, წლობით ჩაკიოულს, ხავსმოდებულს, როგორც უძრავ ქვას გულზე დაწოლილს: სიახლის წყალმა ააგორა ეს ქვა თუ ლოდი და სინანულის სხეულმა ჩაღღწია აკვიატებულ აზრთა ქოტეტრ ერთობლიობაში. სიბნელეში მჯდარი უცაბედ სინანულს თვალს უხუჭავს, ხელს იფარებს, თანდათან ეჩვევა მერე.

ელექტრონეკა, როგორც ჩანს, მისთვის ჩნერი ანბანი ან კიდევ უარესი რამ იყო: ზეგზაგს იმოქმედა, მოაჯადოა შთაბეჭდილება, (ეგზაცის ინსი უფრო სჯერა, რაც არ ესმის), თბილისის კიბერნეტიკის ინსტიტუტის მიერ აქ გამოფენილმა გოლოგრამამ საბოლოოდ დაადნა: ვერაფერი გაუგო ლაზერის სხივით „გადაღებულ“ ამ „ფოტოს“ და სულ კედელს იქით ლამობდა გასვლას, ალბათ იქ დევს ნეფერტიტის ქანდაკია...

მეორე დღესაც მოვიდა, მესამესაც. დიდხანს დადგებოდა რომელიმე სტენდთან, იმდენად დიდხანს, რომ ძალაუნებურად იქცევდ ჩვენს ყურადღებას. თავისთვის იდგა, მიმტკიცებული და გაყუჩებული და მთელ დღეს რჩებოდა, გამოფენის დახურვამდე. სადღა იყო მისი „ამაღლებული ცინიზმი“ და „შეეღწეველი ამპარტანობა“? იყო მხლოდ საკუთარ მიწას მიწყვეტილი, უძირო და უფესვო, გაუბედურებული კაცი, რომელსაც ალკოჰოლი ეყვარდა.

მეორე. მაღალი, გამხდარი, კბილებაკცენილი. თვალებს აკეცავს და რომ იცინის, პირზე ხელს იფარებს. ნიშნიერი მიღერებს შეკითხვას:

— იციო, რას ნიშნავს პური?

— მგონი.

— არა, არ იციო.

— რატომ?

— იმიტომ, რომ თქვენ ტყეად არ ყოფილხართ. ერთი კილო პურისთვის სამშობლისაც გაყიდის კაცი.

— კაცს გაიჩნია.

შორიდან უვლის, შეგვამზაღებს, ასე ვთქვათ, და გვიყვება, თუ როგორ ჩაბარდა ტყეედ სალი და ჯანმრთელი, როგორ შეაწუხა შიმშილმა და როგორ გაყიდა ერთი კილოგრამი პურისთვის სამშობლო.

— თქვენ არ იციო, რა არის პური.

— სხვებმა ხომ იცოდნენ და არ გაუფიდიათ...

ქვეყარმავლის შეხებით გამოწვეული ზიზღი არაფერია ამასთან შედარებით. ეს უარესია, ვერგადმისაცემი: არა ლიტერატურული, არა სპეტაკლის მოქმედი პირი, არამედ რეალური გამყიდველი სამშობლოისა აგერ, შენს წინაშე დგას და შენ კი იძულებული ხარ მოუსმინო, რადგან იგი გამოფენის დამ-თვა-ლი-ერებელია...

ნუ გამოგაცდევენონთ!

ამ უაზროდ და უმიზეზოდ მომდიმარ კაცს ლაპარაკის საღირღილი აშლია:

კარგად ეცხოვრობო. მანქანა მაქვს და ცოლიც მყავსო (ცოლი აქვე, სკამზე ზის და ერთი სული აქვს მალე წავიდეს. დრო და დრო რაღაცას ახსნიგებს ენადგაკრეფილ საკუთარ მეუღლეს). თქვენი გაზეთები გამოწერილი მაქვს და ვკითხულობო. სოფელს იხსენებს და ცრემლს ღვრის. ტრიალებს, წრიალებს. რა სურს? ცოდვების მიტევება? ნუთუ იმდენად მიამტანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ინდუელოგენციების გამეცემები ეგონიკური? ვერიდებინო, უკან დაგვდეკს, რაღაც ფოტოებს გვჩრის თვალებში: ძაღლი წამოწოლილი, სახლი პატარა, მანქანა... ფილით ჩემი პატრონი რომ დამირეკავს და მეტყვის ამდენი და ამდენი პური, კარაქი, ყავა აქა და აქ წაიღეო, მიმაქეს... (ამისთვის გაყიდა სამშობლო — სხვის ლაქიად რომ დამდგარიყო).

ფოფელვარსკვლავიან ძმათა სასაფლაოებში წვანან ისინი, სქართველოს სინდისი და დიდება. ეს კი მიწაზე დაქეგზარმავლობს და ცოცხალი ჭგონია თავი.

იმ ნათელმა ბიუმემა შემინდონ, რომ სამშობლოს მოღალატე ვნახე: ცოცხალი, უენებელი, ქმაყოფილი...

როგორც იქნა წავიდა და ჩვენ კიდევ დიდ ხანს ვერ ვუყურებდით ერთმანეთს თვალებში...

**ალაპამს,** როცა გიწერიტებოდა დამთავლიერებელთა ნაკადი, ჩვენი პავილიონის მუშაკები წყლიდან ამოგდებულ თევზებს ჰგავდნენ. უძრაოდ ისხდნენ სადაც მოეხელთებოდათ — სკამზე, მაგიდაზე, ექსპონატზეც და ხმის ამოღების თავი არავის ჰქონია.

დირექტორის რესპენტაბელობა დაჰკარგოდა ანზორს სოკურაშვილს, ჩვენი ექსპოზიციის დირექტორს. თითქოს გვრის გასამართლებლად უფრო ჯანიანად გამოიყურებოდა ანზორი ჯიანი, მოადგილე მისი.

ქანცი უწყვდებოდათ, მაგრამ არავის დაუწუწუნებია — აღარ შემიძლიაო.

თავგამოდებით მუშაობდა ყველა: ლუდმილა გოგოლაშვილი, ზურაბ უგულავა, გურამ ჯაში, რომან მშეიდლიე, თამაზ ძაგანია.

დღის ბოლოს გამოირთვებოდა მოქმეელი მოდელები, თუ ნატერალური დაზვა-დანადგარები, რომლებიც მთელ დღეს ქუჩდნენ და ბობოკრობდნენ ჩვენს ირგვლივ. სიჩუმე მალამოდ მოგვეცხებოდა და ვიღაცას გაახსენდებოდა რაიმე საინტერესო ეპიზოდი ღღისა, მეორეს — სასაცილო, მესამე უკვე თბილისურ ანეკდოტს იტყოდა და კარგ განწყობილებას, როგორც ლონეელი მშობლები ჩვენს გამოფენაზე დაკარგულ და მერე ნაპოვნ შვილებს, ისე ჩავეიდებდით ხოლმე ხელს და აღარ ვიცილებდით საღამოს მორჩენილ რამდენიმე საათს.

აქ განმარტებაა საჭირო. საბჭოთა პავილიონში რამდენსმე ადგილს ფერადი ტელევიზიით გადასცემდნენ ხოლმე ნახატ ფილმს «Ну погоди!» ცივი ხალხიაო ლონეელები? უნდა გენახათ, რა სიცილ-ხარხარი იყო. პატარებს ერთი ფილმით ვერ დაკმაყოფილებ. ჩამორჩებოდნენ უფროსებს, ჩაცუცქდებოდნენ ტელეკრანთან და მოთმინებით ელოდნენ — კიდევ იქნებიო. შშობლები კი, ზრდილი შვილების წესიერებაში დარწმუნებულები, შშვიდად ადარქალებდნენ დათვალიერებას (ისინიც გატაცებულნი იყვნენ) და ბავშვებს რომ მოიკითხავდნენ, ყოველთვის როდი პოულობდნენ...

ამიტომ იყო, რომ გამოფენის შიდა ქსელით დრო და დრო აცხადებდნენ:

— პატარა ქანქები (პიერი, ანა, ფრანსუა...) ელოდება მშობლებს საბჭოთა პავილიონის დირექციაში.

პატარა ქანქეტა (პიერი, ანა, ფრანსუა...) საჩუქრებით დამშიმებული ისე გაჩყვებოდა ხოლმე მრისხანე გამომეტყველების მამას, თითქოს სახლში დათაფლული სიტყვების მეტი არაფერი ელოდა...

გამოფენის დახურვის ღღეს ჩვენმა **პრესკონფერენციამ** პრეს-კონფერენცია გამართა. ჟურნალისტებით აივსო დარბაზი. საუბარი. შეკითხვები. პასუხები.

გამოფენა-ბაზრობამ ჩვენი ხალხების დაახლოებაში რეგიანი წვლილი შეიტანა. საქმიანი კავშირურთიერთობა დამყარდა ფრანგულ ფირმებსა და საბჭოთა ორგანიზაციებს შორის, განმტკიცდა ეკონომიური კავშირები. დაიდო კონტრაქტები საბჭოური ჩარხების, კატარღების, ავტომანქანების გაყიდვის თაობაზე. საერთო თანხამ 8,5 მილიონ ფრანკს გადააჭარბა. ბაზრობის დროსაც გაიყიდა ჩვენი „ლადები", ფერადი ტელევიზორები.

ასეთი იყო საქმიანი ფინალი.

— რამდენმა დამთვალიერებელმა მონაწილეა თქვენი გამოფენა? — გვეკითხებიან ფრანგი ჟურნალისტები.

— ნახევარ მილიონზე მეტმა.

— კიდევ ოცი წელიწადი თუ დასჭირდება თქვენს ხელახალ მონაწილეობას ლონინს ბაზრობაში? — შემკითხველები გულისსმობდნენ იმას, რომ საბჭოთა კავშირი უკანასკნელად 20 წლის წინ მონაწილეობდა ამ ბაზრობაში.

— შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ შემდეგი-სათვის ღრო გაცილებით ხანმოკლე იქნება. — პავილიონის დირექტორის ვლადიმერ ლაბზინის ამ პასუხს მოწონებით ხვდებიან ლონინის პრესის წარმომადგენლები.

### ერთის ნახვით რას გაუგებ

Я борозжу Париж —
До жути одинок,
До жути ни лица,
До жути ни души.

В. Маяковский.

პარიზში მარტოდმარტო ხეტიალი, შთაბეჭდილებათა სიუხვის მიუხედავად (ან იქნებ სწორედ ამის გამო), საკმაოდ ძნელია. დადიხარ ქუჩებში, საკუთარი ფეხით სინჯავ ასფალტსა და ქვაფენილს, იკვირვებ სასახლეებს, დფიქრდები სფლავებთან, კითხულობ ძეგლების წარ-

---

**ირმაზ სანეიბლიძე**
მარტი: ლიონი — პარიზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერებს, აღიქვამ, აფასებ, აკვირდები. შთაბეჭდილებებით იმუხტები და იღლები. ამ დროს თითქოს თავდაკეს რომელიღაც რეფლექსი ჩაირთვება, გონების დამცველი, და მოგეძალება: — ეს ხომ ვიცი! ეიფელის კოშკი? ვიცი. ნაპოლეონის საფლავი? ვიცი. ლუვრი? ვიცი. და ა. შ. და ა. შ. თითქოს ნეიტრალური ხდება გარემოს მიმართ და ტურისტივითაა აკეცებ თვალს. უნდა დასძალო საკუთარი ნეიტრალობა, საკუთარ თავს მოერიო. ამ დროს უეცარი წამალია რეპპორტიორის ჩვეულებრივი ბლოკნოტი: პირველშთაბეჭდილებათა, პირველი აზრთა ჩანაშენა, ფიქსირება, ეინაიდან მეორე წუთს სხვა შთაბეჭდილება და სხვა აზრი გაგიჩნდება, რომელიც პირველს წაშლის.

აი, ბლოკნოტში ამგვარ ჩანაწერებს ვთავაზობ მკითხველს.

**მონმარტრი.** მონმარტრი საკრიკერის ეკლესიის ზარების რეკვით „აფრიკული“ სუვენირებით მოვაჭრეებითა და იაპონელი ტურისტებით დახუნძლული გვიგებება.

ბოლო წლებში აფრიკელი გამყიდველები და იაპონელი ტურისტები მომრავლდნენო სოცრად, რომც არ ეთქვათ, ალბათ მიეჩვევებოდი, რადგან უამრავს შეეხვედი ყველა „ტურისტულ ობიექტზე“ უკლებლივ: ლუვრის ეზოში ხომ ნამდვილი ბაზარი გიეწყოთ.

პლას დიუ ტერტრ — ერთი ხელისდადება მოეფანი — მოლბარტრებითაა სავსე. მოლბარტებით, დასახატი თუ დახატული სურათებით, მხატვრებითა და ტურისტებით. აქვე ხატავენ და აქვე ყიდიან. ხატავენ იმიტომ, რომ გაკადონ შეიძლება ვერ გავიგე, მაგრამ ამგვარი შემოქმედება ჩვეულებრივ კომერციას უფრო ჰგავს, ვიდრე ხელოვნებას. ბოჰემურობა მოდა ტურისტების მოსაზიდად თუ საარსებო ფულის საშოვნელად გამოყენებული.

თბილისელები გაიხსენებენ: ამ ოციოდ წლის უკან თბილისის პარკებში ერთი გამზდარი კაცი დადიოდა და ოც (თუ ორმოც) კაპიკად, თუ მოისურვებდით, თქვენს პროფილს გამოვიჭრიდათ შავი ქაღალდისან. ის კაცი და მისი ხელობა ახლა ალარავის ახსოვს. მონმარტრზე კი ფრიადი გასაცინი აქვს. უნდა გენახათ, რა სასოებით მიჰქონდათ ტურისტებს, კი არ მიჰქონდათ, მისაყვანებდნენ საკუთარ შავ პროფილებს. გამომჭრელებსაც ეგ უნდოდათ.

თუ გაქვთ დრო და ფრანკები, თქვენს ფერწერულ პორტრეტს დახატავენ. თუ ფრანკები გემეტებათ და დრო კი არა გაქვთ, ინებეთ პატრიზის ნებისმიერი ხედი.

**აქ კარგი ხანი შემოიჭრა** პოლიგრაფია: მრავალთასიანი ტირაჟებით ჩამობეჭდილი ნახატები იყიდება ყველგან: მონმარტრზე ცოტა ძვირი ღირს, ქვემოთ, ქალაქში — უფრო იაფი.

ეგზოტიკა ტურისტული და ეგზოტიკა ძველი, ვიწრო ქუჩებისა — პატარა სახლების ზედაბორა. ისევ შენს ფიქრებთან თუ წარმოდგენებთან უნდა დარჩე მარტო, ამ ქუჩებში უნდა მიდგე-მოდგე და იგრძნობ ძველ მონმარტრს, იმ სულს, რომელიც ამ ღარიბულ უბანში ტრიალებდა.

ერთ დროს მონმარტრზე ზვრები იყო გაშენებული, ჭერნდათ საკუთარი ყურძენი და საკუთარი ღვინო. ახლა სახლებს შორის ჩაკარგულ ერთადერთ შემორჩენილ ნაკვეთს თვალსაჩინეთ უფრთხილდებიან: ახლაც ხარობს აქ ვენახი. მიწას, მზეს და ტრადიციას თავისი გაქვს.

ახალგაზრდა იაპონელი ტურისტების ერთი ჯგუფი მოშნაურებულიყო და კიბეებზე ჩამომსხდარნი რომელიღაც თანამედროვე სიმღერას ზომაზე მეტად ხმამაღლა მღეროდნენ. ეღარენობდა გიტარა, იყიდებოდა მასობრივი ტურისტული პროდუქცია, რომელსაც მხატვრობა ერქვა და მყიდველიც და გამყიდველიც კმაყოფილი იყო.

**კლოუბარი.** საფრანგეთის ღიღებულ ადამიანთა პანთეონი პატარა მოედანზეა ლათინურ უბანში, სახლებს შორის ჩაქეღილი, მხრებგაშეშული. ცივი ქუჩა, ცივი პანთეონი, როგორც უყვდავების მარადისობა. იქვე. მრავალსართულიანი სახლის ფასადზე დიდი წარწერა-რეკლამა: „სასტუმრო პანთეონი“. იმავე შენობის პირველ სართულზე ჩაქირქილებასაცით — მაღაზია, რომელიც დაკრძალვისათვის აპირო ყველა მოწყობილობით ეკერობს: თუ „პანთეონში“ იცხოვრებ და ჭკუა ვეყო და აქვე გარდაიცვალე, ჯირისუფლებს შორს წასვლა არ დასჭირდებათ, აქვე იყიდიან ყველაფერს; შენც აქვე დაგასაფლავებენ — ორ ნაბიჯზეა პანთეონი. მარტივიო ყველაფერი, იეინიან პარიზელები...

მას არ ეკინება. გაეკინონა კი როდესმე? ან ადამიანებს რად ეკინებათ საერთოდ?

ტროტუარზე მხართეძოზე წამოწოლილა. აქ, ეიღებში დატანებული გისოსებიდან საეკლესიო სისტემის თბილი ჰაერი გამოაქვს და თბილი კლოშარს, თბილი უსახლკაროს, უსახეოლოსა და ყველასგან მივიწყებულ მაწანწალას, შეუახანს გადაკლებულ მამაკაცს, რომელიც მხოლოდ იმიტომ ცხოვრობს, რომ საკმელი იშოოს, სასმელიც სადმე, როგორმე. მერე ძაღლივით ჩაკუეცქეს ქუჩაში (სხვაგან არსად შეუშვებენ) და ბედნიერებასავით გაიგრძელოს ეკმის პროცესი. შემდეგ ისევ იწანწალოს ლუკმის საშოვნელად, გადმოგდებული ეპრის ნატეხისათვის მაღლობა უთხრას ბარების დამლაგებლებს და აქვე, ქუჩაში დაიძინოს (სხვაგან ვინ შეუშვებს). მე ვნახე გვიან ღამით ვაწუწულ და ვაოთშილ ლუკრთან სკამზე დაძინებული კლოშარი. არც რამ ეხეთა, არც რამ ეცვა თბილი; დაგლეჯილი ქუდი ჩამოფხატა და ეძინა ღია ცის ქვეშ, ქარების სათარეშოზე.

სანაგვე ყუთში ნაპოვნი ან ნაწყალობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუკმით მიაორივს სიცოცხლეს თავისას ამ ძმიმე და გაგრანარებულად ერთფეროვანი ცხოვ-ბობის დღეთა გაწელილ რიგში.

კლოშარი წამოწოლილა მხარეთქმაზე და მოხარშული კარტოფილ დიდ წვეულებაზე და-პატიჟებულის ირისტოკრატიული სიდინჯით შეექცევა...

იმ კვირის არეულმა ამინდმა უთუოდ რე-ზიუმეს გაკეთება მოინდომა: ჩამობნელდა, დაღამდა (სამრეკლოს საათი 12-ს რეკავს, შუა-ღამის თორმეტს), ჩამოვიდა წვიმა, ორწუთიანი. უცაბ დამძიმდა წვეთები — სველი თოვლი შე-ერია. ფანტელებად დაიშვა მერე. ესეც შეწყვა და წვრილი სეტყვით შეიცვალა, მოათეთრა ქუჩა. ჩამოსტეტყვა, დიიმეხა, დაიგრგვინა და თქვენი ჩამოიქცა ციდან, გაზაფხულის თავსხმა.

გზამოვრილი მაღაზიის შესასვლელს მივა-ღეგ. (— რა ენებავთ, მესიე? — ეს მაღაზიის გამყიდველია. გადაიღებს და ზვალ-მეთქი. არ გახარებია მაინცა და მაინც).

ამინდმაც ქნა უთუოდ თავისი, კლოშართან შეხვედრამაც, დაღლილობამაც და „სულსაც დაიწვიმა, როგორც ქალაქს". და პოლ ვერლე-ნის ლექსის სტროფნებს შეეფარე თავი (არა-ვის უკითხავს, რა ენებავთო, მესიე?)

აწვიმს მიწას და სახურავს
და შრიალით აივსება,
სევდა სულში ჩასახული
უკრავს წვიმის კლავიშზე.
ცხოვრობს სულით ეს ობლობა
ჩუმი წვიმის მეზობლად,
სულში ჩაჯდა ვით ობობა
სევდის უმიზეზობა!

(„ჩემს სულს აწვიმს")

როცა ბუნების „ეფსპერიმენტი" მოთავდა და აღმართს შეეფუღეს, იგი ისევ იქ იყო, გვერ-დიც არ ეცვალა. ადამიანნი, მაწანწალა, ძალზე უფრო ძაღლური ცხოვრებით.

გისოსებიდან თბილი ჰაერი გამოდიოდა და უფასოდ, დიუმადლებლად თბილოდა კლოშარს.

პანფიონი კი იდგა — ცივი, როგორც უკვ-დავება.

შარლ ბოდლერის ბებერი მაწანწალა ისევე, როგორც ასი წლის წინათ, გზისპირ ამოთხრილ ორმოში იწვა და ოცნებობდა და მონუსხული ხედავდა მხოლოდ სამოთხეს.

სადღაც გარბიდნენ ბედნიერების სიტყვე-ბი — დაკოდილი ცხენები, მწარე სინამდვილის მოღერებული მათრახით შეშინებულნი (სენ ჟონ პერსი).

**ადამიანებს ეძებდნენ ბგერები.** უცხო ქალაქში გზის ბენეფის შიში აკვიატება იცის, არც თუ არარეალურის. არც მე ვიყავ გამო-ნაკლისი და მეც ამებნინა გზა. თავი ინითელ და-ვიმშვიდე, რომ პრიველად ჩასულს კი არა, აქა-ურებსაც ემორთებათ ზოგჯერ: ანა ახმატოვას „გიდს", ქალაქის შესანიშნავ ტცოდნეს ამედეო მოდილიანის, ამ უნივერეულ პარიზელ იტალი-ელს ერთხელ თავადაც აბნევია გზა ძველ პა-რიზში — ბებერ პარიზში პანთეონს უკან.

აბნეულმა გზამ ოსმანის ბულვარზე გამო-მიყვანა.

სამუშაო დღე დამთავრებულია და პარიზე-ლებით ივსება ტრტოტუარები. იხსნება კაფეები. კინოთეატრების წინ დიდი რიგები იმართება: „ზოროს ნიშანი" (ახალი ეარიანტი), „მიწიას-ძენი" (ამბობენ კინემატოგრაფიის უახლესი მღერეკაო: ფილმი, რომელიც 2 საათს გრძელ-დება, ფსიქოლოგიურად ისე შეამზადებს მაყუ-რებელს, რომ იგი, ეს მაყურებელი, 20 წუთის განმავლობაში ფიზიკურად გრძნობს მიწიას-ძენის), „ხანძარი ცათამბრჯენში", „ფინსტერი ნიშანს ტოვებს" (შეერთებული შტატების რო-მელიღაც ქალაქში მოეხელთებული ურჩხული ბავშვებს ჭამდა — ყელს გამოღარდნს. ბოლ-ოს თავად ალმოჩნდება ძუძუმწოვარა ბავშ-ვი) — კომერტიული კინოს მოძალება აშკარაა.

აშკარაა პორნოგრაფიაც: ელისეს მინდ-ერებზე — ეკრანზე; პიგალზე — „ნატურაში": შიშველი თეატრი ვახშმით, ძვირიანი; უკაზმ-მოდ — უფრო იაფი. და იქვე შიშველი ეროო-ტიზმი ყოველგვარი თეატრის გარეშე...

აქ ამ ქუჩაზეც ბრიალებენ რეკლამები, წაგ-რძელებული უნივერმალის ფერ ახალგაზრდების პატარა ორკესტრი. რომელიღაც პრიმიტიულ პიესას ასრულებენ საწყლად მობუზულები. ციცა. ქვეყნანები აცვიათ, არც ერთს თავისი ზომისაა. ვიოლინოს გადახსნილი ყუთი უდევთ წინ, ტრტოტუარზე და ცივა ხურდა ფული ყუთ-ში, როგორც გადაღებული წვიმის წვეთები. დგანან და უსმენენ გამვლელები, დგანან და უკრავენ ახალგაზრდა მათხოვრები. ახლა ფე-ლენის „8,5"-თვის დაწერილი მუსიკის პოპურ-რის ასრულებენ. კარგად უკრავენ.

მაგრამ ის რას უკრავდა! უნდა გენახათ, როგორ უკრავდა თავის ყვითლად მოლაპლაპე კლარნეტზე. კი არ უკრავდა — მღერიდა. უკ-რავდა თუ მღეროდა თავდავიწყებით ახალგაზ-რდა კაცი და პატარა გოგო ბანჯოს რიტმს აყოლ-ებდა. მღეროდა, კვნესდა, კიოდა, ტიროდა კლარნეტი. მაღალი ბგერები ტყვიებივით ცხრილავდა რეკლამებით გაკეკლუცებულ ყრუ კედლებს, ბებერი პარიზის ფერმარეულწამსულ ფასადს.

უკრავდა, რას უკრავდა!

ესტრადაზე ამგვარ ვირტუოზულ შესრულე-ბას ტაშის ქუხილი და ყვავილთა წვიმა მოჰყვე-

---

1 თარგმანები გივი გეგეშკორისა.

**ალმაზ სანებლიძე**

ნარტი: ლიონი — პარიზი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოდა. აქ კი — კლარნეტის გადახსნილი ფუტლარი და თითო-ოროლა ჩაგდებული ფრანგი, რომგორც გვალვაში ნანატრი წვეთი.

ზრიალებდა ოსმანის ბუღვარი მაწკანების განუწყვეტელი ხმაურისაგან და დაკქროდნენ, დატრიალებდნენ, ადამიანებს ეძებდნენ, განმკითხავ, გულმოწყალე ადამიანებს მაღალი, კრიალა ბგერები — ნოტებად ქცეული ადამიანის სული, ქეიანის გუგეზს ფარავდნენ, სანქაბის ვერ ნახულობდნენ და საკუთარ სილაღეს აყოლილები ღამეულ ცაში იკარგებოდნენ.

უკრავდა ახალგაზრდა კაცი და ბანჯოს რიტმს აყოლებდა გოგო.

ეს სხვა დღეს იყო, მაგრამ იმავე ქუჩაზე.

**ᲥᲣᲩᲐᲖᲔ.** ᲡᲘᲐᲚᲪᲔ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲐᲡᲔ ᲥᲝᲕᲔᲑᲐᲜ.

ლუქსემბურგის ბაღი — ლათინურ უბანში სწვალდაწყფებულთა „ბიბლიოთეკა ღია ცის ქვეშ“ და ასეთივე დროს სატრიბეული ადგილი მათი.

ახლა დილაა. ნაწვიმარი სუსხია, ნესტიანი და ბაღი მოშშიშვლებულია, როგორც ექსტრავაგანტურობას მოყვარული პარიზელი ახალგაზრდა ბუდისტების გადაპარსული თავები.

ლუქსემბურგის ბაღი — ერთ დროს პოპულარულ შემოქმედთა გამოსაჩენი ადგილი. ანა ᲐᲮᲛᲐᲢᲝᲕᲐ იხსენებს:

„უფროსები გვიჩვენებდნენ, ლუქსემბურგის ბაღის რომელი ხეიენით მიდიოდა ხოლმე ვერლენი თაყვანისმცემლებით გარსშემოტყმული „თავისი კაფედან“ „თავის რესტორანში“ სასადილოდ“.

1975 წლის მარტის წვიმიან დილას ლუქსემბურგის ბაღის შეკრეული გაზონების შორის, ყვითელი ყვავილებით მოვარყვეული, ქანდაკებებაწყოლებულ ბილიკებზე რამდენიმე ტურისტი, ორი სტუდენტი-ბხატვარი, ფუნთუშების ერთი გამყიდველი თავისი ნაცნობითურთ და ერთი შავოსანი ქალი იყო, რომელიც დიდის რუდუნებით ასეირნებდა ძაღლს და ძაღლს თავის ᲥᲣᲩᲐᲖᲔ დაჰყავდა ატარნი.

პარიზი, ისევე, როგორც მთელი ევროპა ძაღლებზე შეირყა, პატივს მიაგებენ ძაღლთა და კატათ უდიდესს. ᲣᲜᲐᲜᲘᲠᲘᲐᲪᲘᲝᲜᲘ, ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ მოწყვეტის აუცილებელი შედეგი. ბავშვები, ძაღლის თუ კატის ყოლის ნებას რომ არ აძლევენ (რაც არ უნდა იყოს, ერთი ადამიანის ოდენი მაინც ჯდება ოჯახის ოთხფეხა წევრის შენახვა), წრეუნუნს ᲜᲘᲜᲐᲜᲘᲠᲘᲐᲜᲔᲑᲘ... სხვა ძაღლებისა რა მოგახსენონ, მაგრამ ეს, ლუქსემბურგის ბაღში ამ დილას სასეირნოდ გამოსული, ისეთი მომთხოვნი და თავნები ჩანდა, ეტყობოდა, კარგად ᲭᲘᲜᲔᲑᲘᲗᲘᲐ საკუთარი პრიელეგირებული მდგომარეობა და მაქსიმალურ სარგებლისაც იხვეჭდა.

ᲭᲘᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲗᲘᲐᲜ უწესობდა ეს შავი ფინია: გაჩერდებოდა — გააჩერებდა ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ, აქეთ აღარ მინდოდა და არც პატრონი ეძალებინა. ᲑᲘᲚᲘᲚᲘᲡᲙᲔᲜ ᲡᲔᲚᲔᲚ ᲑᲐᲚᲐᲜᲘᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲘᲓᲐ და პატრონიც გადაჰყვა. ძაღლები ხის ძირს ხრიოვანსაც იყენებენ, მოგეხსენებათ და ელოდა მოთმინებითა თვისითა პატრონი მისი. ბოლოს თავი აიგდო: სულაც არ მინდა სეირნობაო, გასასეირნელისენ გასწია და წაიყოლა, ო, რა ცმაყოფილსახიანი, შავოსანი ქალი — თოკზე გაᲑᲛᲝᲓᲔᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ.

ᲛᲘᲜᲘᲭᲐᲠᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲫᲐᲦᲚ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲣᲨᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲘ ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘᲡ-ᲠᲘᲒᲚᲐᲜᲘ ᲐᲛᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲢᲘ ᲛᲐᲚᲔᲠᲘ, ᲙᲠᲘᲐᲚᲘ ᲑᲒᲠᲔᲑᲘ — ᲜᲝᲢᲔᲑᲐᲓ ᲥᲪᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲜᲘᲡ ᲡᲣᲚᲘ, ᲓᲐᲙᲘᲠᲕᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲡᲐᲥᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲔᲠ ᲜᲐᲮᲣᲚᲝᲑᲓᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲕ ᲡᲘᲚᲐᲦᲔᲡᲘ ᲐᲧᲝᲚᲔᲑᲘᲚᲘ ᲦᲐᲛᲔᲣᲚ ᲪᲐᲨᲘ ᲘᲙᲐᲠᲒᲔᲑᲝᲓᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ.

ᲣᲧᲠᲐᲕᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲜᲯᲝᲡᲗᲘ ᲠᲘᲢᲛᲡ ᲐᲧᲝᲚᲔᲑᲓᲐ ᲒᲝᲒᲝ.

ᲔᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ.

**ᲥᲣᲩᲐᲖᲔ.** ᲡᲘᲐᲚᲪᲔ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲐᲡᲔ ᲥᲝᲕᲔᲑᲐᲜ

ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲐᲦᲘ — ᲚᲝᲜᲓᲘᲜᲣᲠ ᲣᲑᲐᲜᲨᲘ ᲡᲬᲕᲐᲚᲓᲐᲬᲧᲐᲚᲔᲑᲣᲚᲗᲐ „ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ ᲦᲘᲐ ᲪᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ“ და ასეთივე დროს სატრიბეული ადგილი მათი.

ᲐᲮᲚᲐ ᲓᲘᲚᲘᲐ. ᲜᲐᲬᲕᲘᲛᲐᲠᲘ ᲡᲣᲡᲮᲘᲐ, ᲜᲔᲡᲢᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲦᲘ ᲛᲝᲨᲘᲨᲘᲨᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲕᲐᲒᲐᲜᲢᲣᲠᲝᲑᲐᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲑᲣᲓᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲞᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲗᲔᲑᲘ.

ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲐᲦᲘ — ᲔᲠᲗᲘ ᲓᲠᲝᲡ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲩᲘᲜᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ. ᲐᲜᲐ ᲐᲮᲛᲐᲢᲝᲕᲐ ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲓᲐ:

„ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲚᲘᲡ ᲒᲕᲘᲩᲕᲔᲜᲔᲑᲓᲜᲔᲗ, ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲐᲦᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲝᲜ ᲮᲔᲘᲔᲜᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲕᲔᲠᲚᲔᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲜᲚᲘᲡᲪᲛᲔᲚᲔᲑᲗᲐᲗᲘ ᲒᲐᲠᲡᲨᲔᲛᲝᲠᲙᲣᲛᲔᲣᲚᲘ „ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲜ ᲙᲐᲤᲔᲓᲐᲜ“ „ᲗᲐᲕᲘᲡ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲨᲘ“ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝᲓᲘᲗ“.

1975 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲬᲕᲘᲛᲘᲐᲜ ᲓᲘᲚᲐᲡ ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲐᲦᲘᲡ ᲨᲔᲙᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲘ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲒᲐᲠᲧᲣᲚᲘ, ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲘᲗᲬᲧᲝᲠᲬᲘᲚᲘ ᲑᲘᲚᲘᲚᲘᲙᲔᲑᲖᲔ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘ, ᲝᲠᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ-ᲑᲮᲐᲢᲒᲐᲠᲘ, ᲤᲣᲜᲗᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲜ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘᲗᲘᲗᲣᲠᲗ და ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲕᲨᲝᲡᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪᲐ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲠᲣᲓᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲔᲘᲠᲜᲔᲑᲓᲐ ᲫᲐᲦᲚᲘ და ᲫᲐᲦᲚᲘ თავის ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲓᲐᲰᲧᲐᲕᲓᲐ ᲐᲢᲐᲠᲜᲘ.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲔᲕᲠᲝ�პᲐ ᲫᲐᲦᲚᲔᲑᲖᲔ ᲨᲔᲘᲠᲧᲐ, ᲞᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲐᲪᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲫᲐᲦᲚᲗᲐ და ᲙᲐᲢᲐᲗᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲣᲜᲐᲜᲘᲠᲘᲐᲪᲘᲝᲜᲘ, ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲝᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ. ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ, ᲫᲐᲦᲚᲘᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერება, როგორც ერთი შეხედვითა ჩანს: მანქანის კეთილშობილი მფლობელი უსახსრო ახალგაზრდას უანგაროდ უწევდის ხელს და უფასოდ ამგზავრებს.

სტუმრებისათვის მანქანების გაჩერებას ერიდებიან.

შარშან ორი 18-18 წლის ქალიშვილი ჩაუსვამს ერთ ახალგაზრდა კაცს. გზაში მოუკლავთ ამ გოგოებს მახათით. ისე, არაფრის გულისათვის. ოჰი შვილი დარჩენია ამ ახალგაზრდას — უპატრონოდ.

არც სტუმრობაა უსაფრთხო: ოშვიათი არაა გზაში გოგონების გაუპატიურების შემთხვევები.

წელს, მარტისთვის ცოტა მიჩუმებული იყო პრესა: ამგვარ ფაქტებზე არ წერდა. მანქანით მგზავრობის სეზონი ის-ის იყო იწყებოდა და გამოცდილი პარიზელები ამბობდნენ — ყველაფერი წინა გვაქვსო.

ცნობისათვის: უკანასკნელი 10 წლის მანძილზე დანაშაულობათა ოდენობამ საფრანგეთში 156 პროცენტით იმატა.

**ეგზოტიკა და სინამდვილე.** ღღეს უკვე დაბეჭდილებით შეიძლება თქმა: არსებობს ორი პარიზი — ძველი და ახალი. ახალი შენდება. შენდება ცათამბჯენების მარტივი ერთფეროვნება — ძველ არქიტექტურასთან შეუთავსებლობის აშკარა დემონსტრაცია. არ უხდება მოდერნიზება პარიზს.

პარიზის ეგზოტიკა ძველი პარიზია, პარიზის ისტორიაა ძველი ქუჩანანდები.

მაგრამ ეგზოტიკას ადამიანური ყოფა უპირისპირდება ძალიან ხშირად: გარეგან ლამაზად საყურებელი სიძველე, შიგნიდან ფრიად მოუხერხებელია საცხოვრებლად.

ისე რომ ძველი ქალაქის შენარჩუნების პრობლემაა, როგორც ყველა ძველ ქალაქს, პარიზსაც აწუხებს.

ეგზოტიკა და ისტორია მუზეუმებშია თავმოყრილი.

მუზეუმია ვერსალი.

ძალღერი სიცივე — იმ ჯაობის გახსენება, რომელიც გარს ერტყა ბორცვზე აგებულ ლუდოვიკო XIV მამის სამონადირეო სახლს — ვერსალის უშუალო წინაპარს.

ბოხოქარი პარიზით შეშინებული ლუდოვიკოს ახლოდგებულ ვერსალში ღასახლდება. შეშინებული ლუდოვიკოს (ვინმე არ განმიდგესო დიდებულთაგან) შემოღებული წესი: ყველას აქ უნდა ეცხოვრა, მზის მეფის თვალწინ უნდა ეტრიალა.

ვერსალი ელეგანტურად დაატარებს თავის სიბერეს. სასახლე მონუმენტურობით ვერ დაიტრაბახებს, მაგრამ სწორედ ამ ელეგანტურობით დაჩრდილავს ბევრს სხვას.

ვერსალზე შეგიძლია თქვა ყველაფერი და ყველაფერი მართალი იქნება. მაიაკოვსკი ცამდე მართალია, როდესაც წერს:

Версаль.
Возглас первый:
«Хорошо жили стервы!»
Дворцы
На тыши спален и зал —
И в каждой
И стол
И кровать:
Таких
вторых
И построить нельзя,—
Хоть целую жизнь воровать.
(«Версаль»)

ხალხის ძვლებზე, ხალხის სისხლით, ოფლით ნაგები სასახლე, ბაღი უზარმაზარი, ასეთივე ხელოვნური ტბები სიმეტრიულ აუზებად გაჭიმული. უამრავი ქანდაკება, დაკარგულ-მოპარული და მაინც ბლომად დარჩენილი.

აფეთქებული, აზვირთებული, აკანაებული ხალხის ტალღა და დარბეული, დაღუნული სასახლე მეფეთა: უსაზღვრო იყო ზიზღი ლუდოვიკოების მიმართ. (ახლა XIV გაღმერთებულია თითქმის).

Всем, еще имеющим
Купоны
И монеты,
Всем царям,
Еще имеющимся,
В назидание —
С гильотины неба,
Головой Антуанетты,
Солнце
Покатилось
Умирать не зданиях.

ესეც მაიაკოვსკია.

გალაკტიონთან სხვაა. გალაკტიონს ანტენატას უბედური სიყვარული აწუხებს, ტრიანონში (ვერსალის დედოფალთა სასახლეთაგან ერთ-ერთი) ჩამკვდარი, მხოლოდ ერთხელ მოსული, უბედო სიყვარულის ტრაგიზმი. და უნაზეს ლირიკად იღერება სტროფონები:

ასეთია ნაზი ბედი,
ბედი რჩეულ ფერის!
სიცოცხლეში თეთრი გედი
მხოლოდ ერთხელ მღერის!

---

**ალმაზ სანდბლიძე**
მარტი: ლიონი — პარიზი

ყვავილები უხვად არის
დენდის... მეფე მონის.
ქარში ათრობს არე-მარეს
ოხვრა ტრიანონის.

(„მარიამ ანტუანეტა“)

და გალაკტიონიც მართალია. ასეთიცაა ვერსალი.

საკუთარი შთაბეჭდილება? ვერაფერს ვიტყვი. მუზრან მაკვაირის საბა სულხანისადმი მიძღვნილ ლექსში ნათქვამი აქვს:

„რაც შეიტანა, ისევე ის გამოიტანა
იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმა
ქართლისამ“.

მე ვერსალში ვერ შევედი და რა უნდა გამომეტანა? სახლეთო სალაროსთან მიკრულ ერთ ფარატინა ქაღალდზე ეწერა, რომ 26-27 და, შესაძლოა, 28 მარტსაც გაგრძელდებოდა მუზეუმების მუშაკთა საერთო-ეროვნული ფიცვა.

სასახლეში ვერ შევედი და ბაღში სეირნობამ ლექსების გახსენება იცის ხშირად.

არ იყო სიმშვიდე მუზეუმების თაღებ ქვეშ და ვერსალის სასახლე

Как навсегда исчерпанная тема,
В смертельном сне покоится дворец.
(Анна Ахматова, «Первое возвращение»).

• • •

ერთი ნახვით რას გაუგებ პარიზს, თავის სიყვარულს კი გამოგაყოლებს, პრელი და ჭირვეული ქალაქი.

ლამაზი ქალიც ხომ ასეთია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წერილები

ირმა ჩაჩავა

## ახალი ბეთჰოვენი

რომენ როლანმა თავისი ცნობილი რომანის „ჟან კრისტოფის“ მთავარი გმირის პროტოტიპად აირჩია დიდი გერმანელი კომპოზიტორი ბეთჰოვენი — საყაცობრიო ტკივილების განსახიერება, ადამიანი, რომელისთვისაც განგებამ არ გაიმეტა სიხარული და რომელმაც თავითონ შექმნა უდიდესი ბედნიერება, რათა შემდეგ იგი მთელი კაცობრიობისათვის გაეზიარებინა. მან ამაყად განაცხადა, ჩემი მწუხარებისაგან ექმნები სიხარულსო. ეს იყო მისი არსებობისა და გმირული სულის დევიზი.

„სიხარული ტანჯვის ეზით“ — ამავე დევიზით ქმნის რომენ როლანი „ჟან კრისტოფს“. ავტორი ალეგორიულ პარალელიზმს უკავ ჟან კრისტოფის ბავშვობის პერიოდიდან იწყებს. ბიოგრაფიული მომენტების თანხვედრა თანდათან გადადის ისეთ შინაგან სულიერ და შემოქმედებით მსგავსებაში, რომ კრისტოფი წარმოგვიდგება, როგორც „ახალი ტიპის ბეთჰოვენი“.

ცხოვრებისადმი ხალისიანი დამოკიდებულება, მოუხდავად მწვავე სულიერი ტანჯვისა, უკვე ყრმობის პერიოდშივე აერთიანებს ბეთჰოვენსა და კრისტოფს. შემდგომაც, რა პერიოდიც არ უნდა აეღოთ კრისტოფის ცხოვრებისა, მასში აუცილებლად მეძღვნდება ბეთჰოვენის სახე, მისი გმირული სული. არც ერთი მათგანის ბუნებაში ტანჯვა არ იწვევს მელანქოლიას, პირიქით, იგი იქცევა გმირული სულის წრთობის საშუალებად. როლანის გმირი დაბადების წუთიდანვე რაღაც განსაკუთრებულ, იდუმალ მუსიკალურ ატმოსფეროში ექცევა. ეს მუსიკა თვით ბუნების ჰარმონიაა.

რომენ როლანი კარგად იცნობდა ბეთჰოვენის ბავშვობის პერიოდს, რაც კრისტოფის სახის შექმნისას მოზრახებულად გამოიყენა და უდიდესი შემოქმედის პიროვნება შთამბეჭდავად გააცოცხლა თავის გმირში. ბიოგრაფები წერენ, რომ პატარა ბეთჰოვენი გატაცებული იყო ბუნებით. ჯერ კიდევ ხუთი წლის ლუდვიგი საათობით იჯდა ფანჯრის რაფაზე და ისეთი გატაცებით გაჰყურებდა მდინარე რაინის დინებას, რომ მშობლებს უშირდათ მისი ფანჯრიდან მოშორება. — ბუნებას იი მუსიკალურ ბგერებად აღიქვამდა, ბუნების ყოველ მოვლენაში მუსიკას გრძნობდა და მისი დაფფლების სურვილი არ ასვენებდა. ეს ტენდენცია თანდათან ისე განუვითარდა ბეთჰოვენს, რომ ბოლოს, მისი მეგობრის შინდლერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მან დაიპყრო ბუნების სული“. როლანიც ამასვე სწერდა: „ბეთჰოვენი ეს ბუნების ძალაა“.[1]

კრისტოფიც ასე ორგანულად შეიგრძნობს ბუნებას. იგი ბეთჰოვენივით ბავშვობიდანვე განსაკუთრებით მგრძნობიარე იყო ბუნების ცხოველმყოფად ძალების მიმართ. კრისტოფი გარემოს აღიქვამს, როგორც ცოცხალ არსებას, მისი ბავშვური წარმოსახვა უბრალო ნივთებსაც ზღაპრულ სახეს აძლევს. მერე ეს სახეები თითქოს ბგერებად იქცევიან, ორთონან, ღელავენ და ძმლავრ მუსიკალურ ტალღებში ხვევენ პატარა კრისტოფს. ბეთჰოვენის მსგავსად იგი უშუალოდ შედის ბუნების მუსიკალურ სამყაროში. ტაძრში პირველად ისმენს ორღანს. ბახის დიდებული მუსიკის ფრთები კრისტოფს სადღაც მაღლა იტაცებს, ამ მუსიკით ივსება მისი სული ყოველი ხვეული. მისი არსება და გარემო ერთიანდება ერთ საოცარ ბრწყინვალებად: კრისტოფი მაღლდება, ბოლოს სულ წუდება დედამიწას და უერთდება უზენაეს ბედნიერებას — შემოქმედებით წვას. ეს ზესწრაფვა კრისტოფის მოქმედების ქვაკუთხედია. მას უნდა თავის ნებას დაუმორჩილოს ბუნების მოცლენები, საგნები, ნივთები, ისევე იტაცოს ბუნება, როგორც ბახის მუსიკამ ალიტაცა იგი კაში. კრისტოფის წარმოსახვაში ყველაფერს, რაც მის გარეშეში არსებობს, რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ხდება საოცარი ზღაპრული მეტამორფოზა.

[1] R. Rolland, Vie de Beethoven, Sixieme edition. Papis, 1913, p. 78.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომენ როლანს სჯერა, რომ ჟან კრისტოფი უსათუოდ ბეეთჰოვენი იქნება, თუნდაც უმძიმესი ტანჯვის გზაზე იაროს. ის სიამოვნებით იტვირთავს შემოქმედის მძიმე ჯვარს და მაცხოვარივით აუყვება გოლგოთაზე, რადგან ნამ ის იცის, რომ მუსიკა მხოლოდ ტანჯვით იბადება.

როლანის აზრით „დიდებულია, როდესაც ადამიანთან ერთად იბადება მუსიკა". კი გზა ბეთჰოვენმა სახელოვნად განვლო.

ჟან კრისტოფის ლიტერატურული სახე დაშორებულია მისი პროტოტიპისაგან დროის თვალსაზრისით, მაგრამ სრულიად ახლოველია თავისი მრწამსითა — და იდეალებით. როლანი თავის გმირებში ბეთჰოვენის ბავშვობას აცოცხლებს. პატარა ბეთჰოვენიც ასე თავდავიწყებით დარბოდა მინდორში რაინის ნაპრას, და თავისსავე სულში ქმნდა „სიმფონიებს". ბუნების მუსიკა ხმაურობდა მის წარმოსახვაში, მერე კი ი-ე შეეზარდა ბუნებას, რომ მაშინაც კი, როდესაც ყურებ-ბეეთ-ბეეთ-ბეეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი დამოუკიდებლობას. „როდესაც ცხოვრებისათვის დრო არა გაქვს, მაშინ ორმაგად ცხოვრობ“[5].

ნამტრარალეი და სასოწარკვეთილი კრისტოფი ფანჯრის რაფაზე ზის და რაინს გაჰყურებს (ეს პასაჟი პირდაპირია გადმოტანილი ბეთჰოვენის ბიოგრაფიიდან). კრისტოფს იმ დღეს სულ სხვანაირი ეჩვენა რაინი, ეს მდინარე მას ასეთი არასოდეს უნახავს. როლანს უნდა ამით გვიჩვენოს, რომ მუუხარება ამსგავლებს აღქმის უნარს, თითქოს ცრემლებმა ჩამოიცილა კრისტოფის თვალებს მძიმე სინამდვილის მტვერი და ყველფერი არნახული სიცხადით წარმოუდგინა. მან რაინი დიინახა, როგორც ცოცხალი არსება იდუმალი და დიდებული: „მდინარე მიედინება და მიედინება თავისთვის, სულ წინ, შეუმჩნევლად. მას არ ენაღვლება სხვისი მუუხარება, თვითონ არ იცის დარდი და ტკბება თავისი სიძლიერითა.

ეს უკვე სიმბოლოა, სიმბოლო არსებობის მარადიულობისა, რის სიდიადეც პატარა კრისტოფმა შეიგრძნო. ბეთჰოვენის ბიოგრაფებიც წერენ, რომ ბაბუამ ბეთჰოვენ ბუნებას აღიქვამდა, როგორც ერთ მთლიან მუსიკალურ ნაწარმოებს. ფერების ჰარმონია ბგერების წარმტაც ჰარმონიად ესმოდა; ბუნების მძლავრი სიმფონია აიძულებდა საათობით ეყურებინა და ესმინა ამ ჯადოსნური ხმებისათვის.

რომენ როლანის კრისტოფი „თვალდამშეული“ უყურებს და ხარბად უსმენს ყველფერს. „ნას ეჩვენება, თითქოს მდინარეს თან მიჰყავს, ის უკვე მოგზაურობს საღიც შორს. თვალებს ხუჭავს... წარმოუდგება ფერები... ლურჯი, მწვანე. ყვითელი. წითელი..., რა სილამაზეა, ფიქრობს ის. მდინარე კი ისევ მიედინება და ყველფერი იცვლება“.

როლანი აქაც არ ღალატობს თავის მრწამსს და სილამაზისა და სიხალისის ამ ჰარმონიაში კონტრასტულ ბგერებს ურევს. კრისტოფი ხედავს, რომ მდინარის პირას უზარმაზარი ხეები დგას, იქვეა სასაფლაო, ჯვარი ტალღები კი კვლავ ლოკავენ ნაპირს, და ეს მდინარე და მზე არის გადამწყვეტი კრისტოფის ცხოვრებაში. ეს ბუნების იდუმალმა ხმიანობამ შვა ბეთჰოვენში პირველი მუსიკალური აყორეები, როგორც მისი ბიოგრაფიები წერენ, რომენ როლანის „ახალი ბეთჰოვენი“—ეს კრისტოფიც, როგორც ხელოვანი—ბუნების მძლავრი ხმიანობის ნაყოფია.

„კრისტოფი თვალებზე ხელს იფარებს, რომ უკეთესად ხედავდეს. თითქოს ვიღაცას ეძახის, მერე ოენება გიტაცებს, ტალღების შუაში აჩქარებულ რიტმს ქმნის, რომელიც მაღლა მიწევს, როგორც უცნაურად „აღმოდებული — სიხარული“, მერე ამ რიტმიდან იბადება მელოდია. ჩნდება რიალის ვერცხლისფერი ხმები, ვიოლინის სულში ჩამწვდომი ჟღერა, ფლეიტის ხავერდოვანი ხმები... და ყველფერი სადღაც მთებში იკარგება[7].

სიცოცხლისა და სიკვდილის მარადიული ჭიდილის კონტრასტები განსაზღვრავს კრისტოფის ჩამოყალიბების შემდგომ გზას ბეთჰოვენმა ეს მაშინ შეიგრძნო, როცა დედა გარდაიცვალა, ერთი წლის შემდეგ დაც დაეღუბა, რამაც კიდევ უფრო შეაძრწუნა ის. თვითონაც სულ ავადმყოფობდა და სიკვდილის შიშით ცხოვრობდა. ამან ჩაუნერგა ზიზღი ყოველგვარი სნეულების, დაუძლურებისა და სიცოცხლის დასასრულისადმი.

კრისტოფმაც იგივე განიცადა, როცა მელქიორი გარდაიცვალა. იგი საათობით იჯდა მომაკვდავი მამის სარეცელთან და უშუალოდ განიცდიდა მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს. ახლობელი ადამიანის სამუდამო დაკარგვით მან საბოლოოდ შეიგრძნო სიკვდილის ყოვლისუარმყოფელი ძალა. „ყველგან სიკვდილის ყოველისშემძლე და უხილავი სუნთქვა ესმოდა, აბრუებდა ნგრევის ძალა, არაფრის გაკეთება არ შეეძლო, მაგრამ ეს აზრი კი არ ანებებდა მას, პირიქით, სიძულვილით ივსებოდა, მაგრამ, მაინც არასოდეს არ ყოფილა ქედმიხრილი. ჯიუტად დახრილი თავით ეგებებოდა იგი მიღწეულს. „თუნდაც ასკერ რომ დაინახეს სისხლად“. და, მტერზე სუსტი იყოს, მაინც არასოდეს არ შეუწყეტს ამბოხებას ტანჯვის მიმართ“. ამ დროიდან მოკიდებული მისი ცხოვრება ხდება ყოველწამიერი ბრძოლა მკაცრი ხვედრის წინააღმდეგ, რომელთანაც შერიგებას მას არ შეუძლია. ამიერიდან, — წერს როლანი, — კრისტოფის გული მხოლოდ მუსიკას ეკუთვნის, „მუსიკა იბადება კრისტოფის სულში“, იბადება კომპოზიტორი, ჩნდება ჰარმონიის პირველი გრძნობა, ძიებისა და შემოქმედებითი გამარჯვების სიხარული.

ასე იქმნება კრისტოფის პირველი გულუბრყვილო მუსიკალური კომპოზიციები ასეთი გამშვენარალე, ალალი მუსიკალური ნაწარმოებები ორიგეს — ბეთჰოვენსაც და კრისტოფსაც — შინაგან აღტაცებას ანიჭებდა, თუმც ორიგეს მწარე სინამდვილე ერთნაირად უმზადებდა იმედების გაცრუებას.

ბეთჰოვენი ვიოლინიზე უკრავს თავის იმპროვიზაციებს. კრისტოფი რიალზე ღიღინით ქმნის მელოდიებს. ლუდვიგს მამა უჯავრდება, უკრძალავს საკუთარ ნაწარმოებებზე ფიქრსაც კი. მას მუსიკოს-შემსრულებელი უნდა და არა

---

[5] R. Rolland, Jean-Christophe, I vol., p. 191.

[6] R. Rolland, Jean-Christophe. Edition en lagues etrangeres. Moscou, 1957, p. 112.

[7] R. Rolland, Jean-Christophe. Edition en languages, Moscou, 1957, p. 114.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომპოზიტორი. ბეთჰოვენი კი, გრძნობს თავის შინაგან მოწოდებას და გაოცებული ეკითხება მამას: „რატომ? განა ეს ცუდია?“ ბეთჰოვენის ბიოგრაფიის ეს ეპიზოდიც პირდაპირია გადმოტანილი როლანის „ჟან კრისტოფში“. პატარა კრისტოფშიც უნებლიეთ იბადება იმპროვიზაციის სურვილი, როცა ხილული მშვენიერება და მოსმენილი ბგერები მის სულში სიმღერად იქცევა.

კრისტოფისათვის, ისე როგორც თავის დროზე ბეთჰოვენისათვის, მუსიკა ყოველთვის პლასტიკურ ხელოვნებას უკავშირდება. მუსიკა ბუნების ნაყოფია და თვითონ ბუნება მეტლაწყლება მუსიკაში, როგორც სარკეში. ეს სრული ერთიანობაა. ბავშვი კრისტოფიც ასევე მთლიანობაში აღიქვამს მუსიკალურ ბგერებსა და ბუნების პლასტიკურ სურათებს. იგი ჯერ კი არ ქმნის, არამედ უსმენს ბუნებას. ეს არის მომავალი კომპოზიტორის მუსიკალური შემოქმედების საფუძველი და წყარო. იგი ერწყმის ბუნებას და ბუნებაც მასში იწყებს ხმაურს.

კრისტოფი დარწმუნდა, რომ ბუნების სიმფონიის შეცნობა და საკუთარი მელოდიის შექმნა არ უპირისპირდება ერთმანეთს. გაიგო, რომ თვითონაც იმ დიდი, უსაზღვრო ბუნების ნაწილია და თუ მთელი ქმნის სიმფონიას, მის ნაწილსაც ხომ შეუძლია შექმნას ის. ეს ალეგორთოვანებს მას მუსიკალური შემოქმედებისათვის, აღვიძებს მის შინაგან პოტენციალს და უბიძგებს თვითონაც შექმნას რაიმე.

ასეთივე იყო ბეთჰოვენის პირველი მუსიკალური იმპროვიზაციები ლაკვინიზზე — მღელვარე, ცეცხლოვანი. მას იტაცებდა მოძრაობის რომანტიკა, „ბუნების ყლორადობას“ ბეთჰოვენი ისე უსმენდა, როგორც კრისტოფი, „ბუნების სიმფონიას“. მისი აზრით, ბუნებაში ყოველივე არსებობს. მუსიკა ბუნებასა და ადამიანში ერთდროულად იბადება. ბუნება თვითონ ქმნის თავის სიმფონიას და ყოველ ადამიანში, როგორც ბუნების მუსიკალურ სახეში ყველაფერი ყღერს, ყველაფერი ბგერად იქცევა, ყოველი განცდა მუსიკად გარდაიქმნება. როლანმა თავისი კრისტოფის სახის შექმნისას იგივე გამიერო. იგი წერს რომ კრისტოფის სულისათვის ყველაფერი მუსიკაა, ყველაფერი, რაც მოძრაობს, ირხევა, თრთის და ზუნეჩავს; ყოველივე ეს მუსიკალურად განწყობილ ადამიანში იქცევა მელოდიად, რაც შემდგ მისდა უნებურად გადაეკვს ყლორიზე. პატარა კრისტოფი რეკისოლულ ნიუსაც აკლვნს, სპეკტაკლებს დგამს. იგი ერთდროულად მუსიკოსიც არის, მოცეკვაეც და მომღერალიც. მისი „აუდიტორიის“ ერთადერთი მკვიდრი კი ბეთჰოვენის სურათია, რომლის წინ კრისტოფი თავს ხრის და დიდ მადლობას უხდის. ესეც როლანისეული ხერხია, რომ ამით კრისტოფი დაიკავშიროს მის პროტოტიპთან, გეგმრძნობინოს, რომ მისი პატარა გმირში „ბეთჰოვენისეული სული“ ტრიალებს, ანუ იღვიძებს „ახალი ბეთჰოვენი“. კრისტოფი — უკრავს და ესმის თავისი შინაგანი ხმა: მე კომპოზიტორი ვარ, მე უდიდესი კომპოზიტორი ვარ“. ამ დღიდან მოკიდებული წერს გაუთავებლად. ყოველივე ახალი მუსიკალური ფრაზა დიდი ზეიმით მიაქვს ბაბუასთან და თავისთავში დარწმუნებული შემოქმედის სიამაყით ისმენს პირველი შემფასებელის სიტყვებს — გენიალურია!

ჭაბუკ ბეთჰოვენს უფრო იტრორატტული შემფასებელი ჰყავდა. როცა მოკარტმა მის პირველად მოუსმინა, ლტაკეებულმა წამოიძახა: შეზდედთ ამ ჭაბუკს! იგი მთელ ქეეყანას აალაპარაკებს!

როლანი შესანიშნავად აღწერს, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ბეთჰოვენის მუსიკის პირველად მოსმენამ კრისტოფზე. იგი ერობაშად შეიპყრო დიდი ეკრმანული კომპოზიტორის შთაგონების ძალამ, მოაქცია თავისი გავლენის ქვეშ. ის იყო პირველი შეზვედრა თავის პროტოტიპთან ე. ი. თავისივე თავთან. ეს რთული ლიტერატურული მიგნებაა — ნაწარმოების გმირი გამოხატავს რა სხეას, იმავე დროს თავს ავლენს. როლანის განსაზღვრით კრისტოფი ისმენს „აქეე ბეთჰოვენს“ და თვითონ იბადება როგორც „ახალი ბეთჰოვენი“.

ბეთჰოვენის მუსიკის დემონური ძალა იპყრობს კრისტოფის სულს, არღეკეს მისი არსებობის საზღვრებს, ანგრევს თავშეკავების ზღუდეებს და იქცევს გოლიათად. თვითონ კრისტოფიც გრძნობს საკუთარ თავში ამ ახალ ბობოკარ ძალას — იგი ისე მძლავრად დაადიკეს. თითქოს ფეხადგმული მთა იყოს დედამიწაზე, ქარიშხალი გეგეენებს მის სულში. „ეს არის ქარიშხალი სიბრაზის, ტანჯვის, რა ძლიერი ტკივილია ეს, — წერს როლანი, — მაგრამ ეს არაფერია! იგი გრძნობს თავის თავში ისეთ ძალას, რომ შეუძლია უდიდესი ტანჯვის ატანა...“

ასე ხდებიან ერთმანეთს ჟან კრისტოფი და მისი ცხოვრებისეული პროტოტიპი. ტანჯვა, ბრძოლა, გამარჯვება — განსაზღვრავენ მათი სულიერი სიახლოვის საერთო ხასიათს. ჟან კრისტოფი ბეთჰოვენის ჭზით ივლის ბუდან, მაშინაც კი, როცა ახალი ეპოქის ეს ღვიძლი შვილი შეიარაღებული სინამდვილს — შესაბამისი შეზედულებებით — შინაგანად დაუპირისპირდება თავის სათაყვანებელ კომპოზიტორს — ბეთჰოვენს. ეს უაღრესად რთული და ამავე დროს ბუნებრივი პროცესია: ისტორიული პიროვნების გაცოცხლების ლიტერატურულ გმირში არ ნიშნავს მთის სრულ ინდენტურობას. ბეთჰოვენთან უდიდესი მსგავსების მიუხედავად, როლანის ჟან კრისტოფი მაინც დამოუკიდებელ მხატვრულ სახედ გვევლინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა ბელაშვილი

# სპარსული წყარო საქართველოს შესახებ

მე-17 საუკუნის სპარსულ ისტორიოგრაფიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ისქანდერ ბეგ თორქმანს (1560/1-1634), რომელიც შუშის სახელითაა ცნობილი. იგი ავტორია შესანიშნავი თხზულებისა „თარიხ-ე ალამ არაი-ე აბასი“ (ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია აბასისა), რომელიც წარმოადგენს უძვირფასეს წყაროს როგორც საკუთრივ ირანის, ისე მეზობელი ქვეყნების (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) ისტორიისთვისაც.

ისქანდერ მუნშის ნაშრომმა მაღალი შეფასება და აღიარება პოვა მის სიცოცხლეშივე. ამიტომ მან მიიღო ოფიციალური წინადადება, რომ დაეწერა თხზულების გაგრძელება, რომელიც მიეძღვნებოდა შაჰ-სეფის ზეობის ხანას (1629-1642). მცირე ყოყმანის შემდეგ, რაც გამოწვეული იყო მისი ხანდაზმულობით, ისქანდერი შეუდგა ახალი ნაშრომის წერას, რომელსაც ეწოდა „ზეიალ-ე თარიხ-ე ალამ არაი-ე აბასი“ (ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია აბასის გაგრძელება), მაგრამ ავტორი 1934 წელს გარდაიცვალა და ნაშრომი დაუსრულებელი დარჩა. შემდგომ შაჰ-სეფის ზეობის ხანის ისტორიის შესახებ-დასრულების მიზნით ისქანდერ მუნშის ამ ნაშრომს დაერთო რამდენიმე თხზულება; მაგალითად, „ზეილ-ე თარიხ-ე ალამ არაი-ე აბასის“ 1939 წლის თვირანის გამოცემა სუპეციალი ჰანსარის რედაქციით, წარმოგვიდგენს საკუთრივ ისქანდერის ნაშრომს, რომელიც მოიცავს 1629-1634 წწ.[1] და მასზე დართულ მოჰამედ იუსუფის ნაშრომის „ხულდე ბარინის“ (ისტორიათა კრებული) ნაწილს, რომელიც გადმოგვცემს შაჰ-სეფის ზეობის ბოლო პერიოდის ისტორიას.[2] იგივე ნაშრომის სხვა ხელნაწერი აღმოაჩინა აკადემიკოსმა დორნმა рукопись ЛГПБ, დორნის კატალოგი № 303, 1), რომელსაც დართული აქვს მოჰამედ მა'სუმის[3] ნაშრომი 1634 წლის შემდგომი პერიოდის მოვლენების აღწერით. ცნობილი არაა, თუ ვის მიერ და როდის იქნა გაერთიანებული ისქანდერ მუნშისა და მოჰამედ მასუმის ნაშრომები.[4]

ისქანდერ მუნშის „ზეილ-ე თარიხ-ე ალამ არაი-ე აბასი“ ისევე როგორც მისი ძირითადი თხზულება შეიცავს მრავალ საინტერესო ცნობას საქართველოსა და ირანში მოღვაწე ქართველების შესახებ, როგორიცაა მაგალითად: გიორგი საკაძის ოსმალეთში გაქცევა და მისი მოკვლა (1629 წ.), სიმონ მეფის (1619-1632) მოკვლა ზურაბ არაგვის ერისთავის მიერ; თეიმურაზ მეფის (1616-1663) მოღვაწეობასთან დაკავშირებული ამბები, კერძოდ: მის მიერ ზურაბ ერისთავის მოკვლა, მისი აჯანყება ირანის შაჰის წინააღმდეგ დაუდ-ხან უნდილაძესთან ერთად. აღსანიშნავია აგრეთვე უნდილაძეების ირანში მოღვაწეობის ბოლო პერიოდის აღწერა და მათი ამოწყვეტა შაჰ-სეფის მიერ, ქართლის ვალის — როსტომ-ხანის (1632-1656) მოღვაწეობა: მისი დაწინაურება ირანის შაჰის კარზე, მისი ქართლში გამოგზავნა სასასლარ როსტომ-ხან საკაძესთან ერთად და შემდგომი ამბები, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ. და ბოლოს, ნაშრომში მოთხრობილია როსტომ მეფისა და ლევან დადიანის დამოყვრების ამბავი, მაგრამ ეს უკვე ეკუთვნის არა ისქანდერს, არამედ მოჰამედ იუსუფს.

„ზეილ-ე თარის-ე ალამ არაი-ე აბასიაში“ მოთხრობილი ზემოჩამოთვლილი ამბები დასტურდება ქართული სასტორიო თხზულებებისა და პოემების ცნობებით (ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“, ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი ბაგრატონის სასტორიო თხზულება, ე. წ. „პარიზის ქრონი-

კა", შეფე არჩილს „გაბაასება თიმურაზისა და რუსთაველისა" და სხვა). სპარსული წყაროს ზოგიერთი ცნობა დასტურდება რუსი ელჩების, აგრეთვე იტალიელი მისიონერის ჯუდიჩ მალნელის მონაცემებითაც.

უბრალეულს ყოველისა, ვნახოთ თუ რას მოგვითხრობს ისქანდერ მუნში გ. სააკაძის შესახებ. როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, გ. სააკაძის ოსმალეთში გაქცევის ამბავი მის ძირითად თხზულებაშია მოთხრობილი[5], მისი მოკვლის შესახებ კი მხოლოდ „ზეიელ..."-შია მოტანილი ცნობება: ოსმალეთში ჩასვლის შემდეგ მალე რუმის ხონთკარსნ გ. სააკაძე სარდალ ხოსრო ფაშასთან ერთად ბაღდადს გაუეზავნია ყიზილბაშთა წინააღმდეგ საომრად. სხვადასხვა მიზეზების გამო, — შენიშნავს ავტორი, მოთრავს და ხოსრო ფაშას შორის მტრობა ჩამოვარდა. გ. სააკაძემ დიდძალი ნადაკი, რაც ომში ხელთ იგდო, აქლემებს ჰპკიდა და გურჯისტანის ციხის — ალთუნ-ყალასკენ (ოქროს ციხე) გაეზავნა. მაგრამ ოსმალებმა დროზე შეიტყვეს ეს ამბავი და მოთრავი შეიპყრეს. ხოსრო ფაშამ მის ასეთ საქციელში გაქცევის განზრახვა დანახა და ამიტომ მოთრავი, მისი უფროსი ეაკი და რამდენიმე ქართველი, რომელიც თან ახლდა, დახოცეთ[6].

მე-17-18 საუკუნის ქართული საისტორიო თხზულებები გ. სააკაძის მოკვლას ცოტა სხვაგვარად ხსნიან. მაგალითად, ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს, რომ ბაღდადის მბრძოლობაში გამარჯვებით გ. სააკაძემ დიდი სახელი მოიხვეჭა ოსმალეთში. ეს კი ვერ აიტანა სულთნის დამ, რომელიც ხოსრო ფაშას ცოლი იყო და ქმარს წერილი მისწერა: „მოთრავის ქუბის ანბავი მოდის და თქვენი არაო. ამისთვის ხოსროვ ფაშამ მოთრავი, მისი შვილი, მუხრანი ბატონი და ან ვინც ქართველები ახლდნენ, ყველა დახოცა".

ფარსადან გორგიჯანიძის მსგავსად მოგვითხრობს ამ ამბავს ეახტანგ მეექვსის მიერ შექმნილი „სწორელულ კაცთა კომისია" და მე-18 საუკუნის სახელოვანი ისტორიკოსი და გეოგრაფი ეახუშტი ბაგრატიონი, იმ განსხვავებით, რომ თითქოს გ. სააკაძემ ოსმალეთში ჩასვლისას „ჰკმნი სჯული თვისი და იქმნნა მაჰმადიან"[8] ანუ რომ, სპარსული ისტორიკოსისაგან განსხვავებით, ყველა ქართული წყაროები ერთხმად აღნიშნავენ, რომ გ. სააკაძე ღალატის გამო კი არ მოუკლავს ხოსრო-ფაშას, არამედ შურით.

შემდეგ ისქანდერ მუნში მოგვითხრობს სიმონ მეფისა და ზურაბ ერისთავის მოკვლის ამბებს: შაჰ-აბას I-ის დროს ზურაბი სასახლის დაახლოებულ პირთა რიგებში ყოფილა და შაჰს ნდობით სარგებლობდა. მაგრამ როდესაც მოურავმა შაჰს უდალატა, „ზურაბმაც პირშავობა ჩაიდინა, მისი მოკავშირე გახდა და სპასალარ ყარჩიღა-ხანისა და იუსუფ-ხანის მოკლაში მონაწილეობა მიიღო"[9] ამის შემდეგ ... ბი და მოურავი თეიმურაზ მეფეს დაეკვეშირნენ, რომელიც იმ დროს შაჰისაგან განდგომილი იყო. როდესაც ეს ამბავი შაჰმა გაიგო, მათ დასასჯელად დიდი ლაშქარი გამოგზავნა ყორჩიბაში ისა-ხანის მეთაურობით. ყიზილბაშთა მრავალრიცხოვან ჯართან ბრძოლაში[10] ქართველები დამარცხდნენ, მალე მოურავსა და თეიმურაზს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, რის შემდეგაც მოურავმა ოსმალეთს შეეფარა თავი, სადაც თავისი მისაგებელი მიიღო. ზურაბი კი საქართველოში დარჩა და ცბიერებითა და თვალთმაქცობით სიმონ მეფესთან დაახლოება მოახერხა. „ვექილთნის მფლობელი და სახელმწიფო მარაგის სრულფუფლებიანი გამგებელი გახდა". მეფის სრული ნდობის მოპოვების შემდეგ, ზურაბმა ორი მოკვლის მიზნით თავის ადგილ-მამულში მიიპატიჟა. ბევრი უშლეს ახლოლებმა სიმონ მეფეს, რომ არ წასულიყო, მაგრამ სიმონი, რომელიც „ახალგაზრდული ასაკისა და გამოუცდელობის გამო პირფერობით მოტყუვდა", მაინც ეს ტყვრა ზურაბს, სადაც ზურაბმა ღალატი მოკლა. ახლა ზურაბმა გადაწყვიტა თეიმურაზ მეფეს დაახლოებოდა და მისი სამუალებით ქართლის ბატონობა ხელთ ეგდო. მაგრამ თეიმურაზს ამ დროს თავისი წარსული საქმეები მონანიებული ჰქონდა შაჰის წინაშე და არ ისურვა მასთან კავშირის დამყარება. პირიქით, მისი „უდიდებულესობის" წინაშე ერთგულების დასამტკიცებლად. შესაფერისი დრო შეარჩია და ზურაბი მოაკვლევინა. შაჰმა მოუწონა თეიმურაზს ეს საქციელი და ჯილდოდ „საქართველოს ქართლის" ბატონობა მის ვაჟს გურგეზს ხანს უბოძაო".[11]

უფრო ვრცლად და ცოტა განსხვავებულად აღგვიწერს სიმონ მეფის მოკვლას ფ. გორგიჯანიძე. ბინი სიტყვით, როცა მეფე თეიმურაზი ისეთ მდგომარეობაში ჩავიდა, რომ სიმონისათვის ქართლი უომრად უნდა დაეთმო, გაცლა არჩია და კახეთში ჩავიდა. იქიდან კი ყოველმხრივ ცდილობდა სიმონის თავიდან მოშორებას. ამ მიზნით მან ზურაბ ერისთავის სიძე მიუჩინა მკვლელად, ზურაბს კი სამგალეროდ „ჭალის მიცემასა და თიანეთის სამამულე მიცემას დაპპირდა".[12] ზურაბი დათანხმდა და მძინარე სიმონი მოღალატურად მოაკვლევინა, რის შემდეგაც თეიმურაზი ქართლში გაბატონდა. ზურაბს კი დანაპირები შეუსრულა. მაგრამ მალე ზურაბმაც მიიღო თავისი საზღაური: თეიმურაზი მას ალარ ენდობოდა, რადგან ახლობლებმა შთაგონრეს მას, რომ თავისი „მემკვიდრე ბატონს" მკვლელი ზურაბი არც მას დაინდობდა. ამიტომ თეიმურაზმა მისი თავიდან მოშორება არჩია და ზურაბი მოაკვლევინა, „მისი თავი კი შაჰს გაუგზავნეს და შეეთვალეს სეიმონის მოკვლისთვის მოვკლეიოო". შაჰს ძალიან ესიამოვნა და ჯილდოდ „ქართლიკა და კახეთიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონს თეიმურაზს მისცეს და ხალათი და რაყამი გამოუტაზავნეს".

არჩილ მეფის აღწერილობით ზემომოთხრობილი ციტა სხვაგვარად წარმოგვიდგება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ზურაბისათვის თეიმურაზის ქალის მოთხოვება სიმონ მეფის სიკვდილამდე მოსმენია, ამას თვით როსტომ მეფეც ადასტურებს თავის 1648 წლის სიგელში. მაშასადამე, სრული სიცხადით ირკვევა ფ. გორგიჯანიძის ცნობის უსაფუძვლობა.[14] არჩილ მეფის აზრით, თეიმურაზი სიმონის მოკვლის არც მონაწილე და არც გამზრახი არ ყოფილა. ზურაბის მოკვლის აღწერისას კი იგი მთლიანად ეთანხმება ფ. გორგიჯანიძეს.[15]

არჩილ მეფის მონათხრობს ემთხვევა „სწავლულ კაცთა" და ეახუშტი ბაგრატიონის ცნობები. ხოლო ე. წ. „პარიზის ქრონიკა" კი ნაწილობრივ ფ. გორგიჯანიძის ცნობას იმეორებს იმ თვალსაზრისით, რომ თეიმურაზი სიმონის მოკვლის უშუალო მონაწილე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეწინააღმდეგება იმაში, რომ „პარიზის ქრონიკის" ავტორის აზრით, ზურაბი უკვე იყო თეიმურაზის სიძე, როგორც ეს სხვა წყაროებშიცაა მითითებული. ისქანდერ მუნში კი, როგორც ენახეთ, საერთოდ არ ახსენებს თეიმურაზს სიმონ მეფის მოკვლასთან დაკავშირებით.

შემდეგ ისქანდერი მოგვითხრობს „ალაევრდი — ხანის ეაეის — დაუდ-ხანის აჯანყებისა და მისი თეიმურაზთან შეთანხმების ამბავს". თავდაპირველად იგი შენიშნავს, რომ როგორც „თარიხ-ე ალამ არაი-ეში" იყო მოთხრობილი, შაჰისაგან განდგომილ თეიმურაზს, ყარაბაღის ბეგლარბეგის — დაუდ-ხანის შუამავლობით, შაჰმა ცოდვებში შეუნდო და პატიბის სიგელი გაუგზავნა მას.[16] ამის შემდეგ გადაწყდა, რომ თეიმურაზს თავისი ქალიშვილი ირანის შაჰთან უნდა გაეგზავნა, მაგრამ პირობის შესრულებას რატომღაც აყოვნებდა. სამაგიეროდ თავისი ერთგულების დასამტკიცებლად შაჰს მოახსენა, რომ ზურაბ ერისთავი მან მოაკვლევინა სახელმწიფოს ღალატისა და სიმონის მოკვლის გამო. აქ ისქანდერი შენიშნავს, რომ „თეიმურაზმა სინამდვილე ტახტის ზურაბლუ შეცდომით მოახსენაო",[17] ე. ი. ვითომც ზურაბის მოკვლის მიზეზი ეს არ ყოფილიყოს. როგორც ზემოთ აღენიშნეთ, შაჰმა თეიმურაზს ეს საქციელი მოუწონა და ჯილდოდ მის ვაჟს ქართლი უბოძა. ქართულ წყაროებში კი ნათქვამია, რომ თეიმურაზის ვაჟს კი არა, თვით თეიმურაზს უბოძა შაჰმა ქართლი.

სპარსელი ისტორიკოსი ვანაგრძობს, რომ ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ თეიმურაზი და დაუდ-ხანი ისე დაახლოვებულან, რომ უმტეს დროს ერთად ატარებდნენ. აქვე ისქანდერი გვიხსნის, თუ რამ აიძულა დაუდ-ხანი, რომ შაჰის წინააღმდეგ აჯანყებულიყო: თურქე ყაჯარ დიდებულებს დაუდ-ხანი სძულდათ და ეშინოდათ კიდეც მისი. ამიტომ ხშირად შაჰთან ეჩიოდნენ მას და მალე საწყალულაც მიაღწიეს: ერთ სალამის შაჰმა დაუდ-ხანი მეჯლისიდან გაალეკვა. მაგრამ, დასძენს ისქანდერი, მისი მაშინაა და ძმის დიდი დამსახურების გამო, შაჰმა ის მეტად აღარ დასაჯარა. მაგრამ დაუდ-ხანი პატივმოყვარე იყო და ეს შეურაცხყოფა მოსვენებას არ აძლევდა. შურისძიების მიზნით იგი თეიმურაზს შეუთანხმდა, რომ ნადირობის საბაბით ივრის ნაპირას ერთმანეთს შეხვედრდნენ, შემდეგ კი ყაჯართა თავყაცები დიეხოცათ. ამ მიზნით შაჰ ყაჯარი დიდებულები სანადიროდ მიიწვია, ისინიც სიამოვნებით ეახლნენ, დაუდ-ხანმა ისინი თავისაზე წინ გაუშვა, ვითომდაც თეიმურაზის შესაგებებლად. თეიმურაზმაც, თავის მხრივ, ამ კაცამდე ქართველი ახნაგონი დააწინაურა მათთან შესაბმელად, რომლებმაც „მყისივე მთელ ღაზიებს მოწამებრივი ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისხვაულმა შაჰმა იმამყული-ხანი გამოიძახა, ვითომდაც სახელმწიფო საქმეებზე მოსათათბირებლად, შეშინებულმა იმამყული-ხანმა პორტუგალიელების კუნძულ ჰორმუზზე მოსვლა მოიმიზეზა და თავისი შვილი გაგზავნა შაჰთან. მაგრამ გამოძახების განმეორების შემდეგ, იძულებული გახდა ხლებოდა შაჰს.

როგორც ეხედავთ, ისქანდერ მუნში დაუდხან უნდილაძის განაყენების პირზედან ყაჯარი თავკაცების წყალობით მის მეჯლისიდან გაძევებას თვლის. ეს მოსაზრება უსაფუძვლოდ არ გვეჩვენება; როგორც ცნობილია, დაუდხანი განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგად დანიშნა ყაჯარი მოსამეფე ყული-ხანი ზნიად ოღლის ამ თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ. ასე რომ, გამორიცხული არაა ყაჯარ დიდებულთა შური და მტრობა მის მიმართ, რასაც შედეგად მოჰყვა ხემით აღწერილი ამბები.

დაუდ-ხანისა და თეიმურაზის ალაზანის ამბავს ისქანდერის მსგავსად მოგვითხრობს ფარსადან გორგიჯანიძე. მის თხრობაში უ. ყ. ყურადღებას იქცევს აეტორის მტრული დამოკიდებულება დაუდ-ხანის მიმართ. მისი აზრით, დაუდ-ხანი „უუკეთ და ამაყი კაცი იყო“.[21] ფარსადან გორგიჯანიძეს, როგორც როსტომ მეფის ერთგულსა და მომხრეს, როსტომსა და დაუდ-ხანს შორის არსებული სიძულვილი ალაპარაკებდა ასე მკაცრად. ეს უკანასკნელნი კი ისე ყოფილან ერთმანეთზე გადამტერებული, რომ როსტომს მისი განდეგილნაც კი განუუხარავს. როგორც განუსაზღვრელი ნდობით აღუჭურვილს შაჰის კარზე, მას თავისი წადილი აესრულებია და „ყაენსაც როსტომ მეფის გალისათვის მეჯლიშდამენ გაეგდებინნა დაუდ-ხანი“.[22] ისქანდერი კი არაფერს ამბობს როსტომის მონაწილეობაზე ამ გაძევებაში. შემდგომ მოვლენებს კი ამ საკითხთან დაკავშირებით, ისქანდერის მსგავსად მოგვითხრობს. მხოლოდ ფარსადანი არაფერს ამბობს შაჰის ვაჟზე, რომელიც ვითომდაც იმამყული-ხანთან იზრდებოდა და რომლის ტახტზე აყვანასაც დაუდ-ხანი და მისი ძმა აპირებდნენ.

ფარსადან გორგიჯანძისა და ისქანდერისაგან განსხვავებით, „სწველულნი კაცნი“ დაუდ-ხანის აჯანყების სხვანირად ხსნიან. თავდაპირველად მოყვება გადმოგვაცემენ ცნობებს დაუდ-ხანისა და მისი საგვარეულოს შესახებ: „იყენენ ძმანი და სახლეულნი მისნი მრავალგუარად ნამსახურნი და ცნობილნი შაბაპს აყენისა“, მაგრამ შემდეგ „სძლია ჩვეულებამან მიუნდობლობისა მათისამან და სიმპოროტისამან, ვითარცა თქმულ არს „ჩვეულება სჯულსა უტტაც�აა არსა“.[23] ამის შემდეგ აეტორი აღნიშნავს, რომ შაჰ-სეფიმ შეიპყრო დაუდ-ხანის ძმა, შვილები და დახოცა. ამის გამგონე დაუდ-ხანს გული მოსვლია და განჯიდან თეიმურაზთან წასულა კახეთში. თან ყაჯართა თავკაცები წაიყვანა და იორბე დასხლდა. ამის გამგონე შაჰ-სეფი განრისხდა და თეიმურაზისა და დაუდ-ხანის დასასჯელად ლარჯან ლაშქარი გაგზავნა სასხალო როსტომ საყაენის წინამძღოლობით, ხოლო ქართლში გასაშეფებლად ხოსრო მირზა გამოგზავნა.[24]

ამეკვანად, „სწველულ კაცთა“ აზრით, დაუდ-ხანის აჯანყების მიზეზი ის იყო, რომ შაჰმა მისი ნათესაობა ამოწყვიტა. ფარსადანთან და სპარსელ ისტორიოსთან კი ეს მოვლენა პირუკუა ახსნილი: სწრიგედ დაუდ-ხანის განდგომისა და აჯანყების გამო ამოვლინა შაჰ-სეფიმ უნდილაძეთა საგვარეულო, რომელსაც შაჰ-აბას I-ის დროიდან მოყოლებული, ერთ-ერთი უპირველესი ადგილი ეკავა სეფიანთა ირანის სამეფო კარზე. „სწველულ კაცთა“ მონათხრობს ეკითხეკი ვახტანგ[25] და არჩილ მეფის[26] ცნობები, რომელიც არაფერს ამბობენ დაუდ-ხანისა და თეიმურაზის მიერ ყაჯართა ამოწყვეტის შესახებ.

უნდილაძეების ამოწყვეტის საკითხთან დაკავშირებით სარეტროსა თანამედროვე ირანელი ისტორიკოსის ნასროოა ფალსაფის შეხედულება, რომელიც ძირითადად ისქანდერ მუნშის ეყრდნობა. იგი მოგვითხრობს, რომ როგორც ყველაზე დაახლოებულსა და საყვარელ ადამიანს, შაჰ-აბას I იმამყული-ხანს ქალებს უგზავნიდა ხოლმე თავის ჰარამ-ხანიდან. ერთი ქალი კი, რომელიც გაუგზავნა, ფეზმძიმედ აღმოჩნდა და მალე ეაკი შეეძინა. შემდეგ როცა შაჰ-აბასი გარდაიცვალა, „შაჰ-სეფიმ ამის შაშინი, რომ ეს ეაკი, რომელიც ვითომდაც შაჰ-აბასის შვილი იყო, იმამყული-ხანმა ტახტზე არ აიყვანოსო, იმამ-ყული-ხანის მთელი საგვარეულო ამოუწყვეტია.[27] მეორეგან კი ნასროოა ფალსაფი ოგივე ამბავს სხვაგვარად მოგვითხრობს: შაჰ-სეფი თურმე ტახტზე ასალოსანავე მიზეზს ეძებდა იმამ-ყული-ხანის მოშორებისათვის, მაგრამ რადგან ეს უკანასკნელი ერთგულად ემსახურებოდა, ისიც მოთმინებით ელოდა ხელსაყრელ შემთხვევას. ერთხელ შაჰმა ყველა ამირები დიიბარა მეჯლისზე. დაუდ-ხანი არ გამოცხადებულა, რადგან იცოდა შაჰის დამოკიდებულება მისი ძმისადმი და ეშინოდათ. იგი თეიმურაზს დაუკავშირდა და ყარაბაღის ალება შესთავაზა. დაუდ-ხანის ურჩობა სწორედ კარგი საბაბი იყო იმამ-ყული-ხანის მოყვლისათვის და შაჰ-სეფიმაც არ დააყოვნა. იმამყული-ხანი თავის შვილებთან, დაუდ-ხანის ეაკი, ერთიანად ამოწყვეტა.[28]

შემდეგ ისქანდერ მუნში იწყება ახალ თავს: „ძლევამოსილი ჯარის გამოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აყვანას ემსახურება, რომელიც ფარსში — იმამ-ყული-ხანთან ცხოვრობს". ამ წერილებმა დიდი მოთქმა-მოთქმა გამოიწვია, თუმცა მათი შინაარსი სინდვილეს არ შეესაბამებოდა. გამოროტებულმა შაპ-სეფიმ დაიუბ-ხანის ახლობლებზე იძია შურისძიება: ჯერ იმამ-ყული-ხანის სამი ვაჟი დახოცა. თითონ იმამ-ყული-ხანის მოსაკლავად კი მისივე სიძეები გაგზავნა. მათ მოტყუებით გარეთ გამოიყვანეს დასაძინებლად მომზადებული იმამ-ყული-ხანი და მოკლეს, მისი ურიცხვი ქონება კი ხელთ იგდეს. ფარსის ბეგლარბეგობა შაჰმა ფლურალუ-ხან ეშიკაღასიბაშის უბოძა.

ერთი სიტყვით, განაგრძობს ისქანდერი, ალა-ვერდი-ხანის სავარეულო, რომელიც წლების მანძილზე ისპასანიდან „ომანის სანაპირომდე, ერთი თვის სავალ გზაზე, ბატონობდა, წყეული დაუდის უკადრისი საქციელის გამო არარაობის ქარს მიეცა". როცა ამ ამბავმა თეიმურაზსა და დაიუბ-ხანამდე მიაღწია, ისინი შეშინდნენ და საჩქაროდ ყარაბაღიდან საქართველოს მიაშურეს. ამასობაში მოჰამედ-ყული-ხანმა დაიუბ-ხანის თანამდებობა დაიკავა განჯაში, როსტომ-ხანი კი თბილისში შეეიდა და თბილისს ციხეში ვამაგრდა. შაპის ბრძანების თანახმად, მას ქართველი აზნაურები და დიდებულები შემოეკრბნენ და მორჩილება და ერთგულება აღუთქვეს. მარტო-მარტო დარჩენილი თეიმურაზი მიხვდა, რომ როსტომთან ბრძოლა მის ძალ-ღონეს აღემატებოდა და იმერეთს შეაფარა თავი.

სპასალარმა როსტომმა, შაჰის ბრძანების თანახმად, ორი ციხე დაიკავა: კახეთში ალავერდის ეკლესია და ქართლში — ბორის ციხე, სადაც შაჰ-აბასმა თავის დროზე ორ ციხეს ჩაუყარა საფუძველი, ხოლო მან შეაკეთა და დაასრულა, შიგ კი მცველები ჩააყენა. ამის შემდეგ სპასალარმა ამ მხარის დარბევა-აწიოკება დაიწყო. შეშინებულმა დაღიანმა და ბურიელმა, რომელთაც სპასალარის შესახებ ბევრი რამ სმენოდათ, მის მორჩილება აღუთქვეს და შეჰფიცეს, რომ არავითარ შემთხვევაში თეიმურაზს არ დაეხმარებოდნენ, რომელიც ამ დროს „ბაში-აჩუის საზღვრებში დაეხეტებოდა და წყეული დაუდიც შის ახლდა თან". ერთი სიტყვით, დაასკვნის ისქანდერი, სპასალარმა თავისი შორსმჭვრეტელობით, დიდი გამოცდილებით, ისეთი წესრიგი დაამყარა საქართველოში, როგორსაც „გონიერთა გონებაში არ გაუვლია და არც არასდროს ყოფილაო". ამის შემდეგ კი, შაჰის ბრძანებით, ვანის ციხისკენ გაემართა. სადაც ოსმალებმა და ამ მხარის ეურთუმბა შაჰის სამფლობელოება ხელყვეს. [29]

ახლა ვნახოთ, თუ რა ცნობებია სხვა წყაროებში ამ საკითხის ირგვლივ. როგორც ცნობილია, შაჰ-სეფი როსტომს განუზომლად ენდობოდა და უყვარდა. მის ტახტზე ასვლაში ხომ სწორედ როსტომმა შეასრულა გადამწყვეტი როლი.[30] ამის შესახებ გვაცნობენენ, როგორც ჩვენს მიერ განხილული ქართული, ისე უცხოური წყაროები. მაგალითად: მე-17 საუკუნის იტალიელი მისიონერი ჯუდიჩე მილანელი მოგვითხრობს: „როსტომისადან შაჰი ფიდდდ დაალეგბელი იყო, რადგან მისი მეშვეობით ავიდა ტახტზე. სპასალარს არ სურდათ შაჰ-სეფის გამეფება, რადგან მას ქართველი დედა ყავდა, რომელიც დღესაც ცოცხალია. შაჰ-სეფი ქართველი რაჩის დახმარებით დაეპატრონა ტახტს".[31]

როსტომ-ხანი და სპარსეთში მყოფი მისი მომხრე ქართველთა ყოველთვის სარგებლობდა შემთხვევით, რომ საქართველოს ვითარება შაჰ-სეფისათვის ისე მოეხსენებინათ, როგორც ეს ფაქტობრივად იყო ხელსაყრელი. და როდესაც თეიმურაზმა თავისი წინდაუხედავი მოქმედებით ძლიერძლიერთნი მოწყობილი საქმე თითონვე ჩაშალა, როსტომსა და მის მომხრეებს მარჯვე შეთხვევა მიეცათ, რომ როსტომის ხანობა მეფობით დაემშვენებინათ. როსტომის გამეფებას სხვა გარემოებამაც შეუწყო ხელი: თეიმურაზის მახლობელ კახელ ხელისუფალთა წინდაუხედავმა ქცევამ ქართველნი უკმაყოფილება გამოიწვია და კახთ ბატონობის თავიდან მოშორებაზე დაიწყეს ზრუნვა. თავიანთი მიზნის განხორციელებისათვის ქართლის გავლენანი წრეები ეძებენ ეძალის ჩარეგასაკა არ დარიდებიან. ფ. გორგიჯანიძის სიტყვით, ამ ჯგუფს შაჰისათვის საიდუმლოდ „სახეეწარი არზა" მიერთმეგია, რომელშიაც ქართლში კახთ ბატონის მაგიერ ქართლის სამეფო გვარის ერთ-ერთი ბატონიშვილს მეფედ დასმას თხოულობდნენ,[32] ასეთი „არზის" მიღებამ შაჰ-სეფი დიდად გაახარა, რადგან სპარსეთის საქმეს თავისივე ხელით თვით ქართველებივე აყეთებდნენ. ეს გარემოება როსტომის გამეფების მოსმენითათვის საუკეთო საბრძოლო იარაღად გამოდგებოდა. ასეთ ვითარებაში უკვე არც თეიმურაზის დასჯა და არც როსტომის გამეფება არავითარ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა.[33]

როსტომ მეფისა და სპასალარ როსტომ საკაძის ქართლში ჩამოსელის ამბავს ძირითადად ისქანდერ მუნშის მსგავსად მოგვითხრობენ ქართული წყაროები (ფარსადან გორგიჯანიძე, ბერი ეგნატაშელი, ვახუშტი ბაგრატიონი, მეფე არჩილი). აღსანიშნავია ჯუდიჩე მილანელის მოკლე ცნობა. მისი სიტყვით, როდესაც სპარსეთის შაჰს კვლავ აუჯანყდა მეფე თეიმურაზი დაუდ-ხან განჯელთან ერთად, შაჰმა დიდი ლაშქარი გამოგზავნა მათ დასასჯელად. სპარსეთის ჯარმა ხელმეორედ აიარა კახეთი, ქართლს კი იმდენი ზიანი არ მოსვლია, რადგან „როსტომ ხანი იცავდა იმ პროვინციას, რომელიც მას ეკუთვნოდა, როგორც ტახტის მემკვიდრეს. შაჰმა

ნანა ფალავანდილი
საარსებო წყარო საქართველოს შესახებ

ეს პროვინცია მას დაუთმო ხელშეკრულების იმ მუხლით, რომლითაც მს უნდა ეცნო მისი სუვერენობა და შაჰის მფლობელობის ვასალურ დამოკიდებულებაში დარჩენილიყო". [34]

როსტომის ქართული ვამეფების ამბავს მოკლედ აღნიშნავენ რუსი ელჩებიც, რომლებიც თეიმურაზ მეფის კარზე იმყოფებოდნენ.[35]

შემდეგ თავში ისკანდერ ბეგნში გადმოგვცემს ვანის ციხის აღების ამბავს. როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, მოგვითხრობს ეტერი, საქართველოს საქმეების მოწესრიგების შემდეგ, შაჰმა სელიმ-ხანსა [36] და როსტომ-ხან ვანის მხარეს წასელა უბრძანა, სადაც ოსმალებმა და ქუთნელებმა მისი სამფლობელოები ხელყვეს. „სპასალარმა და ძლევამოსილმა მეომრებმა მამაცობის ქმაური ვანის ციხის დასაპორრილებლად შემორტყეს" და იმ მხარისკენ გაემართნენ. შაჰიც თავისი ამალით მათ კვალდაკვალ გაემართა. გზად ირდგილში ჩამოხდა, სადაც დიდებულ შეიხთა წმინდა საფლავები მოიხილა და გზა განაგრძო შაჰს ახლად მოეკიდა, რომ შეიძლება ოსმალები და ქურთები ვანის ალყაშემორტყმულთა დასახმარებლად გაემართონ, და შეშინებულმა თავისი ჯარის ნაწილი წინ გაუშვა. მალე შაჰის ძლევამოსილი ლაშქარი გამარჯვებული და უტიტეი ნადავლით უკან დაბრუნდა. ამის შემდეგ, განაგრძობს ისკანდერი, შაჰმა ბრძანება გასცა, რომ „როსტომ-ხან ყულარ აღას


, რომელიც გურჯისტანის ქართველს მფლობელი იყო, ქართველთა ჯარით ყარაბარდაჰანის, არეშისა და ანზზრეთმისკენ წასულიყო და იმ ვილაიეთის ასკერების ყურადღება თავისკენ მიეპყრო". როსტომი მაშინვე ათი ათასი ქართველი მეომრის თანხლებით იმ მხარეს გაემართა და ძარცვა და აწიოკება დიიწყო. დამფრთხალი ოსმალები როსტომის ძლევამოსილ მეომრებთან პირისპირ შებმას ვერ ბედავდნენ და ციხეებს აფარებდნენ თავს. როსტომმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და ნადავლით სავსე შაჰს ეახლა. [37]

ეს ამბავი ქართულ წყაროებში მოთხრობილი არაა, მხოლოდ გაკვრითაა აღნიშნული, რომ შაჰმა სპასალარი როსტომი ვანის ციხისკენ გაგზავნა, მაგრამ სამგზეიროდ ახსნილია მიზეზი, თუ რატომ გაგზავნა შაჰ-სეფი როსტომი ვანის ციხისკენ. აი, მაგალითად ფარსადან გორგიჯანიძე ასე ხსნის ამ ამბავს: სპასალარი როსტომი ფურმე დაუნდობლად იქცეოდა საქართველოში შემოხვევას არ ეუშვებდა, რომ რბევა და თარეში აეტეხა. [38] მისმა ასეთმა საქციელმა მეფე აიღელვა და შეეთავაზა რუსტომს: „თავად საქართველო ოხრებული არის, რაც დარჩომილა, იმასაც თქვენ ამოიხრეთ, მაშ მე რისიღა ბატონი ვიქნებიო?" [39] ამან სპარსეთის სარდალსა და როსტომს შორის უთანხმოება ჩამოაგდო და ორივემ „ყაენს არზა მისწერეს" ერთმანეთზე საჩივრით. ამას კი შედეგად ის მოყვა, რომ შაჰის ბრძანებით როსტომ საკაძე ვანის ციხიდან გიგაზავნა და ამგვარად, საქართველოდან წასვლილ იქნა. მის ადგილას კი შაჰმა სხვა გამოგზავნა: „შირვანის ბეგლარბეგი ყარამანიის ლაშქრით როსტომის ქეშიკში დადგესო". [40]

ვახუშტი ბატონიშვილი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ როდესაც როსტომ მეფე ქართლში გამგზავრა, „სპასალარი როსტომ წარვიდა წინაშე ყეენისა". [41]

გაკვრით ეხება ამ ამბავს აგრეთვე ე. წ. „ბარიზის ქრონიკაც". მასში აღნიშნულია, რომ ყაენის ბრძანება მოვიდა, რომ სარდალი ვანზე წასულიყო. მის ნაცვლად კი როსტომ მეფეს მან შირვანის, ბეგლარბეგი გამოუგზავნაო. [42]

შემდეგ ნაწრომში მოთხრობილია. როსტომ მეფისა და ლევან დადიანის დამოყვრების ამბავი. [43] სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით ლევან დადიანი ეახლა როსტომს იმ განზრახვით, რომ თავისი და მისთვის მიეთხოვებინაო. რიცა ეს ამბავი იმერეთის მეფემ გიგიო, გადაწყვეტა რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ეს ქორწინება ჩაეშალა. ამ მიზნით იგი „გზაბანეულ თეიმურაზს დაუკავშირდა და გზის გასასვლელებს ზეირავდნენ, რათა რიდესაც დადიანის ქალი ვამოჩნდებოდა, შეეპყროთ და ქორწინება ჩაეშალათ". [44] რიცა ეს ამბავი როსტომმა გაიგო, თავისი ლაშქრით დადიანის შესაგებებლად გაემართა. თავისი ჯარის ნაწილი გურიელის სამფლობელოს გზით დადიანის დასახმარებლად წინ გაუშვა, ხოლო თითონ ალთუნყალადან ერთი ფარსანგის (6-7 კმ) მანძილზე ჩამოხდა და ამბის მოტანას დაელოდა. სწორედ ამ დროს დადიანნი თეიმურაზისა და იმერეთის მეფის ლაშქარს შეეფეთა და გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომლიდანაც დადიანი გამარჯვებული გამოვიდა, თანაც იმერთის მეფე რამდენიმე ქურთი თავყაციანთ და კახელი აზნაურებით ტყვედ ჩაიგდო. შეშინებულმა თეიმურაზმა კი იმერეთის მეფის მემკვიდრესთან ერთად ქუთაისის ციხეს შეაფარა თავი. გამარჯვებულმა დადიანმა თავისი და დიდი ზეიმით როსტომ-ხანის სამფლობელოში გაამზავრა. ბოლოს მოჰმეფე იუსუფი შენიშნავს, რომ ამ ქორწინების ნებართვა მათ ჯერ შაჰისაგან აიღეს, რომელმაც სიამოვნებით დართო ნება და დიდძალი საქონელი საჩუქრებიც გამოუგზავნა. [45]

ქართლში შემოსვლისთანავე როსტომი შეუოდგა თავისი ძალაუფლების განმტკიცებას. მაგრამ ქართველი ფეხის მოკიდებისათვის მარტო შინაურობაში განმტკიცება არ კმაროდა, მეზობლებისაც უნდა ჰყოლოდა მომხრეები, რომ განსაცდელის ჟამს მისთვის ხელი გაემართა. ამ მიზნით როსტომის მრჩეველმა „რჩევა" დაიწყეს ამის თაობაზე. მათ ისეთი მოკავშირე უნდა ეშოვნათ როსტომ მეფისათვის, რომელიც მის მტრებს — იმერეთის მეფე გიორგისა და თეიმურაზს თავისუფალი მოქმედების საშუა-

ლებას მოუსპობდა. ასეთ მოკავშირედ მათ შეარჩიეს ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი, რომელიც შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო იმერეთის მეფისა. გადაწყვეტა, რომ როსტომს ცოლად უნდა შეერთო ლევანის და — მარიამი, რომელიც მამია გურიელის-ძის — სვიმონის ნაცოლარი იყო. ჩვეულებისამებრ, დადიანს მოციქულები გაუგზავნეს მარიამის ხელის სათხოვნელად, რომელმაც სიხარულით თქვა ეს წინადადება. როდესაც როსტომს სამეგრელოდან დადიანის თანხმობა მოეკიდა, მან მაშინვე „ყაენს ჩაფარი გაუგზავნა და დადიანის მოყვრობა ხელმწიფეს გააშინჯვინა". [46] რადგან ირანის შაჰის ნებართვის გარეშე იგი ასეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. შაჰს ეს ამბავი მეტად ეამა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მისი ერთგული კაკი ქართველი ამით მტკიცედ მოიკიდებდა ფეხს, მეორეც იმიტომ, რომ როსტომის დადიანთან დამოყვრებით სპარსეთის პოლიტიკოსებს სამეგრელოს მთავრის სპარსეთთან დაახლოების იმედი მიეცემოდათ, რასაც ოსმალეთთან ომის დროს ფრიად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ირანისათვის. [47] ამიტომ ირანის შაჰმა თანხმობა არ დაუგვიანა როსტომს და საქორწილო სარეწარებიც გამოგზავნა.

მეორე განსხვავებათა მიუხედავად, როსტომის დაქორწინების თხრობისას, ფარსადან გორგიჯანიძე სპარსელ ისტორიკოსს ეყრდნობა. განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ ფარსადანის აზრით, როსტომმა გაუგზავნა ლევან დადიანს მოციქულები მარიამის ხელის სათხოვნელად. სპარსელ წყაროში კი პირიქითაა — თითქოს დადიანი ეახლა მეფეს იმ განზრახვით, რომ თავისი და მისთვის მიეთხოვებინა, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. გარდა ამისა, ფარსადანი ამ ამბავთან დაკავშირებით არ მოიხსენიებს თეიმურაზ მეფეს. სპარსელი ისტორიკოსი, როგორც ზემოთ ვნახეთ, აღნიშნავს თეიმურაზის ალტიერ მონაწილეობას როსტომის ქორწინების ჩასაწყობლად, რომელმაც დამარცხების შემდეგ გორგი მეფის ძესთან ერთად ქუთაისს ციხეს შეაფარა თავი.

სპარსელი ისტორიკოსის მსგავსად, „სწავლულნი კაცნი" მოგვითხრობენ, რომ დადიანმა გაუგზავნა როსტომ მეფეს შუამავალი თავისი დის მოსათხოვნელად. მაგრამ ფარსადანის მსგავსად, თეიმურაზ მეფეს არ მოიხსენიებს ამ ამბებთან დაკავშირებით. [48]

„სწავლულ კაცთა" მონათხრობს ემთხვევა ზუსტად ვახუშტესა [49] და „პარიზის ქრონიკის"[50] ცნობა როსტომისა და დადიანის დამოყვრების თაობაზე.

ჩვენს მიერ განხილულ ქართული წყაროები, ფ. გორგიჯანიძის გარდა, ზემოთ მოთხრობილ საკითხთან დაკავშირებით არაფერს ამბობენ შაჰ-სეფის შესახებ. სპარსელი ისტორიკოსი და ფარსადანი კი ხაზგასმით აღნიშნავენ შაჰ-სეფის გადამწყვეტი როლის შესახებ როსტომისა და დადიანის დამოყვრების საქმეში.

საყურადღებოა ჯდენრე მილანელის მოკლე ცნობა იგივე ამბავზე: როსტომმა გადაწყვეტა დანათესავებოდა ოდიშის მთავარ დადიანს მის დაზე დაქორწინებით. „დადიანმა და როსტომმა გადაწყვიტეს ორივე მხრიდან ომი გაუმართონ იმერეთის მეფეს, რათა მერე შუაზე გაიყოს ეს მხარე, იმ საბაბით, რომ იმერეთში გადმოხეცეწილ თეიმურაზს იმერეთის მეფეს თავშესაფარი მისცეს". [51]

დაბოლოს „ზეიელ თარიხ-ე ალამ არაა-ე ანაანი"-ში, საქართველოს ამბებთან დაკავშირებით, მოტანილია კიდევ ერთი პატარა ცნობა კერძოდ, იმის შესახებ, რომ თეიმურაზმა „ამბოხების მიიმე ძალიდან გამოიღეიძა" და თავისი დანაშაულის გამოსასყიდლად შაჰის კარზე თავისი ქალიშვილი გაგზავნა. სამაგიეროდ კი დიდი წყალობა მიიღო: შაჰმა მას კვლავ დაუბრუნა კახეთი. სწორედ ამ დროს, დასძენს სპარსელი ისტორიკოსი, შაჰს ამბავი მოსცლია იმერეთის მეფის — გიორგის გარდაცვალების შესახებ. [52]

თეიმურაზის ქალიშვილის შაჰის კარზე გაგზავნის აღნიშნავენ იმერხოლდელი რუსი ელჩები [53] და ფ. გორგიჯანიძე, რომელიც ამ ქალიშვილის სახელსაც გვამცნობს: „ბატონიშვილი თინათინ შაჰ-სეფი ყაენს მიჰგვარეს". გასამჯელოდ კი თეიმურაზს დიდძალი სარეწარები და „სიმეფო რაყამი" მოსცლია, რომ შაჰმა ყველა ეოდვები შეუნდო. [54] გიორგი მეფე გარდაიცვალა 1639 წელს. სწორედ ამ წელს გაგზავნეს თინათინი შაჰ-სეფის კარზე, რომელიც მან ცოლად შეირთო. [55]

გარდა ზემოთ მოთხრობილი ამბებისა, სპარსული ნაწერთის ბოლოს ჩამოთვლილია ირანში მოღეაწე ქართველები, რომელთაც ჩვენ ზემოთ უკვე გავეცანით: იმამ-ყული-ხანი, დაუდ-ხანი, იმამ-ყული-ხანის ვაჟი — სეფი-ყული-ხანი, როსტომი, და მოცემულია მათი მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

ამგვარად, ჩვენ გინეხილეთ ისქანდერ მუნშის ნაწერთისა და მასზე დართული მოჰამედ ლოსეინის თხზულების ნაწილის ცნობები საქართველოს შესახებ, რომელიც გვეელინება როგორც ფრიად მნიშვნელოვანი წყარო მე-17 საუკუნის 40-იანი წლების საქართველოს ისტორიის ცალეული საკითხების შესწავლა-გაშუქებისათვის. მასში მოტანილი ცნობები კი, როგორც კრებულ, დასტურდება ქართული, ნაწილობრივ კი რუსული და ევროპული წყაროებით.

ნანა ფელაუფილი
სპარსული წყარო საქართველოს შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შენიშვნები:

1 სუჰეილი ჰანსარის პუბლიკაციის 1-146 გვ.

2 წინამდებარე პუბლიკაციის 146-292 გვ. (წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია სუჰეილი ჰანსარის პუბლიკაცია).

3 მოჰამედ მასუმი — განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგის მურთაზა ყული-ხან ზიიად-ოღლი ყაჯარის ვეზირი.

4 И. Петрушевский, очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—Начала XIX вв. Ленинград, 1949, стр. 36.

5 ვლ. ფუფურიძე, ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1969, გვ. 139.

6 იგულისხმება ოსმალეთის სულთანი მურად IV (1623-1640).

7 ისქანდერ მუნში, „ზეილ-ე თარიხ-ე ალამ არაი-ე აბასი", თეირანი, 1939, გვ. 35.

8 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება „ქართლის ცხოვრება", II, თბილისი, 1959, გვ. 412. ვახუშტი ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 436.

9 ისქანდერ მუნში, „ზეილ-ე თარის-ე ალამ არაი-ე აბასი", გვ. 71.

10 იგულისხმება 1625 წლის მარაბდის ომი.

11 ისქანდერ მუნში, „ზეილ-ე თარის-ე ალამ არაი-ე აბასი", გვ. 71.

12 ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია", ს. ყაკაბაძე. სასტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 236.

13 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 238.

14 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1967, გვ. 354.

15 გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა. არჩილიანი, II, თბილისი, 1937, გვ. 81.

16 ვლ. ფუფურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 141.

17 ისქანდერ მუნში, „ზეილ-ე თარის-ე ალამ არაი-ე აბასი", გვ. 111.

18 ისქანდერ მუნში, „ზეილ-ე თარის-ე ალამ არაი-ე აბასი", გვ. 113.

19 როსტომზაძ საყაძე.

20 ჩუხურსაადი — ერევნის ოლქი.

21 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 238.

22 იქვე.

23 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება „ქართლის ცხოვრება", II, თბილისი, 1959, გვ. 416.

24 იქვე.

25 ვახუშტი ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ 594.

26 არჩილიანი, II, თბილისი, 1937, გვ. 85.

27 ნასროლა ფალსაფი, „შაჰ-აბას I ცხოვრება", II, თეირანი, 1335 (1956), გვ. 101.

28 იქვე, გვ. 394.

29 ისქანდერ მუნში, „ზეილ-ე თარიხ-ე ალამ არაი-ე აბასი", გვ. 118.

30 იქვე, გვ. 753, გვ. 7.

31 დონ ჯუზეპე, ჯუდიზე მილანელი, წერილები საქართველოზე. თბილისი, 1964, გვ. 34.

32 ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია", გვ. 239.

33 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1967, გვ. 366.

34 დონ ჯუზეპე ჯუდიზე მილანელი, გვ. 82.

35 М. Полиевктов. Материалы по истории грузино - русских взаимоотношений 1615—1640 гг. Тбилиси, 1937, стр. 333.

36 სელიმ-ხანი შაჰ-სეფის კახეთის გამგებლად დანიშნა თეიმურაზის ნაცვლად.

37 ისქანდერ მუნში, „ზეილ-ე თარის-ე ალამ არაი-ე აბასი", გვ. 137.

38 ამას ისქანდერიც ალნიშნავს.

39 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია", გვ. 240.

40 იქვე.

41 ვახუ-ტი ბაგრატიონი, გვ. 438.

42 პარიზის ქრონიკა, გვ. 51.

43 ამ ამბიდან მოყოლებული ისქანდერ მუნშის აღარ ეკუთვნის.

44 „ზეილ-ე თარიხ-ე ალამ არაი-ე აბასი", გვ. 158.

45 „ზეილ-ე თარიხ-ალამ არაი-ე აბასი", გვ. 159.

46 ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია", გვ. 241.

47 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV. 1967, გვ. 373.

48 ბერი ეგნატაშვილი, გვ. 420.

49 ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 828.

50 „პარიზის ქრონიკა". გვ .51.

51 დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, გვ. 34.

52 „ზეილ-ე თარიხ-ე ალამ არაი-ე აბასი", გვ. 230.

53 М. Полиевктов. Материалы по истории грузино - русских взаимоотношений 1615-1640 гг., Тбилиси, 1937, стр. 257, 275.

54 ფარსადან გორგიჯანიძე, „ისტორია", გვ. 244.

55 ქართველი ქალები შაჰ-აბას I კარზე, კ. კეკელიძე. ეტიუდები, IV. 1957, გვ. 220.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. ციციშვილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი სავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-89-44. პ. მგ. მდივანი — 99-71-69. განყოფილებათა გამგეები — 99-85-81. პროზის — 99-84-66. ლიტერატურული თანამშრომლები — 99-75-69. „ნობათი" — 93-17-63.

გადაეცა ასაწყობად 24/VI-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/VIII-75 წ., ქაღალდის ზომა თაბახი 14,5. შეკვეთა № 2614. უე 01008. ტირაჟი 29.050
70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საღრ-საგ

საკ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

6 13/147

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ*

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236